ბრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა

ხელნაწერის უფლებით

ამირან მოსულიშვილი

ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები

სპეციალობა: კრიმინოლოგია;
სისხლის სამართალი;
სისხლის სამართლის პროცესი;
კრიმინალისტიკა;
სასჯელაღსრულებითი სამართალი.

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
სამართლის დოქტორი, პროფესორი
გიორგი ღლონტი

თბილისი
2009

შინაარსი

შესავალი 2

თავი I. ნარკომანიის ისტორია 14

§1. ნარკომანიის ისტორიული გენეზისი.....14

§2. ნარკომანიის განვითარება საქართველოში..... 36

თავი II. ნარკომანიის ხელშემწყობი ფაქტორები..... 47

§1. ნარკომანიის სოციალური ფაქტორები..... 47

§2 ნარკომანიის კულტუროლოგიური ფაქტორები..... 67

§3. ნარკომანიის ფსიქოლოგიური ფაქტორები..... 81

§4. ნარკომანიის სამართლებრივი ფაქტორები..... 84

თავი III. ნარკომანიის პრევენცია საქართველოში..... 104

§1. საზოგადოებრივი აზრი ნარკომანიის პრევენციის შესახებ..... 104

§2. სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნარკომანიის პრევენციის შეფასება.....130

§3. ნარკოტიკებთან ბრძოლის მარეგულირებელი აქტების თავისებურება.....174

§4. ნარკომანთა რეაბილიტაცია, როგორც ნარკომანიის ადრინდელი პრევენციის მიმართულება..... 191

თავი IV. ნარკომანიის პრევენცია საზღვარგარეთის ქვეყნებში..... 197

§1 ნარკომანიასთან ბრძოლის ტენდენციები გაეროს მოხსენებების მიხედვით..... 197

§2 ნარკომანიის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები 227

§3 ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო ინსტიტუტები..... 236

§4 ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციალურ კრიმინოლოგიური მეთოდები..... 250

დასკვნა..... 260

გამოყენებული ლიტერატურა..... 264

დანართები 277

კვლევის აქტუალობა.

XXI საუკუნეში საქართველოსა და მთელს მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ეროვნული უსაფრთხოების გლობალურ საშიშროებად იქცა ისეთი ნეგატიური სოციალური მოვლენა, როგორიცაა ნარკომანია. ეს ისეთი ნეგატიური მოვლენაა, რომელიც საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროში მისი ისტორიული ევოლუციის ნებისმიერ ეტაპზე, ნარკომანიაზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე დაკვირვების წარმოება და მისი მიზეზების იდენტიფიკაცია ითხოვს მუდმივ მონიტორინგსა და კვლევას. ნარკომანიის პროგნოზირება და პრევენცია, ალბათ, ისეთივე ხანგრძლივი ისტორიით ხასიათდება, როგორც თავად საზოგადოების ისტორია ადამიანთა ჩამოყალიბებიდან დღემდე. საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდნენ როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა სახეები, წარმოებისა და მოხმარების ხერხები და მეთოდები, მისი გამომწვევი მიზეზები, ნარკომანიის მასშტაბები, ასევე ის პერსპექტივები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს ნარკოტიზაციის მეცნიერული შესწავლა. საზოგადოების განვითარების ნებისმიერი ეტაპი ხასიათდება ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციფიკური მეთოდოლოგიისა და და მიმართულებების განვითარებით, რაც თანამედროვე კრიმინოლოგიის მრავალფეროვან და ყოვლისმომცველ, ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ ხასიათს განაპირობებს.

მეცნიერებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესახებ, ჯერ კიდევ არსებობს გადაუჭრელი პრობლემები, რომლებსაც, მიუხედავად თავისი ტრადიციულობისა, ყოველთვის აქტუალური ხასიათი აქვთ, ამ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება ნარკომანიის პრობლემაც. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ნარკომანიის პრობლემების აღქმა, მისი გაგება ცვალებად ხასიათს ატარებს და მისი ცვალებადობის შესაბამისად, იცვლება ნარკომანიისადმი დამოკიდებულებაც, ერთი კი გარდუვლად რჩება – ნარკომანიის პრობლემა ყოველთვის იყო, არის და დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ, ჯერ კიდევ, დიდხანს იქნება აქტუალური არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, რადგან აშკარაა, ნარკომანიის, როგორც ავადმყოფობის, დამღუპველობა. ერთის მხრივ, პირი, ნარკოტიკების სისტემატურად მოხმარებით, უშუალოდ ვნებს თავის ორგანიზმს, ხოლო არაპირდაპირ კი - შთამომავლობას; მეორეს მხრივ, ირღვევა ზნეობრივი ნორმები, რადგან საზოგადოება კიცხავს და

კრძალავს ნარკოტიკების მოხმარებას, ხოლო მათი მომხმარებელი ერთგვარ კონფლიქტში შედის საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან. ნარკომანია თავისი ბუნებით ზოგადსოციალური მოვლენაა. მიუხედავად მეცნიერთა მცდელობებისა, განსაზღვრონ ნარკომანიის სამართლებრივი ბუნება, ჯერ კიდევ არასაკმარისადაა გამოკვლეული ეს პრობლემა კრიმინოლოგიური კუთხით, შეუსწავლელია ისეთი სამართლებრივი ასპექტები, როგორიცაა ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის პრობლემა, მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობა, ნარკოტიკების სამედიცინო და სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თავისებურებანი; საჭიროა გავაანალიზოთ კრიმინოგენურად დაბინძურების ხარისხის შესაბამისად, ნარკოტიკების მომხმარებლის პიროვნება, შევიმუშავოთ პრობლემის დაძლევის პრინციპები და ღონისძიებანი. მაშასადამე, ზემოხსენებული პრობლემები, უდაოდ აქტუალურია თეორიულ-გამოყენებითი და სტრატეგიული ასპექტით და ამიტომ მოითხოვს მუდმივად შესწავლას.

თემის აქტუალობა იმითაც განისაზღვრება, რომ საქართველოში, ჭეშმარიტი დემოკრატიის მიღწევა, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება და მისი განვითარება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიები, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობა, ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა, შეუძლებელი იქნება ნარკომანიის პრობლემის დაძლევის გარეშე, ვინაიდან, ადამიანი „ღირებულებათა სფეროში“ მცხოვრები არსებაა და სწორედ ამ ღირებულებათა მოხმარება და რეალიზაცია შეადგენს მის არსს. ძირითადი დებულებების გამოხატვით, ადამიანი საზოგადოებას აცნობს თავის პიროვნულ სახეს, რაც გამოხატულია, როგორც მისი სასურველი და არასასურველი ქცევებით, ისე მოვალეობის შესრულების მოთხოვნილებითა და შეგნებით. ადამიანი საზოგადოების წარმომადგენელია, ეს გარემოება კი ადგენს მისი ზნეობრივი თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის საზღვრებს. ნარკოტიკები კი, აავადებს მოზარდ თაობას და მისი სიცოცხლის ხელმყოფი პრობლემაა, იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოების ჯანმრთელ, საღ და გონივრულ განვითარებას. ნარკომანთა შორის ვხვდებით საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების მაღალ მაჩვენებლებს.

თემის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ ნარკომანიისადმი მიძღვნილი უახლესი ლიტერატურა გვთავაზობს ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო წინადადებებს ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხებზე, ნარკომანიის

განვითარებისა და მისი პრევენციის სრულყოფის გზების შესახებ. მიუხედავად მსოფლიო კაცობრიობის მიერ უამრავი სახის ნარკოტიკების ცნობისა და მათ წინააღმდეგ წარმოებული კომპლექსური ბრძოლისა, უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე შემოაღწია, არალეგალურ, ზოგჯერ კუსტარულ ლაბორატორიებში, სინთეზის გზით შექმნილმა, ისეთმა ნარკოტიკულმა საშუალებებმა, რომლებზედაც ადრე წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა გვქონოდა.

თემის აქტუალობას განაპირობებს აგრეთვე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებისა თუ მოხმარების, რეალიზაციისა თუ ტრანსპორტირების საკითხების მჭიდრო კავშირი კრიმინალურ საქმიანობასთან, რაც, თავის მხრივ, იწვევს დიდი ოდენობით მატერიალურ მოგებას, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციას, ეთნიკური კონფლიქტური კერების შექმნას, ძმათა შორის ომების გაღვივებას, ქვეყნის სამართალდამცავი სისტემისა და საერთოდ სახელმწიფოს ავტორიტეტის დაკნინებას.

საკვლევი თემა აქტუალურად დარჩება, ვიდრე სათანადო დადებით შედეგებს არ მოიტანს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; ვიდრე თავიდან არ ავიცილებთ ნარკომანიის გავრცელებას და არ დავიცავთ ცალკეული ადამიანების, საზოგადოებისა და საერთოდ სახელმწიფოს ინტერესებს ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისაგან და ვიდრე არ გაძლიერდება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენცია.

საკვლევი პრობლემა მრავალფეროვანი და მრავალასპექტურია, იგი ატარებს როგორც საერთაშორისო, ისე კონფენსიურ ხასიათს. ნარკომანიასთან დაკავშირებულ საკითხებს მრავალი მეცნიერი იკვლევდა, მათ შორის იყვნენ როგორც იურისტები, ისე ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, ფილოსოფოსები, მედიკოსები, რელიგიური მოღვაწეები და სხვანი. განსხვავდება ამ პრობლემისადმი მათი მიდგომის წესი, ინტერესი, დამოკიდებულება, მაგრამ მიზანი და შედეგებისადმი სწრაფვა იდენტურია. პრობლემა უკვე დიდი ხანია იზიდავს, სხვადასხვა სამეცნიერო დარგში სპეციალიზებულ, პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერთა ყურადღებას, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. პრობლემების დასაძლევად და მოცემული კვლევის წარმოებისათვის გამოყენებულია ჩ.ბეკარიას, გ.ჰეგელის,

ი.კანტის, ა.ფოიერბახის, ი.ფიხტეს, შოპენჰაუერის, დიურკემისა და სხვა ცნობილ და აღიარებულ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებანი და მათ მიერ შექმნილი ძირითადი თეორიული ბაზა.

საქართველოში ეს პრობლემა შედარებით ნაკლებადაა გამოკვლეული, 2000 წლიდან დღემდე, ნარკომანიის პრობლემის კვლევაში, სამართლებრივი კუთხით დაცულია სულ სამი დისერტაცია, ბატონების ჯემალ ჯანაშიას და დავით კაჭკაჭიშვილის მიერ სისხლის სამართლებრივი ასპექტით და ქალბატონ ინგა ლომსაძის მიერ ნარკოდანაშაულის გამოძიების ხაზით, კონკრეტულად კრიმინოლოგიური მიმართულებით, ნარკომანიის საკითხები საქართველოში, თითქმის შეუსწავლელია. მიუხედავად იმისა, რომ ნარკომანიის, ნარკოტიზმისა და ნარკოდანაშაულის შესახებ გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები (ჯ.ჯანაშია, ზ.ბეროზაშვილი და ა.შ), მოცემული პრობლემის გადასაჭრელი ლოგიკური, ოპტიმალურად მეცნიერული და გამოყენებითი ზომები, საქართველოში, ჯერ-ჯერობით, მიღწეული არ არის.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წინამდებარე ნაშრომის მიზანი მდგომარეობს თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა დარგების: კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი, სოციოლოგიური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, რელიგიური თუ სამედიცინო და ა.შ წყაროების შესწავლისა და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, ნარკომანიის თანამედროვე კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტების უფრო დაწვრილებით გადმოცემა, მათი თავისებურებანი და ნარკომანიასთან ბრძოლის თანამედროვე კომპლექსური მიდგომები. ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული თანამედროვე ღონისძიებების ხარისხი მეცნიერულად შეფასება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ბაზის კანონმდებლობის დასახვეწი წინადადებების შემუშავება და ნარკომანიის პრევენციის თანამედროვე მიმართულებების დახვეწა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დაისახა შემდეგი ამოცანები:

- ნარკომანიის ისტორიული ასპექტების მოკლედ გადმოცემა;
- ნარკომანიასთან ბრძოლის კვლევის მიზნით, ზოგიერთი ძირითადი დეფინიციის განსაზღვრა;

- საქართველოში ნარკომანიის ბუნებისა და მისი გამომწვევი მიზეზების ჩამოყალიბება;
- ნარკომანიასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი მიდგომების ახსნა;
- საქართველოში, ნარკომანიის სფეროში არსებული თეორიული ბაზისა და სამართალგამოყენებითი პრაქტიკის გამოკვლევა და შეფასება;
- ნარკომანიასთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობის განხილვა და შეფასება;
- ნარკომანიასთან ბრძოლის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პრაქტიკის გამოკვლევა, მათში არსებული ხარვეზების დასაბუთება და ავტორისეული შეხედულებების მოწოდება;
- ნარკოტიკების მომხმარებელ პირთა ავტორისეული კლასიფიკაციის შემუშავება;
- ნარკომანიის ფაქტების შემცირების კომპლექსური პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა;
- ნარკომანიასთან ბრძოლისა და პრევენციის პრაქტიკის სრულყოფისათვის კრიმინოლოგიური მიმართულებით გარკვეული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.
- კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული სადაო და ურთიერთსაწინააღმდეგო საკითხების გამოვლენა, მათი გაანალიზება და ნარკომანიის პრევენციის სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების დასახვა;
- ნარკომანიის საწინააღმდეგო, პრევენციული ღონისძიებების გასატარებელი კონცეპტუალური მოდელის შექმნის მცდელობა.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია ნარკომანია და მისი კრიმინოლოგიური დახასიათება, მისი მრავალასპექტურობა. ნარკომანიის, როგორც სოციალური, სამედიცინო, რელიგიური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემის უფრო ღრმად შესწავლა. მისი სამართლებრივი ასპექტების შესწავლისას, ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება.

ნარკოტიკების სახეები, მათი ზემოქმედების ნეგატიურობა. ნარკომანია საერთაშორისო ჭრილში, მასთან ბრძოლის საერთაშორისო ინსტიტუტები. ნარკოტიკების საერთაშორისო მარშრუტები. ნარკომანიის გამომწვევი პირობები და მიზეზები და ნარკომანიის უარყოფითი ზეგავლენა მოზარდებზე. ნარკომანიის პრევენციის საკითხები, ნარკომანთა მკურნალობისა და ჩანაცვლების პროგრამების რეალიზაცია. ნარკომანიის პრევენციის საკითხები. კვლევის საგანგებო ობიექტია – ნარკოტიკები და მათი მომხმარებლები, ნარკომანია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემა. ცნობილია, თუ რამდენად მრავალფეროვანია ნარკომანიის შესახებ ჩამოყალიბებული კონცეფციები, ისინი ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავნი არიან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქართულ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისაგან თავშეკავება. ნარკომანიის მიმართ კონცეფციები განსხვავდებიან სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური თავისებურებებით. ცნობილია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, თანამედროვე პერიოდში, შეიმჩნევა დასავლეთევროპული მიდგომების რეცეფციის საკითხები. აღნიშნულმა კი. შეიძლება გამოიწვიოს დასავლეთევროპული კანონმდებლობის მექანიკურად დუბლირება, როგორც ეს ადრე, რუსეთის კანონმდებლობიდან ხდებოდა.

კვლევის საგანს შეადგენს ნარკომანიის შესახებ, კრიმინოლოგიურ, სისხლისსამართლებრივ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და სხვა სფეროში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა გავლენა საზოგადოების სხვა წევრებზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის უარყოფითი გავლენა ნარკომანებზე, მათზე ჩანაცვლების პროგრამის განხორციელება, მათ მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარება.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის ზოგადმეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს: შემეცნების საყოველთაო ზოგადმეცნიერული, კერძომეცნიერული და სპეციალური კრიმინოლოგიური მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია:

- ისტორიული კვლევის მეთოდი;
- შედარებით-სამართლებრივი და ლოგიკური მეთოდი;

- საორგანიზაციო მეთოდები (შედარებითი, ლონგიტიური და კომპლექსური);
- ემპირიული მეთოდები (ობსერვაციული, ფსიქოდიაგნოსტიკური, მათ შორის კონკრეტულ- სოციოლოგიური მეთოდები (ანკეტირება, ინტერვიურება, დაკვირვება, ექსპერიმენტი, ტესტირება, და ა.შ)
- კვლევის კრიმინოლოგიური მეთოდები (განსაკუთრებით ანომიის თეორია);
- ფორმალურ-იურიდიული მეთოდი;
- სტატისტიკური მეთოდი;
- ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს (თხრობის) მეთოდი.

კვლევის თეორიული საფუძველი. კვლევის თეორიული საფუძველია მეცნიერული ნაშრომები კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში, მედიცინასა და ფსიქიატრიაში, სოციოლოგიასა და და მეცნიერების სხვა დარგებში. კვლევის ნორმატიულ ბაზას შეადგენს ნარკომანიის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები (კონვენციები), საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს კანონი „ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებათა“ შესახებ, სხვადასხვა ქვეყნის ანტინარკოტიკული კანონმდებლობები.

დისერტაციის ემპირიულ ბაზას შეადგენს ავტორის მიერ კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევისას, მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებელთა, ნარკომანიის ხაზით მომუშავე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და თავად ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებელთა, საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა (სულ 500-ზე მეტი პირის) ანკეტირების, ინტერვიურების, ბიოგრაფიულ-ნარატიული მეთოდის გამოყენებისას შეკრებილი მონაცემები. ნაშრომები, სადაც განხილულია ნარკომანიის გამომწვევი მიზეზები და პირობები, ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი გავრცელების თავიდან აცილება, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისაგან, რაც მთავარია, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების

პრევენციული ღონისძიებები. გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკის მასალები. თანამედროვე ქართული კრიმინოლოგია ექვემდებარება ძირეულ, უპრეცედენტოდ მასშტაბურ ინფორმირებას, გასაგებია, რომ კრიმინოლოგიური პრობლემა განიცდის ახლებურად გააზრების საჭიროებას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეები:

1. საქართველოში პირველად განიხილება ნარკომანიის ტენდენციები და ფორმები, რომლებიც ამ მოვლენას ქვეყნის გარდამავალ პერიოდში ახასიათებს; აღწერილია და ახსნილი მისი ტრანსფორმაცია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდთან დაკავშირებულ სოციალურ წინააღმდეგობებთან მიმართებაში;

2. გამოკვეთილია ნარკომანიის სოციალური, კულტუროლოგიური და სოციო-ფსიქოლოგიური მადეტერმინებელი ფაქტორები, როგორც დევიაციის, ასევე უშუალოდ კრიმინოგენურ დონეზე;

3. პირველადაა გაშუქებული ნარკომანიის ასახვის პრობლემა, როგორც საზოგადოებრივი აზრის, ისე სამართალდამცავი ორგანოების მიერ; სპეციალური ანალიზის საგანია ნარკომანიის შეფასება თვით ნარკომანთა მიერ; ამ მიმართულებით დადგენილია პოზიციათა თანხვედრისა და განსხვავების ხელშემწყობი პირობები;

4. გაანალიზებულია პრევენციის ზოგადსოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომების სისტემა, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამ მიმართულებით შემოთავაზებულია პენიტენციურ და პენოლოგიურ საკითხებთან, საერთაშორისო აქტების რეცეპციასთან და ნარკომანთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ნოვაციები; რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია ავტორისეული კონცეფციები შემდეგი მოდელების მიხედვით: წმინდა სამედიცინო, სოციალურ-სამედიცინო და პირადი-სოციალური რეაბილიტაცია.

5. პენიტენციური და პენოლოგიური ხასიათის მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკების მომხმარებელთა დაყოფას კატეგორიებად, მომავალში, მათთვის შესაბამისი ადექვატური პასუხისმგებლობის ზომების შესაფარდებლად;

6. საკანონმდებლო ხასიათის მიმართულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში სხვა მუხლებთან შედარებით, იურიდიული პირისათვის სანქციის ყველაზე მკაცრი ფორმაა გათვალისწინებული, თუმცა ნორმის დისპოზიცია შედარებით უფრო მსუბუქია, ვიდრე სხვა მუხლებში, სადაც იურიდიული პირისათვის უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომაა გათვალისწინებული;

7. გაეროს 1988 წლის კონვენციის შესაბამისად, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, შესამუშავებელია სისხლისსამართლებრივი ახალი ნორმა ნარკოდანაშაულის ორგანიზებისა და ფინანსირებისათვის;

8. ნარკომანთა რეაბილიტაციის მიმართულებით, კერძოდ, არასაბიუჯეტო ანტინარკოტიკული ფონდის შექმნა ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად; სისხლის სამართლის დანაშაულის ახალი შემადგენლობის შემუშავება და ნარკოტიკების გავრცელების ორგანიზებისა და დაფინანსებისათვის პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრა – 1989 წლის კონვენციის რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

9. ნარკოტიკების მოცულობის რეგლამენტაცია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართულებით, კერძოდ, ჰეროინისათვის მცირე ოდენობისა და დიდი ოდენობის განსაზღვრა და შესაბამისად, სასჯელების შემსუბუქება მცირე ოდენობისათვის;

10. დასაბუთებულია წინადადება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის - კერძოდ თავისუფლების აღკვეთისა და ეკონომიკური ხასიათის სანქციებთან დაკავშირებით;

11. დასაბუთებულია წინადადებები საქართველოს კანონმდებლობაში სხვა განვითარებული ქვეყნების სამართლის ზოგიერთი ნორმის იმპლემენტაციისათვის, კერძოდ:

    - ნარკოტიკების მომხმარებელთა კონტროლი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

- კონკრეტული სამედიცინო ღონისძიებების (ჩანაცვლების პროგრამა) დაკისრება პენიტენციურ სისტემაში მყოფ პირთა განკურნების მიზნით;
- თუ სამართალდამრღვევი ნებაყოფლობით იწყებს მკურნალობას, მათ მიმართ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ვადამდელი პირობით გათავისუფლების ან სასჯელის გადავადების ზომების გამოყენება

12. ნარკოტიკების მომხმარებელი პირი, თუ ხელს შეუწყობს გამოძიებას, დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს ნარკოტიკების გავრცელების დანაშაულების გახსნაში და ხელს შეუწყობს მათ დანაშაულის თავიდან აცილებაში, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, აგრეთვე, მას, ნარკოტიკებისაგან დამოკიდებულების მოსახსნელად დაეკისრება იძულებითი მკურნალობის კურსი.

დისერტაციის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, შემოთავაზებულია წინადადებები, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა სტრუქტურების მიერ, აღნიშნული ნეგატიური მოვლენის საწინააღმდეგოდ, პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: მათში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები წარმოადგენენ ნარკომანიისა და მასთან ბრძოლის ახსნის მცდელობას; სასამართლო პრაქტიკის მასალების გაანალიზების შედეგად, სამართლებრივ ნორმებში არსებული ხარვეზების დადგენას და მათი გაუმჯობესების მცდელობას. როგორც ცნობილია, ნარკომანია, როგორც სისხლის სამართალში, კრიმინოლოგიასა და მეცნიერების სხვა დარგებში, არა მხოლოდ თეორიული, არამედ, უმთავრესად, პრაქტიკული დატვირთვის მომცველი ცნებაა. მისი ცალმხრივად, მხოლოდ თეორიული კუთხით განხილვა მართებულად არ მიგვაჩნია. იგი მრავალასპექტიანი პრობლემაა და ჯერაც ვერ იქნა მიღებული ნარკომანიის პრობლემის საყოველთაოდ აქცეპტაბელური გადაჭრა. ნაშრომში ასახული რეკომენდაციები და წინადადებები შეიძლება გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის, უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე სალექციო კურსის გასამდიდრებლად და გასაუმჯობესებლად; ნარკომანიის

წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად და მომავალი სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად.

დისერტაციის აპრობაცია. დისერტაციის კვლევის მონაცემების აპრობირება მოხდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. ავტორისეული კვლევის შედეგები გადმოცემულია ექვს სამეცნიერო პუბლიკაციაში, მათ შორის ერთ მონოგრაფიასა და ხუთ სამეცნიერო სტატიაში, 100-ზე მეტი ნაბეჭდი გვერდის მოცულობით. ავტორი თავისი კვლევების შესახებ, მოხსენებით წარსდგა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ პრეზენტაციის მასალები გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიების სახით. კვლევის ძირითადი დებულებები მოწონებულია იურიდიული ფაკულტეტის საექსპერტო-შემფასებელი კომიტეტის მიერ.

ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა დისერტაციის სტრუქტურა განისაზღვრება კვლევის მიზნებითა და ამოცანებით. იგი შესრულებულია კომპიუტერული წესით დაბეჭდილ გვერდზე. იგი შედგება შესავლის, ოთხი თავის, 13 პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. დისერტაციის ბოლოს, დამატებების სახით, თანდართულია სხვადასხვა სქემა, სურათი, კვლევის მასალები. სულ შეადგენს გვერდს.

დისერტაციის პირველ თავში - „ნარკომანიის ისტორია“ განხილულია ნარკომანიის ისტორიის გენეზისი, სადაც გადმოცემულია, როგორც ნარკომანიის ისტორია, ისე საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა; დისერტაციის მეორე თავში - „ნარკომანიის ხელშემწყობი ფაქტორები“ ნარკომანიის პრობლება განხილულია სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტებით, გამახვილებულია ყურადღება რელიგიის როლზე ნარკომანიასთან საბრძოლველად და პიროვნების სოციალიზაციის საკითხზე. დახასიათებულია საქართველოში გავრცელებული ნარკოტიკების სახეები და მათი ზემოქმედების შედეგები. დისერტაციის მესამე თავში - ნარკომანიის პრევენცია საქართველოში“, ავტორი გვთავაზობს სოციალური კვლევის მასალებსა და მათ ანალიზს. იხილავს ნარკომანიის მდგომარეობას ახალგაზრდობაში, იძლევა რეკომენდაციებს ნარკოტიკებთან ბრძოლის კომპლექსური პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად.ავტორი აანალიზებს საზოგადოებრივ აზრს ნარკომანიის პრევენციის შესახებ,

გვთავაზობს სამართალდამცავი ორგანოების მიერ პრევენციის შეფასების საკითხებს, გადმოგვცემს ნარკოტიკებთან ბრძოლის მარეგულირებელი აქტების თავისებურებებს, აშუქებს მათში არსებულ ხარვეზებს და იძლევა საკუთარ მოსაზრებებს მათ შესახებ, აგრეთვე ახასიათებს ნარკომანთა რეაბილიტაციის პრობლემას და ახასიათებს მას, როგორც ნარკომანიის ადრინდელი პრევენციის მიმართულებას. დისერტაციის მეოთხე თავში - „ნარკომანციის პრევენცია საზღვარგარეთის ქვეყნებში“, ნარკომანია გაანალიზებულია საერთაშორისო ჭრილში. გადმოცემულია ნარკომანიასთან ბრძოლის ტენდენციები გაეროს მოხსენებების მიხედვით, დახასიათებულია ნარკომანიის საკითხების მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები, მასთან საბრძოლველად შექმნილი საერთაშორისო ინსტიტუციები, გადმოცემულია ნარკომანიის გავრცელების საერთაშორისო მარშრუტები და არალეგალური ლაბორატორიების საქმიანობა, დისერტაციის ბოლოს მოცემულია წინამდებარე ნაშრომის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, ხოლო ნაშრომის ბოლოს თანდართულია დამატებები, სადაც სხვადასხვა სქემები, ცხრილები, და სხვა მასალებია მოცემული.

თავი I. ნარკომანიის ისტორია

§ 1. ნარკომანიის ისტორიის გენეზისი

ყოველ მოვლენას აქვს თავისი ისტორია. გამონაკლისი არც ნარკომანიაა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ზოგადად დადგენილია, რომ ნარკოტიკი, ეს "ნივთიერება ან ნივთიერებათა ნაზავია, რომელიც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს და რომელთა მიღებასაც თან სდევს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების ცვლილებები და შესაძლოა ორგანიზმის სტრუქტურის ცვლილებაც". [178]

ნარკოტიკებს შორეული წარსულის ისტორია აქვს. ნარკოტიკების ისტორიული გზა დრამატიზმითაა სავსე. ყურადღება მივაპყროთ ზოგადად ადამიანისა და ნარკოტიკის ურთიერთდამოკიდებულებას. ადრეულ პერიოდში, რელიგიათა მრავალი ნაირსახეობის არსებობისას, სხვადასხვა ცივილიზაციებში ვაწყდებით ფაქტებს, რომ ნარკოტიკების არსებობას აღიარებენ ისეთივე უძველესი ხანიდან, როგორიც ადამიანის სოციალური ქცევაა. მაგალითად, ნარკოტიკის სახით, უძველესი პერიოდიდანაა ცნობილი ე.წ. ფსიქოაქტიური მცენარე, რომელიც გამოიყენებოდა, როგორც საძილე საშუალება, ბანგი, სიყვარულის წამალი, მისტიკური რიტუალების აქტიურად ჩატარების საშუალება. [82,61] ნარკოლოგიური პრობლემის უკეთესად გასაგებად, საჭიროდ მიგვაჩნია მისი ისტორიის კარგად ცოდნა.

ნარკოტიკების შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უძველესი დროიდანაა ცნობილი. მისი საწყისი ნავარაუდევია, რომ ემთხვევა ადამიანთა გვარის წარმოშობას. ცნობილია, რომ რამდენიმე გვარი ქმნიდა ტომს, ტომები – თემს. ყველა თემში იყო ადათები და ჩვეულებანი, მიეღოთ საშუალებანი, რომლებიც შეცვლიდნენ ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობას. მათ ყლაპავდნენ, ღეჭდნენ, ისუნთქავდნენ, ამჟამად კი ინექციის სახითაც ღებულობენ.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნარკოტიკი აღმოჩენილი იქნა სამხრეთ ევროპაში, ბოდენის ტბასთან, არქეოლოგიური გათხრებისას. ამ გარემოებამ ისტორიკოსებს მისცა საფუძველი, ევარაუდად, რომ ნარკოტიკული მცენარეების პლანტაციები, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო ცნობილი. მათი უძველესი კვალია აღმოჩენილი დღევანდელი შვეიცარიის ტერიტორიაზე. მეცნიერები თვლიან, რომ მას იყენებდნენ ქვედა მესოპოტამიის მიწებზე მცხოვრები

შუმერები, ჯერ კიდევ, ხუთი ათასი წლის წინათ (ამჟამად, ეს თანამედროვე ერაყის ტერიტორიაა).

ისტორიაში ფსიქოტროპული თვისებების მქონე მცენარის შესახებ ნახსენებია ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ და ეს მცენარე იყო ყაყაჩო, რომელსაც იყენებდნენ შუმერები. შუმერების ქალაქ ნიპურეში, გათხრებისას აღმოჩენილ თიხის ფირფიტებზე იკითხებოდა ოპიუმის მომზადებისა და მოხმარების რეკომენდაციები. შუმერები მას „ გილს“ უწოდებდნენ, რაც „სიხარულს“ ნიშნავდა. ყაყაჩოს მცენარის კოლოფების დასერვისაგან გადმოსული შემხმარი წვენი ანუ ოპიუმი, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა ბერძნული კულტურის ადრეულ მიკენურ ეპოქაში (XIV-XII სს ჩვ.წ.აღრ-მდე). იმ პერიოდის მკურნალთა ღმერთის ქანდაკების თავს ამკობდა ყაყაჩოს სამი კოლოფი. ოპიუმის დასახელება გამომდინარეობს ბერძნული სიტყვა „ოპიუმიდან“, რაც წვენს ნიშნავს. ამ სიტყვიდან შემდგომში, როგორც ჩანს, მოგვიანებით წარმოიშვება ძველევროპული "ophion" და არაბული"af-yun"ანუ "afiun", რომელიც სხვა აზიურ ენებშიც გვხვდება. ბრიტანელი ეგვიპტოლოგი რ. ტომფსონი 1924 წელს იტყობინება ძველეგვიპტურ ხელნაწერებში ოპიუმის შეგროვებისა და მისი სამედიცინო დანიშნულებისათვის გამოყენების შესახებ ამიტომ მას სიხარულის მცენარე ეწოდებოდა. [178]

ამდაგვარი საშუალებების გამოყენება ხდებოდა განსაკუთრებული გრძნობების ასამაღლებლად, სოციალური, რელიგიური ანდა ერთგვარი მითიური რიტუალების ჩასატარებლად. ცნობილია, რომ ნარკოტიკულ საშუალებებს სხვადასხვა ცივილიზაცია იყენებდა. მაიასა და აცტეკის ტომების წევრები ენის ქვეშ იდებდნენ კოკის ფოთლებს, შორეული ლაშქრობებისათვის ძალების შესანარჩუნებლად; ჩინელები ათასწლეულების მანძილზე ეწეოდნენ ოპიუმს, სტრესის მოსახსნელად და იყენებდნენ საძილე საშიალებად; უძველესი არაბეთის მცხოვრებნი ამავე მიზნებით იხმარდნენ ჰაშიშს (ეს სახელწოდება არაბული „ბალახიდანაა“). ისრაელიანნი-მებრძოლები ბრძოლის წინ იღებდნენ ჰაშიშს გასააქტიურებლად და სისასტიკისათვის. ძველ ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში ცნობილი იყო ნარკოტიკების სამკურნალო თავისებურებანი (ტკივილგამაყუჩებელი ან სისუსტის საწინააღმდეგო), უკვე ცნობილია ოპიუმი, ინდური კანაფი და სხვა ნარკოტიკული საშუალება. [178]

ყველაზე ძველი ისტორია ოპიუმის მოხმარებასთანაა დაკავშირებული. ევროპის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად ნაპოვნი ქვის ხანის ექსპონატები – ძველეგვიპტური ხელნაწერები, გვაწვდიან რიტუალურ-მისტიკურ ტრადიციებს

„ყაყაჩოს“ მცენარესთან დაკავშირებით. ძველბერძნული ხელნაწერები, ჩვ.წ.აღრ-მდე V საუკუნის ძველებრაული თორა გვაუწყებენ ამ ნარკოტიკის სამკურნალო თვისებებს ტანჯვის შესამსუბუქებლად [178]. ამაზე თავის ეპოქაში წერდნენ ჰომეროსი, ჰეროდოტე, თეოფასტი, ჰიპოკრატე. ამ „წამალს“ იყენებდა ავიცენაც.

შუა საუკუნეების პერიოდის ექიმები ფართოდ იყენებდნენ ოპიუმს (ლაუდანუმი) ფსიქიკური აშლილობის, დეპრესიისა თუ სხვადასხვა ეტიოლოგიის სპაზმების დროს. მედიცინის მეცნიერულად განვითარებასთან ერთად, თანდათანობით ირკვევა საწინააღმდეგო, ოპიუმის მავნე ქმედების მაჩვენებლები. ოპიუმის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება აღწერილი აქვს პლინიუს უფროსს (ჩვ.წ.აღრიცხვის I საუკუნე) 37 ტომეულ „ბუნებით ისტორიაში“. ცელსიუსსა და სხვა ლათინელ ავტორებს I საუკუნეში აღწერილი აქვთ „ყაყაჩოს ცრემლები“. რომაელი ავტორიტეტული ექიმის კლავდიუს გალენის (129-201 წწ), რომელიც აღფრთოვანებით აღწერს ოპიუმს, დამსახურებას მიაწერენ ოპიუმის განსაკუთრებულ პოპულარობას რომში. არაბი ექიმები, შედარებით მოგვიანებით, მაგრამ ასევე ინტენსიურად განაგრძობენ ოპიუმისა და მისი პრეპარატების დანერგვას სამედიცინო პრაქტიკაში. აბუ ალი იბნ სინა(980-1037), რომელიც უფრო ცნობილია ავიცენას სახელით ოპიუმს რეკომენდაციას უწევს დიარეისა და თვალის დაავადებებისა დროს. ჯვაროსნული ლაშქრობებისა და მარკო პოლოს მოგზაურობებისა ევროპელები გაეცვნენ ოპიუმსა და ჰაშიშს, რომლების ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში.

ინგლისში 1859 წელს ოპიუმის ყოველწლიური მოხმარება შეადგენდა 61 ათას ფუნტს, ანუ დაახლოებით 27 ნახევარ ტონას. მოზრდილი ადამიანის საშუალო დოზად ითვლებოდა დღეში 30 გრამი. მას იყენებდა ბრიტანელების 5%. იმ წერტილების რაოდენობა, სადაც ოპიუმი იყიდებოდა, დაახლოებით 16-დან 25 ათასს შეადგენდა. იმავე პერიოდში, ირლანდიაში დაიწყო ეთერომანიის ეპიდემია, რომლის შედეგადაც წარმოიშვა საერთო ნარკოზის მოვლენა.

მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში გავრცელდა სპირტიანი სასმელი ე.წ. „აბსენტი“. [178]. აბსენტის ერთი ჭიქა მომაკვდინებელ დოზას წარმოადგენდა. მისი პოპულარობა საფრანგეთში მკვეთრად გაიზარდა ჩრდილოეთ ამერიკაში ფრანგი კოლონიზატორების მიერ წარმოებულ, 1930 წელს დაწყებულ, კოლონიურ ომებში და თავის [პიკს მიაღწიეს 1844-1847 წლებში. ფრანგ სამხედროებს მალარიის, დიზენტერიისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ პროფილაქტიკის

მიზნით, აგრეთვე სასმელი წყლის დეზინფექციისათვის აძლევდნენ აბსენტის გარკვეულ დოზას. ნაყენის მოქმედება იმდენად ეფექტური იყო, რომ მან ადვილად დაიმკვიდრა ადგილი ფრანგულ არმიაში მადაგასკარიდან ინდოჩინეთამდე. იმავდროულად, ჩრდილოეთის აფრიკის ჯარებში უფრო ხშირად ვხვდებით პარანოიდელ შიზოფრენიას. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა პერიოდში ფლობერი თავის „ხელნაწერი ჭეშმარიტების ლექსიკონში“ მოკლედ აყალიბებს საკუთარ მოსაზრება: „აბსენტი“- საგანგებოდ ძლიერი შხამია, ერთი ჭიქა და შეიძლება მოკვდეთ. [178] ჟურნალისტები მას მიირთმევენ, სტატიის დაწერისას. მან, ბევრად უფრო მეტი ჯარისკაცი გაანადგურა, ვიდრე ბედუინებმა. მისგან დაიღუპება საფრანგეთის არმია. 1905 წელს აბსენტი აიკრძალა ბელგიაში. შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მე-19 საუკუნის ბოლოს, ევროპაში ნარკომანიის სხვადასხვა ფორმები მეტად შესამჩნევ სოციალურ მოვლენად ხდება. მრავალი გამოჩენილი ლიტერატორი თავის ნაწარმოებებში ნათლად აღწერს მაშინდელი ცივილიზებული საზოგადოების ცხოვრების ამ მხარეს. 1950 წელს ჩარლზ კინგსლის რომანის "Alton Locke"-ის გამოქვეყნების შემდეგ ევროპამ საბოლოოდ აღიარა ოპიუმის მორალური ბოროტება. შემდგომში ჩარლზ დიკენსის 1870 წელს რომანში „ედვინ დრუდის საიდუმლო“ აღწერილი ოპიუმის პრიტონების, ოსკალდ უაილდის 1891 წელს გამოქვეყნებული „დორიან გრეის პორტრეტი“, არტურ კონან დოილის 1892 წელს გამოქვეყნებული მოთხრობა „ადამიანი დამახინჯებული ბაგით“ და ბოლოს 1918 წელს მსახიობ ბილი კარლტონის დრამატული სიკვდილი წარმოშობს ბრიტანეთის ოპიუმური ცხოვრების შესახებ მწუხარე ჭორებს [178].

1860 წელს ოპიუმის მომხმარებელ ნარკომანთა შორის, ორჯერ უფრო მეტი სიკვდილიანობის ფაქტები იყო, ვიდრე სხვა დაავადებების შედეგად, ჯ.ჯანაშიას მოძიებულ ისტორიულ წყაროებში „სიხარულის მცენარეს“ – კანაფს უწოდებდნენ, რომელიც პლანეტაზე ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი ნარკოტიკია. [82,64] მისი ისტორია, როგორც ამას ბ-ნი ჯ.ჯანაშია აღნიშნავს, უძველესი დროიდანაა ცნობილი. ავტორი გადმოგვცემს, რომ დაახლოებით, 2700 წელს ჩ.წ. აღ-მდე, ჩინეთში, იმპერატორი ნენ-ნონგი მას იყენებდა, როგორც ტკივილგამაყუჩებელ და ფსიქიკური აშლილობის საწინააღმდეგო პრეპარატს. ჩინელი იმპერატორი მითითებას აძლევდა თავის ქვეშევრდომებს, კანაფი გამოეყენებინათ წამლის სახით. იგი გამოიყენებოდა დაბნეულობისას, ძლიერი

ხველებისას და ა.შ.. ამავე პერიოდში კანაფი აქტიურად გამოიყენებოდა ჩაის მოსამზადებლად.

ცენტრალური და ჩრდილო ამერიკის ტერიტორიაზე ინდიელების სამარხების კომპლექსების კედლებზე აღმოჩენილია ადამიანთა გამოსახულებანი, რომლებიც კოკას ფოთლებს ღეჭავენ. დათარიღებულია მესამე ათასწლეულით ჩ.წ. ა-მდე.

პირველად, შესაძლოა, ადამიანს შემთხვევით აღმოეჩინა ამ მცენარეთა გამაბრუებელი და ძილისმომგვრელი ეფექტი, მაგალითად მცენარეთა ცეცხლში წვისას გამოყოფილი ბოლის შესუნთქვის საშუალებით. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელსაც ციცერონი „ისტორიის მამას“ უწოდებს, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრები, მასაგეტების ტომის შესახებ იუწყებოდა, რომ ისინი სხდებოდნენ ხის გარშემო, ანთებულ ცეცხლში ყრიდნენ მცენარეებს და ნაყოფის დაწვის შედეგად გამოყოფილი ბოლით ისევე განიცდიდნენ თრობას, როგორც, მაგალითად, ელინები თვრებოდნენ ღვინისაგან. [178]

ამგვარი მცენარეები ფიგურირებს აგრეთვე, ბევრ ძველბერძნულ მითში, როგორც ტკივილისა და ტანჯვისაგან გათავისუფლების სიმბოლო. ძველ ბერძნებს სჯეროდათ, რომ განსაკუთრებული მცენარე იზრდებოდა ვენერის ცრემლებისაგან, რომელიც მას მოსდიოდა ადონისკის სიკვდილის გაგებისას. ბერძნებს აგრეთვე სჯეროდათ, რომ ეს მცენარე იყო ძილის ღმერთის ჰიპნოსის და მისი ძმის - სიკვდილის ღმერთის - ტანატოსის აუცილებელი ატრიბუტი. ამიტომ, ძილის ღმერთი ბერძნების მიერ გამოისახებოდა როგორც ახალგაზრდა ყმაწვილი ან ანგელოზი, რომელიც ან იწვა ან იჯდა და მას ხელთ ეპყრო ეს ყვავილი, ხშირ შემთხვევაში, კი მისი თავი იყო შემკული ამ ყვავილებისაგან დამზადებული გვირგვინით. სიკვდილის ღმერთის გამოსახვა ხდებოდა ამდაგვარი გვირგვინით ხელში და შავი სამოსით [178].

ბრიტანელი ეგვიპტოლოგი პ. ტომსონი 1924 წელს წერდა, რომ ძველბერძნულ ხელნაწერებში იყო აღწერილი პროცედურა, თუ როგორ ხდებოდა ოპიუმის მიღება სამედიცინო დანიშნულებით, მაგალითისთვის კი მას მოჰყავს შემდეგი შინაარსის ტექსტი: “დილით ადრე ხანშიშესული ქალბატონი და პატარა ბავშვი მცენარეს აგროვებდნენ და რკინის კოვზით იგი გადაჰქონდათ საკვების ჯამში”. [178] იუდეის ისტორიკოსების ცნობებით, თვით ბიბლიაშიც კი არის ნახსენები მცენარის - ყაყაჩოს წვენი. აგრეთვე, ძველი აღთქმის რამდენიმე ნაწყვეტში

მოიხსენიება სიტყვა, რომელიც ძველბერძნულად ნიშნავდა “თავს” ეს კი, შესაძლოა ნიშნავდეს ყაყაჩოს ყვავილის თავს.

ძველი მსოფლიოს მრავალ ისტორიულ მონაცემშია აღნიშნული ადამიანთა სწრაფვა გამაბრუებელი მდგომარეობისაკენ. მაგალითად, არსებობს საინტერესო ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც რომაელი სარდალი პლინინი, ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის კომენდანტი (თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე), საჩივრით მიმართავდა რომს, ამ საჩივარში აღნიშნული იყო რომ რომაელი მეომრები აგროვებდნენ “აბსინტუმს”, ხარშავდნენ მას დიდ ქვაბებში და მიღებული მყრალი სუნის მქონე სითხეს სვავდნენ, რის შედეგადაც გაბრუებულნი დადიოდნენ. [178] ამ “ნარკოტიკის” სახეობასთან საბრძოლველად სარდალი პლინინი ითხოვდა იტალიიდან მისთვის დრო და დრო მიეწოდებინათ ღვინო, რითაც იგი აპირებდა ამ სენთან ბრძოლას.

შუა საუკუნეების ადრეულ პერიოდში, ოპიუმი უკვე ფართოდაა გავრცელებული შორეულ აღმოსავლეთში. ოპიუმისთვის დამახასიათებელია ერთ-ერთი საინტერესო ნიშანი. კერძოდ, მას შეეძლო შიმშილის გრძნობის გაქრობა. ეს გარემოება ძალიან პრაქტიკული აღმოჩნდა მუსულმანთათვის, რომელთა შორის ყოველთვის იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებთაც უჭირდათ ერთთვიანი მარხვის - “რამადანის” დაცვა [178].

შუა საუკუნეების ევროპაშიც არ იყო უცხო ამდაგვარი მცენარე. მაგალითად, კარლოს დიდი თავის კაპიტულარიებში გასცემდა ბრძანებებს, რომ ყაყაჩო ყოფილიყო ყველა გლეხის ბაღში და ყველას ავალდებულებდა, გადასახადის სახით, მისთვის გადაეცათ გარკვეული რაოდენობა. სუფთა სამედიცინო მიზნებისათვის „მაკი“ ნახსენებია “მედიცინის მამის” - ჰიპოკრატეს (440-377წწ ჩვ. წ. აღ, მდე) ნაშრომებში. ამ ნაშრომებში აღნუსხული იყო სამედიცინო მიზნებისათვის დაახლოებით 300 სახის მცენარის გამოყენების წესი. მათ შორის, მცენარეც, სახელწოდებით ”მეკონინომი” რომელსაც ახასიათებდა ნარკოტიკული ზემოქმედება. უფრო საფუძვლიანი განმარტება „მაკის“ წვენის შესახებ, მოცემულია ტეოფრასტის (დაახლოებით 350 წელი ჩვ. წ. აღ. მდე) ნაწერებში, სადაც “მეკონინი” განმარტებულია, როგორც ოპიუმი და იგი რეკომენდებულია თვალისა და ფსიქიკური დაავადებების დროს. [178]

პირველ ათასწლეულში, რომში ოპიუმის პოპულარიზაცია ხორციელდებოდა. ამას ხელს უწყობდა რომაელი ავტორიტეტული ექიმი კლავდია გალენი (129-201

წწ. ჩვ წ. აღ-ით.), რომელიც დადებითად აფასებდა ოპიუმის მოხმარებას. შედარებით მოგვიანებით, არაბი ექიმები, ასევე დიდი ინტენსიურობით ნერგავდნენ ოპიუმის გამოყენებას სამედიცინო პრაქტიკაში.

შუა საუკუნეების ერთ-ერთი ცნობილი ექიმის ტაბერნემონტაუსის მიერ დაწერილი იყო წიგნი "მაკის წვენი". აქ აღწერილია რამდენიმე გარემოება, როდესაც სავალდებულოდ უნდა გამოეყენებინათ ეს ნივთიერება. ამავე დროს, ექიმი რჩევას იძლეოდა, არ გამოეყენებინათ იგი ბოროტად. მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკული საშუალებები გამოიყენებოდა ათასწლეულების განმავლობაში, სამწუხაროდ, არცერთ სამეცნიერო ნაშრომში არაა აღნიშნული ინფორმაცია ოპიუმის რაიმე სახის ტოქსიკური ზემოქმედების შესახებ და არაა აღწერილი ნარკომანიის დამახასიათებელი ნიშნები. როგორც ჩანს, იმ დროისთვის მედიცინის განვითარების დონე არ იყო ისე განვითარებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ნარკომანიის პრობლემის გააზრება ყველა თავისი უარყოფითი ნიშნით.

დაპყრობითი ლაშქრობების, ხალხებს შორის სავაჭრო ურთიერთობების აქტივაციამ და კულტურულმა ურთიერთობამ, ყველაფერთან ერთად, ისიც განაპირობა, რომ ნარკოტიკების გამოყენების ტრადიციებმა შეაღწიეს ახალ ტერიტორიებზე. მაგალითად მარკო პოლოს ჯვაროსნული ლაშქრობებისა და მოგზაურობების დროს ევროპელებმა გაიგეს, თუ რა იყო შორეულ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ოპიუმი და ჰაშიში. მოგვიანებით დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში და ევროპელების მიერ ახალი კონტინენტების მიწების ათვისებამ, ცივილიზებული სამყარო გააცნო ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს.

მარტო ამერიკის აღმოჩენამ განაპირობა რომ მსოფლიომ გაიგო, რა არის კოკაინი, სხვადასხვა ჰალუცინოგენები და თამბაქო, მაგრამ ეს პროცესი შენელებულად მიმდინარეობდა. მაგალითად, პირველი ევროპელი, რომელმაც თამბაქო გასინჯა, იყო კოლუმბის თანამგზავრი, სახელად როდრიგო დერ ჰერსი, იგი, ესპანეთში დაბრუნებისას, დაიჭირეს და ციხეში ჩააგდეს . ამის მიზეზად ასახელებდნენ, ვითომდა, მის ეშმაკისეულობას. ამავე პერიოდში, ცნობილია, რომ იყო მრავალი ცდა ყავისა და ჩაის უკანონოდ გამოსაცხადებლად.

1560 წელს ფრანგი მღვდელი-მისიონერი ბერნარდინო და საგატუნი, რომელიც ევროპაში აქვეყნებს თავის ნაშრომს "ახალი ესპანეთის ზოგადი ისტორია",

ნაშრომში, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, იხსენიებს ერთი ფაქტს მექსიკელი ინდიელების შესახებ, რომ ისინი იყენებდნენ ე.წ. „კაკტუს-პეიოდლის ნაყენს“, ამით ინდიელები განიცდიდენ ფიზიოლოგიურ თრობას, რომელიც ორი ან სამი დღე გრძელდებოდა, შემდეგ კი, ქრებოდა. ეს გარემოება ინდიელებს დიდი ხნის განმავლობაში ეხმარებოდა შიშის გრძნობის, შიმშილისა და წყურვილის, დაძლევაში, რაც მეტად ეფექტური იყო ომების წარმოებისას.

კაქტუსის პეიოდლის კულტი, ამერიკის ტერიტორიაზე, , ჯერ კიდევ, დიდი ხნით ადრე, კოლუმბამდე არსებობდა. ამ დროს აქ ცხოვრობდა ინდიელთა მრავალი ტომი. გარკვეულ პერიოდში, რამდენიმე ტომი გაერთიანდა და დაუპირისპირდა სხვა სასტიკ და დაუნდობელ ტომებს. ამ დაპირისპირებისას, საბოლოო ბრძოლაში, ისინი დამარცხდნენ. მტერმა დარჩენილი მეამბოხენი განდევნა უდაბნოში, სადაც ადამიანთათვის აუტანელი პირობები იყო. უდაბნოში, ეს ხალხი, გადაეყარა კაქტუსის ზოგიერთ ჯიშს, რომლისგანაც წყალს მოიპოვებდნენ, მაგრამ ამ კაქტუსებში, მათ სხვა „რაღაცაც“ აღმოაჩინეს. ამ ამოუცნობმა ნივთიერებამ გადალაახინა მეამბოხეებს უდაბნო. ამ ადამიანებს, ამ ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, ღვთიურ არსებებთან ურთიერთობდნენ.

ევროპაში ნარკოტიკების მოხმარების ტრადიცია ადრეული დროიდან მომდინარეობს. ბრიტანულ ისტორიულ არქივებში საინტერესო მასალებია ადმირალ ნელსონის საჩივრის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მისი ხელქვეითი მეზღვაურები ეწეოდნენ კანაფისაგან დამზადებულ ხომალდის თოკებს. აქვეა, დაახლოებით, იმავე პერიოდის - მეცხრამეთე საუკუნის დასაწყისის, ნაპოლეონის საექსპედიციო კორპუსის ჯარისკაცების შესახებ არსებული ცნობა, როცა ისინი ეგვიპტეში შეიჭრნენ, პირველად გასინჯეს ჰაშიში. ხალხი, ვინც ნაპოლეონს ახლდა ამ ლაშქრობაში, აღნიშნავდა, რომ აბორიგენი მამაკაცები დაავადებულები იყვნენ სულიერი დამბლით და მათი აზრით, ეს გამოწვეული იყო ჰაშიშის მოწევისგან. ნაპოლეონი, უკვე მაშინვე, იყო აღშფოთებული, რომ მისი ჯარისკაცები ჰაშიშს დიდი ოდენობით მოიხმარდნენ და ცდილობდა გამოეყენებინა სხვადასხვა ხერხი ამ გარემოებასთან საბრძოლველად.

ამავე პერიოდში, ევროპაში, უკვე მასიურად შედის, იმ დროისთვის, საკმაოდ ეგზოტიკური საქონელი. მაგალითად, როგორიც იყო ყავა, თუთუნი, ჩაი, კაკაო, კაუჩუკი და სხვა, ამასთანავე, ევროპაში, ასევე აქტიურად, შეედინება ჰაშიში და ოპიუმი. ეს გარემოება ძალიან ეფექტურად გამოიყენეს ინგლისელებმა, მათ

შენიშნეს, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა საკმაოდ მომგებიანი საქმე იყო. ოპიუმი ძირითადად შემოდიოდა და ვრცელდებოდა თურქეთიდან და არაბეთიდან, ხოლო საქმიანმა ინგლისელებმა ინიციატივა განავითარეს და შემდგომში, თვითონ გახდნენ მსოფლიოში ნარკოტიკების მასიურად მწარმოებელი ქვეყანის წარმომადგენლები. ბრიტანელებმა თავისი კოლონიების ტერიტორიებზე, მაგალითად, ინდოეთში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყეს ნარკოტიკის მასიურად მოყვანა პლანტაციებზე და ხელი მიჰყვეს ოპიუმის დიდი ოდენობით წარმოებას. ყოველივე მზადდებოდა მეზობელ, მუსლიმურ ქვეყნებში გასატანად, განსაკუთრებით კი გაჰქონდათ ჩინეთში. [178]

საფრანგეთში ყველაფერი დაიწყო მე-19 საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს, ორმოციანი წლების დასაწყისში, როდესაც ფრანგი ექიმი მორო დე ტური დაბრუნდა ალჟირიდან და თავის მეგობრებს შესთავაზა გაესინჯათ ჰაშიშისგან დამზადებული ნამცხვარი. ამ გარემოებას მოჰყვა გასაოცარი ეფექტი, განსაკუთრებით, ლიტერატორთა წრეებში. მათ შორის იყვნენ შარლ ბოდლერი და თეოფილ გოტიე. შემდგომში შეიქმნა რამდენიმე, შინაარსით განსხვავებული ცნობილი, "ჰაშიშის მოყვარულთა კლუბი". ჰაშიში ფართოდ გავრცელდა პარიზის საზოგადოებაში და შემდგომში, მაგალითად, 1848 წელს, პარიზის აჯანყებისას, ქუჩებში კანაფის თავისუფალი გაყიდვის მოთხოვნით გამოვიდა სტუდენტთა დიდი ნაწილი.

შემდეგი გარემოება, რამაც, ისტორიკების აზრით, განაპირობა მორფინიზმის აქტიური განვითარება, იყო ყირიმისა (1856-1857) და რუსულ-ფრანგული (1870-1871) ომები. სადაც დაჭრილთა დიდმა რიცხვმა და მორფინის ნარკოზის ქვეშ განხორციელებულმა ოპერაციებმა, განაპირობა მორფინის პოპულარიზაცია. ექიმებმა დიდი იმედები დაამყარეს მორფინის გამოყენებაზე. მათი აზრით, მორფინი არ გამოიწვევდა ნარკომანიის გავრცელებას, რადგან მუსირებდა აზრი, რომ, თუ მორფინს ექიმი კანქვეშ ინექციით გამოიყენებდა, იგი, შემდგომში, ნარკომანიას არ გამოიწვევდა. მორფინიზმის პრობლემა არსებობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დროს. მორფინი, სერიოზული ჭრილობებისას აქტიურად გამოიყენებოდა, როგორც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. სამოქალაქო ომის დროს, მორფინიზმის ასეთმა განვითარებამ, მიიღო სახელწოდება "ჯარისკაცის დაავადება".

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მეცნიერება უფრო იხვეწება. შესაძლებელი გახდა ნარკოტიკების ახალი სახეების შექმნა, გამარტივდა მცენარეებისაგან

ძლიერმოქმედი ნარკოტიკების მიღება. პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1803 წელს. კერძოდ, ერთ-ერთმა ჰანოვერელმა აფთიაქარმა ფრიდრიხ სერტუნერმა შეძლო ოპიუმის დაშლა და კრისტალური ფხვნილის მიღება, რომელიც ოპიუმზე ათჯერ უფრო ძლიერი აღმოჩნდა. პრეპარატს, მან ძველბერძნული ღმერთის საპატივცემულოდ დაარქვა, სახელი, "ორფინი". 1853 წელს ინექციისთვის უკვე იყენებენ შპრიცს. რამაც, ხელი შეუწყო ნარკოტიკების უახლეს ისტორიაში ახალი ეტაპის, დაწყებას.

1859-1860 წლებში, ალბერტ ჰიმანმა, კოკის ფოთლებიდან, გამოყო ალკოლოიდი კოკაინი და მანვე დაადგინა მისი სტრუქტურა. 1878 წელს ერთ-ერთი ამერიკელი ექიმი ბენტლი გამოვიდა იდეით, რომ მომხდარიყო მორფინიზმთან ბრძოლაში, კოკაინის, როგორც "შემცვლელის" გამოყენება. ამ გარემოებამ უკუ შედეგი აჩვენა და მოხდა ახალი ნარკომანიის, კერძოდ, კოკაინიზმის განვითარება, ეს გარემოება მრავალი ადამიანისთვის, უფრო დამღუპველი აღმოჩნდა, რადგან ისინი ხდებოდნენ, ასე ვთქვათ, ორმაგი ნარკომანიის - მორფინიზმისა და კოკაინიზმის მსხვერპლნი.

მე-19 საუკუნის ბოლოს, 1898 წელს, გერმანელმა ფარმაცევტმა ჰენრიხ დრეზერმა, რომელიც ასპირინის გამომგონებელია, მორფინის დამუშავებისას, მიიღო ახალი ქიმიური ნაერთი, დაახლოებით ათჯერ უფრო ძლიერი, ვიდრე მორფინი. ეს იყო ჰეროინი. თავდაპირველად, ამ გარემოებას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, მედიცინის მუშაკები მას თერაპევტულ პრაქტიკაში იყენებდნენ, როგორც ხველების წამალს, ტკივილგამაყუჩებელს და სხვა.

ნარკოტიკების ისტორიაზე საუბრისას, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, ეს ეხება გამაგრილებელ სასმელს კოკა-კოლას. მისი დასახელება ასე ჟღერს, რადგან, თავდაპირველად, ამ ყავისფერი გამაგრილებელი სასმელის შემადგენლობაში შედიოდა აფრიკული თხილის, კერძოდ, კოლას ექსტრაქტი და კოკის ბუჩქის ფოთლების ექსტრაქტი, ეს სწორედ იმ კოკის ფოთლებია, საიდანაც კოკაინს იღებენ.

კოკა-კოლა გამოგონებული იქნა 1886 წელს, ამერიკის ქალაქ ატლანტაში აფთიაქარ პემბერტონის მიერ. ამ პერიოდისათვის, პემბერტონის მიზანი იყო მოენახა, იმ დროისთვის პოპულარული სასმელის შემცვლელი რაიმე სასმელი და ეს იყო ღვინისა და კოკის ფოთლებისგან მიღებული ნაყენი. ეს ღვინო აკრძალეს, არა იმ მიზეზით, რომ მასში იყო კოკაინის შემცველობა, არამედ

მიზეზი, მშრალი კანონის შემოღება და ყველა ალკოჰოლური სასმელის აკრძალვაა. აღსანიშნავია, რომ კოკა-კოლის ბოთლის ეტიკეტებზე იყო გამოსახული კოკის მცენარის ფოთლები. მხოლოდ მეოცე საუკუნეში, ნარკოტიკის ნეგატიური ზეგავლენის დამტკიცებისას, მოხდა კოკის ექსტრაქტის ამოღება კოკა-კოლის ფორმულიდან.

ძალიან საინტერესო და მრავლისმსწავლელია ნარკომანიის განვითარების ისტორიის განხილვა ჩინეთში. ოპიოდური ყაყაჩოს გამოჩენის და განვითარების გარემოებები ნათლად ჩანს მრავალ უძველეს სამედიცინო ჩინურ ტექსტში. ოპიუმი ჩინეთში თავდაპირველად, ძირითადად, ინდოეთიდან შემოედინებოდა. ახალი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის დროს კი, ეს დამატებით ხორციელდებოდა პორტუგალიიდან. საინტერესოა, რომ ჩინეთში, მეჩვიდმეტე საუკუნემდე ოპიუმი შეედინებოდა სამედიცინო გამოყენების მიზნით, კერძოდ კი დიზინტერიასთან საბრძოლველად.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ესპანელები იწყებენ თამბაქოთი ვაჭრობას ფილიპინებსა და ჩინეთში. ამას დაემთხვა ახალი გარემოებაც, კერძოდ ის, რომ ვრცელდება ერთ-ერთი ჰოლანდიური ადათი, თამბაქოში ოპიუმის დამატება. ჰოლანდიელების აზრით, ეს მალარიასთან ბრძოლის ეფექტური გზა იყო. ჩინელებმა ბოროტად გამოიყენეს აღნიშნული გარემოება, მის დანიშნულებად გახადეს ნარკოტიკული თრობის განცდა. თავდაპირველად, ჩინეთშიც ხდებოდა თამბაქოს ოპიუმთან ერთად მოწევა, მაგრამ შემდეგ ხდებოდა მხოლოდ ოპიუმს ეწეოდნენ. ამ გარემოებამ მოიცვა ჩინეთი, რასაც, შემდგომში, კატასტროფული შედეგები მოჰყვა.

1729 წელს იმპერატორმა იუნგ ჩანგმა და 1800 წელს იმპერატორმა კია კონგმა აკრძალეს ოპიუმის გაყიდვა მოწევის მიზნით. მიუხედავად ამისა, ინგლისი და ჰოლანდია მოგების მიზნით, კვლავ აგრძელებდნენ ჩინეთში კონტრაბანდული გზით ოპიუმის შეტანას. მეთვრამეტე საუკუნისათვის ოპიუმით ვაჭრობა მონოპოლიზირებული იქნა ინდური კომპანიის მიერ, რომელიც ფლობდა ინდოეთში ოპიუმის პლანტაციებს. ინგლისელები არეგულირებდნენ ოპიუმის ბაზარზე გავრცელებას. ოპიუმის გავრცელების სქემა ასეთი იყო, თავდაპირველად, დიდი რაოდენობით ოპიუმის გავრცელებას იაფად და შემდეგ ძალიან ბევრის, ოღონდ შედარებით ძვირად. ეს იყო კლასიკური "ნემსზე დასმის" სქემა, რომელმაც მოიცვა მთელი ჩინური ცივილიზაცია.

გამოჩენილი ეკონომისტი მარტინ მონდგომერი წერდა, რომ მონებით ვაჭრობა არაფერია ოპიუმით ვაჭრობასთან შედარებით. შედარებისთვის იგი განმარტავს, რომ მონებით მოვაჭრე ხალხი ცდილობდა მონების სიცოცხლის და შეძლებისდაგვარად, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებას, რათა ისინი შრომისუნარიანნი და ეფექტურები ყოფილიყვნენ. ოპიუმით მოვაჭრე კი, გააზრებულად ახდენს ადამიანის სხეულის მოკვდინებას, მანამდე კი, ანგრევს და ფეხქვეშ თელავს პიროვნების ზნეობას.

1830 წლიდან, მხოლოდ შვიდი წლის განმავლობაში, ინგლისის ოპიუმის ექსპორტი ჩინეთში 120 ტონიდან გაიზარდა დაახლოებით 2500 ტონამდე. ასეთი მასშტაბი კი, არცერთ თანამედროვე ნარკოკორტელს არც კი დაესიზმრებოდა. ჩინეთში, ფაქტობრივად, შეჩერდა სხვა საქონლით ვაჭრობა, ქვეყნიდან ვერცხლის გადინებამ გამოიწვია ფინანსების დეზორგანიზება. ამ სენით დაავადდა მილიონობით ჩინელი.

ჩინეთის სახელმწიფოში მმართველმა პირებმა გაათვითცნობიერეს, რომ მათ შორის, უკვე ნახევარზე მეტი ადამიანი იყო დაავადებული ამ სენით. სახელმწიფო ინსტიტუტები და მათ შორის სახელმწიფო გვარდიაც კი, დეზორგანიზებული გახდა.

ჩინეთში, ოპიუმის მომხარებისათვის სასჯელები ეფექტური არ იყო. იმპერატორმა გადაწყვიტა ნარკოვაჭრობისათვის მიეყენებინა სერიოზული დარტყმა. კონტონში 1839 წელს დაიწყო ოპიუმის მასობრივი კონფისკაცია, ხოლო ოპიუმის გადამზიდავ გემებს ზღვაშივე ძირავდნენ. ბრიტანეთმა დაიწყო ომი, ვითომდა იმ მიზეზით, რომ დაცული უნდა ყოფილიყო "ვაჭრობის წმინდა უფლებები". ჩინეთმა ვერ გაუძლო სამხედრო და ეკონომიკურ წნეხს და იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო.

1842 წელს ნანკინის ხელშეკრულებით ინგლისელებისთვის კვლავ გაიხსნა ჩინეთის უდიდესი პორტები, მათ მიიღეს კუნძული სიანგანი, სადაც შემდგომში გაიზარდა მათი კოლონია ჰონკონგი. გამარჯვებულებმა პირობა დადეს, რომ აღარ გააგრძელებდნენ ამ შხამით ვაჭრობას, მაგრამ ეს პირობაც არ შესრულდა და მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ოპიუმით ვაჭრობა კვლავ გაიზარდა და ამ გარემოებამ 1856 წელს გამოიწვია მეორე ომი, რომელიც 1858 წელს დამთავრდა. ამ ომს მოჰყვა ტიენისნის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ჩინეთი იძულებული იყო დათანხმებულიყო ოპიუმის იმპორტზე. ამ ხელშეკრულებით,

ჩინეთს უკვე შეეძლო, დიდი ოდენობით ბაჟი აედო ოპიუმის იმპორტისათვის, რამაც მას დიდი შემოსავალი მოუტანა. ამ გარემოებამ ჩინეთის მთავრობა იძულებული გახადა, თვალი დაეხუჭა ოპიუმის უარყოფით ზეგავლენაზე. ღარიბი მოსახლეობისათვის, უკვე ყველგან, გახსნილი იყო სპეციალური მოსაწევი ადგილები, რომლებსაც ინგლისელები მოსაწევ ჯიხურებს უწოდებდნენ. ჯიხურებს, გარედან, როგორც განმასხვავებელი ნიშანი, მიკრული ჰქონდა ყვითელი ქაღალდი, რომელსაც ოპიუმის ფილტრაციისათვის იყენებდნენ. თუ რა ხდებოდა ამ მოსაწევ ადგილებში, გადმოცემული აქვს ერთ-ერთ ინგლისელს, რომელიც იმ დროისთვის ჩინეთში ცხოვრობდა. მისი გადმოცემით, მოსაწევი ადგილები განლაგებული იყო თითქმის მიწის ქვეშ. ეს იყო ჩუმი და ნესტიანი ადგილები, სპეციალური საწოლებით მათთვის, ვისაც ოპიუმის მოსახმარებლად ესაჭიროებოდა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნა. ასეთ, დაწესებულებაში შესვლისთანავე, იგრძნობოდა მხუთავი ბოლი, რომელიც ყელს განსაკუთრებით წვავდა. აქ ყოველთვის იყო შესაძლებელი რამდენიმე ათეული, ოპიუმის მომხმარებელი ადამიანის ნახვა. ისინი, თითქოს, სულ სხვა რეალობაში არსებობდნენ. თუმცა ისეთებიც იყვნენ, რომლებიც პირიქით, გამოირჩეოდნენ საუბრის ძლიერი სურვილით და შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ისინი ძალზედ გაღიზიანებულნი იყვნენ.

ჩინეთის ხელისუფლება მუდმივად ახორციელებდა ბრძოლას ოპიუმის მასობრივ გავრცელებასთან. ამასთან ერთად, ოპიუმს, ხელისუფლებისთვის, დიდი მოგება მოჰქონდა, რადგან გადასახადი გროვდებოდა ყველასგან, ვინც ოპიუმს მოიხმარდა. ჩინეთის იმპერატორი მკაცრ ზომებს მიმართავდა, რომ ამ სენის დასამარცხებლად, განსაკუთრებით, გავლენიან პირთა და ჯარის შემადგენლობას შორის. ჩინელი პროგრესორები საყოველთაოდ მართავდნენ პიესებს, ლიტერატურულ ნაშრომთა კითხვას ოპიუმის მოხმარების უარყოფითი. ზეგავლენისა და მისი სევდიანი დასასრულის აგიტაციის მიზნითთ.

ჩინეთთან, ინგლისის მაგალითის მსგავსად, ხელშეკრულებები გააფორმეს საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამ გარემოებას მოჰყვა ის, რომ ჩინეთი, უფრო ღრმად, ჩაეფლო ნარკოტიკებში. ინგლისის გაზეთები წერდნენ, რომ ჩინეთში არ იყო ნარკოტიკების გასაღების პრობლემა. პრობლემა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩინეთს უკვე აღარ ჰქონდა რესურსი შეესყიდა ეს ნარკოტიკები. ოპიუმის შესაძენად ჩინეთმა გაიღო ლამის მთელი ვერცხლის რაოდენობა, რაც გააჩნდათ. იმპერატორის დაქვემდებარებული ხალხი,

უკვე ვეღარ ძლებდა მორიგი ნარკოტიკის დოზის გარეშე, ამიტომ, ისინი იძულებულები გახდნენ, თვითონ მოეყვანათ ყაყაჩო ტრადიციული ბრინჯისა და ჩაის ნაცვლად. ისინი, უკვე უცხოეთიდან შემოედინებოდა.

როგორც ცნობილია, 1894-1895 წლებში, ჩინეთი იაპონიასთან ომში დამარცხდა. მიზეზი - ჩინეთის ჯარის სრული ოპიომანიზაცია. ეს გახდა სტიმული ჩინეთის ხელისუფლებისათვის, რომ კიდევ ერთხელ დაწყებულიყო ბრძოლა ოპიუმის მოხმარებასთან. 1906 წელს სპეციალურმა კომიტეტმა, რომელიც შეიქმნა ამ სენთან საბრძოლველად, მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი, რეფორმის ჩატარების მოთხოვნით. ამ დროისათვის, მთელს ჩინეთში, აკრძალეს ოპიუმის შემოტანა. ამ გარემოებამ დადებითთან ერთად, უარყოფითი ზეგავლენაც მოახდინა. ჩინელებმა მთელს ტერიტორიაზე თვითონ დაიწყეს არალეგალურად ნარკოტიკის მოყვანა. ყაყაჩოს სწრაფად ზრდამ და კულტივირებამ ძლიერად დაწია მისი ფასი შიდა ბაზარზე, იგი ყველასათვის გახდა ხელმისაწვდომი, ყველაზე ღატაკ მოსახლეობასაც კი ჰქონდა უნარი იგი მოეპოვებინა.

კიდევ დიდი დროის განმავლობაში ჩინეთის სხვადასხვა ხელისუფლება ცდილობდა ბრძოლას, ღრმა ფესვებგადგმულ ნარკომანიის ამ ფორმასთან. 1950 წელს, კომუნისტური ხელისუფლების მიერ, მიღებული იყო დრაკონული ანტიოპიოდური კანონი. ოფიციალური ინფორმაციით, დაახლოებით 80 000 ადამიანი იყო დაპატიმრებული, ბევრი მათგანი კი დახვრეტილი. თანამედროვე ჩინეთის ანტინარკოტიკული კანონდებლობა, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონმდებლობაა მსოფლიოში.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, მსოფლიოს თითქმის ყველა მეცნიერის მიერ მოცემული ნარკოტიკის „სამკურნალო“ თვისება ძირფესვიანად გადახედილი იქნა. გავიხსენოთ ძველი ბერძნების მიერ გამოთქმული აზრი: „ის, ვინც მიეჩვია ოპიუმს, ყოველდღე უნდა მოიხმაროს იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სიკვდისათვის ან თვითგანადგურებისთვისაა განწირული, ხოლო ის, ვისაც არასოდეს მოუხმარია იგი, თუ მიიღებს იმდენ ნარკოტიკს, რაც მომხმარებლისათვის ჩვეული დოზაა, უსათუოდ მოკვდება“.

კოკაინის მოხმარებასაც უძველესი ისტორია აქვს. ასეთი ბუჩქი იზრდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ძველად ისინი გამოიყენებოდა რიტუალებში, ტრადიციებში ან უბრალოდ ჯგუფური შეკრებების დროს, ისინი ღეჭდნენ ამ მცენარის ფოთლებს. XX საუკუნის შუა პერიოდში, გერმანელმა მეცნიერებმა

კოკის ფოთლებისაგან გამოყვეს ფსიქოაქტიური ქიმიური შენაერთი და უწოდეს მას „კოკაინი“. საწყის ეტაპზე, ეს ნივთიერება, მიიღებოდა მხოლოდ, როგორც სამკურნალო ნივთიერება, მისი მეშვეობით მარტივდებოდა ადგილობრივი ანესთეზია, მკურნალობდნენ ნევრალგიას, აყუჩებდნენ ავადმყოფების ქრონიკული დაავადებების ტკივილებს.

ზიგმუნდ ფროიდი რეკომენდაციას იძლეოდა ამ საშუალების გამოყენებას ასთმის სამკურნალოდ. მაგრამ, პირველმა მსოფლიო ომმა ეჭვქვეშ დააყენა კოკაინის გამოყენების მიზანშეწონილება იმის გამო, რომ ამ ნარკოტიკზე მებრძოლთა უმრავლესობის მასიურად დამოკიდებულების გამო. ჯარისკაცებს, სიმთვრალის მდგომარეობაში, უჭირდათ საბრძოლო ქმედებების ჩატარება. განსაკუთრებით ბევრნი იყვნენ კოკაინის მომხმარებლები მფრინავთა შორის იყო. რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდში, ყველაზე საშიში, სისხლიანი ბანდიტური თავდასხმები ხდებოდა კოკაინის ზემოქმედების შედეგად. მის გავრცელებას ხელს უწყობდა კიდევ ერთი თვისება – მას შეეძლო შიმშილის გრძნობის ჩახშობა.

1980 წლის შუა პერიოდამდე, კოკაინი გავრცელდა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. სირთულე ამ ნარკოტიკთან საბრძოლველად, მისი ფხვნილის სახით არსებობაა და, შესაბამისად, იგი ადვილად გადასატანი, შესანახი და გასაყიდია. ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, ნარკოტიკები გავრცელებას პოულობენ ევროპაში, მათი გამოყენება ხდება როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო დანიშნულებით. მრავალი ხნის განმავლობაში, ნარკოტიკების მეშვეობით ხდებოდა მრავალი პრობლემის გადაჭრა. სახელდობრ, ოპიუმიცა და ჰეროინიც განიხილებოდა, როგორც უნივერსალური ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ცნობილია, რომ ნაპოლეონის ლაშქრობებმა ეგვიპტეში, ხელი შეუწყო ევროპაში ჰაშიშის შემოტანას.

XX საუკუნემ ნარკოტიზმი აღმოაჩინა, როგორც სოციალური მოვლენა: სიმთვრალის მომგვრელი საშუალებები ვრცელდება არასრულწლოვნებში, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ვერც ბიოლოგიურ და ვერც სოციალურ სიმწიფეს. 1920 წლებიდან პირველი ნარკომანი ბავშვები იყვნენ უზედამხედველონი. 1960 წლამდე ნარკოტიზაციის პროცესი საზოგადოებაში, ტალღისებურად მიმდინარეობდა, ხან მძაფრად იზრდებოდა და ხან ჩავარდნებით ხასიათდებოდა.

დღეისათვის, მეტად დიდ განგაშს იწვევს სხვადასხვა სოციალურ ფენასა თუ ჯგუფში ნარკოტიკების, როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო

დანიშნულებით გამოყენების მაღალი მაჩვენებელი ან მათი გამოჩენა ისეთ ადგილებში, სადაც ისინი ადრე არ შეიმჩნეოდა. ევროპაში დაიწყეს მარიხუანას გამოყენება; [82,70-72] ჩრდილოეთ ამერიკაში – კოკაინის; ალკოჰოლური სასმელები – ინდოეთში, პაკისტანსა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებში. მათი გავრეცელება ხდება ისეთ ქვეყნებში, სადაც ისინი არატრადიციულია. ჩნდებიან სულ უფრო და უფრო მეტი ახალ-ახალი ნარკოტიკები. იცვლება ფსიქოტროპული, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების გამა. მაგალითად, ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული, პირველადი ნარკოტიზმის პრეპარატი – დიმედროლი, პარკოპანი. ნარკოდილერები იყენებენ მეთოდს, თითქოს პრეპარატი ნარკოტიკი კი არ არის, არამედ მასტიმულირებელი პრეპარატია. ჩვენს ქვეყანაში, ნარკომანიის პრობლემის მიჩუმათებამ, მისი არსებობის უარყოფამ, ითამაშა უკიდურესად ნეგატიური როლი.

კიდევ ერთი, ისტორიულად მეტად საინტერესო თემა – ნარკოტიკების მოხმარება გერმანიაში მესამე რეიხის დროს. ცნობილია, რომ ფაშისტური გერმანიის ზედა ეშელონების შიდა იდეოლოგია ძლიერად იყო ჩათრეული ვულგარულ ეზოთიკასა და ოკულტიზმში. მოძიებულია ერთი, მეტად საინტერესო ფაქტი. ესაა რ. მაკ ნეფფას – მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ოკულტისტის, მაგის, პოეტისა და მისტიფიკატორის თანაშემწის დღიური. [178] წყარო გვაუწყებს, რომ იგი კროულთან ერთად ოცდაათიანი წლების შუა პერიოდში იმყოფებოდა გერმანიაში. დღიურში აღნიშნულია შემდეგი მტკიცებულება: „ბერლინი იმ პერიოდისათვის ევროპაში მსოფლიო ნარკორესურსების ცენტრი იყო. ჰიტლერიცა და გერინგიც მოიხმარდნენ კოკაინს, ხოლო „სს-ის“ ფუნქციებში ოფიციალურად შედიოდა ნარკოტიკების გავრცელებისა და მკაცრად დოზირებულად მიწოდება მაღალი ინიციაციისათვის. რიტუალური მასობრივი მკვლელობები გაზის კამერებსა და საკონცენტრაციო ბანაკების ღუმელებში ისე იყო მოწყობილი, რომ რომ ახლოს ყოფილიყვნენ შავ მესასთან. დახვრეტა ითვლებოდა „კაიფის“ ყველაზე პრიმიტიულ დონედ, მას შეესაბამებოდა ალკოჰოლი და ა.შ. ჰიტლერის პირადი ექიმის დღიურებში არის მრავალრიცხოვანი ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ომის ხანგრძლივობის მთელი პერიოდის განმავლობაში ფიურერს მუდმივად უკეთებდნენ სხვადასხვა ტკივილგამაყუჩებელსა და დამამშვიდებელ საშუალებებს, როგორიცაა კოკაინი, მორფინის წარმომშობი და სხვა საშუალებები. ნარკოტიკებისა და მათი როლის შესახებ, საინტერესოა სხვადასხვა მოსაზრებაც. მაგალითად, საინტერესო ინფორმაციას იძლევა

ჰიტლერის ბავშვობის მეგობარი ბალტერ შტაინი. მისი ინფორმაციით, ჰიტლერი უკვე 20 წლის ასაკში იყო ძლიერი მისტიციზმისა და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. ჰიტლერის პირადი ექიმის, ტეოდორა მორელლას ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ ომების პერიოდში, ფიურერს სისტემატურად აწვდიდნენ სხვადასხვა ძლიერმოქმედ ტკივილგამაყუჩებელს და დამაწყნარებელს, მაგალითად, კოკაინს, მორფინს და სხვას [178].

ნარკოტიკების სისტემატურად ბოროტად გამოყენებამ, პრაქტიკულად გამოიწვია სასქესო ფუნქციების სრული კოლაფსი, როგორც ფიზიოლოგიური შესაძლებლობების დონეზე, ისე ლიბიდურ დონეზე –ფსიქოლოგიური მექანიზმების დონეზეც. ხოლო მისი, ერთადერთი მეგობრისა და საყვარლის – ევა ბრაუნის შთაბეჭდილებანი, რომლებსაც იგი თავის მშობვლებს უზიარებდა ჰიტლერთან პაემანის შემდეგ, სწორედ იმას შეეხებოდნენ, რომ ფიურერს საერთოდ არ ჰქონდა სექსუალური მოთხოვნილებები და შესაძლებლობანი. ცნობილია, რომ ჰიტლერი ნაცისტური კენწეროს მრავა სხვა მოღვაწე ბოროტად იყენებდნენ ამფეტამინებს. ცნობილი ფსიქიატრი არტურ კრონფელდი წერდა: პირველი, რაც გერმან გერინგთან დაკავშირებით, თვალში გვხვდება, მისი სასაცილო ფიგურაა. ადამიანი საშუალოზე დაბალი, წონა 150 კილოგრამზე მეტი. მუცელი, უკანა ტანი, თეძოები, ნაწილობრივ დაფარული ცხიმის შრეებითა და ამობურცულებით. ასეთი გაცხიმოვნება განპირობებულია მხოლოდ ალკოჰოლითა და მორფინით, რასაც ბოროტად იყენებდა გერინგი. ეს ჯირკვლების დაბადებიდანვე, ე.წ შინაგანი სეკრეციის ნაკლია, მას ხშირად ფსიქიკურ არასრულფასოვნამდე მივყავართ.ექიმთა დასკვნით, გერინგი მიჩნეული იქნა უუნაროდ პირველი ქორწინებიდან შვილის აღსაზრდელად, როგორც ჩანს, მისი ალკოჰოიზმი და მორფინისტობა იყო ფსიქიკურად დაავადების ძირითადი მიზეზი. ყოველივემ განაპირობა გერინგის დეგენერატად აღიარება, რომელსაც მხოლოდ ის შეეძლო, რომ 1933 წლის თებერვალში პროვოკაციულად დაეწვა რეიხსტაგი ან შეექმნა გესტაპო და საკონცენტრაციო ბანაკები [178] .

ევროპისა და ამერიკის ტერიტორიებზე ნარკოტიკების მოხმარებასა და გავრცელებას, კიდევ ერთი მასიური, მძლავრი ბიძგი მისცა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში. ეს პერიოდი ხასიათდება საზოგადოებაში რამდენიმე რევოლუციური გარდაქმნით, კერძოდ, საზოგადოების აზროვნებასა და მათ შეხედულებებში გამოწვეული ცვლილებებით, ამ პერიოდში ხდება “სექსუალური რევოლუცია”, რამაც, გარკვეული სახით, ხელი შეუწყო ნარკოტიკების

გავრცელებას. საზოგადოების ცხოვრებაში გავრცელდა როკ მუსიკა და სხვა მრავალი ინოვაცია. განსაკუთრებით საინტერესოა ამ პერიოდის ახალგაზრდობა, რომელიც მეტად ნეგატიური შეხედულებებისაა საზოგადოებაში დამკვიდრებულ მრავალ სოციალურ მოვლენასთან დაკავშირებით. ამ რადიკალურმა დაპირისპირებამ განაპირობა კონფლიქტი სხვადასხვა თაობების შეხედულებებს შორის. ყოველივე კი, თავის მხრივ, გზას უხსნიდა ნაროტიკებს და მათ მასიურად გამოყენებას.

როგორც აღმოჩნდა, კაცობრიობის სწრაფი განვითარებისათვის, სულაც არ ყოფილა საჭირო ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს მე-20 საუკუნის სამოციანი წლების ცხოვრება. ყველასათვის გასაგები გახდა, რომ ადამიანებისათვის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, სულაც არ წარმოადგენდა ნარკოტიკების მოხმარების აუცილებლობა. ისტორიიდან კარგად ჩანს, რომ ნარკოტიკების ლეგალიზება, ამა თუ იმ ფორმით, სხვადასხვა დროსა და სივრცეში, არ იძლევა და არც იძლეოდა დადებით ეფექტს არცერთ ცივილიზაციასა და საზოგადოებაში. ლეგალიზების ფორმებმა ვერ ჰპოვა დადებითი გამოვლინება ვერც ეკონომიკის სფეროში, ვერც კულტურულ სფეროსა და ბუნებრივია, ვერც სამართლებრივი ასპექტით.

თუ ნარკომანია, ვით დამოკლეს მახვილი, ჰკიდია ადამიანის თავზე, როგორც საშიში ცელი ულმობელი სიკვდილისა, საკმარისია, მახვილს რომ ძაფი ამაგრებს, გაწყდეს და ადამიანის ცხოვრებას წერტილი დაესმება.

ნარკომანიის ერთ-ერთი თავისებურება მრავალ მიმართულებათა, აზრთა პლურალისტური ნაკადის თანაარსებობა და ურთიერთბრძოლაა. ნარკომანიის პრობლემატიკა, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, შეიძლება მრავალი განზომილებით წყდებოდეს და ყოველი მათგანი არსებობდეს ერთმანეთის გვერდით.

არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა იმდენი განსხვავებული სისტემა ნარკომანიასთან დასაპირისპირებლად, როგორც ეს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისშია წარმოდგენილი.

მთელ მსოფლიოს მოედო ეს მომაკვდინებელი სენი და მუსრს ავლებს ადამიანთა სიცოცხლეს, სამწუხაროდ, არც საქართველოა გამონაკლისი. ყველა მოაზროვნე ადამიანი გმობს ამ მოვლენას და ცდილობს ჩააგონოს ხალხს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, თავი შეიკავოს ამ სასიკვდილო მავნე ჩვევისაგან და არ მოიხმაროს ნარკოტიკი, რადგანაც მისი მოხმარებისაგან ადამიანები დასაწყისში,

თითქოსდა, სიამოვნებას განიცდიან, მაგრამ როცა იგებენ, თუ რა მავნე შედეგებს იძლევა იგი, ხშირ შემთხვევაში, უკვე ძალიან გვიანაა, რადგანაც ორგანიზმი დაავადებულია, გამოფიტულია, ტვინი ისე ვეღარ აზროვნებს, მომავალ თაობას ვეღარ ამრავლებს ან მომავალი სიცოცხლე უკვე განწირულია, გენეტიკა იცვლება უარესობისაკენ.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში, კერძოდ, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენლის ი.კანტის ნაშრომში „წმინდა გონების კრიტიკა“ ვკითხულობთ, რომ „ადამიანის ყოველი ქცევა, მოქმედება, მოვლენაში განსაზღვრულია ემპირიული ხასიათით და სხვა, ბუნების წესრიგის თანახმად, თანამოქმედი მიზეზებით. მაშასადამე, ამ ემპირიული ხასიათის მიმართ არ არსებობს არავითარი თავისუფლება.... თუ შევადარებთ გონებას პრაქტიკული მიზნით, მაშინ ვიპოვით სულ სხვა წესსა და წესრიგს, ვიდრე ბუნების წესრიგია და ამ შემთხვევაში, მოქმედებები შესრულდება არა იმიტომ, რომ განსაზღვრული იყვნენ ემპირიული მიზეზებით, არამედ იმიტომ, რომ ისინი განსაზღვრული იყვნენ გონების საფუძვლების მიერ“ [40,346].

კანტი მიუთითებს, „ჩვენ გვესმის, რომ ემპირიული ქცევა განისაზღვრება სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვკიცხავთ დამნაშავეს არა ცუდი ბუნებისათვის (რაშიც იგი არ არის დამნაშავე), არა გარემოებისათვის, რომლებიც მასზე ახდენენ ზეგავლენას, არამედ ჩვენი გაკიცხვა ეყრდნობა გონების კანონს [40,25-28].

დამაჯერებელია ა.შოპენჰაუერი, რომელიც ადამიანს, უპირველესად განიხილავს, როგორც ნებით არსებას. მისი აზრით, ნება განსაზღვრავს ადამიანის ცნობიერებას და არა პირიქით. იგი თვლის, რომ ადამიანის ყოველი მოქმედება განისაზღვრება ორი ფაქტორით – ადამიანის ხასიათით და მოტივებით. ხასიათი ემპირიულად შეცნობილი, მუდმივი და უცვლელი ბუნებაა ინდივიდუალურ ნებაში მოცემული, თუმცა ნება თავისუფალია, მაგრამ ის თავისუფალია მხოლოდ თავის თავში და მოვლენის გარეთ, ხოლო მოვლენაში ის მოცემულია გარკვეული ხასიათით, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა მისი მოქმედება. შოპენჰაუერი თვლის, რომ ყოველი მოქმედება მომდინარეობს ადამიანისგან და მასზეა დამოკიდებული, ამიტომ ადამიანი პასუხისმგებელია ამ ქმედებისათვის. ადამიანი აკეთებს იმას, რაც სურს. შოპენჰაუერის აზრით, ნებას, ინტელექტის მეშვეობით, შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი ქცევა. [133,118-123]

- XX საუკუნეში ჩნდება ნორმატიული აქტები, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულობასთან ბრძოლას სამართლებრივად აწესრიგებს. მაგალითად, ალბანეთში 1990 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ნარკოტიკებთან ბრძოლის საკითხში, 1993 წლიდან მკაცრდება პასუხისმგებლობა ნარკოტიკების წარმოებისა და ვაჭრობისათვის [121,22-27] ;

- ბანგლადეშში მკაცრდება კანონი საშიში ნარკოტიკების წარმოების, გადაზიდვისა და შენახვისათვის დგინდება სიკვდილით დასჯა. [134,56-61];

- ბირმაში 1988 წელს მოხდა სამხედრო გადატრიალება და ახლა ხელისუფლებასთან ბრძოლა ფინანსდება ნარკომოვაჭრეებით [134,402,411-412];

- ბრაზილიაში კონსტიტუციის შესაბამისად, თუ მუხლი სისხლის სამართალში გირაოთი გათავისუფლებას ითვალისწინებს, ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება ნარკოტიკების გადაზიდვებიჩ, პირის დაპატიმრება არ შეიძლება [121,89-105];

- დიდ ბრიტანეთში 1971 წელს გამოიცა კანონი ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შესახებ, ხოლო 1986 წელს მიღებულია კანონი ნარკოტიკების დანაშაულებრივ გავრცელებაზე [121, 105-125]

- გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1877, 1950, 1964, 1975 წლების კანონმდებლობა ითვალისწინებდა ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საკითხებს, 1992 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები ნარკოტიკების არალეგალურ ვაჭრობასთან დაკავშირებით, თუმცა მას კვლავინდებურად 1877 წლის კანონს უწოდებენ, აქვე აღვნიშნავთ, რომ გფრ-ში ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისათვის გამოსწორების ზომად მიჩნეულია სპეციალურ სამკურნალო იზოლატორებში მოთავსება. [135,222];

- ეგვიპტეში 1985 წლიდან ნარკოტიკების კონტრაბანდისათვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული [121,455];

- ასევე სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული ინდონეზიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომელსაც ზოგადად ჰოლანდიის 1881 წლის კოდექსის ასლად მიიჩნევენ. [136,121];

- ასევე სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს 1988 წლის ირანის კანონმდებლობაც, თუმცა აქ, სიკვდილის დასჯის გარდა შესაძლოდ მიიჩნევენ გაროზგვას – 80-ჯერ, საინტერესოა, რომ ირანში ნარკოტიკები რევოლუციური სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება [136,139];

- უკანასკნელ პერიოდში ძალიან მწვავედ დგას ნარკომაფიის პრობლემები კოლუმბიაში, რადგანაც ნარკომაფია იყენებს ტერორისტულ მეთოდებს, 1984 წლიდან ნარკოდანაშაულების განსახილველად შეიქმნა ანონიმური სასამართლოები [121,329-335];

- მალაიზიაში 1952 წელს მიღებული იქნა კანონი საშიშ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შესახებ, სადაც ნარკოტიკების უკანონოდ ვაჭრობისათვის ერთადერთი სასჯელი- სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული [135,132]; მიანმაში შესაძლებელია ნარკოტიკების მწარმოებლისა და ნარკომოვაჭრის სიკვდილით დასჯა [137,132];

- საინტერესო ფაქტია, რომ 1986 წლიდან ნარკოტიკების საკითხს განიხილავენ ცალკე სასამართლოები [137,248];

- საუდის არაბეთში ნარკოტიკული დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული და განაჩენი სრულდება საჯაროდ – მახვილით თავის მოკვეთით [138,109];

- სინგაპურში მაგალითად, 1973 წლიდან გამოიყო ცალკე კანონი ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე, 1975 წლიდან მასში ცვლილებები იქნა შეტანილი და საინტერესოა, რომ თუ პირს აღმოაჩნდება 15 გრამზე მეტი ნარკოტიკი, მას შეიძლება შეეფარდოს სიკვდილით დასჯა [138,131];

- სუდანში 1989 წელს მიიღეს კანონი სპეციალური სასამართლოების შესახებ, სამი მოსამართლე ქმნის სპეციალურ უსაფრთხოების სასამართლოს, რომელიც განიხილავს ნარკოდანაშაულებს [138,203];

- ტაჯიკეთში სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული ნარკოტიკების დათესვისა და მოყვანისათვის და ნარკოვაჭრობისათვის [138,217];

საქართველოში, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, ნარკომანიის პრობლემა მეტად მძაფრად იგრძნობა. ბატონი ჯემალ ჯანაშიას წიგნის „XXI საუკუნის გამოწვევა“ რედაქტორები არიან საქართველოს გამოჩენილი ადამიანები, სასიქადულო მწერლები, ბატონები ჭაბუა ამირეჯიბი და ლევან სანიკიძე. ჭაბუა ამირეჯიბის, როგორც ამ წიგნის რედაქტორის წერილში, რომელსაც „დიდად საჭირო წიგნის კარნახით“ ასათაურებს, ვკითხულობთ: „მოდის მტერი ნარკოტიკებით ხელში, გვისპობს ახალგაზრდობას და იმდენს, რამდენიც ქართველებს არცერთ ომში არ დაგვიკარგავს“... იქვე ბატონი ჭაბუა ითხოვს რა, ნარკოტიკების გამსაღებლებისათვის უკიდურესად მძიმე სასჯელს, მკითხველს მიმართავს, -„ზოგი იმ მშობლებს ჰკითხეთ, ვინც თავისი განარკომანებული შვილები ცივ მიწაში ჩაასვენა! ნარკომანს მე მხოლოდღა მძიმე ავადმყოფად ვთვლი, ხოლო ნარკომწარმოებელსა და ნარკოვაჭარს – ჩემი ერის უპირველეს მტრად. ვინმემ დათვალა, ჩვენი ახალგაზრდობა აფხაზეთის ომმა მეტი შეიწირა თუ ნარკოვაჭრებმა“ [82,III]

ბატონი ლევან სანიკიძე, მიიჩნევს რა, ნარკომანიას უდიდეს ეროვნულ პრობლემად, (რასაც, ბუნებრივია, ჩვენ ვეთანხმებით) თავისი რეცენზიის ამონარიდიდან გვამცნობს შემდეგს: „ჩვენი უხანგრძლივესი და უმდიდრესი ისტორიის ანბანური ცოდნითაც ადვილად მისახვედრია, რომ იმდენ უცხოელ მტერთა შემოსევებსაც, თუნდაც ერთად აღებულთ, არ შეუქმნიათ ქართველობისთვის ისეთი რადიკალურად დამღუპველი საშიშროება, როგორც ნარკობიზნესით შემოსევამ. განა, ძნელი მისახვედრია, რომ არანაირ საომარ იარაღს არ შეუძლია ისე გლობალური მოსპობა შენი ეთნიკურ-ჯიშობრივი გვარ-ჯილაგისა, როგორც ნარკობიზნესს, ნარკომაფიას. [82, IV]

§2. ნარკომანიის განვითარება საქართველოში

კაცობრიობამ XXI საუკუნეში შეაბიჯა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყოველთაო პრობლემის, ნარკომანიის გავრცელების შეზღუდვის ეფექტური გზების ძიებით. თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ნარკომანიის პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო და ყველა სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდა. [48,44-70.] მან არ იცის რასობრივი, რელიგიური, ნაციონალური და სხვა ბარიერები. ამ სახის დანაშაულები უშუალოდ ხელყოფს უმთავრეს საზოგადოებრივ ღირებულებას - ადამიანს, მის ჯანმრთელობას, სულიერ წონასწორობას და თვით სიცოცხლესაც კი.

გაეროს გენერალური ასაბლეის მე-20 სპეციალური სესიის პოლიტიკურ დეკლარაციაში ნათქვამია: „ნარკოტიკები სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი კაცობრიობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ქვეყნების დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას, ერების სტაბილურობას, მილიონობით ადამიანებისა, ოჯახების ღირსებასა და იმედებს. [28,2]

სრულიად ვეთანხმებით ბ-ნ დ.კაჭკაჭიშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო წარმოების, მათი მოთხოვნის ზრდის ტენდენცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების ზნეობრივ, ფიზიკურ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ნარკომანიასთან დაკავშირებულია ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უშლიან საზოგადობის განვითარებას. [42,13] ასევე საინტერესოა ქ-ნ ი.ლომსაძის მოსაზრება, რომ ნარკოტიზმი, მისი ისეთი გამოვლინებით, როგორიცაა ნარკომანია და ნარკოტიკული ბიზნესი, უკანასკნელ პერიოდში, გლობალური მასშტაბის უბედურებად იქცა [50,89]. თავის აზრს ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკობიზნესის კავშირზე გამოთქვამს პროფესორი გიორგი ღლონტი, რომელიც საქართველოს მაგალითზე ამ პრობლემის უარყოფით შეფასებას. [151,64] ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა მიზეზებია: დიდი ოდენობით ბუნებრივი ნარკონედლეულის მომხმარებელთა არსებობა, რაც ხელს უწყობს ნარკოტიზმის გავრცელებას. [50,90]

სხვადასხვა ნარკოტიკულ ნივთიერებებს, როგორც ცნობილია და ზემოთ გვქონდა საუბარი„ კაცობრიობა უძველესი დროიდან იყენებდა სხვადასხვა მიზნით: გასართობად, რელიგიური რიტუალის ჩასატარებლად, მრეწველობაში, სამედიცინო დანიშნულებისთვის და სხვა.

მრავალი ისტორიული საკითხის განხილვისას, ჩვენ კარგად დავინახავთ, რომ ნარკოტიკები საუკუნეების მანძილზე უკავშირდება შეიარაღებულ კონფლიქტებს. ადამიანის ფსიქიკაზე მომქმედ ნივთიერებასა და არსებული სინამდვილის კონფლიქტებს შორის კავშირი, ასახულია ძველბერძნულ მითოლოგიაში, ჰომეროსის „ილიადა"-ში. ქაველ მებრძოლებს ტროას მისადგომებთან, ძილის დროს, ორფევსი ყაყაჩოს ღერით მოეფერებოდა და სურდა ნარკოტიკულ ნივთიერებას მათ გონებაზე და შემართებაზე ემოქმედა. [83,268-269] ამ ქმედების შედეგი იყო ის ეფექტი, რასაც იგი მებრძოლებში იწვევდა: უკარგავდა შიშის შეგრძნებას, უხსნიდა დაძაბულობას და აძლევდა სტიმულს, უფრო გაბედულად ებრძოლათ. ამ ფუნქციას ნარკოტიკი თანამედროვეობის ეთნიკურ კონფლიქტებში დღესაც ასრულებს, ამის თქმა შესაძლებელია თითქმის ყველა სამოქალაქო ომზე: ავღანეთი, ლიბანი, ბალკანეთი, კავკასია და სხვ.

ნარკოტიკები კი, ხშირ შემთხვევაში, ომების მასტიმულირებელ საშუალებად გვევლინება და მთავარ ფსონად მოგება გვესახება. ცივი ომის დასრულების შემდეგ, როდესაც რევოლუციონერებმა, პოლიტიკოსებმა და მთავრობებმა ნარკოტიკული ნივთიერებებით დიდი ფული იშოვეს, მოირგეს საუკეთესო ნიღბები და „გადემოკრატდნენ," თუმცა, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს მრავალ რეგიონში, დაფინანსების მთავარ ეფექტურ წყაროდ, კვლავ ნარკოტიკები რჩება. ხშირ შემთხვევაში, ნარკოტიკები არა მარტო მებრძოლთა მასტიმულირებელი საშუალებაა, არამედ ამ სამხედრო ძალების დაფინანსების, ნარკოტიკული ნივთიერებების და იარაღის ურთიერთგაცვლის ინსტრუმენტიცაა.

როგორც ცნობილია, ნარკოტიკული საშუალებების გადაზიდვის მუდმივი სამოქმედო ასპარეზია: აზია, ინდოჩინეთი, ხმელთაშუა და შავი ზღვის სივრცეები, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. ეს მარშრუტი, ასეთი სახით, ყველა რუკაზე და უძველეს დოკუმენტებშიც კი არის მოხსენიებული.

XX-ე საუკუნის პერიოდში და XXI-ე საუკუნის დასაწყისში, ნარკოტიკი დიდ ცვლილებებს განიცდის და კრიმინალურ საქმიანობად გადაიქცევა, თუმცა, ამავე დროს, კომერციულად მომგებიანი ხდება. ნარკოტიკებთან და ნარკობიზნესთან

დაკავშირებული პოლიტიკა განისაზღვრება საერთაშორისო კონვენციებით და სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებებით პრობლემურ სფეროში თანამშრომლობაზე, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ თითოეული ქვეყნის ნაციონალური პოლიტიკა ამ სფეროში უნდა ინარჩუნებდეს გარკვეულ თავისებურებებს, კონკრეტული ქვეყნის ტრადიციებიდან და აქტუალური ნარკოსიტუაციიდან გამომდინარე.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მოხმარება და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური შედეგები, დღეს, საქართველოსთვის, უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. 1990-იანი წლებიდან, საქართველოში აღინიშნება ნარკომანიის ესკალაცია. ერთის მხრივ, საბჭოთა რეჟიმის რღვევას მოჰყვა ნარკომანიასთან ბრძოლის ტოტალური, სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სისტემის დაშლა, რომელიც ძირითადად ამკრძალავ ღონისძიებებზე იყო დამყარებული, მეორეს მხრივ, ქვეყანაში განვითარებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა წარმოშვა, მთელი რიგი, ფაქტორები, რომლებმაც ნარკოტიკების მოხმარების ინტენსიურ ზრდას შეუწყო ხელი. კერძოდ: დაუცველი საზღვრები, უკონტროლო ტერიტორიები, კრიმინალური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება, კორუფცია – ზრდის ნარკოტიკების გავრცელების საშიშროებას და მათ ხელმისაწვდომობას.

აღსანიშნავია რომ, სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსი, ფასეულობათა კრიზისი საზოგადოებაში, სოციალური პესიმიზმი, უმუშევრობა, ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარების ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში, აღინიშნება ეკონომიკის განვითარება, სამწუხაროდ, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა და მათი მოხმარება კვლავაც მატულობს.

ზემოაღნიშნულის გარდა, სიტუაციას უფრო ამძაფრებს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ქვეყანას აზიიდან ევროპისკენ ნარკოტიკების ტრანზიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტრასად აქცევს, ამ თვალსაზრისით საქართველო მოგვევლინა იმ მარშრუტების უშუალო დამაკავშირებლად, რომელთა მეშვეობითაც ნარკოტიკები ავღანეთიდან და ცენტრალური აზიიდან ევროპისკენ მიედინება. აღნიშნული ნარკოტიკების ნაწილი საქართველოში რჩება და ხელს უწყობს მათი მოხმარების ზრდას ქვეყანაში. უკანასკნელ წლებში, მკვეთრად გაიზარდა ნარკოტიკების ევროპიდან შემოტანა, ამ მხრივ აღსანიშნავია ექსტაზი და სუბოტექსი, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც

ნარკოტიკული ნივთიერება არც კი განიხილება. მათ მოხმარებამ 2004-2005 წლებში, საქართველოში, დიდ მასშტაბს მიაღწია.

მსოფლიოს მრავალ წერტილში მიმდინარე მოვლენებისა და ცხელი წერტილების ფონზე, ჩვენი სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვან ისტორიულ ეტაპზე, საინტერესოა, კავკასიის შესახებ შექმნილი „მითი თუ რეალობა" ნარკოტიკებთან დაკავშირებით და საქართველოს როლი, ადგილი ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

საინტერესოა, რომ ნარკოტიკების გავრცელებას და წარმოებას, ყოველთვის ახასიათებს პოლიტიკური ფაქტორი. საბჭოთა კავშირის რღვევამ და შემდგომ, მისმა დაშლამ, მასში შემავალ ქვეყნებს საზღვრების გახსნის საშუალება მისცა. თავისუფალმა სივრცემ კასპიის ზღვისა და შავი ზღვის გავლით ქვეყნებს ნარკოტიკების ჯაჭვის გაგრძელების შესაძლებლობა შეუქმნა. ნარკოტიკების როლი იმ რელიგიურ და ეთნიკურ კონფლიქტებში, რომლებიც კავკასიაში განვითარდა, არც თუ ისე მცირე იყო.

XX-ე საუკუნის 80-90-იანი წლებში საბჭოთა კავშირის ნგრევა, კავკასიის ომები, ასევე ქურთთა და ბალკანეთის კონფლიქტები, ცენტრალურ აზიაში მძვინვარე ომები, რომლებიც საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ ქვეყნებში ნარკო მარშრუტებზე გავლენის სფეროების გადანაწილება ხდება, ხელს უწყობს აზიურსა და კავკასიურ სივრცეებში ნარკოტიკების კონტრაბანდისა და ვაჭრობის განვითარებას. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მხედველობაშია მისაღები, რომ ცენტრალური აზია და კავკასია, რომლის ცენტრია საქართველო, არამარტო ნარკოტიკების პოლიგონი გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, არამედ ისიც, რომ საუკუნეების მიჯნაზე, ამ რეგიონში მიმდინარე ეთნიკურ დაპირისპირებათა გზაჯვარედინზე იმყოფება. ამ რეგიონში, ნარკოტიკულ საშუალებათა ტრანზიტი უბიძგებს წინააღმდეგობათა გაღრმავებას, რითაც სარგებლობენ ამ საკითხში დაინტერესებული პირები.

ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ და კრიმინალურ ქსელში, მნიშვნელოვანი როლი უკავია დიასპორას, ამ მარშრუტში ჩართულნი არიან: ჩეჩენთა სუფსიური საძმოები – ყირგიზეთსა და წინა აზიაში, სომეხი საქმოსნები – მსოფლიოს მრავალ კუთხეში, ქურთი ლტოლვილები – ევროპაში, „აფსუები" (აფხაზები) – რუსეთში, თურქეთსა და სხვა სახელმწიფოებში. ისინი მობილიზებულნი არიან

თავიანთი დაჯგუფებების დასაცავად, რისთვისაც მიდიან ყოველგვარ უკანონობაზე.

ბოლო პერიოდში, კავკასიის ტერიტორიაზე გადაიკვეთა ორი ძლიერი სახელმწიფოს ინტერესი, ესენია: რუსეთი და თურქეთი. კავკასიის რეგიონში შემავალი სახელმწიფოები, სწორედ, ამ ორ ქვეყანას შორის მდებარეობს, მათი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური გავლენა კავკასიურ სივრცეში, ბოლო საუკუნეების განმავლობაში, იზრდება. ეს რეგიონი გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანესია, მითუმეტეს, რომ იგი, ევრაზიის შემაერთებელი არტერიაა და ძალიან დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამ მონაკვეთებში, ნავთობისა და სხვა ძვირფასი ნედლეულის კოლოსალური მარაგებია კონცენტრირებული. საქართველო კი, აზიიდან ნარკოტიკების ტრანზიტის ტრადიციული გზების შესაყარზე მდებარეობს.

1993 წელს, საქართველოში „აფსუების" (აფხაზების), რუსების, კაზაკების, ჩრდილო-კავკასიელების და სხვა მავანთა მეშვეობით სოხუმი დაეცა, როცა საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერა სჭირდებოდა, ჩვენს სასარგებლოდ ქმედითი ნაბიჯები არავის გადაუდგამს, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. მავანთა მიზანი, სავარაუდოდ თავისუფალი და დამოუკიდებელი პორტის დაარსება იყო, ეს მიზანი ადვილად შესრულებადი გახდა, რადგან სცენარით, რომლითაც მოქმედებდნენ, საქართველომ ჯერ 1991-92 წლებში, სამოქალაქო ომი გადაიტანა, მას უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ყოველივე ამის შედეგად შეგვრჩა სახელმწიფოში შინააშლილობა, დანგრეული ეკონომიკა, შეუთანხმებელი და დაუწყობელი საზოგადოებრივი ურთიერთობები და დანაწევრებული ქვეყანა. აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციას გამოეყო, რუსეთის სამხედრო ნაწილები, რომლებიც სამშვიდობო მისიას უნდა ასრულებდნენ, იმ დროიდან სტატუსკვოს გარანტები გახდნენ, ხოლო სოხუმი დიდი მნიშვნელობის პორტი, აფხაზ სეპარატისტთა და მათ მოკავშირეთა ხელში დარჩა. დღეს სოხუმი თავისუფალი პორტია, აქ, სრული განუსჯელობით, მოედინება და გაედინება კონტრაბანდული საქონელი: ნარკოტიკები, იარაღი, ნავთობი და სხვა.

საზოგადოებისთვის ცნობილი და დადასტურებული ფაქტია: 90-იან წლებში ბაქოში, კავკასიური ნავთობის ცენტრში, მუდმივი ქაოსის ვითარებაში ხდებოდა, ცენტრალური აზიიდან, ირანიდან და ავღანეთიდან მოდენილი მორფინის

ნედლეულის რაფინირებასა და მიწოდებას კავკასიაში და მათ შორის საქართველოში.

მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში და მათ შორის საქართველოში, ამ „ბიზნეს ურთიერთობებში" მოთარეშე კლანებმა, პოლიტიკაში ახალი თამაში შემოიტანეს, ერთმანეთისა და ქვეყნის მაღალჩინოსნების კომპრომეტირება ნარკოტიკებით ვაჭრობაში დადანაშაულების ნიშნით. ეს მხოლოდ ფასადია, ამის მიღმა კი, ნარკობიზნესი ძლიერდება და მისი გავრცელების საზღვრებს აფართოებს.

ნარკომანიის მუდმივმა, ყოველდღიურმა პრობლემამ წარმოშვა ნარკობიზნესი. იგი იქცა სარფიანი შემოსავლის კრიმინალურ წყაროდ, სამწუხაროდ, ასეთ მოვლენას საქართველოშიც შეექმნა საუკეთესო მყარი ნიადაგი. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, სასაზღვრო ზოლის დაუცველობა, საბაჟო კონტროლის არასრული მექანიზმი, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის თვალსაზრისით, საქართველოს უქმნის სატრანზიტო ქვეყნად გადაქცევის რეალურ საშიშროებას. [48,50] არაეფექტური კონტროლის სისტემა ქართულ და უცხოელ მაფიოზურ ფორმირებებს, ინვესტირებისა და კომერციული სტრუქტურების მეშვეობით, საშუალებას აძლევს მოახდინონ მსხვილი კაპიტალის ლეგალიზაცია, აგრეთვე, ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლები მიმართონ სახელმწიფო აპარატის კორუმპირებისაკენ.

ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენი ღონისძიებები შეიძლება დაიყოს: ორგანიზებული მმართველობით, სამედიცინო, აღმზრდელობით და სამართლებრივ ღონისძიებებად. ინტერესს იწვევს ერთი გარემოება. XXI-ე საუკუნის დასაწყისში, ნავთობსადენის: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და გაზსადენის: ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტის ამუშავებამ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ძალიან გააღიზიანა. სიტუაცია ძალიან იძაბება. ქვეყანა მრავალი გამოცდის წინაშე დგება. მიზეზი კი მრავალმხრივია, რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის სამხრეთ ნაწილს, რომელსაც შავი ზღვით საერთაშორისო არენაზე გასვლის შესაძლებლობა და დიდი გეოსტრატეგიული დატვირთვა გააჩნია. საქართველოს სახელმწიფო ასეთ ურთულეს და უმძიმეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო გარემოცვაში, ცდილობს დაადგეს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზას.

საქართველო, საკმაოდ საფუძვლიანად ფიგურირებს ნარკოტიკების გეოპოლიტიკურ რუკაზე, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, ხოლო მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და მათი სპეცსამსახურები, ხშირად აფიქსირებენ, ჩვენი ტერიტორიების და პორტების საშუალებით, ნარკოტიკების დიდი პარტიების გადატანას.

საქართველოში ნარკოტიკების გავრცელება და უკანონო ტრანსპორტირება, ბ-ნი ჯემალ ჯანაშიას აზრით, რომელსაც დაწვრილებით აქვს შესწავლილი და გაანალიზებული მოცემული საკითხი, შესაძლებელია შემდეგი მარშრუტებით:

1. ჩრდილოეთ ოსეთიდან, საქართველოს სამხედრო გზის გავლით. ყაზბეგი-დუშეთი – მცხეთა - თბილისი. დასავლეთ საქართველოდან – ფოთი, შემდეგ თურქეთი ან ევროპა;
2. ჩრდილოეთ ოსეთიდან, როკის გვირაბის გავლით, ცხინვალი - გორის ტერიტორია და დასავლეთ საქართველო ან შეიძლება ტვირთი წავიდეს ახალციხის ან ახალქალაქის საბაჟოებისაკენ;
3. ირანი-სომხეთი-საქართველო, შემდეგ შავი ზღვის პორტებით, ევროპა;
4. აფხაზეთიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხისაკენ ზუგდიდის ტერიტორიის გავლით, აფხაზეთის პორტებიდან კი თურქეთის პორტების მიმართულებით;
5. აზერბაიჯანი, საქართველოს გავლით, შემდეგ თურქეთი ან ევროპა. [82,]

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, მის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, საჭიროა სპონსორი-დონორი სახელმწიფოების, ორგანიზაციების ძებნა და მათი რესურსების მოზიდვა. ბოლო წლებში, გარკვეული საფრთხე შეიქმნა პანკისის ხეობაში. იგი უშუალოდ ესაზღვრება ჩეჩნეთის რესპუბლიკას, სტრატეგიული თვალსაზრისით, იგი, მისი ერთადერთი პლაცდარმია, რადგან ბლოკადაში მოქცეული ჩეჩნეთი გამოუვალ სიტუაციაშია და გარეთ გასასვლელ გზებს და საჭირო ტერიტორიებს ეძებს. მას აქვს ორი მიმართულება:

1. დაღესტანი, რომელსაც თვითონვე აქვს პრობლემები და პრაქტიკულად დენთის კასრზე ზის. მის ტერიტორიაზე კონცენტრირებულია რუსეთის სამხედრო და სპეციალური დანიშნულების რაზმები.

2. საქართველო, დაკარგული ტერიტორიებით და თავისი სასაზღვრო ზოლის დაუცველობით, მძიმე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებით.

მსოფლიო ისტორიის მწარე გამოცდილება, გვიჩვენებს, რომ ნარკომანია ყველაზე უფრო, ვითარდება ცხელ წერტილებში. ასეთივე რთული სიტუაციაა საქართველოშიც. სახელმწიფოს აქვს ორი „ცხელი" თუ, პირიქით, „გაყინული" წერტილი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით. სამხედრო ძალების თავმოყრის ადგილებში მუდამ არის ნარკოტიკები, რეგიონში კი კრიმინალური ქმედება შეიარაღებული დაჯგუფებების მთავარი საქმიანობა ხდება.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩამოყალიბებული და აპრობირებული მეთოდებით დაიწყო ნარკოტიკებით სავაჭრო ქსელების ჩამოყალიბება და განვითარება ჯერ საქართველოს ტერიტორიაზე, შემდეგ კი, ტვირთების თურქეთისა და ევროპის სხვა მიმართულებით გადაადგილება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, კონტრაბანდული გადაზიდვებისთვის ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენნი სარგებლობენ ტრანსპორტის, პრაქტიკულად, ყველა სახეობით: საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო, ასევე საფოსტო ამანათებით. კონტრაბანდისტები ნარკოტიკების გადაზიდვისას იყენებენ შენიღბვისა და დაფარვის სხვადასხვა ხრიკებს, ესაა:

1. კომერციულ ტვირთებში ნარკოტიკების პარტიების შენიღბვა;
2. ნარკოტიკების დამალვა ავტომანქანის დეტალებში;
3. კურიერის სხეულში ნარკოტიკების დამალვა;

საქართველოს სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ რეგიონებიდან მომავალ რეისებს, რომლებიც ცნობილია, როგორც ნარკოტიკების მწარმოებელი ან სატრანზიტო ქვეყნები, რომელშიც, სამწუხაროდ, საქართველოც შედის. როგორც ცნობილია, კოკაინის ექსპორტს აწარმოებენ სამხრეთ ამერიკისა და აშშ-დან, სინთეზურ ნარკოტიკებს დასავლეთ ევროპიდან, ოპიუმი და ჰეროინი ტაჯიკეთიდან, პაკისტანიდან და ავღანეთიდან, ყაყაჩოს ჩალა უკრაინიდან, მარიხუანა კავკასიიდან.

თუ გავითვალისწინებთ კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც წარმართულ ომებსა და კონფლიქტებს, ასევე 90-იან წლებში სამოქალაქო ომს,

სამაჩაბლოსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს, სამწუხაროდ მივიღებთ ფაქტს, რომ ამ კონფლიქტებს, ყოველთვის თან სდევდა, ნარკოტიკული სიტუაციის გამწვავება. მწარე რეალობაა და დამახასიათებელი მომენტია, როცა მსოფლიო ომებს და კონფლიქტებს ყოველთვის თან სდევს, ხშირ შემთხვევაში კი, უსწრებს კიდეც, ნარკოტიკები.

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ტრანსპორტირებამ და მოხმარებამ დღეს საქართველოში უკიდურეს და საშიშ ზღვარს მიაღწია. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩართულია ისეთი ორგანიზაციების საქმიანობა, რომელთაც თანამედროვე ტექნოლოგიები და ნარკოტიკების გავრცელების ყოველგვარი საშუალებები აქვთ. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, მათ წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს სხვადასხვა ქვეყნის ოპერატიულ და საგამოძიებო ორგანოების ურთიერთთანამშრომლობას.

ნარკოტიკული დანაშაული ორგანიზებული დანაშაულობის კონტროლის ქვეშ არსებული კრიმინალური საქმიანობის სახეობაა. საბჭოთა კავშირის ნგრევისა და „რკინის ფარდის" გაუქმების შემდეგ, მსოფლიოში ნარკოტიკების გასაღების ბაზრებისა და მარშრუტების ხელახლა გადანაწილების პროცესი დაიწყო. სსრკ-ის ყოფილ ქვეყნებში და დღევანდელ დსთ-ში შემავალ სახელმწიფოებში შეინიშნება ნარკოტიკების მოხმარებისა და გასაღების ზრდის ტენდენცია. ზოგიერთი სახელმწიფო: უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ნარკოტიკების აქტიური მწარმოებელი გახდა. აზერბაიჯანი და საქართველო კი, ევროპისა და თურქეთისათვის ნარკოტიკების გადაზიდვის ტრანზიტულ ქვეყნებად იქცნენ. საქართველოში, ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (სოდი). დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემებით, 130-დან 250 ათასამდე ნარკოტიკის მომხმარებელია, აქედან დაახლოებით 60% მარიხუანას მოიხმარს, დანარჩენი 40% კი სხვადასხვა ნარკოტიკს ოპიატების ჯგუფიდან (სუბოტექსი, ჰეროინი, ოპიუმი).

თანამედროვე პერიოდში სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურობას უზრუნველყოფს ინტერპოლისა და ევროპოლის სტრუქტურები (ამ ორგანიზაციებზე დაწვრილებით ნაშრომის ბოლო თავში გვექნება საუბარი). ბუნებრივია, დიდად მნიშვნელოვანია, საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რადგანაც, როგორც ამას ვ.გვარამია აღნიშნავს, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, მნიშვნელოვან 4როლს

ასრულებენ სახელმწიფოთაშორის საპოლიციო თანამშრომლობის უზრუნველყოფაში. [31,57]

უკანასკნელ წლებში საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში არსებული ნარკომდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში განუხრელად იზრდება ნარკოტიკების შემოტანის, გავრცელების, გასაღების კერები და შესაბამისად იზრდება ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობაც. ყოველწლიურად მატულობს ნარკოტიკების კონტრაბანდის გზით შემოტანა.

ზემოაღნიშნულ პრობლემებს ემატება ისიც, რომ საქართველოში, ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებელთა საკმაოდ დიდი არმიაა. მაგალითად, ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, მაშინდელმა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მასმედიის მეშვეობით საზოგადოებას აცნობა, რომ საქართველოში, ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა 250 ათას ადამიანზე მეტია, ხოლო დღეისათვის, ოფიციალური მონაცემებით, ეს ციფრი 300 ათასს აღემატება. აქვე თუ გავითვალისწინებთ, რომ ნარკომანიის ხაზით დანაშაულთა გარკვეული რაოდენობა ლატენტურია, უნდა ვივარაუდოთ, რომ პლანეტის ამ ურთულესი და უმნიშვნელოვანესი საფრთხის მიმართ, მართლაცდა უაღრესად სავალალო მდგომარეობა გვაქვს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვისათვის რეგისტრირებული დანაშაულები, მსჯავრდებულთა რაოდენობა და სხვა მონაცემები კატასტროფული ტემპებით იზრდება. გთავაზობთ ცხრილს. (იხ. სურ. 1)

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თუ 2001 წლისათვის ნარკოტიკებზე რეგისტრირებული დანაშაული 1783-ს შეადგენდა, მომდევნო წლებში, მართალია ის ზრდას განიცდიდა, მაგრამ ეს ცვლილება 2000-2500 ერთეულს წარმოადგენდა და თითქოს სტაბილური მდგომარეობა იყო, მაგრამ როგორც კი, დანაშაულისა და დამნაშავეთა მიმართ ხელისუფლების მხრიდან გამოცხადდა ნულოვანი ტოლერანტობა, დანაშაულის რაოდენობამ 2008 წლისათვის 19529-ს მიაღწია, რაც თითქმის, 12000 ერთეულით მეტია, ვიდრე ეს 2001 წელს იყო დაფიქსირებული.

დანაშაულის ზრდა იმ ფაქტორითაც აიხსნება, რომ ხელისუფლების მითითებით დაიწყო დანაშაულის ობიექტურად რეგისტრაცია და შემცირდა მათი ლატენტურობაც. მიუხედავად იმისა, რომ, გაიზარდა რეგისტრირებულ დანაშაულთა

რაოდენობა, მისი ნარკოკიტების ხაზით დანაშაულის რაოდენობის ასეთი მკვეთრი ზრდა, მაინც ნეგატიური ხასიათისაა.

ანალოგიურ სურათს იძლევა ნარკოტიკული დანაშაულებისათვის მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა, 2001 წლის მონაცემებით, მათი რიცხვი 854-დან იზრდება და 2008 წლისათვის კი 2095-ს შეადგენს. [იხ.სურ.1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით, მაგალითად, 2008 წელს, როცა დაფიქსირდა მსჯავრდებულთა მაქსიმალური რაოდენობა, 8846 ადამიანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, 1010-ს დაეკისრა მატერიალური პასუხისმგებლობა – ჯარიმა, მხოლოდ 7 მათგანს გადაუვადდა პასუხისმგებლობის ზომა, და 10601-ს მიესაჯა პირობითი სასჯელი. [იხ. სურ. 60] ამ გარემოებას ხელს უწყობს აგრეთვე კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსში გარკვეული ქმედებებისათვის პასუხისმგებლობის ზომების, თუმცა მცირედ, მაგრამ მაინც გამკაცრება. საქართველოში, უკანასკნელ პერიოდში, საერთო ჯამში, შეიმჩნევა მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით [174], 2008 წლისათვის საქართველოში დაფიქსირდა 20804 მსჯავრდებული, რომელთა შორის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 8846 ადამიანს. [იხ.სურ. 60], მსჯავრდებულთა შორის 381 არასრულწლოვანია [იხ.სურ. 61], რომელთა შორის 7 ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვისაა მსჯავრდებული. საგანგაშო მდგომარეობაა მსჯავრდებულთა ასაკის გაანალიზების შედეგების მიხედვით, 20804 მსჯავრდებულიდან 1166 14დან 17 წლამდე ასაკისაა, 4638 მათგანი 18-24 წლის, 3817 – 25-29 წლის, 9483 – 30-49 წლის, ხოლო 1700 მსჯავრდებული 50 წლის ასაკის ზევით. მსჯავრდებულთა საერთო რიცხვიდან 1126 ქალია. [იხ.სურ. 62]. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2007 წლის შედეგების მიხედვით, 1179 ადამიანია რეგისტრირებული აივით-ინფიცირებული და შიდსით დაავადებული, ხოლო შიდსით დაავადებულთა რაოდენობა 75 ადამიანია. [იხ. სურ. 63]. 2008 წლის მონაცემებით, 20804 მსჯავრდებულიდან 2095 ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება,შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებისათვისაა პასუხისგებაში მიცემული [იხ. სურ. 64]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში, ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემები, ჯერ კიდევ მყარადაა ფესვებგადგმული და კიდევ მრავალი პრევენციული ღონისძიებებია გასატარებელი მის დასაძლევად.

თავი II. ნარკომანიის ხელშემწყობი ფაქტორები

§1 ნარკომანიის სოციალური ფაქტორები

ნარკომანია, როგორც ცნობილია, ძალზედ აქტუალური პრობლემაა ზოგადად კაცობრიობისათვის, იგი, თავისი ნეგატიური ზეგავლენით, ეხება მრავალ სფეროს. ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების პრობლემა იპყრობს სხვადასხვა სფეროს სპეციალობის მეცნიერთა, მათ შორის კრიმონოლოგთა ყურადღებას. კრიმინოლოგიის ინტერესი ნარკოტიკული დამოკიდებულების პრობლემისადმი აიხსნება ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიული ნივთიერებების ზემოქმედების ხასიათით, რასაც უთუოდ მოჰყვება პიროვნებისა და მისი საქციელის სოციალურად მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ნარკოტიზმის სოციალური მნიშვნელობის სწორი გაგებისათვის, მნიშვნელოვანია, ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების იმ მხარეების გარკვევა, რომლებიც მძიმე სოციალურ შედეგებს იწვევენ. ამ ამოცანის ამოხსნა საჭიროებს, ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული საშუალებების სხვადასხვა ტიპის ზემოქმედებიდან იმ კანონზომიერების გამოყოფას, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებას ინდივიდუალურ და სოციალურ უბედურებად აღიქვამს. სხვა შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა, ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული, მზარდი შეშფოთება და ამ პრობლემისადმი უზარმაზარი საზოგადოებრივი ინტერესი.

ნარკოტიკებით, ადამიანის ორგანიზმისათვის, მიყენებული ზიანი კრიმინოლოგებს აინტერესებს არა ფიზიოლოგიური კუთხით, არამედ, როგორც პიროვნების დეფორმაციის წინაპირობა და მისი სოციალური ქცევის დეგრადირება. ამიტომ, ადამიანის ორგანიზმსა და ნარკოტიკების რთული ურთიერთქმედებისაგან უნდა გამოიყოს ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების მექანიზმის ის მხარეები, რომლებიც, ამ მხრივ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. თუ საკითხს ამ ჭრილში განვიხილავთ, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ისეთ შედეგებზე, როგორიცაა ეიფორიული ეფექტი და შეგუებლობის განვითარება. შეგუებლობის მექანიზმში, ერთის მხრივ, აუცილებელია გამოვყოთ ნარკოტიკებისადმი მზარდი ამტანობის განვითარება, მეორეს მხრივ – ფიზიკური და ფსიქოლოგიური მიჯაჭვულობა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ზემოთ ხსენებული შედეგები სხვადასხვა ნარკოტიკების მოხმარებისას სხვადასხვაგვარად ვლინდება. უფრო მეტიც, გარკვეული ნარკოტიკების გამოყენებისას, ზოგი მათგანი არ ფიქსირდება, მაგალითად, მკაფიოდ გამოხატული ფიზიკური დამოკიდებულება. დამოკიდებულების გამომწვევი წამლების ექსპერტთა კომიტეტი ნარკოტიკულ დამოკიდებულებას ანუ ნარკომანიას შემდეგნაირად განსაზღვრავს; "ცოცხალ ორგანიზმსა და ნარკოტიკულ საშუალებებს შორის ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ფსიქიკური და ზოგჯერ, ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით და სხვა რეაქციებით, რომლებიც ყოველთვის შეიცავდნენ ნარკოტიკული საშუალების მუდმივი ან პერიოდული მიღების მოთხოვნილებას იმ მიზნით, რომ მომხმარებელმა განიცადოს მისი ფსიქიკური ზემოქმედება ან თავიდან აიცილოს მისი არარსებობით გამოწვეული დისკომფორტი. ტოლერანტობა შეიძლება არსებობდეს, შეიძლება არა. ადამიანი შეიძლება განიცდიდეს დამოკიდებულებას ერთზე მეტ ნარკოტიკზე".

ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ზოგადი აღწერისას, ნარკოტიკული დამოკიდებულების ისეთი ფართო განმარტების შემთხვევაშიც კი, არსებობს მოსაზრება, რომ ამ ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს შედეგად, უნდა ჩაითვალოს ეიფორიული ეფექტი, მზარდი ტოლერანტობა და აბსტინენციის აგნვითარება.

როდესაც განვიხილავთ ისეთ გარემოებას, როგორიცაა ეიფორიული მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივუთითოთ, რომ სუბიექტური განწყობა ნარკოტიკისადმი და მისი ზემოქმედებისადმი დამოკიდებულება ყალიბდება სოციალურ გარემოში. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ეიფორიის ხასიათი განისაზღვრება კულტურულ-სოციალური ფაქტორებით.

განხილვისას დიდ ინტერესს იწვევს რამდენიმე სახის ნარკოტიკის გამოყენებისას ეიფორიის ეფექტის ანალიზი, მაგალითად, ინტერესს იწვევს ოპიუმისა და მორფინის ინტრავენური ინექციისაგან მიღებული ეიფორიული ეფექტი. ოპიუმის ინტრავენური ინექციისას ნარკოტიკული ეფექტი დგება მყისიერად. სუბიექტურად ოპიომანები განიცდიან შეგრძნებათა მთელ კომპლექსს, რომელთა შორის წამყვანია სითბური ტალღის შეგრძნება, რაც რიგ შემთხვევებში, შედარებულია ორგაზმის განცდასთან. ამ მდგომარეობას ნარკომანები უწოდებენ ე.წ. "პრიხოდს". ნარკოტიკების უკანონო მომხმარებელთა

დიდი ნაწილი თვლის, რომ “პრიხოდი” ისეთი მდგომარეობაა, რომელსაც ვერ შეედრება ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკებისაგან მიღებული ვერანაირი სხვა შეგრძნება. ნარკომანთა გადმოცემით – სითბური ტალღა გირტყავს თავში, მოიცავს მთელ სხეულს. ნარკომანები, როგორც წესი, აღნიშნავენ სამ სითბურ ტალღას, რომლებიც სხეულს ერთი მეორის მიყოლებით, დროის მოკლე შუალედში სდევს. გამოკითხულ ნარკომან-ოპიომანთა უმრავლესობა ამგვარადვე აღწერს მორფით მიღებულ “პრიხოდს” და უპირატესობას სწორედ ამ უკანასკნელს ანიჭებს. ზოგიერთი მათგანის გადმოცემით, “პრიხოდის” მდგომარეობაში ნეტარება აღწევს ისეთ “ზენიტს”, რომ შეუძლებელია ფეხზე დგომა, ამიტომ პრეპარატი ვენაში შეყავთ მჯდომარე ან დაწოლილ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ძლიერი შეგრძნების შემდეგ, დგება ეიფორიის მდგომარეობა, რომელსაც უწოდებენ “კაიფს”. ზოგიერთი ნარკომანი ამ მდგომარეობას საკმაოდ ხატოვნად აღწერს. ეიფორიის მდგომარეობაში ნარკომანს უჩნდება განმარტოვების სურვილი. რაიმე სახის საქმიანობის ყველა მცდელობა უნაყოფოა. ადამიანი, თითქოს, საკუთარ სხეულს არ გრძნობს, იგი თითქოს ღრუბლებში დაფრინავს და სიზმარსა და სიცხადეს შორის იმყოფება. ეიფორიის მდგომარეობაში მას ეკარგება რეალური დროის შეგრძნება. უჩნდებათ სმენითი ჰალუცინაციები. ნარკომანები ნახულობენ არაჩვეულებრივ სიზმრებს.

ძლიერი ეიფორიული მდგომარეობა, ანუ “კაიფი’ არ ვითარდება ოპიუმისა და მორფინის ყოველი მიღების შემდეგ და არ არის აუცილებელი იგი ნარკოტიკების ყველა მომხმარებელმა განიცადოს. ნარკოტიკების მომხმარებელთა დიდი ნაწილის აზრით “კაიფი” უნდა “დაიჭირო”, ანუ სასურველი ეფექტის მისაღებად, ნარკომანი, წინასწარ უნდა განეწყოს, დაივიწყოს ყველა საზრუნავი, მწუხარება და გათავისუფლდეს ცუდი განწყობისაგან. ამისთვის სასურველია მშვიდი გარემო, სიმშვიდე, წამოსაწოლი ადგილი და მოხერხებული პოზა. ყოველივე, კარგად იციან გამოცდილმა ნარკომანებმა. ამიტომ, ახალბედებს ისინი, თავისებურ “ინსტრუქტაჟს” უტარებენ, დაწვრილებით უხსნიან ოპიუმის შეყვანის შედეგად მიღებულ შეგრძნებებს. ნარკომანი შთააგონებს ახალბედას, რომ მას ელოდება შეუდარებელი ნეტარება. ასეთი შთაგონების შემდეგ, ოპიუმის შეყვანისას ახალბედა ნარკოტიკების მომხმარებელი ეძებს, მისთვის წინასწარ დაპირებულ, ახსნილ შეგრძნებებს.

ნარკომანების აღნიშვნით, ისეთი შეგრძნება, როგორიცაა “კაიფი”, არა მარტო უნდა “დაიჭირო”, არამედ უნდა შეინარჩუნო კიდეც. ანუ “კაიფის” მდგომარეობა ნარკომანებისათვის არ არის სტაბილური. თუკი ნარკომანს, რომელიც ეიფორიულ მდგომარეობაში იმყოფება, მაგალითად, ხმამაღალი შეძახილით წამოვაყენებთ, “კაიფი” გაქრება. ნარკომანი საშინლად ღიზიანდება და აგრესიული ხდება, თუ ის გამოჰყავთ “კაიფის” მდგომარეობიდან, ანუ მათი ტერმინოლოგიით ”კაიფს უტეხავენ”. ამიტომ გამოცდილი ნარკომანები ცდილობენ, წინასწარ შეიქმნან ისეთი გარემო, რომელიც შემდგომში მათ დაიცავს ყველანაირი შესაძლო გამაღიზიანებლისაგან.

საინტერესოა ისიც, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ზემოთ განმარტებულ მდგომარეობას განიცდის არა ყველა მომხმარებელი და არა მყისიერად. ვ.ვ. ბორინევიჩის მონაცემების მიხედვით, 108 ავადმყოფიდან, რომელთაგან მეტნაკლებად უტყუარი მონაცემები იქნა მიღებული, 57-ის თქმით, ნარკოტიკის მიღებისას, ისინი მაშინვე განიცდიდნენ ეიფორიის მდგომარეობას. 51 პირი აღნიშნავდა, რომ ოპიოდების პირველად მიღებისას, ისინი არ განიცდიდნენ ეიფორიას. [88,46] ეიფორიის განცდა პირველივე მიღებაზე, პაციენტთა, მხოლოდ 24,6% აღენიშნა. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, არსებობს ნარკომანთა გარკვეული კატეგორია, რომელსაც არ აქვს მკვეთრად გამოკვეთილი ეიფორია ნარკოტიკების დიდი დოზის მიღებისას და ხანგრძლივი მოხმარების შემთხვევაშიც კი. არსებობს მომხმარებელთა კატეგორია, რომლებიც არ განიცდიან ეიფორიის გრძნობას, უბრალოდ, ისინი, ამ ნარკოტიკების მოღებისას, გრძნობენ სიმხნევეს და თავდაჯერებულობას.

ის ეიფორიული ეფექტი, რომელიც მიიღება სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების (ანაშა, პლანი, მარიხუანა) მოხმარების შედეგად თავისი ხასიათითა და შინაარსით არსებითად განსხვავდება ოპიოდების მოხმარებით გამოწვეული ზემოაღწერილი ეიფორიისგან. არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანების გარკვეულ კატეგორიას ნარკოტიკების მოხმარებისაკენ უბიძგებს უსიამოვნო რეალობისაგან თავის დაღწევის სურვილიც. ამ ფენომენს “განდგომილების ეფექტი” შეიძლება ვუწოდოდ. სწორედ ამ ეფექტის მიღწევის მიზნით, ზოგი ადამიანი იწყებს ნარკოტიკების მოხმარებას, რადგან ამ გზით ხედავს გამოსავალს ტრაგიკული ცხოვრებისეული სიტუაციიდან. რეალური სინამდვილისგან გაქცევის მიზნით, ნარკოტიკებისადმი ლტოლვა, შეიძლება განაპირობოს პიროვნების გარკვეულმა დისჰარმონიამ, სურვილის აღსრულების

შეუძლებლობამ, სურვილსა და შესაძლებლობას შორის დიდმა სხვაობამ, პატივმოყვარეობასა და მონაცემებს შორის დისბალანსმა და სიძნელეების გადალახვის შეუძლებლობაში დარწმუნებამ. [89,46]

საინტერესოა, რომ თანამედროვე პერიოდში, "განდგომილების ეფექტი", როგორც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მოსალოდნელი შედეგი, ხშირად, ხდება ნარკოტიკული დამოკიდებულების წარმოქმნის პირველი მიზეზი, განსაკუთრებით მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რასაც, თავისი სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიზეზები აქვს. ნარკოტიკული საშუალებების ეს თვისება, არ წარმოადგენს საქართველოში მათი მოხმარების მთავარ სტიმულს. საქართველოში, უკვე განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ არც თუ ისე ბევრი ახალგაზრდა ირჩევს ამ გზას "განდგომილების ეფექტის" მისაღწევად, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს, რომ მოცემული ეფექტი მომავალში მისთვის, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი და მიმზიდველიც გახდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნარკოტიკული საშუალების თვისება, გამოიწვიოს ეიფორია და მოსწყვიტოს ინდივიდი რეალობას, მნიშვნელოვანია თანამედროვე ნარკოტიზმის განვითარების ახსნის კუთხით, ვინაიდან სწორედ ეს თვისებები ხდის ადამიანების გარკვეული ნაწილისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, ნარკოტიკულ საშუალებებს მიმზიდველს.

ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკების ზემოქმედების მეორე, სოციალური მიშვნელობის შედეგს წარმოადგენს მზარდი ტოლერანტობა – ნარკოტიკული საშუალებებისადმი ორგანიზმის შეგუების მექანიზმის ერთერთი გამოვლინება. ტოლერანტობას უწოდებენ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად ადამიანის ორგანიზმში განვითარებულ ადაპტაციურ პროცესებს, რომელთაც თან სდევს მისაღები დოზის მკვეთრი ზრდის აუცილებლობა საჭირო ეიფორიული ან "განდგომილების ეფექტის" მისაღწევად. ტოლერანტობა, რომელიც სუფთა სამედიცინო კუთხით, წარმოადგენს ნარკოტიკული საწამლავისადმი ორგანიზმის გაზრდილ წინააღმდეგობას, ნარკოტიკული მოჯაჭვულობის განვითარების შიდა მექანიზმის ნაწილად იქცევა.

საინტერესოა ვ.ვ. ბორინევიჩის მითითება. იგი აღნიშნავს რომ ადამიანის ორგანიზმს აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ტოქსიკური ნივთიერებების სულ უფრო მეტ და მეტ რაოდენობას. ეს არ გამოიწვევა მხოლოდ

ნარკოტიკების და ალერგეტიკების გამოყენებით, არამედ იგი შეიძლება გაჩნდეს მრავალი ორგანული და არაორგანული საწამლავისა თუ შენაერთის მიღებისას, რომელთა გამოყენებაც არ იწვევს ძლიერ დამოკიდებულებას. შესაბამისად, გაზრდილი ტოლერანტობის მოვლენა შესაძლებელია არსებობდეს ნარკომანიისგან დამოუკიდებლადაც, როგორც განსაკუთრებული ფენომენი. მაგრამ ნარკომანიის შემთხვევებში, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელლობას იძენს. [88,46] როდესაც ვახორციელებთ გაზრდილი ტოლერანტობის მოვლენის აღწერას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა ივაქციოთ, თუ დროის რა პერიოდი და ნარკოტიკის რა ოდენობა მიიღება საკმარისი მის აღმოსაცენებლად.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ჯ.ჯანაშია, რომელიც აანალიზებს რა ნარკოტიკებისადმი ავადმყოფური მიდრეკილების განვითარების პროცესს, გვთავაზობს არასამედიცინო მიზნებისათვის ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების დაწყების ყველაზე განვითარებულ გზებს, ესენია:

- მოხმარება ეიფორიის ან ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე სხვაგვარი სუბიექტური ზემოქმედების გამოწვევის მიზნით;
- მოხმარება კულტურულ, ისტორიულ და საყოფაცხოვრებო საფუძველზე. ეს ფორმა დამახასიათებელია იმ რეგიონებისათვის, სადაც გავრცელებულია ნარკოშემცველი მცენარეების კულტივირება;
- ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება თვითმკურნალობის მიზნით, შესაბამისი ნახარშების, ნაყენების და სხვა სახით მათი კუსტარული დამზადება;
- ნარკოტიკულ საშუალებათა მიღება სტომატიკურ დაავადებებთან დაკავშირებით, მცდარი დიაგნოზირების შემთხვევაში.

ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება წარმოიშვება ამ საშუალებათა სისტემატური მოხმარებისას, მათი მოხმარების სიხშირისა და დოზის გაზრდით. ნარკომანიის განვითარებას, ავტორი, პირობითად ყოფს სამ სტადიად:

პირველი სტადია ხასიათდება ნარკოტიკებზე ორგანიზმის რეაქციის შეცვლით. განვითარების ამ სტადიაზე ვითარდება ნარკოტიკებზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, "ფსიქოლოგიური-კომფორტის" მისაღწევად მისი განმეორებით მიღებისაკენ ლტოლვის მოვლენებით. ეს ლტოლვა ერთი დღის განმავლობაშიც კი შეიძლება არაერთგვაროვნად გამოიხატოს ამასთან, თუ ავადმყოფი რაიმე

საქმიანობითაა დაკავებული, ლტოლვა რამდენადმე მცირდება ან დაიძლევა, მაგრამ თუ ყურადღება თავისუფლდება, ნარკოტიკებისადმი ლტოლვა კვლავ და კვლავ იპყრობს ავადმყოფის მთელ ფსიქიკას.

მეორე სტადიაში ნარკოტიკულ საშუალებათა სისტემატიური მიღებისას ეიფორიული ეფექტი კლებულობს და ნარკოტიკული სიმთვრალის სურათი იცვლება ნარკოტიკების ძველი დოზებით მიღებისას. ნარკოტიკებისადმი ლტოლვა უკვე თითქმის გადაულახავ ხასიათს იძენს. მეორე სტადიის უმთავრესი კრიტერიუმია ე.წ. აბსტინენტური სინდრომის განვითარება, რომელიც ნარკოტიკების უკანასკნელი მიღებიდან 8 -12 საათის შემდეგ ვლინდება. ეს მდგომარეობა ხასიათდება ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ფუნქციების ერთობლიობით გამოწვეული რთული მდგომარეობით. ამიტომ ნარკოტიკების განმეორებითი მიღება ავადმყოფში იწვევს ფიზიკური და ფსიქოლოგიური კომფორტის სუბიექტურ შეგრძნებას.

ნარკომანიის მესამე სტადია ხასიათდება ნარკოტიკების ქრონიკული ინტოქსიკაციის, დაავადების სიმპტომების შემდგომი განვითარებით, ორგანიზმის ყველა სისტემის გამოფიტვით და ნეგატიური შეგრძნებების გაღრმავებით სუსტდება ნარკოტიკებისადმი ტოლერანტობა. აბსტინენციის მწვავე გამოვლინების ლიკვიდაცია ნარკოტიკების მიღების გზით არ იწვევს სიცოცხლის ტონუსის და შრომისუნარიანობის სრულ აღდგენას. დაავადების ამ ეტაპზე სამკურნალო და აღმზრდელობითი ღონისძიებები გარ თულებულია ორგანიზმში მიმდინარე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სხვა ცვლილებების შედეგად. [81,28-29]

დ.დ. ფედოტოვის აღწერით – მორფინისადმი ავადმყოფური სწრაფვა შეიმჩნევა პირველი 10-12 ინექციის შემდეგ და ზოგჯერ უფრო ადრეც. ამ დროისათვის, უკვე ჩნდება დოზის გაზრდის მოთხოვნილება 0,02-0,03 გრამით. ამასთანავე, თუკი, ნარკომანები პირველ ხანს, პრეპარატს სასიამოვნო შეგრძნების განსაცდელად იკეთებდნენ, შემდგომში, ნარკოტიკის მოხმარების ერთადერთ მიზნად რჩება აბსტინენტური მოვლენების - ”ლომკის” თავიდან აცილება, რომელიც სულ უფრო ძლიერდება ნარკოტიკის დოზის ზრდასთან ერთად. მორფინული ტოქსიკომანიის შემთხვევაში, ტოლერანტობა განსაკუთრებით მაღალია. ასე მაგალითად, მორფინისადმი შეუჩვეველი ადამიანისათვის სასიკვდილო დოზას წარმოადგენს 0,2-0,3 გრამი, ხოლო 0,5 გრამი აბსოლუტურად სასიკვდილოა, მაშინ, როცა პრეპარატს შეჩვეული ნარკომანები

ერთჯერადად 0,5-1 გრამს და მეტსაც იყენებენ. აღწერილია შემთხვევები, როცა მორფინის დღიური დოზა 10 გრამს აღწევდა. [70,173]

მორფინის, საშუალოდ 10-12 მიღების შემდეგ, წარმოქმნილი ტოლერანტობა იზრდება სწრაფი ტემპებით არა მხოლოდ აბსტინენტური მოვლენების გაჩენისა და ზრდის, არამედ შენარჩუნების და ზოგჯერ, ეიფორიული ეფექტის გაძლიერების ფონზეც. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა ოპიომანის ცხოვრებაში აუცილებლად დგება მომენტი, როდესაც მისთვის მორფინი კარგავს ეიფორიულ ეფექტს, მაგრამ ეს ხშირად ხდება დროის რაღაც მონაკვეთის, ზოგჯერ რამდენიმე წლის გავლის შემდეგ.

თანდათანობით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის სერიოზულად ზრდა, უნდა ჩაითვალოს ავადმყოფურ მოვლენად, ხოლო ადამიანი, რომელსაც ნარკოტიკისადმი გაზრდილი მოთხოვნილება გააჩნია, - ავადმყოფად. ასეთი ადამიანი "ავადაა, რადგან საწამლავი, რომელსაც იღებს ქრონიკულად, იწვევს განსაზღვრული ტიპის უჯრედების მდგრადობის მატებას მის მიმართ. ეს უჯრედები სხვა ფუნქციების შესასრულებლად უვარგისი ან უუნარო ხდება განსხვავებელი ზემოქმედების წინააღმდეგობის გასაწევად". [38,15-16]

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკული საშუალებების მიღების შეწყვეტის შემდეგ, გაზრდილი ტოლერანტობა თანდათან ქრება. ამიტომ დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ნარკოტიკების გამოყენების განახლებას ნარკომანები იწყებენ ბევრად უფრო მცირე დოზით, ვიდრე მანამდე მოიხმარდნენ.

ნარკოტიკული საშუალებების ქრონიკული მოხმარების შედეგად, სუბიექტს უვითარდება ფიზიკური დამოკიდებულება, რომელიც ვლინდება შეჩვეული ნარკოტიკული საშუალების ხელმიუწვდომლობის გამო აბსტინენციის განვითარებაში. აბსტინენციას ანუ ნარკოტიკულ შიმშილს, უწოდებენ ფიზიკური და სულიერი ტანჯვის მდგომარეობას, რომელიც ვითარდება ნარკომანებში ნარკოტიკული საშუალებების მიღებისაგან ნებაყოფლობით ან იძულებითი თავშეკავების შედეგად.

აღსანიშნავია რომ აბსტინენცია (ნარკომანების ენაზე "ლომკა"), ნამდვილი უბედურებაა ნარკომანისთვის, იგი, ფიზიკურადაც და მორალურადაც ,ანადგურებს მას. "ლომკის" დროს მომხმარებელი საბოლოოდ კარგავს ადამიანურ სახეს. დიდ დოზებს შეჩვეული ზოგი ნარკომანი, ძლიერი

აბსტინენციის მდგომარეობაში არ შეიძლება არ იწვევდეს სიბრალულს. თუმცა, ყველა ნარკოტიკული საშუალება არ იწვევს ამ ტიპის შეჩვევას. აბსტინენციის ძალა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია ასევე მიღებული ნარკოტიკების დოზაზე, მიღების სიხშირეზე და პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

"განსაკუთრებით მძიმეა აბსტინენცია ჰეროინის მიღების შემდეგ, შემდეგ ადგილზეა მორფინის ინტრავენური შეყვანა, შემდეგ მორფინის კუნთში ან კანქვეს ინექცია, შედარებით უფრო სუსტია ნარკოტიკული შიმშილი პრომედოლის და სხვა მორფინის მსგავსი მოქმედების სინთეზური პრეპარატის გამოყენებისას. აბსტინენციის ეფექტი კიდევ უფრო მცირეა ოპიუმის მოწევისას და ბოლოს კოდეინის, დიონინის და სხვა მათი მსგავსი პრეპარატების მიღებისას". [70,174] დღევანდელ დღეს აკრძალულია ჰეროინის წარმოება და სამედიცინო გამოყენება. ნარკოტიკების მომხმარებლების მიერ ჰეროინის გამოყენება დღეს, ძალზედ ხშირია.

მორფინის მოხმარებისას, აბსტინენცია ვითარდება, მისი ბოლო მიღებიდან 5-6 საათის შემდეგ წინა დოზის მოქმედების შეწყეტის შედეგად. აღსანიშნავია, რომ მკაფიოდ გამოხატული მორფინული აბსტინენცია ადამიანს თავისი ავადმყოფური მისწრაფების მონად აქცევს. ინტერესს იწვევს ის გარემოებაც, რომ აბსტინენციის მდგომარეობაში ნარკოტიკის მოსაპოვებლად მორფინისტები დიდ გამჭრიახობასა და შეუპოვრობას ავლენენ. "ამ პეროდისათვის დამახასიათებელია ფარმაკოფილიის, ანუ წამლებისადმი ლტოლვის დასაკმაყოფილებლად. ისინი, ხშირად, უამხანაგდებიან სხვა ავადმყოფებს და სამედიცინო პერსონალისაგან წამლების მოთხოვნას და შემდეგ მათთვის გადაცემას ავალებენ. მოტყუება, მოსყიდვა, ქურდობა – ყველა ხერხი გამოიყენება ნარკოტიკის ან მისი შემცვლელის მოსაპოვებლად: [38,15-16]

ოპიოდური ნარკოტიკის მოხმარებისას აბსტინენცია, თავისი კლინიკური სურათით, მორფინულის მსგავსია. ავადმყოფთა უმეტესობაში, ნარკოტიკული შიმშილის პირველი გამოვლენა საერთო სისუსტით, შემცივნებით, მთქნარებით, დაღლილობის შეგრძნებით გამოიხატება. შემდეგ ვლინდება ძილის დარღვევა, სურდო, ცემინება, ხველება, ცრემლდენა, ჭარბი ოფლიანობა. ნარკოტიკის მიუღებლობისას 48-72 საათის შემდეგ ვლინდება სუნთქვის მკვეთრი გახშირება, არტერიული წნევის მატება, ტაქიკარდია, ტკივილები მთელს სხეულში. [70,174] ეს ყველაფერი კარგად იციან გამოცდილმა ნარკომანებმა და ისინი ყველაფერზე მიდიან, რომ ეს გარემოება არ გამოიწვიონ.

ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების მეორე და ძალზედ მნიშვნელოვანი შედეგი ფსოქოლოგიური დამოკიდებულების განვითარებაა. ნარკომანიის, ჩვენთვის საინტერესო, ინდივიდულური და სოციალური შედეგების ახსნაში, ფსოქოლოგიურ დამოკიდებულებას, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მიუხედვავდ ფიზიკური დამოკიდებულების დაძლევის სირთულისა, მკურნალობის ფონზე, მისგან გათავისუფლება, შედარებით მოკლე ვადაში ხდება, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ფსოქოლოგიურ დამოკიდებულებაზე, რომელიც ხანგრძლივი დროით – წლების მანძილზე ნარჩუნდება. ე.წ. ცრუ აბსტინენცია, რომელიც ფიზიკური დამოკიდებულების გათავისუფლებიდან დიდი დროის შემდეგ აღმოცენდება, იგი, სავარაუდოდ, უნდა ჩაითვალოს ფსიქოლოგიურ და არა ფიზიკურ პრობლემად. ყოველივედან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ნარკოტიკების მომხმარებლისათვის უფრო რთულია ფსიქოლოგიური დამოკიდებულების დაძლევა, ვიდრე ფიზიოლოგიურის. პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ფსიოქოლოგიური დამიკიდებულება, ძალზედ დიდ ხანს გრძელდება და მუდამ არსებობს საფრთხე, რომ ნარკომანი ისევ დაიწყებს ნარკოტიკების მოხმარებას, რადგან ადამიანის ფსიქოლოგია მაინც განწყობილია ნარკოტიკების მოხმარებისკენ.

ყოველი ჩვენგანი ინდივიდია და განვსხვავდებით ერთმანეთისაგან ჩვენი ინტერესებით, პრობლემებით, ჩვენი სამომავლო გეგმებით, საქმიანობით და კიდევ სხვადასხვა თვისებით, მაგრამ ყველას გვაერთიანებს ერთი სურვილი – ყველას გვსურს, რომ ჩვენი ცხოვრება იყოს ბედნიერი. ვინ იცის, რომელი ბრძენი განგვიმარტავს, რა არის ბედნიერება, ვინ მოგვცემს ბედნიერების რეცეპტს, თითოეული ჩვენგანი ირჩევს ცხოვრების საკუთარ გზას თავისი წარმატებებითა თუ შეცდომებით. და მაინც, მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი შეცდომა არ უნდა დავუშვათ, რადგან შეიძლება ასეთ შეცდომას საბედისწერო შედეგი მოჰყვეს. სწორედ ასეთ შეცდომას მიეკუთვნება ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულება.

სამწუხაროდ, წინამდებარე ნაშრომისათვის ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ საზოგადოების მრავალი წევრი ეჯახება პრობლემას, რასაც ნარკოტიკების მოხმარება ჰქვია, სამწუხაროდ, ეს, ხშირად ხდება მეგობრების წრეში. უკვე გამოკვლეულია, რომ ახალგაზრდების უმრავლესობამ, თუნდაც ერთხელ, მაგრამ მაინც უკვე გამოსცადა ნარკოტიკი ან სხვა ტოქსიკური ნივთიერება და ეს პირველად, სწორედ მეგობრების წრეში მოხდა. მასობრივი ინფორმაციის

საშუალებები, - სატელევიზიო პროგრამები, ჟურნალ-გაზეთები, თუ სხვა, იძლევიან საშუალებას, რომ საზოგადოებამ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ნარკოტიკებისაგან გამოწვეული ნარკოტიკების, როგორც ცალკეული პოტენციური მომხმარებლის, ისე მთლიანად ერის დამღუპველი შედეგების შესახებ. მიუხედავად ამისა, ნარკოტიკების მოხმარების ფაქტები კი არ იკლებს, არამედ, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო მატულობს.

ნარკომანია განიხილება არა მხოლოდ როგორც დაავადება – სამედიცინო-ბიოლოგიური თვალსაზრისით, არამედ იგი, ზოგიერთისთვის, ცხოვრების წესიცაა, უფრო სწორად, არსებობის წესი, ეს ისეთი გზაა, რომელსაც არსად მივყვართ, ეს არის გზა, ადამიანის სხეულის, სულის, ინტელექტის განადგურებისა, რაც საბოლოო ჯამში, საფრთხეს მთელ ერს და მის გენს უქადის.

მართალია, საქართველო ნარკოტიკების მოხმარების კუთხით, არ არის ერთ-ერთ პირველ რიგში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, საქართველოში მცხოვრები მოსახლეობისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა პროცენტულ რაოდენობას, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა მეტად საგანგაშოა.

თითქმის ყველა ქვეყანაში ნარკობიზნესის განვითარების ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორად ითვლება პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა. ეს დაკავშირებულია ნარკოტიკების წარმოებიდან და გაყიდვიდან მიღებული მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებასთან. საზოგადოებისთვის ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკულ საშუალებების კონტრაბანდიდან მიღებული ფინანსები ხმარდება იარაღის შეძენას სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული კონფლიქტების გასამწვავებლად და დეზორგანიზაციისათვის. [150,533-534] აგრეთვე პარალელურად იზრდება ორგანიზებული დამნაშავეობის კავშირები სხვადასხვა ტერორისტულ და ექტრემისტულ დაჯგუფებებთან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ნარკობიზნესის განვითარების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მრავალ ქვეყანაში სოციალური ინსტიტუტების შესუსტება და დისფუნქცია, პოსტსოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების ძალიან სწრაფი ტემპები. ნარკობიზნესის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემწყობი მიზეზია მთავრობათა კორუმპირებულობა, რომელთა წევრებიც იღებენ უზარმაზარ მოგებას კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელებით. ხშირად სახელმწიფო

მოხელეები არ მიმართავენ არანაირ ბრძოლის ხერხს ნარკობიზნესის საწინააღმდეგოდ. რიგ ქვეყნებში, იყენებენ რა კორუმპირებულ პოლიტიკოსებს, მოკავშირეებს სამართალდამცავ ორგანოებში, არმიაში, საბაჟოში, ნარკომაფია ძლიერ გავლენას აღწევს. კერძოდ, მაგალითისთვის მოვიყვანთ ბოლივიაში 80-იან წლებში ე.წ. „ნარკოკრატია“ მთავრობისა და ნარკოტიკებით მოვაჭრე დამნაშავეობრივ ორგანიზაციათა კავშირს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ შეუძლებელი იყო ბოლივიის სამხედრო მთავრობის და ნარკომომწოდებელთა შორის ზღვარის გავლება. ამავე დროს, ქვეყნის სუვერენიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მსგავსი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, ხშირ შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ დაცვას სხვა ქვეყნების მცდელობისგან, შეაჩეროს მათი დანაშაულებრივი საქმიანობა. ერთ-ერთი მიზეზია, აგრეთვე, კანონის არ არსებობა ან მისი არასრულყოფილება ან მისი შესრულებისადმი უკონტროლობა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამწვავება, ეს ყველაფერი ერთიანობაში ნარკობიზნესის განვითარებისათვის ხელისშემწყობი გარემოებაა. ნარკოტიკების გავრცელების მიზეზები მრავლადაა, მოცემულ პრობლემაზე ამ თავში კიდევ გვექნება საუბარი.

საქართველოში 70-80-იანი თვითდამშვიდების ატმოსფერო ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ საზოგადოებაში არ, თუ ვერ ამჩნევდნენ მზარდ, მეტად მწვავე, სოციალურ პრობლემას – ნარკომანიას. როგორც ამას, ჩვენს მიერ წარმოებული კვლევები აჩვენებს, რეალური მდგომარეობა არ შემოიფარგლება, რაღაც გარკვეული სფეროებით, რაღაც გარკვეული ჯგუფებით, რომელთა წევრებიც მთლიანად არიან დეგრადირებული საზოგადოებისაგან და სოციალურ-ზნეობრივი ურთიერთობებისაგან. ამ ბოროტებამ, პრაქტიკულად, მოიცვა, ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი და ღუპავს მოსახლეობის შედარებით ქმედუნარიან მოსახლეობას.

ბატონი ანზორ გაბიანის მონაცემებით, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევდა ნარკომანიასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ნარკომანია ძირითადად ვრცელდება ქალაქში მცხოვრებ მამაკაცებში 35 წლის ასაკამდე. [96,18] განსაკუთრებით გვაშფოთებს, რომ მათ შორის, ყოველი მესამე, 25 წლამდე ასაკისაა. თუმცა, ნარკომანია, უპირველეს ყოვლისა, ძირითადად, ქალაქის პრობლემად ითვლება, მაგრამ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გეოგრაფია მეტად გაფართოვდა, მათდამი დამღუპველი მიდრეკილება აღწევს ქალაქიდან მოცილებულ რაიონებსა და სოფლებსაც.

განათლების დონის მიხედვით ნარკომანები დიდად არ გამოირჩევიან თავისი თანატოლებისაგან: მათი უმრავლესობა (დაახლოებით 84%) საშუალო ან უმაღლესი განათლებითაა ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით (დაახლოებით 63%), არც სწავლობენ და არც მუშაობენ (დაახლოებით 40%). ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის, (დაახლოებით 22%) ადრე ნასამართლევია, მათ შორის, თითქმის ყოველი მეორე პასუხისგებაში იყო მიცემული ნარკოტიკებთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულებისათვის, ხოლო ყოველი მეექვსე – ნარკოტიკების უკანონოდ დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაგზავნის, გადატანისათვის გასაღების მიზნის გარეშე. დაახლოებით, ყოველი მეშვიდე, ცხოვრობს ოჯახში, სადაც ბოროტად მოიხმარენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ან ალკოჰოლს, ან ვინმეა ადრე ნასამართლევი ან მძიმედაა ავად ფსიქიკური ან ნერვიული დაავადებებით. ნარკომანები ნარკოტიკებისათვის იხდიან დიდ თანხებს, „ხშირად ამ თანხებს მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მოიძიებენ, რადგანაც მომხმარებელთა უმრავლესობა არ მუშაობს და თუ მუშაობს, იმდენ ანაზღაურებას ვერ ღებულობს, რაც ნარკოტიკების შეძენას ესაჭიროება. უფრო დაწვრილებით, კვლევის შედეგები განხილული იქნება შემდეგ თავში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნარკომანია ისეთი საზოგადოებრივი დაავადებაა, რომლის მიჩუმათება და დამალვაც არ შეიძლება და დაუშვებელია: საჭიროა ამ მოვლენასთან ბრძოლის კომპლექსური ზომების შემუშავება, რისთვისაც აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს მისი ღრმა სოციალური მიზეზების გამოვლენა.

მეტად დიდ პრობლემას წარმოადგენს ადამიანების ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულება, ეს პირის ისეთი მდგომარეობაა, როცა მას უჩნდება ნარკოტიკული საშუალებების სისტემატურად მიღების აუცილებლობა, ხოლო ნარკოტიკების სისტემატურად მიღება კი, ცვლის ორგანიზმის ფსიქიკურ რეგულაციას. თვითონ ტერმინი „დამოკიდებულება“ უცნაურად გვეჩვენება, რადგანაც, ბუნებრივია, ისმის კითხვა: განა შეიძლება, ორგანიზმი დამოკიდებული იყოს ისეთ საშუალებაზე, რომელიც ორგანიზმისათვის, პირდაპირი მნიშვნელობით, მომწამვლელია? როგორც, ჩანს, შესაძლებელია.

ჩატარებული კვლევებისა და მისი ანალიზის შედეგად, მივიჩნევთ, რომ ნარკოტიკები, თავისი ქიმიური აგებულების თავისებურებების გათვალისწინებებით ზემოქმედებს თავის ტვინის უჯრედებში მიმდინარე

ცვალებად პროცესებზე და იწვევს ეიფორიას. ამ ზემოქმედების შედეგად უჯრედებს შორის ირღვევა კავშირი. ტვინის უჯრედებს აღარ შეუძლიათ ერთმანეთთან ნორმალურად ურთიერთმოქმედება ნარკოტიკის გარეშე. შესაბამისად, ამის გამო, თავის მხრივ, ირღვევა ორგანიზმის ფუნქციების რეგულაცია. ადამიანი ამ დროს განიცდის დისკომფორტს, ღიზიანდება, წარმოიშვება მისი ცუდად ყოფნის ანუ ავადმყოფობის შეგრძნება, საერთო ჯამში, იგი შედარებით სუსტად გრძნობს თავს. ნარკოტიკის მიღების შემდეგ, რომელიც დროებით აღადგენს თავის ტვინის უჯრედებს შორის დარღვეულ ქიმიურ კავშირს, ავადმყოფობის სიმპტომები ქრება, უმჯობესდება ხასიათი და ა.შ. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა, რადგანაც, როცა ნარკოტიკის მოქმედება მთავრდება, კვლავ ბრუნდება ჯანმრთელობისა და ხასიათის გაუარესების გრძნობა. გამოდის, რომ ნარკოტიკს, რომელიც თავის ტვინში იწვევს ცვლილებებს და რთულ ბიოქიმიურ პროცესებს, იმავდროულად შეუძლია ჩამოუყალიბოს პიროვნებას გამოჯანმრთელების შესაძლებლობების ჩამოყალიბების ილუზია.

ადამიანი ხვდება ერთგვარ ჩაკეტილ წრეში, იგი ნარკოტიკს იმისათვის მოიხმარს, რომ ჩამოიშოროს არასასურველი განცდები და შეგრძნებები, მაგრამ გამაბრუებელი ნივთიერების გამოყენება უფრო და უფრო ზრდის ამ უსიამოვნო შეგრძნებებს. ორგანიზმის საქმიანობა, ნამდვილად საჭიროებს ნარკოტიკს, ამიტომ, ადამიანს უყალიბდება ნარკოტიკისადმი დამოკიდებულება, რაც ავადმყოფობად ითვლება. ხშირად ნარკოტიკის მომხმარებლისათვის, ჩვენს მიერ აღნიშნული სიმპტომები, შეუმჩნეველი რჩება. ადამიანი დამაჯერებლად თვითიმედოვნებს, რომ იგი აკონტროლებს პროცესს: „როცა მოვინდომებ – მაშინ დავანებებ თავს“, სრულებითაც არ ეჭვობს, რომ უკვე დამოკიდებულია ნარკოტიკზე და პროცესს, რასაკვირველია, ვეღარ აკონტროლებს. პირველად, ერთგვარ გამაფრთხილებელ მოვლენას წარმოადგენს პერიოდულად გაჩენილი სურვილი, გასინჯოს ნარკოტიკი, იგრძნოს ის „სასიამოვნო“ გრძნობა, რაც პირველად გასინჯვის დროს განიცადა. სწორედ ესაა მისი ფსიქიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მტკიცებულება.

თანდათანობით, ნარკოტიკების მოხმარების გარეშე, ადამიანს უფუჭდება ხასიათი და უარესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა, მცირდება ნარკოტიკების მოხმარების შუალედი, ნარკოტიკის მოხმარება ხდება უკვე არა იმიტომ, რომ განიცადოს სასიამოვნო განცდები, არამედ, იმიტომ, რომ გაექცეს არასასიამოვნო

მდგომარეობას. სწორედ ეს არის ფიზიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბების მტკიცებულება.

არ არსებობს ნარკოტიკი, რომელიც არ იწვევდეს დამოკიდებულებას და არ არსებობს ადამიანი, ვისთვისაც ნარკოტიკი საფრთხეს არ წარმოადგენდეს. არცერთ ჩვენგანს არა აქვს ისეთი ბიოლოგიური დაცვა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა, გავქცეოდით შეჩვევას. ნარკოტიკების გამოყენება, უკიდურესად სახიფათო ექსპერიმენტია. ხშირად ასეთი ექსპერიმენტი (ორი-სამი დოზის გაკეთებისასაც კი) მთავრდება ამ ავადმყოფობის წარმოშობით. ნარკოტიკულ საშუალებებისადმი ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების მკურნალობა მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია.

ნარკოტიკებისადმი ფსიქოლოგიური და ფიზიკური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგანაც ნარკოტიკების მოხმარება ეიფორიას იწვევს. ექიმი-ნარკოლოგები ამდაგვარ მდგომარეობას განსაზღვრავენ, როგორც ნარკოტიკების მოხმარების შედეგად მიღებულ დადებითი შეგრძნებებისა და განცდების კომპლექსს. ჩვენის აზრით დადებითი შეგრძნებებისა და განცდების გამოწვევა შეიძლება სხვადასხვა მიზეზის ზემოქმედებითაც, მაგალითად: სიყვარული, მითუმეტეს, თუ ეს ორმხრივია; წარმატება სპორტში ან სხვა რაიმე საქმიანობაში; სილამაზე, რომელსაც შეამჩნევ და იმოქმედებს ადამიანის გრძნობებზე; ამ მიზეზთა ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. ჩვენ შევეცადეთ, გამოგვერკვია, თუ რაშია ნარკოტიკული ეიფორიისადმი დამოკიდებულება. ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა გამოკითხვები გვიდასტურებს, რომ ხდება რეალობის აღქმის დამახინჯება – სამყარო მათ ეჩვენებათ არა ისეთად, როგორიც სინამდვილეშია, არამედ იცვლება საგნების მოხაზულობა, მათი ფერი, ესმით გარკვეული ხმები, რომლებიც ხან დაბალია, ხან, პირიქით, მეტად ხმამაღალია, შეიძლება ჰალუცინაციების არსებობაც. ნარკოტიკი ხვდება რა ორგანიზმში, ცვლის თავის ტვინის ფუნქციონირების მექანიზმებს, აიძულებენ თავის ტვინს, გამოყონ განსაკუთრებული ნივთიერებები – ენდორფინები.

ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ძალა ძალიან ძლიერია, უჯრედები სწრაფად იფიტება, მათი ნაწილი, ზოგჯერ, კვდება კიდეც. ამიტომ, ნარკოტიკული თრობის დროს, მახინჯდება გარე სამყაროს აღქმა. ხშირად, გაბრუების მოყვარულნი ირწმუნებიან, რომ ეიფორია მათ ეხმარება მრავალრიცხოვანი პრობლემების დავიწყებაში. ეს მართლაც ასეა, რადგანაც

მიღებული ნარკოტიკი აფერხებს თავის ტვინის იმ უჯრედების მუშაობას, რომელთაც „განსჯა და პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება“ ევალებოდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, არასასურველი განცდებისაგან დროებით გათავისუფლება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი საერთოდ თავისუფლდება ამ პრობლემებისაგან. იგი ამ პრობლემის გადაჭრის დროს კარგავს, უფრო მეტიც, მას შეიძლება, სულ მალე, გაუქრეს თავისი პრობლემების გადაჭრის სურვილი, ნარკოტიკი ასუსტებს ნებისყოფას და კარგავს რეალობის განცდას. ნარკოტიკის გამოყენებისას, ადამიანი ძალზედ სწრაფად კარგავს უნარს, განიცადოს „ნორმალური“ მიზეზებით გამოწვეული სასიამოვნო შეგრძნებები, ნარკოტიკები მისთვის ხდება სიამოვნების მიღების ერთადერთი წყარო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ პირი, რომელიც ნარკოტიკზეა დამოკიდებული, ცხოვრებას აგრძელებს სულ სხვა წესებით. მისთვის პირველ ადგილზეა ნარკოტიკები, ხოლო დანარჩენი, მეორეხარისხოვანია. ჯერ ნარკოტიკები, მერე ახლობლები; ჯერ ნარკოტიკები და მერე წარმატება; ჯერ ნარკოტიკები და მერე ფული და ა.შ. ჩვენ, აგრეთვე ვასკვნით, რომ ნარკოტიკებს არ ძალუძთ ადამიანებს მიანიჭონ სიამოვნება, ისინი მხოლოდ სიამოვნების მიღების ილუზიას ქმნიან, რადგან ეიფორია წარმოიშობა არა იმისგან, რომ ადამიანის ცხოვრება ნამდვილად წარმატებულია და ხდება რაღაც მნიშვნელოვანი და სასიამოვნო, არამედ იმისგან, რომ მისი ტვინი ემორჩილება ქიმიურ სტიმულატორებს. ასეთი ილუზია მეტად ძვირად ფასობს, რადგანაც გადახდა შეიძლება მოხდეს ყველაზე ფასეული „ვალუტით“: ჯანმრთელობით, გარეგნობით, წარმატებებით.

ჩვენ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალგაზრდებში ნარკოგენური დაბინძურების შესაძლო განვითარება გამოვყოთ ოთხ ეტაპად: პირველი ეტაპი – ამ ეტაპის საკვანძო მოვლენაა ნარკოტიკის გასინჯვის პირველი მცდელობა. ხშირ შემთხვევაში, მოზარდი ნარკოტიკს გამოიყენებს არა ეიფორიის ეფექტის მისაღებად, რომელზედაც მას, ჯერ წარმოდგენაც არა აქვს, არამედ, რაღაც სხვა სახის მოთხოვნილების რეალიზაციისათვის. ჩვეულებრივად, ეს დაკავშირებულია თანატოლებთან აუცილებელი ურთიერთობით, მაგალითად, მოიხმარს ნარკოტიკს იმისათვის, რომ თანატოლებმა „თავისიანად“ აღიარონ ან მათ წრეში არ გამოჩნდეს, როგორც „თეთრი ყვავი“, ან მოიხსნას დაძაბულობა უცნობ პირებთაან ურთიერთობისას. აქ, საგანგაშოდ, სწორედ ის მიგვაჩნია, რომ

გამოკითხულ მოზართა უმრავლესობამ აღიარა, რომ ნარკოტიკი პირველად, სწორედ იმიტომ გასინჯეს, რო არ იცოდნენ, როგორ ეთქვათ უარი.

ჭეშმარიტად, ამას არ ასწავლიან არც სკოლაში, არც ოჯახში. ისეთი სიტუაცია, როცა წარმოიშვება ნარკოტიკის გასინჯვის შესაძლებლობა, მოზარდისათვის ახალია და მას არ აქვს უნარი, გაერკვეს ამდაგვარ სიტუაციაში. ამიტომ, თუნდაც იცოდეს ნარკოტიკის საფრთხის შესახებ, ექცევა გარშემომყოფთა ზეგავლენის ქვეშ, ემორჩილება მას. მიუჩვეველ გარემოში, მეტად რთულია წინააღმდეგობის გაწევა, თავისი პოზიციის გამოვლენა. ეს, განსაკუთრებით, ეხება უმცროსი ასაკის მოზარდებს. შედეგად ვღებულობთ, რომ ნარკოტიკებთან პირველი გაცნობა მოზარდ ასაკში შეიძლებოდა აღკვეთილიყო, მათი დროულად მომზადების შედეგად, მათი მომზადებით იმ უნარების გამოსამუშავებლად, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამდაგვარ, სახიფათო მდგომარეობაში.

ხშირ შემთხვევაში, გამაბრუებელი საშუალების პირველად მიღების შედეგად, ეიფორიული ეფექტის მიღწევა არ ხდება. ბავშვები, ხშირად ამბობენ, რომ „ვერაფერიც ვერ იგრძნეს“, ან უჭირთ იმ შეგრძნებების გამოხატვა, რაც მათ განიცადეს ნარკოტიკთან პირველად გაცნობისას, აღიარებენ, რომ „დაეხვათ თავბრუ“, „წაბარბაცდნენ“ და ა.შ., ან აცხადებენ, რომ ჰქონდათ არასასიამოვნო შეგრძნებები: „გული ერეოდათ“ „თავი სტკიოდათ“. ნარკოტიკების პირველად მოხმარებას, როგორც წესი, არ მივყავართ თავის ტვინში მიმდინარე პროცესების ფიზიოლოგიურ ცვლილებებამდე, ამიტომ იგი არ ეხება არასრულწლოვანის ემოციურ, ნებელობით და ზნეობრივ სფეროებს. შენარჩუნებულია მისი ძირითადი ცხოვრებისეული ორიენტირები და ფასეულობანი. ამ პერიოდში, როცა ზრდასრული ადამიანი ურთიერთობს ახალგაზრდასთან, მას შეუძლია აპელირებდეს ტრადიციულად მნიშვნელოვანი ფაქტორებით – დასჯის შიშით, პასუხისგებაში მიცემის შიშით, გამაბრუებელი საშუალებების შედეგად მომავალი გეგმების ნეგატიური შედეგებით. მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკის პირველად მიღებას არ მოსდევს რეალური ფიზიოლოგიური ცვლილებანი, პირველად გასინჯვას აქვს მეტად დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. საქმე იმაშია, რომ მოზარდის ცნობიერებაში იხსნება თავისებური დამცავი ფსიქოლოგიური ბარიერი, ტაბუ, რომელიც გარკვეულ პერიოდამდე უკრძალავდა გამაბრუებლების მიღებას. ამ ეტაპზე შეიძლება ჩამოყალიბდეს შეხედულება ნარკოტიზაციის უსაფრთხოების შესახებ. მართლაც, მოზარდი ნარკოტიკის პირველად მიღებისას, მოზარდი მალულად ელოდება რაღაცა არაჩვეულებრივის

განცდას, მაგრამ რეალურად იგი არ ჩანს. ამიტომ შეეძლება მოზარდს მოეხსნას ინტერესი გამაბრუებლების შემდგომ გამოყენებაზე, ან პირიქით, გახდეს მიზეზი, მათი შემდგომი გამოყენებისათვის. პირველი ეტაპი წარმოადგენს, თავისებურ, „ნარკოტიკული თრობის“ ათვისების ე.წ. სკოლას.

მეორე ეტაპი – მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელია ეიფორული ეფექტის პირველად შეგრძნება. ნარკოტიზაციია სოციალური მოტივები თანდათანობით იცვლება სხვა მოტივებით – მისწრაფებით, რომ კვლავ და კვლავ განიცადონ ე.წ. „კაიფი“. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ეტაპზე ეიფორიული შეგრძნებები უფრო მკაფიოდ გამოხატულია და მნიშვნელოვანი. მოზარდს შეუძლია დიდხანს და დიდი სიამოვნებით აღწეროს, თუ რას განიცდის ამ პროცესში: „უყურებდა მულფილმებს“, „ფრენდა“ და ა.შ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, თუ რა იწვევს ამდაგვარ ეიფორიას: საქმე იმაშია, რომ ნარკოტიკული საშუალებები ასუსტებენ იმპულსურ სიგნალებს, რომლებიც შინაგანი ორგანოებიდან მოდის. ნორმალურ სიტუაციაში, ჩვენ ამ სიგნალებს ვერ შევიმეცნებთ, ისინი აღიქმება ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურების მიერ, სწორედ ისინი გვიქმნიან „დედამიწის მიზიდულობის“ შეგრძნებას. ნარკოტიკების მიღებისას „დედამიწის მიზიდულობა“ დროებით უკან იხევს და წარმოიშვება შეგრძნება, რომ „დაფრინავ ღრუბლებში“. რასაკვირველია, ეიფორული შეგრძნებების გამოცდილება ეხება არასრულწლოვანთა როგორც ნებელობით, ისე მის ზნეობრივ სფეროებს. ამ ეტაპზე, მისთვის გასაგებია რისკის ის ხარისხი, თუ რა საფრთხეში იგდებს თავს ნარკოტიკის მიღებით, მაგრამ შეებრძოლოს ეიფორიის მიღების შეგრძნებას, ნამდვილად უჭირს. მეორე ეტაპის მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს: ახალგაზრდა ადამიანს ნარკოტიზაციაზე უყალიბდება დადებითი წარმოდგენები, შესაძლებლობები, რომ ნარკოტიკების მეშვეობით მიიღოს „უფასო სიამოვნება“. სინამდვილეში, უფროსი თაობის მიერ მიუხედავად მათი მრავალი გაფრთხილებისა, ვინაიდან მოზარდი ვერ შეიგრძნობს ნარკოტიკების უარყოფით შედეგებს, ამიტომ მათ უფროსი თაობის სკოლის მოსწავლეები გაურბიან ამ თემაზე გულახდილ საუბარს, რადგან მიაჩნიათ, რომ მშობლები და პედაგოგები ამ საკითხში არაკომპეტენტურები არიან, ვინაიდან მათ არ აქვთ ნარკოტიკების მიღების პრაქტიკა, მოზარდთა აზრით, ისინი საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც თვითონ არ განუცდიათ, არა აქვთ ნარკოტიკების მოხმარების პრაქტიკული გამოცდილება და საერთოდ ვერ ერკვევიან ამ საკითხებში.

ამ ეტაპზე შეიძლება მიმდინარეობდეს მოზარდის ურთიერთობების წრეში გარკვეული ცვლილებები. მან შეიძლება იგნორირება გაუწიოს ძველ ნაცნობებს, რადგან მიღებული გამოცდილების შედეგად, იგი თავს უკვე მოზრდილად თვლის. ჩნდებიან ახალი ნაცნობები, ისინი, ვისთან ერთადაც იგი იღებს ნარკოტიკულ საშუალებებს, ისინი, ვინც ეხმარებიან მას პრეპარატის მოძიებაში. მეორე ეტაპის მიმდინარეობისას ხდება ნარკოტიკული საშუალებების მიღების მდგრადობა, ნარკოტიკების პირველად მიღებული უნარების განმტკიცება, აგრეთვე ამ ეტაპზე ხდება ნარკოტიზაციის ახალი ვარიანტების ათვისება. არასრულწლოვანი იწყებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებაში, აინტერესებს, თუ რომელი ნარკოტიკი იწვევს მისთვის ეიფორიას. ამ ეტაპზე მოზარდს აუცილებლად ესაჭიროება სისტემატური ფსიქოლოგიურ-პედაგოგიერი კორექციული სამუშაოები (ეს შეიძლება იყოს გარკვეული ტრენინგები, თამაშობები და სხვ.), აგრეთვე სპეციალური ანტინარკოგენური კონტროლი, რომელიც შეეწინააღმდეგება, მომავალში, მის მიერ ნარკოტიკების მიღებას.

მესამე ეტაპი – მესამე ეტაპის საკვანძო მოვლენაა მოზარდის ფსიქოლოგიური დამოკიდებულების სიმპტომების გამოვლენა. მოზარდს, იმ მომენტში, როცა არ აქვს გამაბრუებელი საშუალება, იგი შეწუხებულია, უჩნდება გაბგაშის გრძნობა, გაღიზიანებულია და ა.შ. ხშირად, ნარკოტიკებისადმი მოთხოვნილება მიაჩნიათ მოჩვენებითად. რადგანაც ხშირად მართებულად მიიჩნევენ, რომ არ შეიძლება მოთხოვნილება გქონდეს იმაზე, რაც განადგურებს, რაც შხამია შენი ორგანიზმის განვითარებისათვის. სამწუხაროდ, ზოგჯერ ნარკოტიკების მოთხოვნილება უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე მოთხოვნილება საკვებზე, სასმელზე, დაცვაზე და სხვ. მესამე ეტაპზე იკარგება ძალა და ეიფორული შეგრძნებების „სიამოვნება“. ეს კი, თავის მხრივ, ზემოქმედებს ნარკოტიზაციის მოტივებზე. მოზარდისათვის ამ ეტაპზე დამახასიათებელია ის, რომ ნარკოტიკული საშუალება მოიხმაროს არა იმიტომ, რომ მიიღოს სიამოვნება, არამედ მოიხმარს იმიტომ, რომ დაფაროს და მოიხსნას ნეგატიური განცდები. ძალიან ხშირად, სწორედ ამ ეტაპზე ხვდებიან, რომ მოზარდს რაღაცა სჭირს, ამ დროს ხდება ხასიათის სწრაფად ცვლა, ხშირად გაუგებარია მოზარდის ქცევის მოტივები. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ცვლილებები ინტელექტუალურ, ნებელობით, ზნეობრივ სფეროებში. არასრულწლოვანს, შეიძლება ისევ შეგნებული აქვს ნარკოტიზაციის მავნებლობა, მაგრამ წარმოაჩენს მთელ რიგ არგუმენტებს „ნარკოტიკებით თრობის სასარგებლოდ“. უკიდურესად იშვიათად

მიდის კონტაქტზე იმ ადამიანებთან, რომლებიც ასე, თუ ისე, ხელს უშლიან მის ნარკოტიზაციას. იცვლება მშობლებთან, თანაკლასელებთან მათი ურთიერთობის ხასიათი, იცვლება ძველი გატაცებებისადმი და ინტერესებისადმი მიდგომა, დამოკიდებულება, ისინი კარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას, მისი ურთიერთობების წრე ვიწროვდება და შემოიფარგლება იმ წრით, სადაც ხდება ნარკოტიკების მიღება. ამ ეტაპზე ახალგაზრდას აუცილებლად ესაჭიროება ფსიქოლოგისა და ექიმის დახმარება. პედაგოგის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოავლინოს პირი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მოახდინოს მისი რეაბილიტაციის ორგანიზება, დაარწმუნოს იგი და მისი მშობლები, რომ საჭიროა მკურნალობა და ა.შ.

მეოთხე ეტაპი – მეოთხე ეტაპზე არასრულწლოვანს უკვე უყალიბდება პრეპარატზე ფიზიკური დამოკიდებულება. თავბრუდამხვევი სისწრაფით უფსკრულში ვარდნა მთავრდება საშინელი დარტყმით, სახელდობრ, ჩნდება აბსისტენციის სიმპტომები, როგორიცაა ნარკოტიკების მიუღებლობისას ე.წ. „ლომკა“, აუტანელი შეგრძნებები, არაადამიანური ტკივილები. იმისათვის, რომ გამოასწოროს მდგომარეობა, ნარკომანი მიდის ყველაფერზე, მისთვის აღარ არსებობს არავითარი ნებელობითი თუ ზნეობრივი წინაღობები. მისთვის კარგი, მისაღები და ზნეობრივია ყველაფერი ის, რაც გაათავისუფლებს მას აბსტინენციისაგან, ცუდი და უზნეოა ის, რაც აბსტინენციას ეხმარება. ასეთ მკაცრ განცდებს ხელს უწყობს ის, რომ ნარკოტიკის მიუღებლობისას ორგანიზმის მგრძნობელობა შინაგანი ორგანოებიდან წამოსულ სიგნალებზე იმდენად იზრდება, რომ ნარკომანი შეიგრძნობს შიგნეულის მოძრაობას, კუნთების დაჭიმულობას, ნერვებზე მოქმედებს ხმამაღალი ხმა, კაშკაშა სინათლე და ა.შ. ერთ-ერთი პიროვნება აღნიშნავს, ყველაფერი ეს, რომ იწყებოდეს ე.წ. „ლომკით“, აღარ იქნებოდა არცერთი ნარკომანი. ნარკოტიკებისადმი ფიზიკური დამოკიდებულების მოზარდები აღარ დადიან სკოლებში, სხვა სასწავლებლებში. ნარკოტიკული სიმთვრალე ამ ეტაპზე ადამიანს ყველაფრისადმი უკარგავს ინტერესს. მოზარდებმა აუცილებლად უნდა გაიარონ სამკურნალო რეაბილიტაციის კურსი საავადმყოფოებსა თუ სხვა სამკურნალო დაწესებულებებში.

§2 ნარკომანიის კულტუროლოგიური ფაქტორები

კულტურის მოდერნული და თანამედროვე ცნების საწყისია ლათინური ზმნა „colere“, რომლის მნიშვნელობებიცაა: 1. დამუშავება; 2. დასახლება; 3. მოვლა; 4. თაყვანისცემა, პატივისცემა. ამ ზმნიდან იწარმოება „cultus“-ი, რომელიც აღნიშნავს ცხოვრების უმაღლეს წესს, აქტიურ ზრუნვას და პასიურ მოვლას. [35,11] იმანუელ კანტი, განასხვავებს რა ბუნებისა და კულტურის სამყაროს, სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ მხოლოდ კულტურის სამყაროა ჭეშმარიტად ადამიანური, ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი, არ არის თავისუფალი, ის, მისგან დამოუკიდებლად არსებული მიზეზებისა და და მოვლენების გავლენას განიცდის. ბუნება, რომელსაც განვითარების საკუთარი კანონზომიერება ახასიათებს, თავდაპირველი ბოროტების საწინდარია; მაგრამ ეს ბოროტება არ არის ფატალური, ამ ბოროტების დაძლევა შესაძლებელია, უფრო მეტიც, აუცილებელია და ის კულტურით მიიღწევა. [35,16-17] სწორედ ასეთი ბოროტებაა ნარკომანია.

ტერმინი „ნარკომანია“, ბერძნული წარმოშობის ორი სიტყვისაგან შედგება, „ნარკო“, გაშეშებას ნიშნავს და „მანია“ მისწრაფებას, სიგიჟეს, ნარკოტიკების ხმარებისადმი ძლიერ, ავადმყოფურ მიდრეკილებას. ხოლო ნარკომანი – ნარკომანიით შეპყრობილ ადამიანს ნიშნავს. ინტერესს იწვევს თვით ნარკოტიკის განმარტებაც, რომელიც ასევე, ბერძნული სიტყვა "narkotikos" –დანაა წარმოშობილი და ნიშნავს გამაბრუებელ ნივთიერებას, რომელსაც მედიცინაში იყენებენ ტკივილის გამაყუჩებელ და ძილისმომგვრელ საშუალებად. [69,332] გამომდინარე აქედან, ნარკომანია დაავადებაა, რომელიც გამოიხატება ნარკოტიკულ საშუალებებზე ფიზიკურ და ფსიქიკურ დამოკიდებულებაში, მისადმი დაუძლეველ მიდრეკილებაში, რომელსაც თანდათან მივყავართ ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქიკური ფუნქციების ღრმა დაუძლურებამდე.

შხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერება სხვადასხვაგვარად მოქმედებს ადამიანზე. ძირითადად სამი სახის ზემოქმედებას განასხვავებენ, ესენია: სტიმულაცია, დეპრესანტი და ფსიქოაქტიურობა.

ნარკოტიკები ნივთიერებებია, რომელთა მოხმარებას, ალკოჰოლისგან განსხვავებით, შეუძლია უფრო სწრაფად და ძლიერ მიიყვანოს პირი ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების (ნარკომანიის) ჩამოყალიბებამდე, ე.ი.

მდგომარეობამდე, რომლის დროსაც, ადამიანი განიცდის ამ საშუალებების რეგულარულად მიღების მოთხოვნილებას.

ფიზიკური დამოკიდებულების ქვეშ იგულისხმება ორგანიზმის დამოკიდებულება, რომელიც ხასიათდება დამოკიდებულების გამომწვევი ნივთიერების მიღების შეწყვეტის დროს **აბსტინენტური სინდრომის** განვითარებით. აბსტინენტური სინდრომი თითოეული ნარკოტიკული საშუალებისათვის სპეციფიკური მტკივნეული სიმპტომების კომპლექსია:

- თავის ტკივილი;
- კუნთებსა და სახსრებში ტკივილი;
- სურდო;
- კუჭ-ნაწლავის მოშლილობა (გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი);
- უძილობა;
- კრუნჩხვები და ა.შ.

ფსიქიკური დამოკიდებულება – რაიმე ნივთიერების მიღების პათოლოგიური მოთხოვნილება, მისი მიღების შეწყვეტით გამოწვეული ფსიქოლოგიური დისკომფორტისათვის თავის არიდებაა. აუცილებელი სულაც არ არის, რომ ასეთ ნივთიერებას წარმოადგენდეს საშუალება, რომელიც აღიარებულია ნარკოტიკად, არამედ ზოგიერთი პროდუქტიც, მაგალითად, ალკოჰოლი, ყავა, ჩაი, თამბაქო და სხვ.

უკანასკნელი 9-10 წლის განმავლობაში საქართველოში ნარკომანიის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესი და მტკივნეული სოციალური პრობლემა გახდა. იგი განიხილებოდა, როგორც მოსახლეობის ეროვნული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი რეალური საშიშროება.

ნარკოტიზაციის მაჩვენებლები საქართველოში ოპტიმიზმის საბაბს ნამდვილად არ გვაძლევს, აღინიშნება ნარკომანთა რიცხვის ძალზედ სწრაფად ზრდა (იხ. სურ.1) როგორც ცხრილიდან ჩანს, ნარკომანიით დაავადებულთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, თუ ვივარაუდებთ, რომ ნარკომანთა რაოდენობა ხშირად ლატენტურია და დისპანსერულ აღრიცხვას არ ექვემდებარებიან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნარკომანთა რეალური რაოდენობა ბევრად უფრო მეტია.

თუკი უკანასკნელ წლებში ნარკოტიკების მომხმარებლები პირობითად იყოფოდნენ ორ სოციალურ ჯგუფად: ერთ მნიშვნელოვნად დიდ ნაწილს შეადგენდა მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახების წევრები, ხოლო მეორეს – ბოჰემა, ელიტა, დიპლომატების შვილები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ახლა ნარკომანია შეეხო, პრაქტიკულად, საზოგადოების ყველა ფენას, მათ შორის მხედველობაში მოზარდი თაობაც გვყავს, უმუშევრებს (რომელთა რაოდენობაც უკანასკნელ პერიოდში კატასტროფულად იზრდება, საზოგადოებაში მოუწყობელ პირებსაც. ნარკოტიკებს ეზიარებიან მოსახლეობის თითქმის ყველა ჯგუფის წარმომადგენლები, რის სტიმულსაც, სამწუხაროდ, იძლევა საზოგადოების არასტაბილურობა; დევიანტური ქცევების მქონე პირთა მიმართ სოციალური კონტროლის სისტემის ფაქტობრივად მოშლა. ნარკომანთა რიცხვი განსაკუთრებით მატულობს კერძო სექტორში დაქირავებულ პირთა, წვრილ მოვაჭრეთა, სტუდენტთა და მოსწავლეთა ხარჯზე.

სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნარკომანია გაახალგაზრდავდა. ნარკოტიკების არასრულწლოვან მომხმარებელთა რიცხვი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. ამჟამად, ნარკომანთა უმრავლესობა 30 წლამდე ასაკის პირია. ასაკობრივი ზღვარი განუხრელად კლებულობს და მან 11-13 წლამდე დაიწია. ნარკოტიკების მიღებით ახალგაზრდებში შეიმჩნევა სწავლისა და საქმიანობის მიმართ ინტერესის დაკარგვა, ქურდობისა და სხვა ანგარებითი დანაშაულისამი მიდრეკილების განვითარება. საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ფსიქოლოგიის შესწავლა, აგრეთვე სოციალური რეალიები, სულ უფრო დაჟინებით ადასტურებენ მოქალაქეების მხრიდან ხელისუფლების და სოციალური ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაკარგვას, ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაუცხოებას პოლიტიკისაგან, ზნეობრივი და სამართლებრივი ფასეულობებისაგან, რასაც მივყავართ ზნეობრივი და სამართლებრივი ბარიერის მოხსნამდე. საქართველოს მოქალაქეების სულ უფრო მეტი რაოდენობა კარგავს საქართველოს ეთნოსის ძირითად თვისებებს და დამახასიათებელ თავისებურებებს, რომელიც ყალიბდებოდა და არსებობდა საუკუნეების მანძილზე. პიროვნების სამართლებრივი სოციალიზაციის შედეგია ინდივიდუალური მართლშეგნების – ცოდნის, შეფასებებისა და საზოგადოების მართლწესრიგის შესახებ წარმოდგენების სისტემის, აგრეთვე სამართალაღმასრულებელი ქცევის განწყობების – წარმოქმნა.

მართლშეგნება – სამართლებრივად მნიშვნელოვანი მოქმედებების საორიენტაციო საფუძველი – განსაზღვრავს ადამიანის ქცევას ყველაზე არსებით სოციალური ურთიერთობების სფეროში. იგი განპირობებულია პიროვნული მოქალაქეობრივი მომწიფების დონით, განისაზღვრება მიღებული სამართლებრივი გამოცდილების ხასიათითა და მოცულობით, ე.ი. დამოკიდებულია საზოგადოების დომინირებული სამართლებრივი კულტურისა და იმ კონკრეტული სოციალური ჯგუფების, რომლებშიც ჩართულია ადამიანი, სუბკულტურის ათვისების ხარისხზე. ჩვენ დავინტერესდით პროფესორ ვ.მ. პოზდნიაკოვის საინტერესო მოსაზრებით, რომ სამართლებრივი ცნობიერების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმის – მართლშეგნების ფორმირების ძირითადი მექანიზმებია:

- იდენტიფიკაცია – ინდივიდის გაიგივება სხვა ადამიანთან, რომლის შედეგადაც ხდება სხვა ადამიანის ქცევების, აზრებისა და გრძნობების განმეორება;

- შთაგონება – ერთი ადამიანის მეორეზე, ადამიანთა ჯგუფის ემოციურ-ნებელობითი მიზანმიმართული, მაგრამ არაარგუმენტირებული ზემოქმედების განსაკუთრებული სახეობა;

- გადაღება – ინდივიდის შეუცნობელი დაქვემდებარება გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობისადმი, რომელიც დაკაცშირებულია რაიმე ინფორმაციის ან გრძნობის არაკრიტიკულ მიღებასთან;

- მიბაძვა – ადამიანების ერთმანეთზე ზემოქმედების საშუალება, რომლის შედეგადაც ხორციელდება პიროვნული თვისებებისა და ქცევების შეუცნობადი განმეორება;

- დარწმუნება – პიროვნების ცნობიერებაზე ზემოქმედების მეთოდი გარკვეული შეხედულებებისა და მთლიანად მსოფლმხედველობის ფორმირებისთვის მისი საკუთარი კრიტიკული მსჯელობის მიმართვის საშუალებით. [120,59] განვითარებულ სამართლებრივ კულტურაში უნდა გამოვყოთ სამი ურთიერთდაკავშირებული რგოლი:

1. სამართლებრივი განათლება ანუ სამართლებრივი კომპეტენტურობა;

2. სამართლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ანუ სამართალთან შესაბამისობა;

3. პიროვნების მოთხოვნილებათა და მოტივაციურ ქვესისტემაში საკუთარი მნიშვნელოვანი ორიენტაციების ჩართვა, რაც გამოიხატება კიდეც მართლზომიერ ქცევაში.

თანამედროვე ახალგაზრდობისათვის ძირითადია მატერიალური კეთილდღეობა და სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია - ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი, კულტურა და ფსიქოლოგია ფასეული ორიენტაციები, რომლებიც დემონსტრირებულია და აქტიურად ვრცელდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ მათი ჩვეული აგრესიულობით, ყველაფრის ნების დართვით, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მორალური ნორმების ღიად უარყოფით, გამოხატავს უფრო დამპყრობლის, ვიდრე ცივილიზებული, ეკონომიკურად განვითარებული სისტემის ადამიანის ქცევის ნორმებს.

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება ცვლილებები ნარკოტიკების მოხმარების მოტივების ხასიათში. მთავარი მოტივია:

- სიამოვნების წყურვილი,
- მწვავე შეგრძნებების განცდა;
- ეიფორიის განცდის სურვილი.

ახალგაზრდებში ეს მოტივები ძლიერდება სოციალური მოუმწიფებლობის, უპასუხისმგებლობის, გაუფრთხილებლობის გამო და რამდენადმე სახეს იცვლის, როცა იძენს ჯგუფურ ხასიათს (ხშირ შემთხვევაში, ნარკომანთა უმრავლესობა მიეჩვია წამლის მიღებას მეგობრებისა და ნაცნობების წრეში). ნარკოტიკების არაკანონიერ ბრუნვათა პროცესში ხდება მოსახლეობის გაღატაკებულ ფენათა მასობრივად ჩათრევა, რომლებიც გასამრჯელოს გამო ანუ საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, უკიდურესი დაძალებით ავრცელებენ „საქონელს“ ბავშვებსა და მოზარდებს შორის.

ასევე, ზრდას განიცდის ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთა რიცხვი. ნარკომანი, ის პირია, რომელსაც მთელი თავისი აზრები და მოქმედებები მიმართული აქვს ნარკოტიკული საშუალებების დოზის ნებისმიერ ფასად მოპოვებაზე. სამწუხაროდ, საქართველოში ამ კუთხით, სტატისტიკური მაჩვენებლები არ გაგვაჩნია, მაგრამ შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ჩვენი მეზობელი ქვეყნის – რუსეთის (რომელიც, თითქმის ისეთივე პრობლემის წინაშეა, მხოლოდ მკვეთრად გაზრდილი მაჩვენებლებით) მონაცემები:

- 2000 წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის დისპანსერული დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 350 ათასი ნარკომანიით დაავადებული, მატება 1990-იან წლებში 12-ჯერ გაიზარდა. ექსპერტების შეფასებით, ნარკომანიით დაავადებულთა რეალური რიცხვი 7-10-ჯერ აჭარბებს ამ ციფრს და ფაქტობრივად, აღწევს 2,5-3 მლნ ადამიანს;

- რუსეთში ნარკომანია გავრცელებულია არათანაბარზომიერად, 1999 წელს დისპანსერული დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა საშუალოდ 47,7 ადამიანი 100 ათას მოსახლეზე, სანკტ-პეტერბურგში ეს მაჩვენებელი 1,4-ჯერ მეტია; ასტრახანის ოლქში - 1,5-ჯერ მეტი, სამარის ოლქისა და ასტრახანის ოლქისთვის - 1,9-ჯერ მეტი, ამურისა და კალინინგრადის ოლქებისათვის, ზღვისპირა მხარისთვის – 3,1-ჯერ მეტი, ხოლო ტივას რესპუბლიკისთვის – 4,5-ჯერ მეტი;

- რუსეთში არასრულწლოვნებში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შედეგად გაიზარდა სიკვდილიანობა. 1999 წელს ის იყო 1,5-2-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე ნარკოტიკების მომხმარებელთა ყველა ასაკს შორის;

- რუსეთში, სამეცნიერო გამოკვლევების მონაცემებით, ნარკობიზნესის სფეროში პროფესიულ დამნაშავეთა რიცხვი უახლოვდება 10 მლნ ადამიანს, რომელთაგან 60 ათასი – ნარკოტიკების გამსაღებელია. ყოველწლიურად ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულობათა რაოდენობა იზრდება თითქმის ორჯერ, დაკავებულია 25-დან 30 ათასამდე მათი გამავრცელებელი, ლიკვიდირებულია 7,5-დან 8 ათასამდე ნარკოტიკით მოვაჭრე დამნაშავეთა ჯგუფი. [19,89-90]

მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე ნარკოტიკები საერთაშორისო პრობლემას არ წარმოადგენდა, ვინაიდან, ის მხოლოდ ცალკე-ულ ქვეყნებში იყო გავრცელებული. ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ოპიუმიდან და მცენარე კოკას ფოთლებიდან ახალი ალკოლოიდების დიდი რაოდენობით მიღება, ხოლო მიმოსვლის განვითარებამ - მისი მთელ მსოფლიოში გავრცელება. მეოცე საუკუნიდან ნარკომანია საერთაშორისო პრობლემა გახდა, ვინაიდან ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში და ნათლად გამოჩნდა მისი უარყოფითი თვისებების მრავალფეროვნება.

ამავე პერიოდში, სახელმწიფოების მიერ, ნარკომანიის დამღუპველი ზემოქმედებისგან მოსახლეობის დასაცავად და გადასარჩენად დაისახა გზები

კოლექტიური ღონისძიებების გასატარებლად. 1961 წელს მიიღეს ერთიანი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ, სადაც გაშუქებულია ყველა ის ასპექტი, რომელიც გააკონტროლებს მათი დამზადების და გასაღების აკრძალვას, თუმცა, მაინც ვერ მოხერხდა ვაჭრობის არალეგალური ბაზრების ლიკვიდაცია.

ნარკომანია იმ დაავადებათა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებსაც ახასიათებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი პრეპარატებისადმი ავადმყოფური შეჩვევა. ის შეიძლება გამოწვეული იყოს ერთი რომელიმე ნარკოტიკული საშუალების მიღებით, იშვიათად აღინიშნება პოლინარკომანია – როდესაც ადამიანი იღებს ორ ან მეტი სახის ნარკოტიკს. საქართველოში, კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ხუთი სია არსებობს:

1. I სიაშია ნარკოტიკული საშუალებების კრებსითი ჩამონათვალი;
2. II სია მოიცავს მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული ნივთიერებების ჩამონათვალს; სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის აკრძალულია შემდეგი ნივთიერებები:
    - ჰაშიში (ანაშა);
    - ჰეროინი (დიაცეტილმორფინი) [იხ. სურ.36];
    - კანამირი (მარიხუანა) [იხ. სურ.28];
    - ეფედრინი (მეტკატიტონი);
    - აცეტილირებული ოპიუმი
3. III სიაშია შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალი, რომელიც ნებადართულია სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, ეს მორფინის ჯგუფის პრეპარატებია;
4. IV სიაშია ფსიქოტროპული ნივთიერების ჩამონათვალი;
5. V სია მოიცავს პრეკურსორების ჩამონათვალს და ეს სია კანონით დადგენილ შემთხვევაში, ცვალებადია.

ნარკოტიკების მიღება ორგანიზმში იწვევს სხვადასხვა ავადმყოფურ ცვლილებებს. განსაკუთრებით ზიანდება ნერვული სისტემა. ხანგრძლივი ხმარების შემდეგ ვითარდება:

1. ნარკოტიკული საშუალებების მიღების დაუძლეველი მოთხო-ვნილება და მისი შოვნისადმი მისწრაფება (ფსიქიკური დამოკიდებულება).

2. აბსტინენციური სინდრომი – ფიზიკური დამოკიდებულება, რაც მდგომარეობს შემდეგში: ავადმყოფს, რომელის არ მიიღებს მისთვის ჩვეულ ნარკოტიკს 6 - 18 საათის განმავლობაში, უვითარდება ე.წ. "შიმშილის მდგომარეობა", მისთვის დამახასიათებელი მრავალი ფიზიკური და ფსიქიკური ნიშნით.

3. ორგანიზმის შეჩვევა ნარკოტიკული პრეპარატების მიმართ, რის გამოც საჭირო ხდება დოზების თანდათან მომატება – ტოლერანტობის აწევა.

ოპიუმის ნარკომანია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გავრცელების სიხშირის და მძიმე შედეგების გამო. ოპიუმი მიიღება ოპიუმის შემცველი ყაყაჩოსაგან, რომლის სამშობლოდაც მცირე აზია ითვლება. ცნობები ოპიუმის სამკურნალო მიზნით გამოყენების შესახებ, გვხვდება ანტიკური ხანის უდიდესი მედიკოსის, ჰიპოკრატეს შრომებში. მას შემდეგ ოპიუმი, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, დღემდე რჩება შეუცვლელ პრეპარატად. მორფინი მიიღება ოპიუმის ყაყაჩოსგან და ის მეოცე საუკუნეში ეგონათ მხოლოდ ძილის მომგვრელი საშუალება, ამიტომ მას ძილის ღმერთის, მორფეუსის სახელი დაარქვეს, მისი ნარკოტიკული მოქმედება გამომჟღავნდა მაშინ, როცა გამოიგონეს შპრიცი და შესაძლებელი გახდა მისი კანქვეშ ინექცია.

ოპიუმის პრეპარატები ადვილად იწვევს შეჩვევას. მათი სისტემატურად მიღების შედეგად, რამდენიმე კვირის, ზოგჯერ კი რამდენიმე დღის განმავლობაში ვითარდება ტოლერანტობის აწევა, ადრინდელი დოზები ვეღარ იწვევს ეიფორიას, მცირდება ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. ჩვეულ განცდათა მისაღწევად საჭირო ხდება დოზების მომატება (ზოგჯერ ნარკომანები ერთჯერადად იღებენ ნარკოტიკულ საშუალებას ისეთი დიდი რაოდენობით, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ჯანმრთელი ადამიანის სასიკვდილო დოზას).

ნარკომანთა უმრავლესობას ბავშობიდან აღენიშნებათ ერთგვარი ფიზიკური და ფსიქიკური სიმყიფე. ასთენიური ტანთწყობა ნარკომანებში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობის იმავე ასაკობრივ ჯგუფებში. ბევრ მათგანს ნაადრევი ასაკიდან აღენიშნება ვეგეტატიური, ნერვიული სისტემის ლაბილობა, გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავთა სისტემების აშლილობანი: მადის დაკარგვა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, კოლაფსი, უძილობა, მენსტრუალური ციკლის მოშლა და ა.შ.

ოპიუმი და მისი ჯგუფის პრეპარატები მოქმედებს, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ნარკოტიკის გარკვეული დოზა იწვევს ეიფორიას, გაბრუებას, ამავე დროს „სიმხნევის„ მომატებას, ტონუსის აწევას, გუნება-განწყობის გაუმჯობესებას, თვითდარწმუნებას, ფაქტების ღრმა შეფასებისა და ანალიზის შესაძლებლობის დაქვეითებას, შემოქმედებითი უნარის მოჩვენებით მომატებას, ემოციურობის გადაჭარბებით გამოვლინებას, მრავალი სახის სასიამოვნო განცდას და სხვა. ყოველივე ამას თან სდევს თავისებური, არაადეკვატური ქცევა, რაც ხშირად არ შეესაბამება არსებულ სიტუაციას და ირგვლივ მყოფთათვის უცნაურია. ამავე დროს შესაძლებელია პრეპარატების განსაზღვრულმა დოზამ გარკვეულ ეტაპზე გამოავლინოს აღნიშნულის საწინააღმდეგო რეაქცია - საერთო მოდუნება, უხასიათობა, გუნება - განწყობის დაქვეითება და, საერთოდ, ყველა სახის შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების შემცირება.

საბოლოოდ, ქრონიკული მოწამვლა მორფიუმით, იწვევს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ განადგურებას. ირღვევა წყლის და ნახშირწყლების ბალანსი, კანი ხდება მშრალი და მოყვითალო - მიწისფერი, კბილები ადვილად ზიანდება და იწყება კარიესი, გუგები შევიწროებულია, სახე - შეშუპებული, არტერიული წნევა - დაქვეითებული, იწყება ქრონიკული უძილობა, პოტენცია მკვეთრად ქვეითდება, ვითარდება ბრონქული ასთმის მოვლენები, ქრება მენსტრუაცია, ირღვევა მეტყველება, მოძრაობის კოორდინაცია, აღინიშნება ტკივილი შარდის ბუშტის და სწორი ნაწლავის არეში, ვითარდება კიდურების კანკალი, უმადობა და წონაში დაკლება.

აბსტინენციის სინდრომი ვითარდება ყველა შემთხვევაში და თუ ნარკომანმა არ მიიღო მორფინი, 6 - 18 საათის შემდეგ ეწყება გულისრევა, ფაღარათი, გუგების გაფართოება, ზოგადი სისუსტე, სუნთქვის გახშირება, ტემპერატურის მომატება, ნერწყვისა და ცრემლის დენა, ცემინება, უძილობა, ტკივილი მთელ სხეულში,

გუნება - განწყობის დაქვეითება, გაღიზიანება, უძილობა და ა.შ. ეს ყველაფერი გრძელდება 10 - 12 დღე, შემდეგ რჩება უსიამოვნო შეგრძნებები, უძილობა და უხასიათობა. ეს მდგომარეობა კი განაპირობებს მიტოვებული ნარკოტიკული საშუალებებისადმი ლტოლვას.

ნარკოტიკები მოქმედებენ სუნთქვით ცენტრზე და ადუნებენ მას. ამიტომ ავადმყოფები, რომელთაც აღენიშნებათ ქალასშიდა წნევის მომატება, ბრონქული ასთმა და ფილტვების სხვადასხვა დაავადებები, ნარკოტიკების მიღების შემდეგ, იღუპებიან სუნთქვის ცენტრის დამბლის გამო.

ნარკომანიის გავრცელების სხვადასხვა მიზეზები არსებობს. ხშირად ის ვითარდება პრეპარატის სამკურნალო მიზნით ხანგრძლივად ხმარების შედეგად. ზოგჯერ - თვითმკურნლობით, როდესაც ავადმყოფი უძილობის ან საერთო სისუსტის გამო, თვითონ იწყებს ნარკოტიკების მიღებას. მოზარდებსა და ახალგაზრდებში ხშირია შემთხვევები, როცა ისინი მიბაძვის, ან ცნობისმოყვარების გამო, ნაკოტიკულ საშუალებებს მიმართავენ. ცალკეულ შემთხვევებში, ის დაკავშირებულია იძულებით ზემოქმედებასთან, როდესაც ჩამოყალიბებული ნარკომანი, პიროვნების თავისებური დეგრადაციის და სოციალური მდგომარეობის გაუკუღმართების გამო, აიძულებს ირგვლივ მყოფთ, მიიღონ ნარკოტიკი; ზოგჯერ კი ნარკომანიის იძულებით გავრცელებას საფუძვლად უდევს მათი გავრცელება - სპეკულაციის მცდელობა.

ნარკომანი აღარ არის საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, ვინაიდან დათრგუნულია მისი პიროვნული და ინდივიდუალური, განვითარებული ადამიანისთვის დამახასიათებელი, ყველა ნიშანი. მას უჭირს საკუთარი ადგილის პოვნა, არის გარიყული, მიუხედავად ამისა, ნარკომანია, როგორც დაავადება, არაა შემამსუბუქებელი გარემოება ნარკომანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასებისას და ის დანაშაულზე პასუხს აგებს მთელი სიმკაცრით. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ იმ დანაშაულის სასამართლო - ფსიქიატრიული შეფასება, რომელიც მის მიერ ნარკომანიის ნიადაგზე განვითარებულ ხანმოკლე ფსიქოზურ მდგომარეობაშია ჩადენილი.

ჰაშიში ამერიკაში ცნობილია, როგორც მარიხუანა, ამიერკავკასიასა და შუა აზიაში - ანაშისა და პლანის სახელწოდებით. ის ფისისმაგვარი ნივთიერებაა, რომელსაც იღებენ მცენარე „ინდოეთის კანაბის„ აყვავებული წანაზარდებისგან. ჰაშიში მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს დათრობას. მას

ეწვიან თამბაქოსთან შერევით, ზოგჯერ ღეჭავენ, უფრო იშვიათად კი იღებენ საჭმელთან ან სასმელთან ერთად. მოწევის შემთხვევაში, მისი მოქმედების ეფექტი მაშინვე ვლინდება.. ჰაშიშის სისტემატურად მიღება, იწვევს ნარკომანიას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ხანგრძლივი ხმარება, დოზების მომატების საჭიროებას არ ქმნის. იმ ქვეყნებში, სადაც ჰაშიშის მოხმარება ფართოდაა გავრცელებული, ჰაშიშიზმით დაავადებულთა რიცხვი მეტად მაღალია და ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოებში მოთავსებულ პაციენტთა 15 - 30 %-ს შეადგენს. მარიხუანას ერთჯერადი მიღება იწვევს სასიამოვნო გძნობას და ძალის მოზღვავების განცდას. აღინიშნება მეტყველების და ფსიქომოტორული აგზნება, სასიამოვნო აზრების მოზღვავება, ეიფორია, ჩნდება ფანტასტიკური ხასიათის ასოციაციები, ვითარდება ერთგვარი ნეტარების განცდა. სიხარულის და ბედნიერების განცდა შეიძლება შეიცვალოს შიშით.

ქრონიკული ჰაშიშიზმის მოვლენები შედარებით ნელა ვითარდება, დეგრადაციის ნიშნები ჩნდება თანდათან. დასაწყისში შეიმჩნევა გამღიზიანებლობა და იმპულსურობა. ხდება შრომი-სუუნარო, იზღუდება ინტერესების წრე, მეხსიერება სუსტდება, ვითარდება ემოციური გადასადავება. გუგები შევიწროებულია, რეაქცია სინათლეზე დუნეა, იცვლება მეტყველება; ზოგიერთ შემთხვევაში ვითარდება ფსიქოზური მდგომარეობები; დევნისა და ზემოქმედების ბოდვითი იდეები სმენითი ხასიათის ჰალუცინაციებით. ჰაშიშიზმით დაავადებულთა 5%-ში ვითარდება შიზოფრენია, 3,5%-ში კი - ჭკუასუსტობა. ჰაშიშიზმის დროს, ნარკოტიკის მიღების შეწყვეტიდან 10 - 14 დღეში ვითარდება აბსტინენციის მოვლენები:

- დეპრესია;
- შიში;
- დამოკიდებულების ბოდვითი იდეები;
- გარდა ამისა, სიგამხდრე,
- კანის მოყვითალო შეფერილობა,
- მოძრაობათა შენელება და
- კორდინაციის დარღვევა.

ნარკომანიის მკურნალობა, ხანგრძლივი და ურთულესი პროცესია. ის შედგება 3 ეტაპისგან. პირველ პერიოდში წარმოებს ნარკოტიკული საშუალებების აღკვეთა(სწრაფი, აბორტული ან თანდათანიბითი). მეორე პერიოდში ტარდება ორგანიზმის გამაჯანსაღებელი, იმუნიტეტის გამაძლიერებელი ღონისძიებები. პირველი და მეორე ეტაპები ტარდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მკაცრი იზოლაციით. მკურნალობის მთელ პერიოდში ავადმყოფს უტარდება ფსიქოლოგიური საუბრები. საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ ავადმყოფი აჰყავთ დისპანსერულ აღრიცხვაზე ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ტარდება მკურნალობის მესამე პერიოდი. ეს ეტაპი წარმოადგენს მიღებული შედაგების განმტკიცების და სწორი სოციალური კავშირების შემუშავებას.

ავადმყოფი, რამდენიმე წლის განმავლობაში, პერიოდულად უნდა ღებულობდეს რჩევებს მკურნალი ექიმისგან და მას უნდა უტარდებოდეს ფსიქოთერაპიული საუბრები. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი კვლავ დაუბრუნდა ნარკოტიკს, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მას შეიძლება, დაენიშნოს იძულებითი მკურნალობა მკაცრი იზოლაციით და რაც შეიძლება დიდი ხნით.

განკურნების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მართლმადიდებლური ეკლესია, რომლის წარმომადგენლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ თითოეული ადამიანის ამ სენისაგან გათავისუფლებისა და განკურნებისათვის. აღიარებულია რელიგიის მსახურთა წარმატებები ამ კუთხით, ამჟამად, საქართველოში, ნარკომანთა განკურნების საქმეს დიდი მონდომებითა და რუდუნებით მამაო ბართლომე ემსახურება.

მართლმამიდებლური ქრისტიანობა ნარკომანიას თვლის ავადმყოფობად, რომელიც კიდევ ერთი გზაა ჯოჯოხეთისაკენ. მას მიაჩნია, რომ ნარკომანია ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ფსიქიკური, ზნეობრივი თუ ფიზიკური არსებობისათვის. ქრისტიანობის პოზიციიდან ნარკომანია ძალიან დიდი და საზარელი ცოდვაა, იგი თითქმის თვითმკვლელობას უკავშირდება.

ქრისტიანობის თვალსაზრისით, ნარკომანია კავშირშია ჯადოქრობასთან, შავ მაგიასთან, სპირიტიზმთან და ყველაფერ იმასთან, რაც უკავშირდება ბნელეთის სულებს. ქრისტიანობა მიიჩნევს, რომ ნარკოტიკები ისეთი ბანგია, რომელსაც მოსდევს ძლიერ უცნაური და გამოუთქმელი განცდა, როდესაც ისინი ხედავენ იდუმალ ქვეყანას – დაცემულ სულთა ქვეყანა. ეს არის ეშმაკისეული ცდუნება, ადამიანი მიიზიდონ შხამიანი ნუგბარის მეშვეობით, აგებენ ხაფანგებს

ადამიანთა მისაზიდად, რომლების ამ ბანგის მეშვეობით, ღებულობენ გარკვეულ ხილვებს, ჰალუცინაციებს, გამოცხადებებს. სამწუხაროდ, არამდგრადი სულიერი მდგომარეობისა და სუსტი ნებისყოფის ადამიანებს, ხშირ შემთხვევაში, ეშმაკი ადვილად აცდუნებს.

ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა, რომ არ მოხდეს სულის საბოლოოდ წარწყმედა. არიან ადამიანები, რომლებიც თვითონ ეძებენ ამ გრძნობებს, ბოროტ სულთა მფლობელობაში გადადის და ეშმაკის მონა ხდება, იგი ნარკოტიკს ეძებს, რომ დაუბრუნდეს არარსებულ სამყაროში. ამიტომ თანდათან მატულობს ნარკოტიკების მიღების სურვილი, თანდათან სჭირდება ნარკოტიკების დოზის გაზრდა, ცხოვრება კარგავს პირვანდელ ხიბლს და ეფლობა ეშმაკეულ ჭაობში.

როდესაც ადამიანი ბავშვობიდანვე ეზიარება ცოდვებს, თუ აწყდება ქრისტეს უარყოფას, როდესაც არაეკლესიურია, შინაგან სულიერ კრიზისს განიცდის. შესაძლოა სარწმუნოებამ და რელიგიურმა ცოდნამ, ღმერთისადმი ცოდვების მონანიებით საშველად მიმართვამ, ლოცვამ და სინანულმა, შეუმსუბუქონ მას მდგომარეობა, მაგრამ მუდმივი დისკომფორტის განცდა, მას მაინც აიძულებს სიმძიმისაგან თავის დასაღწევად, ეძებოს მსუბუქი საშუალება, იპოვოს რადაც ფანტასტიკური სამყარო, გაექცეს ცოდვებს და სინდისის ქენჯნას. იგი ეჩვევა და უჭირს ამ ფანტასტიკური სამყაროდან თავის დაღწევა.

მიწაზე, სადაც მუდმივი ბრძოლაა, ბრძოლა სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის, რასაც ნარკომანი თავს არიდებს, ჰყიდის სულს, ემალება ცხოვრებას, მაშინ, როდესაც, ქრისტიანებისათვის ცნობილია, რომ მიწაზე გაჭირვებასთან ბრძოლისა და თმენისათვის არის დაბადებული. ცნობილია, რომ, როდესაც მეორედ მოსვლის ჟამს, როდესაც უფალი მოვა განსჯად ყოველთა ცოცხალთა და მკვდართა. ჩვენც სწორედ ამ საუკუნო სასუფევლის დამკვიდრების იმედი გვაქვს და მისთვის ვემზადებით, წარმავალ წუთისოფელში კი ყოველი ჭირი და მწუხარება მისთვის უნდა დავითმინოთ. იქ მხოლოდ ისინი შევლენ, ვინც ამ ბიწიერ წუთისოფელში შეურყვნელად გამოატარა თავისი სული, ვინც მტკიცედ უარყო ეშმაკის ყველა ხერხი და წინადადება, ისე, რომ არც მხნეობას უღალატნია, არც საკუთარი თავის სიბრალულს უძლევია, ვინც ყოველი დაცვით იცავდა მთავარს – თავის გულს, ეძებდა მხოლოდ სიმართლეს – ჭეშმარიტ, მარადიულ ღმერთს, ვისაც სიყალბე ჭეშმარიტებად არ მიუღია და მარადიული ნეტარება ოსპის შეჭამანდში არ გაუცვლია.

ნარკომანი ამას ყველაფერს გაურბის და თავის ნეტარებას იმ ბანგში ეძებს, რასაც ნარკოტიკი ჰქვია. რაც უფრო გამოერკვევა ნარკომანის დაბანგული მდგომარეობიდან, რაც უფრო ადრე ჩამოიბერტყავს ჰიპნოზის ჯადოსნურ ხიბლს, მით უფრო ადრე შეძლებს ჭეშმარიტებისაკენ – უფლისაკენ მოქცევას.

არქიმანდრიტი ლაზარე თავის ნაშრომში (რუსუდან ბუაჩიძის თარგმანი) „აღსარების საიდუმლოსა და ცოდვებისათვის“ აღნიშნავს, რომ ნარკოტიკებს დამონებული კაცი საბრალო ბუზს ჰგავს, ობობას ქსელში გაბმულს – საცაა ობობაც მოვა და სისხლს გამოწოვს. არქიმანდრიტი გვმოძღვრავს, რომ რაც შეიძლება მტკიცედ უნდა მოვკიდოთ ხელი ამ სნეულების განკურნებას. საინტერესოა, რომ საქართველოში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შემადგენლობაშია სპეციალური სამსახური, რომელიც ნარკომანიის პრობლემებითაა დაკავებული და ცნობილია, რომ არა ერთი ნარკომანი მოუბრუნებია მას საზოგადოებისაკენ და ცხოვრების ჯანმრთელი წესისაკენ.

§3 ნარკომანიის ფსიქოლოგიური ფაქტორები

ნარკომანიის სოციალურ თუ კულტუროლოგიურ (სამედიცინო, რელიგიური და სხვ) ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც, განსაკუთრებით კი, პირის დევიანტულ ქცევას. დევიანტური (ნორმიდან გადახრილი) ქცევა ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ სამართლებრივ ან ზნეობრივ ნორმებს, დანაშაულებრივია ან ამორალური; პიროვნების ასოციალური განვითარების შედეგი, მასზე არაკეთილსასურველი სიტუაციების ზემოქმედება, პიროვნების „სუსტ ადგილზე“ უარყოფითი სოციალური ფაქტორების ზეწოლა. დევიანტური ქცევის მექანიზმები სხვადასხვაგვარია ადამიანის ფსიქოსოციალური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე და მოქმედების მრავალფეროვნების კონტექსტში ამა თუ იმ ფაქტორების კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. მაგალითად, ძნელადაღსაზრდელი მოზარდებისათვის დამახასიათებელია:

- ცხოვრებისეული მიზნების ხელახალი ორიენტაცია ფსიქოლოგიური კომფორტის, კომპანიურ-ჯგუფური ხასიათის ურთიერთობების, წუთიერი სიამოვნების, მომხმარებლობის, გამორჩენის კუთხით;
- ზეიდენტიფიკაცია თავის ან თანატოლთა სპონტანურ ჯგუფთა და პიროვნებათაშორისი ურთიერთობების მოშლა უფროსებთან (მშობლებთან, მასწავლებლებთან და სხვ.);
- ემოციურობის გადადებისადმი მიდრეკილება „ირაციონალური პროტესტის“, როგორც თვითდამკვიდრების აქტის დემონსტრაციის დროს;
- გარკვეული სიმკაცრე გამოწვეულია, ერთი მხრივ, ვაჟკაცობის გამარტივებული გაგებით (მისი გაიგივება უხეშობასთან), ხოლო მეორე მხრივ – ჯგუფური ქცევის ანონიმურობით (დაუსჯელობის გრძნობის გაჩენა);
- სირცხვილის გრძნობის შესუსტება, გულგრილი დამოკიდებულება სხვისი განცდების მიმართ, აგრესიულობა, უხეშობა, სიცრუე, არათვითკრიტიკულობა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ძნელადაღსაზრდელი მოზარდის ქცევა, უპირატესად, სიტუაციურია, ხოლო სოციალური ნორმები, მისთვის ჯერ კიდევ

არ გამხდარა მოქმედ რეგულატორა, დამახასიათებელია მუდმივი მისწრაფება გამოყოფისა და ყურადღების მიქცევისკენ (ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა რით – გარეგნობით, ჟარგონით, ქცევის მანერით და სხვ.).

რაც შეეხება ახალგაზრდობას, დევიანტური ქცევის მიზეზი ხშირად აიხსნება მათ შესაძლებლობებსა და ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხს შორის რეალურად არსებული განხეთქილებით. ამასთან, სწორედ ასეთი განხეთქილების გადალახვისათვის სწრაფვაა ყველაზე ხშირად ის შინაგანი მოტივი, რომელიც უბიძგებს არასაკმაოდ მდგრადი სოციალური ორიენტაციის მქონე ახალგაზრდებს სოციალურ-ეთიკური ან სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგო ქცევებისა და მოქმედებებისკენ. შემთხვევითი არაა, რომ მათ უმრავლესობას შეიძლება დაესვას ისეთი საშინელი დიაგნოზი, როგორიცაა შეუქცევადი სოციალური პათოლოგია.

სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დევიანტური ქცევის მექანიზმის შერჩევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება თავად პიროვნების დამოკიდებულებას მის მიე ჩადენილი დარღვევების, გარშემომყოფთა და მთელი საზოგადოებრივი აზრის რეაგირების მიმართ. დევიანტების უმრავლესობისათვის ეს დამოკიდებულება ატარებს თვითგამართლების ხასიათს, რაშიც, კერძოდ, ვლინდება კიდევ დაცვის კონკრეტული ფსიქოლოგიური მექანიზმები (პროექცია, განდევნა, უარყოფა, დათრგუნვა და სხვ.). ამიტომ, საკუთარი ასოციალური საქციელისა და მოქმედების თვითგამართლება, როგორი მძიმე და საშიშიც არ უნდა იყოს, არის რეალური ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელმაც შეიძლება გაართულოს მათთან პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარება. ასე, მაგალითად, კრიმინოლოგების მონაცემებით, ჩადენილ დანაშაულში ბრალეულობის აღიარება გვხვდება მკვლელთან, ქურდების, მოძალადეებთა მეოთხედთან და უფრო იშვიათად, ხულიგნებთან. ალკოჰოლიკებს შორის, ყოველი მეხუთე ნაკლებად წუხს, თუ რას ფიქრობენ სხვა ადამიანები.

დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს: „როდესაც ადამიანი ნებელობას მიმართავს, იგი წინასწარ აქტუალური სიტუაციის იმპულსს უსხლტება ხელიდან, მისი იძულებისაგან თავისუფლდება: იგი არ აძლევს აქტუალურ სიტუაციას შესაძლებლობას, მასში შესატყვისი მოქმედების განწყობა გამოიწვიოს. მაგრამ ეს უკვე ერთგვარი თავისუფლებაა. თავისუფლება, ასე ვთქვათ, ნეგატიური თავისუფლება უმოქმედობისა. მაგრამ ამავე ნიადაგზე მოქმედების თავისუფლებაც აიგება. სუბიექტი თვითონ ქმნის თავის თავში განსაზღვრული

მოქმედების განწყობას და, მაშასადამე, თვითონ იწვევს დამოუკიდებლად ამ მოქმედებას. ეს უკვე მოქმედების თავისუფლებაა. [67,221]

ნარკომანი ფსიქიკურადაც დეგრადირებულია. დასაწყისში ყურადღებას იპყრობს ადამიანის აქტივობის პრაქტიკულად სრული დაქვეითება, ადვილად იღლება; ხდება აფექტური და მშფოთვარე. შემდეგ, ნარკომანები ხდებიან ზედმეტად უინიციატივონი, მათი აზროვნება ზერელე და შეზღუდულია, აღინიშნება ნებისყოფის აბსოლუტური გაქრობა. მორფიუმს აღარ მოაქვს ეიფორიის და ნეტარების, ე.წ. – „კეიფის„ განცდა და ტოქსიკომანის ცხოვრების ერთადერთ აზრად რჩება ნარკოტიკის მოპოვება და მიღება, რათა შეიმსუბუქოს აბსტინენციის, (შიმშილის) სინდრომი, ანუ (მოიხსნას ე.წ. „ლომკა„). .ეს მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ნარკომანი ნარკოტიკის საშოვნელად ყველაფერზეა წამსვლელი, ამ დროს ის ხდება საზოგადოებისთვის საშიში.

§4 ნარკომანიის სამართლებრივი ფაქტორები

თუ გავითვალისწინებთ, რომ სამართლებრივი წარმოდგენები, სამართლის ინტერპრეტაცია მიეკუთვნება ყველაზე რთულ ფსიქოსოციალურ მოვლენას, რომელიც შეიცავს ისტორიულ, სახელმწიფოებრივ-ინსტიტუციურ, მსოფლმხედველურ, პიროვნულ დეტერმინანტების კომპლექსს და ერთდროულად გააჩნია მრავალი მახასიათებელი ან განზომილება ისეთი პირობების ძირითადი ჯგუფების სახით, რომელსაც შეუძლია სამართლებრივი ნორმების ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა, გვევლინება:

1. მაკროსოციალური პირობები (საზოგადოების რეალური სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, სამართლებრივი სისტემა, სოციალური ინსტიტუტები, სამართლებრივი კულტერა, საზოგადოებრივი აზრი, სამართლის პრესტიჟი და ა.შ.);

2. მიკროსოციალური პირობები (სუბკულტურული სამართლებრივი ორიენტაციები სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ სოციალურ ჯგუფებში, შრომით და სხვა კოლექტივებში);

3. პიროვნული პირობები (სუბიექტური-სამართლებრივი აქტიურობა სამართალშემოქმედებასა და სამართალაღმასრულებელ ქცევებში).

მაკროსოციალური პირობების გათვალისწინება მიზნად ისახავს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებელი საზოგადოებისა და მისი მოქალაქეების ობიექტური მოთხოვნილებების ჰარმონიზაციას. ამის მიღწევა შეიძლება, თუკი კანონების დამუშავებისას (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების უშუალო მუშაობაში) გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი აზრი და მთლიანად მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე, მიღებული იქნება მიზანმიმართული ზომები მეცნიერული დასაბუთებისა და საზოგადოებაში სამართლის პრესტიჟის ამაღლების მხრივ, განხორციელდება მრავალგეგმიური პროფილაქტიკური საქმიანობა მოსახლეობას შორის.

მნიშვნელოვანია, ასევე, გავითვალისწინოთ ხალხის ფსიქოლოგიის თავისებურებები. მაგალითად, ა.ახიეზერმა თავის ნაშრომში „ რუსეთის გზები: ისტორიული გამოცდილებების კრიტიკა“ (1991) დარწმუნებით გვიჩვენა, რომ რუსული ეთნოსის მენტალიტეტისათვის ტიპიურია ინვერსიული ლოგიკის ბატონობა. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, თუ რატომ უწყობდა ხელს

საზოგადოებრივი ცნობიერების უეცარი გადასვლა ერთი უკიდურესობიდან მეორეზე დანაშაულებრივი სამყაროს სუბკულტურის საზოგადოების პერიფერიიდან გამოსვლას ავანსცენაზე, როდესაც „სიკეთემ“ და „ბოროტებამ“ ადგილები გაცვალეს. [37,59]

მიკროსოციალური პირობების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის ნორმების ეფექტიანობას, გულისხმობს სამართლებრივი სუბკულტურის განვითაღებაში ტენდენციების სოციალურ-ფსიქოლოგიური მონიტორინგის რეალიზაცია, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ სოციალური ფენისა და ჯგუფისათვის, რომლებიც ყოველთვის გამსხვავდება სამართლის შესრულების პრაქტიკით, მისი გაგების თავისებურებით. მაგალითად, ბიზნესმენების წრეში, სადაც საქონლისა და ფულის ბრუნვა სწრაფად მიმდინარეობს, გარკვეული სამართლებრივი ფორმალურობის დაცვამ შეიძლება შეანელოს სავაჭრო-საფინანსო ოპერაციების სისწრაფე და მოცულობის მატება. ამიტომ. აქ, გარკვეულწილად, მიღებულია საქმიან პარტნიორებს შორის კონტრაქტების გაგრძელების ან დადების დროს იურიდიული აქტების შეთანხმებისაგან უკანდახევის პრაქტიკა და დიდ რისკთან დაკავშირებული გარიგებებიც კი, შეიძლება დაიდოს ზეპირი „პატიოსანი სიტყვის“, სატელეფონო შეთანხმებების საფუძველზე და ა.შ.

სუბიექტის პიროვნული პირობების გათვალისწინება, რომელიც სამართლის რეალიზაციას ახდენს, მოითხოვს, პირველ რიგში, ადამიანთა კონკრეტული ტიპების შიდა და საგარეო სამართლებრივი მოტივაციის თანაფარდობის შესწავლას. პიროვნების მართლზომიერი ქცევის მოტივები გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით:

- საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევის რწმენა;
- მოვალეობა საზოგადოების წინაშე;
- პასუხისმგებლობის პროფესიული გრძნობა;
- ქცევის პრაქტიკული სარგებლიანობა სხვისთვის;
- ქცევის სტერეოტიპულობა;
- კონფორმიზმი (უმრავლესობისადმი მორჩილება);

- შურისძიება, ეჭვიანობა, ეგოისტური ინტერესები და ა.შ

არსებობს პიროვნების მიერ პოზიტიური სამართლებრივი აქტიურობის გამოვლენისათვის პირობების შექმნის აუცილებლობა – ნებაყოფლობითი, ინიციატივიანი, შემოქმედებითი მოქმედების ჩასადენად, რომელიც ხელს შეუწყობს კანონიერებისა და მართლწესრიგის გაძლიერებას. ასეთი აქტიურობისთვის ადამიანს უნდა ჰქონდეს სამართლის მიმართ ჭეშმარიტი ინტერესი და პატივისცემა. ადამიანმა უნდა აღიაროს სამართლებრივი დაწესებულებების საქმიანობის მაღალი პრესტიჟი და განახორციელოს თავისი უფლებამოსილების გამოყენება და მოქალაქეობრივი მოვალეობების რეალიზაციის, სამართლებრივ სფეროში ვალდებულებების უფრო მეტად ეფექტიანი გზების ძიება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პოზიტიური სოციალურ-სამართლებრივი აქტიურობა მთლიანად შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს სულისკვეთებასა და დემოკრატიულ საზოგადოებრივ წყობას, იგი ჯერ კიდევ არ არის დამახასიათებელი საქართველოს მოსახლეობის ფართო წრისათვის.

სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბების მეტად ქმედითი საშუალება, ჩვენის აზრით, არის გზა „ხალხიდან“, ანუ პიროვნების ცნობიერების ჩამოყალიბების საშუალებით, მისი შესაძლებლობითა და უნარით, შეაფასოს და დაიცვას საკუთარი უფლებები. ამასთან, პიროვნებისთვის პირველდაწყებითი მომენტი უნდა გახდეს სხვა ადამიანთან ურთიერთობის რეგულირების უნარის განვითარება იმის გარეშე, რათა უგულებელყოს სხვისი და შეწიროს საკუთარი ინტერესები, ხოლო დამამთავრებელი - „სამართლებრივი ინტუიციის“ ფორმირება. ამდაგვარი ინტუიცია შეიძლება განვიხილოთ, ინტელექტუალურად განვითარებული პიროვნების ფუნქცია, როგორც ადამიანის ქცევის დადებითი სოციალური სტერეოტიპის ერთ-ერთი ასპექტი. გარდა აღნიშნულისა, სამართლის რეალიზაციის პროცესში კონკრეტული სამართლებრივი საქმის გადაჭრისას, სამართლის ნორმის შეფარდების აქტების გამოყენებისას და ნებისმიერი სახის სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისას, მართლშეგნება მარეგულირებელ როლს თამაშობს. აქ უკვე სახეზე იურისტის – პროფესიული მართლშეგნება.

სამართლებრივ სფეროში საქმიანობისა და და ნებისმიერი გადაწყვეტილებების შეფასება, ასევე, ისეთი ინსტრუმენტის დახმარებით (მექანიზმით), წარმოებს როგორიცაა სამართლებრივი შეგნება. შეფასების შედეგს წარმოადგენს ქცევის

(საქმიანობის) სამართლებრივად – მართლზომიერად ან პირიქით, არამართლზომიერად - მართლსაწინააღმდეგოდ აღიარება, ხოლო თუ მართლსაწინააღმდეგო ქცევას სჩადის სპეციალური სუბიექტი – თანამდებობის პირი, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკი სამსახურში ან სამსახურთან დაკავშირებით, - ქცევა გვესახება კანონიერების დარღვევად.

იურისტისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მდგრადი დადებითი დამოკიდებულება სამართალთან და მისი გამოყენების პრაქტიკასთან, რაც ნიშნავს სამართლებრივ ნორმასთან (კანონმდებელთან) მაქსიმალურად მაღალი ხარისხის თანხმობას, სარგებლიანობის გაგებას, მისი გამოყენების აუცილებლობასა და სამართლიანობას, კანონის დაცვის ჩვევას. სამართლებრივი გონიერებისა და სამართლებრივი გრძნობების თავისებურებები გამოიხატება, ასევე, პროფესიულ გადაწყვეტაში, რაც წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის, წინააღმდეგობის მოხსნის ან ნეიტრალიზაციის (რომელიც წარმოიქმნება სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში) წინადადების წყაროს. სამართლებრივი ცოდნის, სამართლებრივი განწყობისა და მნიშვნელოვანი ორიენტაციების ინტენსივობა, გამოხატვის ხარისხი, გამოვლენის სიმწვავე, განასხვავებს იურისტების მართლშეგნებას საზოგადოების დანარჩენი წევრების სამართლებრივი შეგნებისაგან.

ამგვარად, სამართლებრივი შეგნება, როგორც სამართალშემოქმედებისა და სამართალრეალიზებული საქმიანობის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ასრულებს სამართლებრივი ნორმების ფუნქციონირების ეფექტიანობის მექანიზმისა და პირობების როლს.

კანონმორჩილი საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს. სამართლებრივი ღირებულებებისა და ნორმების ათვისება სოციალიზაციის პროცესში თავდაპირველად, უპირველესად, არაცნობიერ დონეზე ხდება. ასე, მაგალითად, ბავშვებისათვის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვან სუბიექტებად გამოდიან მათი მშობლები და მასწავლებლები. ისინი სწორედ მათგან იგებენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა სიტუაციაში, მათგან იღებენ სოციალური ქცევების მაგალითებს. ამასთან, ბავშვების მიერ ქცევის მოდელების შეთვისების სიღრმე. მათ მიერ სოციალური ღირებულებებისა და ნორმების (მათ შორის, სამართლებრივის) მიღების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული კონკრეტული პირების მიმართ, ემოციურ დამოკიდებულებაზე. დადებითი

დამოკიდებულების დროს ბავშვი ითვისებს უფროსების არა მარტო გარეგნულ ქცევით მოვლენებს, არამედ სამართლებრივი სინამდვილის მიმართ მნიშვნელოვან-მსოფლმხედველურ დამოკიდებულებასაც. ხოლო მშობლებისა და მასწავლებლების მიმართ ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულების დროს უარყოფილნი არიან არა მხოლოდ ისინი, არამედ ზნეობრივი და სამართლებრივი ღირებულებების ის სისტემა, რომელთა მატარებლებიც არიან ისინი. ამის შედეგად, შეიძლება მოხდეს სხვა ადამიანებზე, სხვა, ხშირად ღირებულებების საწინააღმდეგო სისტემაზე სრული გადართვა, ე.ი. სიკეთის, ბოროტების, სამართლიანობის, დანაშაულისა და სხვა ზნეობრივი და სამართლებრივი მოთხოვნების სხვანაირი აღქმა.

პიროვნების სამართლებრივი სოციალიზაციის ხელსაყრელი პირობების არსებობისას (ოჯახში სამართალმორჩილი მოქალაქეების განვითარება, სკოლაში მიზანმიმართული სამართლებრივი სწავლება და აღზრდა, თანატოლთა ჯგუფებში ურთიერთობა) მიიღწევა ინდივიდუალური მართლშეგნების მაღალი დონე. ამასთან, საკმაოდ განვითარებულია მართლშეგნების ყველა სტრუქტურული კომპონენტი:

- შემეცნებითი,
- ემოციურ-შემფასებლური და
- ქცევითი.

მართლშეგნების შემეცნებითი კომპონენტი ხასიათდება სამართლებრივი წარმოდგენების, ცოდნის, ჩვევებისა და უნარების ერთობლიობით; ემოციურ-შემფასებლური – სამართლის ნორმების მიმართ შეხედულებითა და დამოკიდებულებით (დადებითი, გულგრილი, უარყოფითი). ქცევითი კომპონენტი გულისხმობს მართლზომიერ ქცევაზე განწყობის (წინასწარი განწყობის) არსებობას, სამართლებრივი ნორმების უსიტყვო შესრულების ჩვევასა და მათი დამრღვევების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას.

პიროვნების სამართლებრივ სოციალიზაციაში დეფექტები შეიძლება წარმოიქმნას ისეთი უარყოფითი მომენტების გამო, როგორიცაა მშობლებთან კონფლიქტი, სოციალურად არასასურველ ოჯახებში აღზრდა (კრიმინოგენური, ამორალური, პრობლემური, არასრული, ფსევდოსასიკეთო, მარგინალური), თვითრეგულაციის სირთულეები სკოლაში, თანატოლების არაფორმალურ

ასოციალურ ჯგუფებთან დაახლოება და ა.შ. ამის შედეგი შეიძლება იყოს როგორც უმნიშვნელო სამართალდარღვევა, ასევე სერიოზული დანაშაულის ჩადენა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედობების მიმართ მნიშვნელოვან წინაპირობად ბოლო წლებში ხშირად მიუთითებენ განსაკუთრებული მენტალობის გავლენას, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა პერიოდის საქართველოს საზოგადოებაში. მას ხშირად მივყავდით და ახლაც მივყავართ ან სამართლის მნიშვნელობის სათანადოდ ვერშეფასებამდე, რაც სამართლებრივი ნიჰილიზმის სახითაა ცნობილი, ან კანონის მოთხოვნების მიმართ დაუფიქრებელ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამდე, რაც სამართლებრივ ინფატილიზმს გულისხმობს, ან კიდევ სამართლის ნორმების აქტიურ მიუღებლობამდე, რაც სამართლებრივ ნეგატივიზმს გულისხმობს.

საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის ხანგრძლივი დროით არსებობა მართლშეგნების სპეციფიკური დეფორმაციის მიზეზი გახდა. სოციალური ჯგუფების უმრავლესობისა და მთლიანად საზოგადოებისთვის დომინირებულ წარმოდგენად კანონის სადამსჯელო ფუნქცია გახდა, ხოლო თავად კანონები და სხვა ნორმატიული აქტები აღიქმება, უპირატესად, როგორც სახელმწიფოს წინაშე პიროვნების მოვალეობა. სამართალშემოქმედებით საქმიანობაში პიროვნების, როგორც სამართლებრივი ერთეულის იგნორირება აისახა სამართლებრივი ზემოქმედების ნორმებისა და ზომების გამოკვეთილ დაპირისპირებაზე, რომელიც აფიქსირებს სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების მიმართ პრიორიტეტულობას, კონკრეტული ადამიანის უფლებებთან შედარებით. თანამდებობის პირთა დაბალი სამართლებრივი კულტურა, რასაც აღრმავებს სამართლის ნორმებისგან გადახვევისათვის რეალური პასუხისმგებლობის არარსებობა, ყველაზე ხშირად ხდება სამართლის მიმართ უპატივცემლობისა და მისი უგულებელყოფის მიზეზი.

საბჭოთა პერიოდის ადამიანებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სამოქალაქო სამართლის კერძოსამართლებრივი არსის მეტისმეტმა იდეოლოგიზაციამ. ამასთან დაკავშირებით, ადამიანებს, პრაქტიკულად, დათრგუნული ჰქონდათ პირადი ინიციატივა, აგრეთვე დაბლოკილი ჰქონდათ შემოქმედებითი განვითარების წამყვანი მექანიზმი – საკუთარი ღირსების შეგრძნება.

მთლიანად ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში, საბჭოთა ადამიანთა უმრავლესობის სამართლებრივი ქცევა ყალიბდებოდა არა შინაგანი სამართლებრივი მრწამსის განვითარების საფუძველზე, არამედ მხოლოდ კონფორმულ-საშემსრულებლოზე (ჩვენ, როგორც ყველა) ან იძულებით კანონმორჩილ დონეზე (კანონის მორჩილება სასჯელის შიშით).

ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების აღდგენაზე აღებული პოსტსაბჭოთა პერიოდის კურსი, რაც, პირველ რიგში, დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციის მუხლებში და ერთდროულად სხვადასხვა კოდექსის აქტიური დამუშავება, გარკვეულ ოპტიმიზმს გვინერგავს. ა,მის თაობაზე ძალიან ბევრს წერენ თავად კანონმდებლობის დამმუშავებლები. თუმცა, ფსიქოლოგიუ-სამართლებრივი გამოკვლევები მოწმობს, რომ მკვეთრი გასახელმწიფოებრიობის ტენდენცია შეიცავს არსებით წინააღმდეგობებს.

საზოგადოებრივ და ჯგუფურ ცნობიერებაში ძალას იკრებს მოსახლეობის კრიმინალური ნაწილის მორალი და ფსიქოლოგია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედ როგორც ტრადიციულ, ისე საბაზრო ფასეულობებზე. ყველაფერი ეს აისახება თანამედროვე დამნაშავეობაში. უკანასკნელ წლებში აღინიშნება არსებითი თვისებრივი ცვლილებები (რაც ყველაზე ხშირად ვლინდება დანაშაულებრივი ქცევების, დამნაშავე და დაზარალებული პიროვნების) მოტივაციაში, რომელიც აუცილებელია გავითვალისწინოთ თანამედროვე დამნაშავეობასთან წარმატებული ბრძოლის ორგანიზაციისა და განხორციელების დროს.

ფსიქოლოგიურ-სამართლებრივი და კრიმინოლოგიური გამოკვლევების მონაცემები, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმის შესწავლა (პირველ რიგში, ყველაზე ძალადობრივი დანაშაულებების შესახებ) გვიჩვენებს ზოგიერთ ასეთ ცვლილებას.

ფართო გავრცელება პოვა დანაშაულებების მიმართ შემრიგებლურმა დამოკიდებულებამ და სამოქალაქო პასიურობამ, რომელიც, გარკვეულწილად, განპირობებულია იმით, რომ მოქალაქეთა სულ უფრო მეტი რაოდენობა, ამა თუ იმ სახით, დამნაშავეობების სფეროში ჩაებმება; სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობა აქვს პირებთან, რომლებიც ჩადიან დანაშაულს ან ერთიანდებიან დანაშაულებრივ ჯგუფებში (ოჯახის წევრები, მეზობლები და სხვ.); ეცნობა შეხედულებებს, წარმოდგენებს, განწყობას, ქცევებისა და ურთიერთობების

ნორმებს, რომელიც დამახასიათებელია დანაშაულის ჩამდენი პირისათვის, პასიურად იღებს ამ შეხედულებებსა და ნორმებს, ან ეთანხმება მათ.

კრიმინოლოგიური გამოკვლევების მონაცემებით რომ ვიმსჯელოთ, მოქალაქეთა სულ უფრო მეტი რაოდენობა მზადაა გამოიტანოს სასამართლოს გარეშე საკუთარი გადაწყვეტილება და ანგარიში გაუსწოროს პირადად ან შესაბამისი დახმარებისთვის მიმართოს დაქირავებულ შემსრულებლებს, დაქირავებულ მკვლელებს, ამასთან, არც თუ იშვიათად, ამისთვის ძირითადი და ერთადერთი დაბრკოლება ხდება სახსრების უქონლობა ან კიდევ იმის არცოდნა, თუ ვის შეიძლება მიმართო მსგავსი წინადადებით, ე.ი. კონკრეტული „ქილერები“ ვერ მოუნახავს.

დამნაშავეობისა და დანაშაულებრივი გამოვლენების მიმართ თავისებური მიჩვევა, მის არსებობასთან თითქოსდა „შეგუება“, ვლინდება იქ, სადაც ეს არ ეხება და არ შელახავს პირად ინტერესებს, ან, პირიქით, ხელს უწყობს მის დაკმაყოფილებას. ამ შემთხვევებში, დამნაშავეობა განიხილება, როგორც გარდაუვალი მოვლენა, როგორც გარკვეული საქმიანობა. მაგალითად, სისხლის სამართლის მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ იმ პირთა ნათესავებმა, ოჯახის წევრებმა ან მეზობლებმა, რომლებიც ჩაბმულნი არიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებში და წლების განმავლობაში არ გააჩნიათ ოფიციალური სამუშაო ადგილი ან ლეგალური საქმიანობა, იციან, თუ ისინი რას საქმიანობენ და ეკითხებიან მას, როგორც მართებულს, როგორც „სამუშაოს“ ერთ-ერთ სახეობას, ე.ი. იზიარებენ თავად დამნაშავეების წარმოდგენებს იმის თაობაზე, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული, მაგალითად, რეკეტი, ეს უბრალოდ მათი სამუშაოა (მაგალითად, დამნაშავეები „უდროოდ წასული“ თანამონაწილეების საფლავებზე აწყობენ გვირგვინებს წარწერით „სამუშაოს მეგობრებისგან“).

შესაძლებელია, მოსახლეობის მხრიდან დამნაშავეობისადმი სწორედ ასეთ „მიჩვევაში“, მასთან შეგუებაში ვლინდება წინანდელი ღირებულებებისა და მორალის და გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის დევალვაციის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე შედეგი. ჯერ კიდევ ე.დიურკჰეიმმა მის მიერ შემუშავებულ ანომიის თეორიაში გვიჩვენა, რომ ეკონომიკური კრიზისების ან რადიკალური სოციალური ცვლილებების დროს ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილება აღარ შეესაბამება იდეალებს, რომელიც აისახება სოციალურ ნორმებში. სოციალური ნორმები ირღვევა, ადამიანები განიცდიან დეზორიენტაციის

მდგომარეობას, და ყველაფერი ეს ერთობლიობაში განაპირობე ბს კოლექტიურ დევიაციას. [98,42]

როდესაც ნარკომანიას განვიხილავთ სამართლებრივ ჭრილში, განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება ნარკოტიკებთან ბრძოლის კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებზე. [25,367-402]

მრავალი საუკუნეა, რაც ნარკოტიკების პრობლემა იწვევს მეცნიერთა შორის აზრთა ჭიდილს, მას მეცნიერები იკვლევენ, როგორც სამედიცინო დანიშნულებისათვის, ისე სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და სხვა მიმართულებით. რაც შეეხება ამ პრობლემას კრიმინოლოგიური კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ, ნარკობიზნესი ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი, საერთაშორისო ასპარეზის, ყველაზე მომგებიანი დანაშაულებრივი ქმედებაა. ცნობილია, რომ კრიმინოლოგია, როგორც ნებისმიერი სოციალური მეცნიერება, იწყება ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის აღწერიდან. [36,2] ამ ემპირიული ინფორმაციიდან გამოიყოფა ქცევის ის ნიშნები, რომლებიც საერთოა დანაშაულისათვის, ამ მეთოდს, მაგალითად, ამერიკაში უწოდებენ „დანაშაულებრივი ქცევის წინამორბედ გარემოებებს ანუ პირობებს [123,28] რუსეთში იყენებენ ტერმინს - „ინდივიადული დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი. [118,30]. XX საუკუნის შუა წლებიდან უკანასკნელ პერიოდამდე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ნორმიდან მცირე გადახრაც კი, ითვლებოდა, როგორც ცალკეული ინდივიდის თვითნებობა. ამიტომ, დანაშაულის მიზეზებიც ამ თვითნებობაში მოიძიებოდა. ჩვენ ვეთანხმებით დ. ლუნეევის მოსაზრებას, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდა პირდაპირპროპორციულად როდი გამოიხატება დანაშაულის ზრდაში, იგი აიხსნება „რეგისტრირებულ“ დანაშაულთა შემცირებისა და გამოვლენილ პირთა გაზრდილ რაოდენობაში, არა მარტო მსჯავრდებულთა, არამედ უმცირესი ეჭვის საფუძველზე საზოგადოებისაგან „მოსაკვეთად“ განკუთვნილ პირთა ჩათვლით. [114-77,139-418] მაგრამ, ნარკომანიასთან მიმართებაში, ასე ვერ განვსაზღვრავდით, რადგანაც ნარკომანია, ხშირ შემთხვევაში, ლატენტური ხასიათისაა და რეგისტრირებული მონაცემები რეალურს ნამდვილად ვერ დაემთხვევა. .

დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების სოციალიზაციის საკითხს. ადამიანების მიერ სათანადო ქცევის ზომების განმსაზღვრელი კანონების, სამართლებრივი ცოდნისა და მოთხოვნების ათვისება, საკუთარი უფლებებისა და მათი

რეალიზაციის საშუალებების გაცნობიერება, აგრეთვე სხვადასხვა ადამიანებს, მათ ჯგუფებსა და სოციალურ ინსტიტუტებს შორის რთული სამართლებრივი ურთიერთობის გაგება ხორციელდება სამართლებრივი სოციალიზაციის პროცესში. ამ პროცესს თან სდევს ცალკეული ინდივიდის მიერ სამართლებრივი ღირებულებების, ნორმების სანქციის, როლების განაწესის ადეკვატური აღქმისათვის სპეციალური პირობები და მათი გადაყვანა პირად ქცევით რეგულატორულ მექანიზმში. საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ კულტურას ადამიანი თავდაპირველად ეცნობა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში. როლებით ბავშვური თამაშობანი განაპირობებს სამართლისა და მათი წარმომადგენლების ფუნქციების შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უფროსების საუბრები, წიგნის კითხვა სამართლებრივი ღირებულებებისა და ნორმატიული ქცევების სტანდარტების შესახებ ცოდნის წყარო ხდება. ბავშვობაში წარმოქმნილი მსოფლიოს ინდივიდუალური სამართლებრივი სურათი ასაკთან ერთად მნიშვნელოვნად მდიდრდება და ზუსტდება მოქმედების (სწავლა, შრომა) ფორმის გართულების, ადამიანების ურთიერთობების წრის გაფართოების, მათ მიერ თვითაქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციის მცდელობის მიხედვით.

ადამიანის ზრდასთან ერთად სოციალიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებად გვევლინება:

- ოჯახი;
- სკოლა;
- თანატოლების რეფერენტული ჯგუფები;
- შრომითი კოლექტივები და ა.შ.

ნარკომანია მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულებთან, როგორებიცაა ადამიანებით ვაჭრობა, [151,72-73] იარაღით ვაჭრობა, ტერორიზმი, კონტრაბანდა და ა.შ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა მონაცემების შესაბამისად, ტრანსნაციონალურ დანაშაულობათა შორის ყველაზე მეტი უკანონო და არალეგალური მოგება მოაქვს ნარკოტიკების ბრუნვას, რაც წელიწადში, დაახლოებით, 400 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს, აღნიშნული კი, საერთაშორისო მთლიანი ვაჭრობის 8%-ს შეადგენს. როგორც ცნობილია,

საქართველო არ არის ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა, სამაგიეროდ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა. არის რა ევროპისა და აზიის შემაერთებელი ქვეყანა, საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას საერთაშორისო ნარკობიზნესის წარმომადგენლები იყენებენ თავისი მომგებიანი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის. საქართველოს ისტორიულ და გეოპოლიტიკურ ჭრილში განხილვისას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ტრადიციულ მაგისტრალზე ე.წ „ბალკანეთის მარშრუტზე", სამართალდამცავი ორგანოების მიერ მეტ-ნაკლებად შესწავლილი იქნა ნარკოტიკების გადაზიდვის ხერხები და გამკაცრდა კონტროლი, დაიწყო ახალი გზებისა და ხერხების ძიება და მნიშვნელოვანი უპირატესობა მიენიჭა ე.წ. „კავკასიურ მარშრუტს", რომელიც აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გზას გულისხმობს.

ნარკოტიკული დანაშაული - სისხლისსამართლებრივი დახასიათება

საკითხები, რომლებიც ეხება დამნაშავეობასთან ბრძოლას, კერძოდ, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვას, რეგლამენტირებულია სამართლის სხვადასხვა დარგებით. სპეციფიკიდან და თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართალს, რაც იმითაა განპირობებული, რომ სისხლის სამართლის ნორმები ყველაზე მწვავედ რეაგირებენ ამ ანტისოციალურ მოვლენაზე. გამომდინარე აქედან, დამნაშავეობასთან ბრძოლის სამართლებრივ რეგულირების საკითხებში დიდი როლი განეკუთვნება სისხლის სამართლის კანონდებლობას და კრიმინოლოგიას.

სისხლის სამართლის კანონდებლობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის თავიდან აცილებაში. იგი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოყვანის, დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნისათვის. ამ დანაშაულის ობიექტად, პირველ რიგში, გვევლინება საზოგადოების ჯანმრთელობა. ბრალის ფორმად კი მარტო - განზრახვა. ზოგ შემთხვევაში კი, - პირდაპირი განზრახვა. ამ დანაშაულის სუბიექტად გვევლინება საერთო სუბიექტი ანუ შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან. ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში – (დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა), ასევე უმოქმედობაში – (შენახვა).

ნარკომანია საზოგადოებისათვის და მისი ცალკეული წევრისათვის ყოველთვის წარმოადგენდა დიდ პრობლემას. ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები გამოიხატება შემდეგში: პირველ რიგში, იგი ახორციელებს უარყოფით ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, ზოგჯერ იწვევს მისი სიცოცხლის მოსპობასაც, ხოლო მეორეს მხრივ, იზრდება სხვადასხვა დანაშაულის რიცხვი, რომლებიც საბოლოოდ დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოპოვებასთან. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება საზოგადოების სოციალურ და სამართლებრივ მდგომარეობაზე. ნარკომანიის პრობლემები ყოველდღიურად უფრო რთულად წარმოგვიდგება, როგორც გლობალური მასშტაბით, ისე საქართველოშიც. საქართველოში პოპულარულია აზრი, რომ ნარკომანია ავადმყოფობაა, ასეთმა მიდგომამ ძლიერ შეუწყო ხელი ნარკომანიის გავრცელებას, რამაც თავის მხრივ, საქართველოში ნარკობიზნესს შეექმნა მყარი ნიადაგი. ქართველმა კანონმდებელმა დიდი ყურადღება დაუთმო ამ პრობლემას და გაამკაცრა პასუხისმგებლობა, რამაც გააძლიერა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნარკოტიკების კომიტეტი, ნარკომანიას განსაზღვრავს შემდეგნაირად: "ფსიქიკური, ზოგჯერ ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშობა ცოცხალი ორგანიზმისა და ნარკოტიკული ნივთიერების ურთიერთქმედების შედეგად, ხასიათდება ქცევის თავისებურებებითა და სხვა ისეთი რეაქციებით, რაც ნარკოტიკული საშუალებებით მუდმივად ან პერიოდულად მიღების ძლიერ სურვილშია გამოხატული, ყოველივე კი, დაკავშირებულია მისი ფსიქიკური მდგომარეობის, განცდის ან ნარკოტიკების მიღების შეწყვეტით გამოწვეულ დისკომფორტისაგან თავის დაღწევის მოთხოვნილებით".

ჩვენის აზრით, კანონმდებლობის ზოგიერთი მუხლი გადასახედია და უფრო მეტად დასახვეწი. განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი ნორმა. ეს ის მუხლებია, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულს ეხება. ზოგიერთ მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩნდება სერიოზული კითხვები.

უკანასკნელ პერიოდში, ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ მუხლებში, ისევე, როგორც სხვა დანაშაულებთან მიმართებაში, გაჩნდა დანაშაულის ახალი სუბიექტი, კერძოდ, იურიდიული პირი. მის მიმართ განსახორციელებელი სანქციები მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ყველა სამართლებრივ ნორმაში. ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება წარმოდგენილი გარკვეული მოსაზრებანი.

ნარკოტიკული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავშია გაერთიანებული. იგი მოიცავს 260-დან – 274-ე მუხლებს. რაც შეეხება ამ მუხლებს, მათთვის დამახასიათებელია შემდეგი სისხლისსამმართლებრივი შემადგენლობა.

ნარკოტიკულ დანაშაულობათა საერთო ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი. გვარეობითი ობიექტია საზოგადოებრვი უშიშროება, ხოლო უშუალო ობიექტია როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობა, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობები ნარკოტიკების სახელმწიფო ბრუნვის სფეროში. ჩამოთვლილი მუხლებიდან გამომდინარე, იქმნება ზოგადი წარმოდგენა თუ რამდენ სფეროზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულები. რაც შეეხება ნარკოტიკულ დანაშაულობათა სუბიექტებს, აქ შესაძლებელია მოგვევლინოს საერთო, იურიდიული ან სპეციალური სუბიექტი. სოციალურ სუბიექტი კი შემდეგი სახისაა:

1. თუ ჩადენილია სამსახურებრივი დანაშაული, სახეზეა სახელმწიფო მოხელე.

2. თუ დანაშაული ჩადენილია იმ პირის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაული, ე.ი. საუბარია მსჯავრდებულზე, რომელსაც ადრე ჩადენილი ანალოგიური დანაშაულისათვის მისჯილი აქვს რომელიმე არასაპატიმრო სასჯელი ან კიდევ არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის.

ნარკოტიკული დანაშაულების სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში, ამ შემთხვევაში, დამნაშავეს გათვითცნობიერებული აქვს თავისი ქმედების შინაარსი, იცის, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა ანუ დანაშაულია, მაგრამ მაინც განზრახ, შეგნებულად ახორციელებს მას. ნარკოტიკული დანაშაულების ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს როგორც კონკრეტული მოქმედებით, მაგალითად, როდესაც პირი ფიზიკურ მოქმედებას ახორციელებს და ისე სჩადის დანაშაულს. ან გამოიხატოს უმოქმედობაში, მაგალითად, როდესაც პირი ინახავს ნარკოტიკულ საშუალებას და ამისთვის იგი არ ახორციელებს არანაირ მოქმედებას [33,201]

ცნობილია, რომ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება ადვილად ხორციელდება იმ ქვეყნებში, სადაც არის კონფლიქტები, საომარი კერები, არაკონტროლირებადი ტერიტორიები და ზოგადად რთული გეოპოლიტიკური ვითარება. სამწუხაროდ, საქართველო სწორედ ამდაგვარ კატეგორიის ქვეყანას წარმოადგენს, რადგანაც დღეისათვის კონტროლს არ ექვემდებარება აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორია და ცხინვალის რეგიონი, სადაც უკანასკნელი 15-16 წლის მანძილზე მუდმივად გამწვავებული მდგომარეობაა, ამ რეგიონებში ეთნოკონფლიქტებია და ძმათა მკვლელი ომები მიმდინარეობს.

უკანასკნელ წლებში, საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში არსებული ნარკომდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში განუხრელად იზრდება ნარკოტიკების შემოტანა, გავრცელება, გასაღების კერები და მომხმარებელთა რაოდენობა. ყოველწლიურად მატულობს მათი შემოტანა კონტრაბანდის გზით..

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სწორედ ამ საკითხზე გაგვემახვილებინა ყურადღება. ნარკოტიკული დანაშაულის გამო, ჩვენის აზრით, იურიდიულ პირზე შესაძლოა გავრცელდეს რამდენიმე სახის სანქცია. მაგალითად, ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ჯარიმა, ლიკვიდაცია და ჯარიმა. ეს სანქციები თითოეულ მუხლში მოცემულია დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის სანქციებში იურიდიულ პირთან მიმართებაში არის გარკვეული ხარვეზი. კერძოდ, კოდექსის 260-ე მუხლი ეხება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას. ამავე მუხლშივეა მოცემული იურიდიული პირის მიმართ გამოყენებადი სანქციები. კერძოდ, ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით. [3-260-ე მუხლი], ამ სანქციიდან გამომდინარე, ჩანს, რომ დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, იურიდიული პირის მიმართ ყველაზე მძიმე სანქციის ფორმაა მისი ლიკვიდაცია. ამ სანქციის ფორმას თუ შევადარებთ სხვა ნარკოტიკული დანაშაულის შემცველ დანაშაულებრივ მუხლებს, შევნიშნავთ, რომ ამ მუხლში სხვა

მუხლებთან შედარებით, იურიდიული პირისათვის სანქციის ყველაზე მკაცრი ფორმაა გათვალისწინებული, ეს არის იურიდიული პირის ლიკვიდაცია და ჯარიმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის შინაარსი სხვა მუხლებთან შედარებით უფრო მსუბუქია.

განვიხილოთ, მაგალითად, სსკ 265-ე მუხლი, რომელიც ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვას, მოყვანას ან კულტივირებას ითვალისწინებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით. როგორც ვხედავთ, 265-ე მუხლში დანაშაული გამოიხატება ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის დათესვასა და კულტივირებაში. იურიდიული პირისათვის კი, ამ მუხლის ყველაზე მკაცრი სანქციის ფორმაა მისი ლიკვიდაცია და ჯარიმა. სსკ 260-ე მუხლში, რომელიც სხვა ქმედებებთან ერთად მოიცავს ნარკოტიკული საშუალების გასაღებასაც, იურიდიული პირისთვის ყველაზე მკაცრ სანქციად ითვალისწინებს მხოლოდ ლიკვიდაციას. [3-265-ე მუხლი]

მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, სისხლის სამართლის კოდექსის 271-ე მუხლს, რომელიც აწესრიგებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობას.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით. აქაც იმავე პრობლემას ვხვდებით. 260-ე მუხლში მოცემული დანაშაულებრივი შინაარსი გაცილებით უფრო მძიმე ქმედებას ეხება, ვიდრე სსკ 271-ე მუხლის შინაარსშია მოცემული. მიუხედავად ამისა, სსკ 271-ე მუხლის სანქციის ყველაზე მკაცრი ფორმა იურიდიულ პირთან მიმართებაში არის ლიკვიდაცია და ჯარიმა. 260-ე მუხლში კი სანქცია იურიდიული პირისათვის ითვალისწინებს მხოლოდ ლიკვიდაციას. ჩვენის აზრით კანონმდებელს დაშვებული აქვს საკანონდებლო ხარვეზი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, რათა იურიდიული პირის მიმართ გამოყენებული სანქციები იყოს იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ნარკოტიკული დანაშაულის სიმძიმის ადეკვატური. [3-271-ე მუხლი].

ახლა განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი, რომელშიც რეგლამენტირებულია შემდეგი: პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ უნდა იყოს ამ ქმედებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ჯარიმის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები. [3-273-ე მუხლი].

მოცემული მუხლით გათვალისწინებული ქმედება იმაში გამოიხატება, რომ ნარკოტიკების პირადი მოხმარების გამო, საბოლოო ჯამში, პირს ეკისრება თავისუფლების აღკვეთა. სანქციის ასეთი მკაცრი ფორმის შემოღება მიზნად ისახავდა ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის შიშის გრძნობის გაჩენას და კანონმდებელი ვარაუდობდა, რომ ამდაგვარი სანქციის შემოღებით შემცირდებოდა ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა. დღევანდელი ნარკოვითარების გათვალისწინებით, შესაძლებლად მივიჩნიეთ გაგვეანალიზებინა თუ რა შედეგები მოჰყვა სანქციის გამკაცრების შემოღებას. ამისათვის გავაანალიზეთ ნარკოტიკულ დანაშაულთა სტატისტიკა, რომელმაც ნათლად დაგვანახა, რომ ნარკოტიკების მომხმარებელ პირთა რაოდენობა, რომლებიც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის საფუძველზე იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით კი არ შემცირდა, არამედ, პირიქით, საგრძნობლად გაიზარდა. [3-273-ე მუხლი].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის კანონდებლობის გამკაცრებამ ნარკოტიკების

მომხმარებელთა მიმართ არ გამოიღო დადებითი შედეგი და ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა სანქციის გამკაცრებით არ შემცირებულა. ობიექტური ვითარებიდან და ნარკოტიკების მომხმარებელთა ანონიმური გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ ნარკოტიკების მოხმარების გამო, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არ ამკვიდრებს ნარკომანთა შორის შიშის ფაქტორს და ისინი არ იღებენ ხელს ნარკოტიკების მოხმარებაზე. საინტერესოა აგრეთვე, იმ შედეგების ანალიზი, თუ რა მოჰყვა ნარკოტიკების მოხმარების გამო ნარკომანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებას. თუ ამ მოვლენას საფუძვლიანად დავაკვირდებით და შევისწავლით, ნათლად დავინახავთ, რომ ნარკომანთა თავისუფლების ადგელებში მოთავსებას ძალზედ ნეგატიური შედეგები მოჰყვა:

- იმ პირთა შორის,, რომლებსაც ნარკოტიკების მოხმარების გამო შეეფარდათ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა არიან, რა თქმა უნდა, ისეთი პირები, ვინც ე.წ. ნარკოტიკების ჩამოყალიბებული მომხმარებლები არიან, რომლებიც სისტემატურად მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს და ნარკოტიკების მიმართ აქვთ სრულად განვითარებული ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება.

- ნარკოტიკების მოხმარების გამო, თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელი დაეკისრათ აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც არ არიან ნარკოტიკების სისტემატურად მომხმარებლები, მაგრამ რამდენმეჯერ არიან დაკავებულნი ნარკოტიკების მოხმარებისთვის.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემულია ერთადერთი 45-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენას ან შენახვას გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას ექიმის დანიშნულების გარეშე. პირველი ნაწილით აკრძალული ქმედებისათვის ჯარიმა 500 ლარის ოდენობითაა, ან, გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების ათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად ჩაითვლება და გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე ვადით. [2-45-ე მუხლი].

მოცემული მუხლი ითვალისწინებს შენიშვნას, სადაც პირველ პუნქტში მითითებულია, რომ თუ პირი ნებაყოფლობით ჩააბარება ნარკოტიკულ

საშუალებას, რომელიც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც შეიძინა ან შეინახა გასაღების მიზნის გარეშე, აგრეთვე, რომელიც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის (კანონის თანახმად, აღნიშნული ნორმა მიღებულია 2006 წლის 28 აპრილიდან, ხოლო ამოქმედდა 2006 წლის 1 ნოემბრიდან). შენიშვნის მეორე პუნქტი ითვალისწინებს, რომ პოლიციელი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს, გამოკვლევის მიზნით, წარუდგენს იმ პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ნარკოტიკული საშუალება ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა. (ცვლილება მიღებულია 2006 წლის 27 დეკემბერს); შენიშვნის მესამე პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.(ცვლილება მიღებულია 2006 წლის 27 დეკემბერს). [2,45-ე მუხლი].

კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოტიკების მოხმარებისთვის პირს თავდაპირველად ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, ხოლო შემდგომში კი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და უმრავლეს შემთხვევაში, როგორც წესი, ეს თავისუფლების აღკვეთაა. აქედან გამომდინარე, ხშირად სანქციის ამდაგვარი ფორმა ეკისრებათ ისეთ პირებს, რომლებიც არ არიან ნარკოტიკების სისტემატური მომხმარებლები, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ნარკოტიკების მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება და მათი ყოველდღიური ქცევა არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას. ამ კატეგორიის პირებმა, შესაძლებელია, ხანგრძლივი დროის პერიოდში არ მოიხმარონ ნარკოტიკული ნივთიერებები, მაგრამ რამდენჯერმე იქნან მხილებული მათ მოხმარებაში, რაც თავის მხრივ, უკვე წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს.

ამდაგვარ ანალიზს მეტად აქტუალურ საკითხამდე მივყავართ, კერძოდ ვეჯახებით პრობლემას, რომ კანონის საფუძველზე სამართლიანად როდი ხდება ნარკოტიკების მომხმარებელთა პირობით კატეგორიებად დაყოფა და აქედან გამომდინარე კი, მათთვის შესაბამისი სახდელის ან სანქციის მართებულად

დაკისრება. დღევანდელი კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოტიკების ყველა მომხმარებლის მიმართ ხორციელდება თანაბარი საკანონდებლო ზემოქმედება, მიუხედავად იმისა, თუ როგორი საშიშია იგი საზოგადოებისათვის, ანდა არის თუ არა პირი ნარკოტიკების იშვიათად მომხმარებელი თუ ნარკოტიკებზე დამოკიდებული და მათი სისტემატურად მომხმარებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, რომ აუცილებელია, საქართველოს ნარკოვითარების გათვალისწინებით, საკანონდებლო დონეზე მოხდეს ნარკოტიკების **მომხმარებელთა კატეგორიებად** დაყოფა და მათზე შესაბამისი ზემოქმედების ზომების განხორციელება, მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს ნარკოვითარებას.

განვიხილოთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ნარკოტიკების მომხმარებელი სასჯელის შესაბამისად, ხვდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ნარკოტიკების მომხმარებლისათვის თავისუფლების აღკვეთით არ მიიღწევა მთავარი მიზანი, მისი ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა. შეიძლება ითქვას, პირიქით, მისი მდგომარეობა უფრო უარესდება. პირი, რომელიც სასჯელიდან გამომდინარე, უკვე თავისუფლებააღკვეთილია, კიდევ უფრო მეტად ხდება ნეგატიური ზემოქმედების წნეხის ქვეშ და მისი გათავისუფლების შემთხვევაშიც კი, ვეღარ ახერხებს ნარკოტიკების მოხმარებაზე უარის თქმას. ხშირ შემთხვევებში, მდგომარეობა უფრო მეტად მძიმდება, როდესც ნარკოტიკების მომხმარებელი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში აქტიურ ურთიერთობაშია დამნაშავე სამყაროს წევრებთან, კრიმინალურ ელემენტებთან. იგი გათავისუფლების შემდეგაც, კვლავ მიმართავს დანაშაულებრივ ქმედებებს ნარკოტიკების შესაძენი სახსრების მოსაპოვებლად.

განვიხილოთ ნარკოტიკების სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. პირი, რომელიც ნარკოტიკების მუდმივად მომხმარებელია და მას სრულად აქვს ჩამოყალიბებული ნარკოტიკების მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება, მიუხედავად ასეთი სანქციისა, მაინც არ ამბობს უარს ნარკოტიკების მოხმარებაზე. ასეთი კატეგორიის ნარკომანები, უმეტესად, ფიზიკურად ძალზედ სუსტები არიან და მათი მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უფრო და უფრო მძიმდება. ისინი მძიმედ ავადდებიან, რითაც გარშემომყოფთათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენენ.

განვიხილოთ ნარკოტიკების სხვა კატეგორიის მომხმარებელი, კერძოდ პირი, რომელიც სისტემატურად არ მოიხმარს ნარკოტიკებს და ჯერ არ აქვს სრულად ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება ნარკოტიკების მიმართ. როდესაც ამ კატეგორიის პირები ხვდებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სამწუხაროდ, მათზე მუდმივად ხორციელდება ნეგატიური ზეგავლენა. კერძოდ, მათ მუდმივად უწევთ ურთიერთობა დამნაშავეებთან, რითაც ხშირ შემთხვევებში, თვითონ იძენენ დანაშაულებრივ ჩვევებს და ყალიბდებიან დამნაშავეებად, ანდა ნარკომანებთან ურთიერთობისას ხდებიან ნარკოტიკულ საშუალებებზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სრულად დამოკიდებულნი.

ისმის კითხვა, რას ვღებულობთ შედეგად? სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ერთის მხრივ, საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებისთვის ნარკომანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსება სრულებითაც არ ამცირებს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობას. მეორეს მხრივ კი ჩანს, რომ თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ნარკოტიკების ხშირად თუ მუდმივად მომხმარებლები არათუ არ ამბობს უარს ნარკოტიკების მოხმარებაზე, არამედ პირიქით, გათავისუფლების შემთხვევაში, უფრო მეტად მოიხმარს ნარკოტიკებს და ხშირ შემთხვევაში, სჩადის სხვადასხვა დანაშაულს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოში არსებული საკანონდებლო ბაზა, რომელიც ნარკომანიასთან ბრძოლის მთავარი საფუძველს წარმოადგენს, საჭიროებს სრულყოფას და დახვეწას, რათა უფრო ეფექტური გახდეს ზოგადად ნარკომანიასთან ბრძოლა.

თავი III. ნარკომანიის პრევენცია საქართველოში

§1 საზოგადოებრივი აზრი ნარკომანიის პრევენციის შესახებ

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ნარკოტიკების მომხმარებელთა მკვეთრად გაზრდილი რაოდენობა ფართოდ ვრცელდება მოზარდეისა და ახალგაზრდების ხარჯზე. იზრდება იმ ახალგაზრდა ადამიანების რაოდენობაც, რომლებიც ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს მოიხმარენ. ინტერესმოკლებული არც ის ფაქტია, რომ ახლანდელ პერიოდში, ძნელად მოიძებნება ახალგაზრდა, რომელმაც არ იცის იმ საშიშროების შინაარსი, რაც თან სდევს ნარკოტიკების მოხმარებას. პირადად, ჩემს მიერ, გამოკითხულ სკოლის 200 მოსწავლეთაგან ყველამ (ვაჟებმაც და გოგონებმაც) იცის, რომ ნარკოტიკების მოხმარება მავნედ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, გამოკითხულთა შორის დაახლოებით 40%-ს გასინჯული აქვს ნარკოტიკული საშუალება.

თუკი ბავშვებმა იციან, რომ ნარკოტიკები მავნეა, მაშ რა აიძულებთ მათ დაიწყონ ნარკოტიკების მოხმარება? ეს ისეთი მნიშვნელოვანი კითხვაა, რომელზე პასუხიც აუცილებელი მოსაძებნია. ცნობილია, რომ ავადმყოფობის პროფილაქტიკა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ავადმყოფობის განკურნება. ეს პრობლემა მხოლოდ სპეციალისტების პრობლემა როდია. მასზე დაფიქრება, უპირველ ყოვლისა, მშობლებს მართებთ. რა უნდა მოიმოქმედონ, რომ თავისი შვილები დაიცვან ამ დაავადებისაგან და თუ ეს უკვე გვიანაა, მაშინ უნდა გაიაზრონ, თუ როგორ დაეხმარონ მათ. სამწუხაროდ, ბევრ მშობელს ურჩევნია ეს პრობლემა გადააბრალოს სახელმწიფოს, საზოგადოებას, სკოლას, ყველას, მაგრამ არ აღიარებს თავის უსუსურობას, იმას, რომ ვერ დაიცვეს ახალგაზრდები ამ სენისგან.

როდესაც საუბარია ახალგაზრდებს შორის გავრცელებულ ნარკომანიაზე, რომელიც საზოგადოებისათვის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა, ვითვალისწინებთ ახალგაზრდის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის ინტერესს ნარკოტიკებისადმი და მათი გამოყენებისადმი. მნიშვნელოვანია მოვახდინოთ იმ მიზეზთა კლასიფიკაცია, რომლებიც საწყის ეტაპზე ადამიანს ხელს უწყობენ, მისი, როგორც ნარკოტიკების მომხმარებლის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ნარკომანიის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც, შესაბამისად, საშუალებას

მისცემს სპეციალისტებს უფრო მიზანმიმართულად და შედეგიანად დაუპირისპირდნენ ნარკომანიის პრობლემას. საზოგადოების დამოკიდებულება ნარკომანიისადმი დღეისთვის ცალსახად ნეგატიურია. ამას საზოგადოებაში არსებული ერთგვარი შიში განაპირობებს საკუთარი ახლობლებისა და პირველ რიგში, შვილების მიმართ, რათა მათ, ეს საშიშროება არ შეეხოთ. ყოველივეს იქამდე მივყავართ, რომ საზოგადოებას სურვილი აქვს, საზოგადოებიდან გარიყოს ნარკოტიკების მომხმარებელი. ამდაგვარი მიდგომები ნარკომანს საზოგადოებისაგან იზოლირებულად ტოვებს. იზოლირებულად კი, ამ ადამიანებს აქცევენ მისივე მეგობრები, ოჯახის წევრები, საზოგადოების სხვა წევრები და ა.შ. ერთადერთი გარემო, რომელიც იზოლაციაში მყოფი პირისათვისაა ღია, ის გარემოა, სადაც ნარკოტიკების მოხმარების ტრადიციაა გაბატონებული.

საზოგადოებისგან ნარკომანების იზოლაცია აიძულებს მათ, იმ პირთა შორის იცხოვრონ, რომლებიც ფსიქოლოგიურად უფრო მეტ დამანგრეველ ეფექტს ახდენენ მასზე, ვიდრე ნარკოტიკები. მაგრამ ადამიანს აღარ შეუძლია ნარკომანთა გარემოს გარეშე, ცალკე ცხოვრება. სწორედ ასეთი სახით ყალიბდება განსაკუთრებული ნარკომანული სუბკულტურა თავისი სპეციფიკური ცხოვრების წესით, ფასეულობათა სისტემით, ენით, სტერეოტიპებით, მაფიით. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მითი, რომ ნარკომანი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისას განიცდის არამიწიერ სიამოვნებას. სინამდვილეში კი, ეს თვითონ მის მიერ შეთხზული და მოგონილია. პირი ისმენს ისტორიას, რომ ნარკოტიკების მოხმარებისას განიცდის ღვთაებრივ ნეტარებას, მაგრამ თვითონ ნარკოტიკი, როგორც ასეთი, არ იწვევს ამ ღვთაებრივ ნეტარებას, ეს არის უბრალოდ პირის სურვილი, რომ განიცადოს ასეთი სიამოვნება. ნარკოტიკი კი ამის მხოლოდ სტიმულატორია, ნარკოტიკი ადამიანის ფსიქოლოგიაში არ იწვევს ასეთ „ღვთაებრივ“ აზრებს და „სასიამოვნო გარემოს“ ფორმირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ნარკომანთა სუბკულტურა, საზოგადოების ძალიან ბევრ „ელემენტს“ უადვილებს ახალგაზრდობის მიზიდვას, და მათზე ზემოქმედებას.

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება, დღევანდელ ახალგაზრდობას, ართმევს უნარს, ამ ახალ საუკუნეში, იცხოვროს მაღალი ღირსების გრძნობით, საუკეთესო ჯანმრთელობით, მას აღარ აქვს უნარი შეიტანოს თავისი წვლილი საკუთარი ქვეყნისა თუ მსოფლიოს განვითარების საქმეში. სამწუხაროა, მაგრამ

ფაქტია, რომ ბავშვთა გარკვეული რაოდენობა ნარკომანიის პრობლემას ეჯახება, ჯერ კიდევ, მუცლად ყოფნის პერიოდში, როდესაც მათი შეხვედრა ამ სამყაროსთან ხდება ტკივილების განცდით, რაც გამოწვეულია დედის მიერ ნარკოტიკების საშუალებით აბსტინენციის მდგომარეობის განცდით.

ნარკომანია, ხშირ შემთხვევაში, პიროვნების პათოლოგიურად განვითარებაა, მისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ოჯახში არასწორი აღზრდის პირობებია, ანუ დარღვეულია ადამიანის სოციალიზაციის პროცესი. ეს გარემოება კი, ნეგატიურად აისახება ახალგაზრდებზე და მათ უჩნდებათ მიდრეკილება ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებისკენ. იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, ნარკომანიის მიზეზები ოთხ დონედაა წარმოჩენილი. ესენია:

1. ბიოფიზიოლოგიური დონე: თანდაყოლილი მიდრეკილება, გენეტიკურად გადაცემადი ინფორმაცია, ინდივიდის განსაკუთრებული ნიშნები (ენზიმებისა და ვიტამინების უკმარისობა, თანდაყოლილი და შეძენილი მეტაბოლიზმის დარღვევები, ტვინის პათოლოგიები).

2. ინდივიდუალურ–ფსიქოლოგიური დონე: გამოიხატება ფსიქოლოგიური განსაკუთრებულობებითა და გამოცდილებით, რომელიც აყალიბებს ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რასაც შემდგომში ნარკოტიკებით ხელოვნურად სტიმულირებ მოჰყვება ა.

3. მიკროსოციალური დონე: მდგომარეობა ოჯახში, სკოლაში, თანატოლებთან, ახალგაზრდულ სუბკულტურაში, ამ გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების განვითარება.

4. მაკროსოციალური დონე: სოციალური კრიზისი და სხვა სოციალურად ნეგატიური გარემოება საზოგადოების ჩარჩოებში.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენების დაწყება მნიშვნელოვანი მომენტია ადამიანის ნარკოდამოკიდებულად ფორმირების საკითხში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეტაპი სულ უფრო და უფრო ახალგაზრდა ასაკიდან იწყება, როდესაც ახალგაზრდის პიროვნება, ჯერ კიდევ არ არის სრულად ჩამოყალიბებული, ძალიან მგრძნობიარეა და არამდგრადი. ეს ფაქტორები კი, საერთო ჯამში, დიდ პრობლემას წარმოქმნის ახალგაზრდებში.

განვიხილოთ ასეთი ფაქტორების ოთხი ჯგუფი, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდულ ნარკოტიზმს. ეს ჯგუფებია: სოციალური, ოჯახური, პირადული და ფსიქოლოგიური. უნდა აღინიშნოს რომ ეს ჯგუფები ცალ-ცალკე არ არიან ახალგაზრდული ნარკოტიზმის განვითარების ხელშემწყობნი. პრობლემას ქმნის ამ ჯგუფთა ერთიანობა და ერთდროული ზემოქმედება ახალგაზრდებზე, რაც ერთად ისეთ გარემოს წარმოშობს, რომ ახალგაზრდობა ნარკოდამოკიდებულების მსხვერპლი გახდეს. ახალგაზრდის პიროვნების ჩამოყალიბება არ ხდება საზოგადოებისაგან იზოლირებულად. ამიტომ, ნარკომანიის პრობლემის განხილვა არ უნდა განხორციელდეს საზოგადოების სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან ამოვარდნილად. ახალგაზრდების ფსიქიკაზე ძლიერ ზემოქმედებას და გავლენას უფროსი თაობა ახდენს. ისმის კითხვა: ვინ შეიძლება იყოს მაგალითი ახალგაზრდებისათვის?

პასუხი ერთია - მხოლოდ ის ადამიანი, ვისაც არ ეშინია იყოს პიროვნება და თვითონ შექმნას საკუთარი მომავალი. ეს ძალზედ რთული პროცესია. მრავალი ადამიანი ირჩევს ისეთი ცხოვრების გზას, როგორსაც უმრავლესობა. ეს გარემოება კი, ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდობაში პროტესტის გარკვეული ფორმას წარმოშობს, თავისი თავის ძიების დროს ახალგაზრდა ოჯახში კი არ მიდის, არამედ უერთდება ახალგაზრდულ სუბკულტურას. ამ არჩევანის არსებობა არ აიხსნება მხოლოდ ახალგაზრდული ასაკით, აქ სხვა გარემოებებიცაა, კერძოდ, უფროს თაობას, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია ახალგაზრდების პრობლემებისადმი გამკლავების უნარი. ახალგაზრდების წრეში თანდათანობით ვლინდება ტენდენცია, რომ ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ყალიბდება ახალგაზრდული და ნარკოტიკული სუბკულტურა.

ნარკომანია სოციალურად "გადამდები" დაავადებაა, იგი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ვრცელდება. ნარკომანის იზოლირებულად ყოფნა შეუძლებელია, მის გარშემო სწრაფად ჩნდება გარკვეულ პირთა ჯგუფი, რომლებიც თითქმის ერთნაირი აზროვნებით გამოირჩევიან. დღეისათვის შეიძლება იმაზე საუბარი, რომ არსებობს ნარკომანთა სუბკულტურა, რომელიც აგრძელებს გავრცელებას ახალგაზრდებს შორის, აახლოებს ამ ახალგაზრდებს ნარკომანულ სუბკულტურასთან.

სოციალურ-ეკონომიკური წარუმატებლობა.

ბავშვები, რომლებიც სოციალურად წარუმატებელი ოჯახებიდან არიან. ასეთ ოჯახებს ახასიათებთ სოციალური იზოლაცია, დაუკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობები, არ აქვთ პრესტიჟული საქმიანობა ან უმუშევრები არიან, ასეთ ბავშვებს აქვთ უფრო მეტი შანსი ჩაიდინონ სამართალდარღვევები, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მომხმარებლები. მეორეს მხრივ, სრულებითაც არ არის აუცილებელი ბავშვი სოციალურად წარუმატებელი ოჯახიდან იყოს, რომ შემდგომში პრობლემები შეექმნას ნარკოტიკებთან დაკავშირებით. იგი შეიძლება ეკონომიკურად და სოციალურად წარმატებული ოჯახიდანაც იყოს, მაგრამ ოჯახში მის წევრებს შორის არსებულმა მუდმივმა უთანხმოებამ გამოიწვიოს პრობლემები ბავშვებთან მიმართებაში. მაგალითად, ბიზნესმენებისა და სხვა შეძლებული ოჯახების შვილები, რომლებიც ფინანსურად უზრუნველყოფილნი არიან, მაგრამ ოჯახებში დაძაბული ვითარება და კონფლიქტებია მშობლებს შორის ან მშობლებსა და შვილებს შორის. ყოველივე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე. სამწუხაროდ, ვხვდებით შემთხვევებს, როცა ოჯახის წევრები თანახმა არ არიან აღიარონ, რომ მის ოჯახში პრობლემებია და დროულად არ მიმართავენ, თუნდაც, ფსიქოლოგის დახმარებას. ფსიქოლოგები, მათი სურვილის გარეშე, თვითნებურად, ვერ გაუწევენ მათ დახმარებას.

შესაბამისად, ფსიქოლოგებს არ შესწევთ ძალა ზემოქმედება მოახდინონ ამ ოჯახებში მყოფ ბავშვთა ნარკოტიზაციაზე. ასეთ სიტუაციაში, ძალზედ მნიშვნელოვანია, ფსიქოლოგების მჭიდრო კავშირი სკოლებთან, ლიცეუმებთან, კოლეგებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ამ დაწესებულებებში სპეციალისტებს (პედაგოგებს, ფსიქოლოგებს) აქვთ უფრო მეტი შესაძლებლობა იქონიონ მჭიდრო კონტაქტი ბავშვებთან და მათი ოჯახის წევრებთან. ყოველივე ხელს შეუწყობს ახალგაზრდობას შორის პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

არაჯანსაღი გარემო და საზოგადოებრივი

პრობლემები.

საქართველოში არის რაიონები, რომლებიც გამოირჩევიან დანაშაულობის მაღალი მაჩვენებლით, სადაც მუდმივად ხდება მოსახლეობის ხშირი ცვლა, იქ

მცხოვრებნი გამოირჩევიან საზოგადოებრივი ერთსულოვნებით. ეს გარემოება, თავისთავად, ნეგატიური შინაარსისაა. ცუდი და არასახარბიელო სამეზობლო წრე, მათ შორის არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულება ახალგაზრდობას ხელს უწყობს და უბიძგებს ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენებისაკენ.

საცხოვრებელი ადგილის ხშირად ცვლა.

საცხოვრებელი ადგილსამყოფელის ხშირად ცვლა ნეგატიურ გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქოლოგიაზე. მოზარდებს უწევთ ახალი ურთიერთობების დამყარება ახალ მეგობრებთან, თანაკლასელებთან, მეზობლებთან და სხვა პირებთან, ეს კი, ხშირ შემთხვევებში, დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან და იწვევს ბევრ პრობლემას, მაგალითად დიდია რისკი, რომ ამ პრობლემების ფონზე ახალგაზრდებმა მოიხმარონ ნარკოტიკული ნივთიერებანი.

ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა ობიექტურად დამოკიდებულია მის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობასთან. აღსანიშნავია, რომ სკოლებშიც არსებობს ნარკოტიკების გავრცელების დიდი რისკი. ამ რისკის ფაქტორს ზრდის ისეთი ადგილები, რომელთა კონტროლი გართულებულია ან შედარებით უკონტროლოა. ასეთ ადგილებში ადვილდება ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოპოვება. მაგალითად, ასეთი ადგილებია ღამის კლუბები, რესტორნები, კაფეები, ბაზრობები, პარკები და სხვა ადგილები.

მშობლებისა და შვილების ურთიერთობა.

ხშირ შემთხვევაში, ძალზედ რთულია და მრავალფეროვანი. ურთიერთობების არასწორმა განვითარებამ მოზარდებში შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა პათოლოგია, რაც შემდგომში ნეგატიურად შეიძლება აისახოს მათ ქცევასა და მათ მიერ ნარკოტიკების მიღებაზე მშობლებისა და შვილების ურთიერთობა გამოირჩევა დიდი ემოციური დატვირთვით. მშობლების ურთიერთობა შვილებთან მიმართებაში იცვლება შვილების ასაკთან ერთად. ურთიერთობისას მნიშვნელოვანია მშობლების მხრიდან გამოვლინდეს ზრუნვა, შვილების უსაფრთხოების დაცვა, დადებითი ემოციების გარემოს შექმნა, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები შეიცავენ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციას. ერთი ტენდენციაა სწრაფვა ახლის გაგებისკენ და რისკისკენ, ხოლო მეორეა - სწრაფვა დაცვისა და უსაფრთხოებისკენ. ერთი აიძულებს ბავშვებს გამოეყონ მშობლებს და

ისწრაფვიან გარე სამყაროსკენ. მეორე - აიძულებს მათ დაბრუნდნენ უკან. მშობლებისთვის დიდად მნიშვნელოვანია ამ ტენდენციების სწორად წარმართვა, რაც ბავშვებზე დადებით ზეგავლენას ახდენს.

პრობლემურ ოჯახებში ხშირად ძლიერად ვლინდება ერთ-ერთი ქვემოთ აღნიშნული ტენდენცია. პირველ შემთხვევაში, ხორციელდება ემოციური დაპირისპირება მშობლებთან და მშობლები მხოლოდ ფორმალურად ახორციელებენ შვილების აღზრდას. მათ არ აინტერესებთ თავიანთი შვილების ცხოვრება. ამ შემთხვევაში, ბავშვი სრულიად უკონტროლოდაა და მისი მოთხოვნილებები რჩება დაუკმაყოფილებელი, რაც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მათზე. მეორე შემთხვევაში - სულ სხვა სურათია, მშობლები აკონტროლებენ შვილების ყოველ ნაბიჯს, არანაირ თავისუფლებას არ აძლევენ მათ, ბავშვს მუდამ პატარად და იღებენ პასუხისმგებლობას მთელ მათ ცხოვრებაზე. ამ შემთხვევაში, ბავშვი, რომელსაც ადრეულ პერიოდში არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ასაკის მატებასთან ერთად, იწყებს პროტესტის აქტიურად გამოხატვას. აღნიშნულ გარემოებას მეცნიერებმა დაარქვეს "თავისუფლებით მოწამვლა", როდესაც მოზარდი იწყებს იმის კეთებას, რაც ადრე მას ეკრძალებოდა, მათ შორის ნარკოტიკების მოხმარებაცაა. ბავშვისათვის ნარკოტიკების მოხმარება, გარკვეულწილად, წარმოადგენს მშობლების მუდმივი კონტროლისაგან გათავისუფლებას.

ბავშვები ნარკოტიკების მოხმარებას იყენებენ, როგორც არგუმენტს, თავისი თავისუფლებისათვის და მშობლები, ხშირ შემთხვევაში, ამ გარემოების წინაშე უძლურნი ხდებიან მოახდინონ მათზე რაიმე ზეგავლენა. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობების ფორმებს. ეს არის სიტყვიერი და გრძნობითი ურთიერთობა. ცნობილია, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა არ გამოიხატება მხოლოდ სიტყვებით. გზავნილის შინაარსი გამოიხატება ინტონაციაში, მიმიკაში, ჟესტებში და ა.შ. ოჯახებში, სადაც არსებობს ნარკომანიის პრობლემა, ურთიერთობებში ჩამოყალიბებულია გარკვეული ფარულობა და ფარული ქვეტექსტებით ურთიერთობა. როდესაც ერთს ამბობენ და შინაარსი სხვას გულისხმობს.

ასეთი ორაზროვანი ინფორმაციის გადაცემა ძლიერ ართულებს ურთიერთობებს მშობლებსა და შვილებს შორის. დროს ახალგაზრდებს არ ეწოდებათ მათთვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია, რაც ახალგაზრდებში ფსიქოლოგიურ

პრობლემებს და ნეგატიურ შედეგებს იწვევს. ეს კი ის დამატებითი გარემოებაა, რაც, ახალგაზრდებში სხვადასხვა პათოლოგიებს იწვევს.

ბავშვები, რომლებიც იბადებიან და იზრდებიან ალკოჰოლიკების ოჯახებში, დიდია რისკი, რომ ისინიც გამოიყენებენ ალკოჰოლს და ნარკოტიკებს. ამაში თავის როლს გენეტიკური ფაქტორიც ასრულებს. იგივეა ნარკოტიკებთან მიმართებაშიც.

არსებობენ ოჯახები, რომლებსაც არ შესწევთ ძალა შვილების სწორად აღზრდელად. ასეთ ოჯახებში არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქცევის ნორმები, რაც, ახალგაზრდებს კონტროლის გარეშე ტოვებს და მათაც შეუძლიათ რაც სურთ ის აკეთონ. მაგალითად, მოიხმარონ ნარკოტიკები. ასეთი თავისუფლების სტიმულია აგრეთვე, ოჯახებში მშობლებს შორის არსებული მუდმივი კონფლიქტები. რის გამოც მშობლები დადებითად ვეღარ ზემოქმედებენ შვილებზე, ვეღარ აკონტროლებენ მათ ნეგატიურ მოქმედებებს.

საინტერესოა ერთი დაკვირვებაც, ნარკომანიის პრობლემა დიდია ახალგაზრდებს შორის, რომლებიც იზრდებიან არასრულ ოჯახებში, ოჯახებში სადაც მშობლები ცილდებიან ერთმანეთს. ეს გარემოება ბადებს მთელ რიგ პრობლემებს, მათ შორის ნერვიული გაღიზიანებისა და სტრესის ფონზე ნარკოტიკების გამოყენების რისკი ბევრად უფრო მაღალია. კვლევების საფუძველზე ჩანს, რომ ნარკომანების დაახლოებით 51% იზრდებოდნენ არასრულ ოჯახებში. ამ გარემოების გამომწვევი არ არის თვითონ ერთ-ერთი მშობლის ფიზიკური არყოფნა ოჯახში. საქმე იმაშია, რომ ოჯახის სტრუქტურული ნგრევა სხვადასხვა სფეროში თვითონ იწვევს ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და ეს დაძაბულობა იწვევს უფრო დიდ კონფლიქტს ოჯახის დარჩენილ წევრებს შორის. დარჩენილი მშობელი, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახორციელებს ახალგაზრდის სრულფასოვან აღზრდას.

ამერიკელი მეცნიერების კვლევათა საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდები, რომლებიც მხოლოდ დედის მიერ იზრდებიან, არიან უფრო დიდი რისკის ქვეშ, რომ ისინი გამოიყენებენ ნარკოტიკულ საშუალებებს. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელმაც შესაძლებელია განაპირობოს ახალგაზრების მიერ ნარკოტიკების გამოყენება არასრულ ოჯახებში. კერძოდ, მშობლების დაშორებისას, ხშირ შემთხვევაში, შვილები ამაში თავიანთ თავს იდანაშაულებენ და სტრესის ფონზე იწყებენ ნარკოტიკების გამოყენებას.

უდაოა ის საკითხი, რომ ნარკომანიის განვითარებაში დიდი როლი უჭირავს ადამიანის პიროვნების დამახასიათებელ განსაკუთრებულობებს. დღეისათვის არ არის გამოვლენილი ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც ყველა ნარკოტიკების მომხმარებელს ერთნაირად ახასიათებს. სხვა სიძნელეებთან ერთად არსებობს კიდევ ერთიც, რომ ნარკომანის პიროვნების გამოკვლევა ხორციელდება უკვე მაშინ, როდესაც იგი უკვე დაავადებულია ამ სენით და ძნელია იმ გარემოებების გამოაშკარავება, რომლებმაც ნარკომანი აქამდე მიიყვანეს. ძალიან ხშირად ნარკოტიკების მოხმარების დაწყების მოტივების ძიებისას, პირველ ადგილზე დგას "ცნობისმოყვარეობა", ამის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ახალგაზრდების მუდმივი სწრაფვა შეიგრძნონ რაიმე ახალი და ამაღელვებელი მათთვის. ერთის მხრივ, ეს არის ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, რომელიც ადამიანს გააჩნია და ეს ადამიანის ერთ-ერთი დადებითი განსაკუთრებულობაა. იგი ვლინდება ძალზედ პატარა ასაკიდან და მთელი ცხოვრების განმავლობაში სდევს ადამიანს და აძლევს სტიმულს რომ სხვადასხვა დადებითი რამ აკეთოს. ზოგი ახალგაზრდაც სინჯავს ნარკოტიკებს, რომ თავის თავზე გამოცადოს მისი ზემოქმედება. სამწუხაროდ, ეს "ცნობისმოყვარეობის გრძნობა" შემდგომში ძალზედ ღრმავდება და ადამიანი მას ნეგატიურად გამოხატავს იმავე ნარკოტიკების მუდმივად გამოყენებაში.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდები ნარკოტიკულ საშუალებებს ხშირ შემთხვევაში, თავის თანატოლებთან ერთად სინჯავენ და მოიხმარენ. ახალგაზრდა, ერთის მხრივ, განიცდის კმაყოფილებას ნარკოტიკების მოხმარებისას, ხოლო მეორეს მხრივ, განიცდის თავისიანებთან ერთ "ჯგუფში" სიახლოვის გრძნობას, რომელიც მისთვის ამ მომენტისთვის დიდი პრესტიჟის მქონეა. ასეთ "ჯგუფში" ყოფნის გრძნობაც შეიძლება ჩაითვალოს ნარკოტიკების მოხმარების ერთ-ერთ მიზეზად, რადგან სხვა მხრივ, ახალგაზრდას შესაძლოა არ ჰქონდეს საშუალება იყოს რომელიმე "ჯგუფის" წევრი. როდესაც საუბარია ახალგაზრდებზე, აღსანიშნავია სკოლის დამამთავრებელი ასაკი, ამ პერიოდში ახალგაზრდებში ჩნდება ბევრი ახალი სტრესი, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ნარკოტიკების მოხმარების პროვოცირება. ამის გამომწვევ მიზეზად შესაძლოა ჩაითვალოს მაგალითად გადაღლილობა. ნარკოტიკების მოხმარება ხშირად ხორციელდება რეალობისგან "გაქცევის" მიზნით. ყოველთვის იწვევს ინტერესს ის, თუ რა უბიძგებს ადამიანს, რომ იგი გაექცეს რეალობას. აღსანშნავია, რომ ლიტერატურაში აღწერილია ადამიანის ის თვისებები,

რომლებიც მას უბიძგებს თავი აარიდოს რეალობას, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს:

- თვითკონტროლის სუსტად განვითარება;
- მოუმწიფებლობა;
- რეალობის პრობლემებთან გამძლეობის სისუსტე;
- ემოციური არამდგრადობა, დეპრესიისკენ მიდრეკილება;
- სულიერი სიცარიელე, ცხოვრების არასაკმარისი ინტერესები;
- ნარკოტიკებით გამოქვეული ზიანის არცოდნა
- ფსიქოლოგიურად რთულ სიტუაციაში გამოსავლის მონახვის არცოდნა.

როდესაც საუბარია ნარკოტიკების მოხმარების მიზეზებზე ახალგაზრდებში, აუცილებელია, რომ განხილული იქნას სწავლისას ახალგაზრდების აკადემიური მოსწრების საკითხი და იმავე სკოლაში სწავლის არგაგრძელების სურვილის ჩამოყალიბება. საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისას სწავლის საკითხებში და თანატოლებთან ადაპტაციის პრობლემებმა შესაძლებელია საფუძველი ჩაუყაროს ახალგაზრდის პიროვნებაში ნარკოტიკების მოხმარების საფუძველს.

ამ პერიოდში ახალგაზრდის სოციალური ადაპტაციის საკითხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აკადემიური მოსწრების საკითხი. დაკვირვების საფუძველზე სკოლის მოსწავლეებს შორის გამოვლენილია ახალგაზრდების ის კატეგორია, რომლებიც დიდი რისკის ქვეშ არიან, რომ მოიხმარონ ნარკოტიკული ნივთიერებანი. ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სწავლაში, ახლოს არიან სკოლასთან და სწავლისას განიცდიან დადებით ემოციებს. მეორეს მხრივ, არის მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც არ აქვთ სწავლის სურვილი, არ დადიან სკოლაში, არ აკეთებენ საშინაო დავალებებს. ამ დროს მათ აქვთ დიდი თავისუფალი დრო და მეტი შანსი, რომ გამოიყენონ ნარკოტიკული ნივთიერებანი.

ფსიქოლოგიური მზადყოფნა ნარკოტიკების გამოყენებისათვის ადამიანში ყალიბდება თანდათანობით და ამ პროცესის, ამ ჯაჭვის ლოგიკური

დასასრულია. ნარკოტიკების გამოყენების ფსიქოლოგიური მზადყოფნა შესაძლებელია გამოიხატოს შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილ მიზეზებში:

1. ახალგაზრდას არ გააჩნია უნარი სწორად გაართვას თავი რთულ სიტუაციებს. ახალგაზრდებს აქვთ თავისი ისეთი მოთხოვნილებანი, როგორიცაა, მაგალითად, – უფროსებისგან მიიღოს დადებითი შეფასება, ურთიერთობის მოთხოვნილება, პატივისცემის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილება იწვევს ახალგაზრდებში ფსიქოლოგიურ ტრავმებს და ისინი გამოსავალს, ხშირ შემთხვევებში ,პოულობენ ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებაში.

2. ახალგაზრდას არ გააჩნია ან არასრულყოფილად აქვს განვითარებული ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი. ახალგაზრდებს პრობლემურ სიტუაციებში საჭიროა ჰქონდეთ სრულად განვითარებული ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმები, რომ ეფექტურად გაუმკლავდნენ პრობლემებს. ამ დროს აუცილებელია ან მარტივად აღიქვან ისინი, ან შესწევდეთ უნარი მოიკრიბონ ძალა და ეს პრობლემები გადაჭრან. თუ ახალგაზრდებს არ გააჩნიათ ასეთი ფსიქოლოგიური მზადყოფნა, პრობლემური სიტუაციის დროს ახალგაზრდები პრობლემის გადაჭრისათვის ეძებენ თანადგომის სხვადასხვა გზას და, ხშირ შემთხვევაში, ეს გამოსავალი მათთვის ნარკოტიკების მოხმარებაა, მათი აზრით, ეს აძლევთ მათ საშუალებას, გაუმკლავდნენ ამ ცხოვრებისეულ ყოველდღიურ პრობლემებს.

3. ახალგაზრდებს არ გააჩნიათ უნარი მოძებნონ კონსტრუქციული გამოსავალი ემოციური მდგომარეობიდან. ამ დროს ისინი მოიხმარენ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებს, რომ ამ სიტუაციებს თავი დააღწიონ. როგორც ცნობილია, ნარკომანების ოჯახებში უფრო ხშირად ვლინდება სხვადასხვა დაავადებები, მათთან საბრძოლველად მშობლები მოიხმარენ სხვადსხვა წამლებს. ეს ინფორმაცია ილექება ახალგაზრდებში და ქვეცნობიერად მათში არის უკვე ინფორმაცია, რომ პრობლემების დროს აუცილებელია სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების გამოყენება, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებაც.

4. შიში, წარმოადგენს ახალგაზდების მუდმივ თანამგზავრს. ეს შიში არსებობს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობისას, ისე ოჯახშიც.

ახალგაზრდას არ აქვს იმის წარმოდგენა, თუ რა იქნება შემდეგში მის ცხოვრებაში და ამიტომ ეს შიშის ფაქტორიც იზრდება. ახალგაზრდას უჩნდება შინაგანი ფსიქიკური დაძაბულობა, ამ დაძაბულობის ახსნა კი მისთვის უცნობია თუ საიდან მომდინარეობს იგი. როგორც ცნობილია, არსებობს რამდენიმე ფორმა, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ახალგაზრდა შიშს. ესაა აგრესიული რეაქცია შიშზე და მეორე, გაქცევა და შიშის თავიდან აცილება. ორივე მათგანი თავისებურად ახდენს შიშის ნეიტრალიზაციას. აგრესიის გამოხატვისას ხდება შიშის გამომწვევი მიზეზის ნეიტრალიზაცია. გაქცევისას კი ხდება ამ შიშის შესაძლო თანმდევი შედეგების თავიდან აცილება. ამ დროს ახალგაზრდამ იცის, თუ რა გარემოება იწვევს მასში შიშის გრზნობას და იგი ახდენს შესაბამის რეაქციას.

შედარებით რთული გარემოებაა სახეზე, როდესაც ახალგაზრდას აქვს შიშის გრძნობა და ამ დროს მან არ იცის, თუ რა იწვევს ამ შიშის გრძნობას. შესაბამისად მას არ გააჩნია უნარი მოახდინოს ამ შიშზე ადეკვატური რეაქცია. ეს გარემოება ახალგაზრდისთვის ძლიერ დამთრგუნველია და ამ მდგომარეობასთან საბრძოლველად იგი ხშირად იყენებს ნარკოტიკულ საშუალებებს, რომ მოიხსნას ეს სტრესული მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის ფაქტორები, რომლებმაც შესაძლებელია განაპირობოს ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების გამოყენება შემდეგია:

- ოჯახურ კულტურასა და ნარკომანულ სუბკულტურას შორის ბრძოლა. ამ დროს უფრო მეტი პოტენციალი, ხშირ შემთხვევებში, დღევანდელ საზოგადოებაში გააჩნია ნარკომანულ სუბკულტურას.

- ცუდად გასაგები და არასრულად ლოკალიზებული შიშის ფაქტორი, რომელსაც მათ შორის აქვს ოჯახური წარმომავლობა. რომლის საფუძველშიც დევს არასრულწლოვნის არადამარწმუნებელი მოქმედება პრობლემური სიტუაციის დროს. ახალგაზრდას არ შესწევს უნარი გაანალიზოს, თუ რა წარმოშობს მასში შიშის გრძნობას.

- ახალგაზრდისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა. ამის მიზეზად ხშირად გვევლინება ოჯახის არაჯანსაღი ქცევითი მაგალითები, რომლებიც ახდენენ ახალგაზრდაზე ნეგატიურ ზემოქმედებას. არაჯანსაღ ოჯახებში არ არსებობს

პრობლემების გამკლავების უნარი და ახალგაზრდები იძულებულნი არიან ასეთ სიტუაციებში დრო გაატარონ ნარკოტიკების მოხმარებით სექმნილ "ნარკოზულ" მდგომარეობაში.

ხშირად ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც ნარკომანს კარგად შეუძლია ნარკოტიკების მოპოვება და გამოყენებაა. თავიდან ნარკოტიკის დანიშნულება სტრესების მოხსნაა, ხოლო თანდათანობით, ეს ერთადერთ სურვილად რჩება. ამ დროს ნარკომანებს შორის არსებობს გამონათქვამი "რადგან მე სხვა არაფერი არ ვიცი, ამიტომ სხვა არაფერიც არ მინდა".

ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ადამიანი იღებს დიდ შესაძლებლობებს: იხსნება აკრძალვები, ქრება შიში, ახალგაზრდას თავისი თავი ჰგონია ყველაფრის შემძლედ. იმ ახალგაზრდებს, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში არიან წარუმატებლები და დაუცველები, ნარკოტიკების მოხმარება აძლევს შესაძლებლობას, თავი იგრძნონ ბედნიერებათ და ყველაფრის შემძლეებად. მათ აქვთ მოჩვენებითი ილუზია იმისა, რომ ყველას ზევიდან უყურებენ. თუ ახალგაზრდა იტყვის უარს ანრკოტიკებზე, იგი ისევ უბრუნდება თავის პრობლემურ რეალობას, რაც მისთვის დამრთგუნველია. სწორედ ეს გარემოებაა ერთ-ერთი პრობლემა, რომლებსაც ახალგაზრდები ხვდებიან ნარკოტიკების მოხმარებისაგან რეაბილიტაციის დროს.

ნარკოტიკების ლეგალიზაციის პრობლემები.

როდესაც ვიხილავთ პასუხისმგებლობის საკითხზე იმ პირთა მიმართ რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ინტერეს იწვევს საკითხი, რომელიც ეხება ნარკოტიკების ლეგალიზაციას. ამ საკითხზე საუბრისას ლეგალიზაციის მომხრეებს არგუმენტად მოჰყავთ "საერთო დეკლარაცია ადამიანის უფლებების შესახებ"(სქ). მათი დამოკიდებულებით ისინი ემხრობიან საკითხს რომ მოხდეს ნარკოტიკების სრული ან ნაწილობრივი ლეგალიზაცია, ე.წ. "მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაცია". ზოგიერთი მათგანის აზრით უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ ნარკოტიკების განაწილება საზოგადოებაში იმ პირებზე, რომლებიც არიან ნარკოტიკების აქტიური მომხმარებლები. აგრეთვე უნდა მოახდინოს იმ სამედიცინო საშუალებების გავრცელება, რომლებიც აუცილებელია ნარკოტიკების გამოყენებისათვის ე.წ. (შპრიცების გაცვლის პროგრამა). მომხრეების მიერ ვრცელდება აზრი რომ ნარკოტიკების აკრძალვით ხდება ნარკობიზნესის სტიმულირება, რადგან აკრძალული ნარკოტიკების

მოხმარებისთვის ნარკომანებს უხდებათ მათი შეძენა არალეგალური გზით. ამთი აზრით ნარკოტიკების ლეგალიზაციით განხორციელდება ნარკობიზნესის სწრაფი დამარცხება, რადგან არაკანონიერად ნარკოტიკების შეძენა აღარ იქნება აუცილებელი. ჩვენის აზრით, ნარკობიზნესის ეკონომიკას მიადგება დიდი ზიანი, თუ სახელმწიფოს მიერ მოხდება ნარკოტიკების გაყიდვა ძალზედ დაბალ ფასებში ან სულაც ნარკოტიკები გავრცელდება უფასოდ, ექიმების ზედამხედველობით.

ბევრი მეცნიერის, სპეციალისტის და პრაქტიკული მუშაკის აზრი ნარკოტიკების ლეგალიზაციის შესახებ, ნეგატიურია სხვადასხვა მიზეზების გამო. მათი აზრით, არ არის მართებული ნარკოტიკების ლეგალიზაციის გამართლება ადამიანის უფლებების დეკლარაციის მოყვანით. ინდივიდი, რომელიც ნარკოტიკებს მოიხმარს, არ უქმნის საფრთხეს მხოლოდ საკუთარ თავს, იგი საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვისაც, მის მრავალ - სხვადასხვა სფეროში. ნარკოტიკების მასიურმა მოხმარებამ შესაძლოა გამოიწვიოს უბედური შემთხვევების ზრდა იმავე სამეწარმეო თუ ტრანსპორტის სფეროში. იზრდება რისკი, რომ ამ ინდივიდების გარშემო მყოფი პირებიც დაიწყებენ ნარკოტიკების აქტიურ მოხმარებას, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია, არსრულწლოვნები. საბოლოო ჯამში კი, ყველაფერი ეს საზოგადოებაზე და მის მომავალ თაობებზე მოახდენს ნეგატიურ გავლენას.

სპეციალისტების აზრით, ნარკოტიკების ლეგალიზაციისას გაიზრდება ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა. არით აიხსნება ეს, პირველ რიგში ის ხალხი რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებებს მოიხმარენ მათთვის მაინ ცარ არსებობს შემკავებელი ფაქტორი. რსებობს საშიშროება რომ ლეგალიზაციისას ნარკოტიკების მოხმარებას დაიწყებს კანონმორცილი საზოგადოების ნაწილი, ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს თანამედროვე მოდით, კანონის შიშის უკვე არარსებობით და სხვა მარავალი ფაქტორით. საბოლოო ჯამში კი ზოგადად გაიზრდება ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა, რაც თავის მხრივ უფრო ძლიერ ნეგატიურად აისახება საზოგადოებაზე.

აღსანიშნავია, რომ ნარკომანიის პრობლემას ვერ მოაგვარებს ვერც მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციაც. სამედიცინო გამიკვლევები გვიჩვენებს რომ ნარკოტიკების დამოკიდებულება მუდამ მხოლოდ ერთი მხრით ვითარდება, კერძოდ მუდამ იმატებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ნარკოტიკული დოზის მაჩვენებელი. ძოგადი მაჩვენებლებით ნარკომანების

დაახლოებით 40% თავის ნარკოტიკულ ამ გზას იწყებდა იგივე მსუბუქი ნარკოტიკული საშუალების, მარიხუანის გამოყენებით.

როდესაც ლაპარაკია ნარკოტიკების მოხმარებისაგან გათავისუფლებაზე სხვადასხვა მკურნალობის გზით და ზოგადად ადამიანის რესოციალიზაციაზე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაცია ამ ფაქტორზე მოახდენს ნეგატიურ ზეგავლენას. ეს განპირობებული შეიძლება იყოს იმ გარემოებებით, რომ პირველ რიგში, მოიმატებს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა და შემდგომში იმატებს იმ პირთა რაოდენობაც, რომლებსაც აღარ ექნებათ სურვილი სხვადასხვა მიზეზის გამო მოიხმარონ ნარკოტიკული ნივთიერებანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზრდება იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ სურვილი განიკურნონ ამ სენისგან, რაც თავის მხრივ, ზოგადად დაამძიმებს ნარკომანიის მდგომარეობას. აქვე აუცილებელია აღინიშნოს შემდეგიც, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციის შემთხვევაში, საზოგადოებაში ქვეცნობიერად შესაძლებელია ჩაიდოს აზრი, რომ ნარკოტიკების გამოყენება არ არის ნეგატიური ზეგავლენის მქონე ადამიანზე და ამ პირთა ჯგუფს შესაძლოა, არც კი გაუჩნდეს ნარკოტიკების მოხმარებისგან გათავისუფლების სურვილი.

ნარკოტიკების ლეგალიზაციის მომხრეები გადმოსცემენ სხვადასხვა მოსაზრებას, მაგალითად, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს ნარკომანთა შორის სიკვდილიანობას და შიდსის ვირუსის გავრცელებას თუ მოხდება სახელმწიფოს მიერ ნარკოტიკების მოხმარების კონტროლი და ხელის შეწყობა რომ დაცული იქნას აუცილებელი ჰიგიენის ნორმები. მათი განმარტებით ეს შესაძლებელია, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს, მაგალითად, სტერილიზებული შპრიცების გავრცელებას ნარკომანთა შორის და მათ არ მოუწევთ ამ შპრიცების ხელმეორედ გამოყენება. სპეციალისტების აზრით, მცდარია მოსაზრება, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციით შემცირდება სიკვდილიანობა ნარკომანებს შორის. შესაძლებელია განვიხილოთ ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც ამ მოსაზრებას ამყარებს. ცნობილია, რომ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, ნარკომანები ახდენენ ექსპერიმენტებს სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების გაზავებით. ანუ ხდება სხვადასხვა, ეგრეთ წოდებული, ნარკოტიკული კოქტეილების დამზადება, რომლებსაც შემდგომში ნაკომანები თავიანთ თავზე ცდიან. ასეთ სიტუაციაში ვერ ხორციელდება ნარკოტიკების დოზის სწორად შერჩევა და ეს

ყველა ფაქტორი ერთად, იწვევს სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდას ნარკომანებს შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაცია ვერ შეამცირებს სიკვდილიანობის მაჩვენებელს ნარკომანთა შორის.

რაც შეეხება ნარკომანიის ეკონომიკურ საკითხს, ნარკოტიკების ლეგალიზაციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ თუ მოხდება ნარკოტიკების ლეგალიზაცია და სახელმწიფო მათ ძალზედ იაფ ფასად გაყიდის, ამით არალეგალურად ნარკოტიკებით მოვაჭრეებს აღარ ექნებათ მოგება და საბოლოოდ, ნარკობიზნესი განადგურდება. ეს მოსაზრებაც შეიძლება ჩაითვალოს მცდარად შემდეგი გარემოების გამო. ნარკოტიკების ლეგალიზაციის შემთხვევაში, საგრძნობლად მოიმატებს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა. დროთა განმავლობაში, ამ პირთა მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზრდება და საეჭვოა ის გარემოება, რომ სახელმწიფო ყველა მომხმარებელს უზრუნველყოფს ნარკოტიკების საჭირო რაოდენობით. ამ სიტუაციაში მომხმარებლები, შესაძლოა, ისევ დაუბრუნდნენ არალეგალურ ბაზარს და არალეგალურად ისევ შეიძინონ ნარკოტიკული საშუალებანი, ეს კი, თავის მხრივ, მოახდენს ნარკოტიკებზე ფასის კვლავ მომატებას, ამით ნარკოტიკებისგან უკანონო შემოსავალი ისევ გაიზრდება და ნარკომოვაჭრეები ისევ დიდ მოგებას. ნახავენ

ნარკოტიკების ლეგალიზაციის მომხრეები თვლიან, რომ თუ სახელმწიფო მოახდენს ნარკოტიკების ოფიციალურად გაყიდვას, იგი აქედან მიიღებს დიდ მოგებას და სახელმწიფო ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაიზრდება. დაწყებით სტადიაზე ამ გარემოებამ, შესაძლოა, დადებითად იმოქმედოს სახელმწიფო ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, მაგრამ შემდგომში ამ გარემოებას აუცილებლად მოჰყვება უარყოფითი შედეგები. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებების მასიური გავრცელებით, სახელმწიფოში მკვეთრად შემცირდება საზოგადოების შრომისუნარიანობა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სხვადასხვა სფერო მომავალში განიცდის მნიშვნელოვან პრობლემებს. ყოველივედან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ეკონომიკა ნარკოტიკების ლეგალიზაციით მნიშვნელოვნად შესუსტდება.

დღეისათვის ცნობილია რეალური ნარკოვითარება, დადასტურებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სოციალურად ნეგატიურ როლს თამაშობს. რა მოხდება ნარკოტიკების ლეგალიზაციის დროს და რა შედეგები მოჰყვება მას,

ბურუსით მოცულია, შეუძლებელია რეალური პროგნოზის გაკეთება. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა, ღირს კი ამის განხორციელება?

მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზაციის შესაძლო თანხვედრი შედეგები საქართველოში

ნარკობიზნესი საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი დანაშაულებრივი საქმიანობაა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, როგორიცაა: ტერორიზმი, იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდა და ა.შ.

მსოფლიოს კრიმინოგენური სიტუაციის ანალიტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ პერიოდში კრიმინალური გაერთიანებები ნარკოტიკების სატრანზიტოდ ეძებენ ახალ გზებს, ახალ მარშრუტებს, რომელთა შორისაც ისინი ერთ-ერთ უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. „კავკასიურ მარშრუტს,'' რომელიც სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზეც გადის.

საქართველო პოლიტიკური თვალსაზრისით დღეს მეტად რთულ მდგომარეობაშია, მისი იურისდიქცია ცნობილი მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ფაქტობრივად არ ვრცელდება ქვეყნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებზე (ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი). ათასობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი და საკუთარ სამშობლოში დევნილი ან იძულებით გადაადგილებული პირი გამხდარიყო, ამასთანავე მკვეთრად იმატა მოსახლეობის იძულებითმა მიგრაციამ, რამაც თავის მხრივ, კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. მკვეთრად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა. საქართველოს ის ტერიტორიები, სადაც არ ვრცელდება ჩვენი იურისდიქცია, სეპარატისტებისა და დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ მოხერხებულად გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის უკანონოდ გადასაზიდად.

საქართველოში ნარკოტიკების უკანონო შემოტანის ძირითად მიმართულებებად ითვლება მეზობელი ქვეყნები: აზერბაიჯანი, სომხეთი, დაღესტანი და საქართველოს მიერ ფაქტობრივად არაკონტროლირებადი ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი.

დღეისათვის საქართველოში კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული სირთულეები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებმა კიდევ უფრო გააქტიურეს საქმიანობა ამ მიმართულებებით, რამაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სტატისტიკურ მაჩვენებელშიც ჰპოვა ასახვა. ნარკოდანაშაულის რაოდენობასთან ერთად განუხრელად იზრდება უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების სახეობები და მათი ოდენობის მაჩვენებლები. [52,80]

ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემა საქართველოში ხასიათდება მისი მუდმივი ზრდის ტენდენციით. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებმა, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა თუ სხვა სახის სიძნელეებმა ახალი ბიძგი მისცა ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბებს, მისი ჩქარი ტემპებით მატებასა და ამ ფონზე ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებელ პირთა რაოდენობრივად ზრდასაც.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ პირთა სოციალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმეტესი ნაწილი უმუშევარია. ყოველწლიურად იზრდება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის გამო გასამართლებულ პირთა რაოდენობა. [52,81]

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საქართველო ნარკომანიით უკიდურესად მძიმედ დაზიანებული ქვეყნის კლასიკური ნიმუშია. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და სხვა მოსაზრებათა გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე საკამათოდ შეიძლება იქნას მიჩნეული ზოგი მეცნიერისა და საზოგადოების გარკვეული ფენის მოსაზრება ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვის, მისი არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენებისათვის კანონმდებლობით დადგენილ სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვის სფეროში სერიოზულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ, სწორედ ამან განაპირობა დღეისათვის ის გარემოება, რომ კანონმდებელი დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.

ნარკოტიკული დანაშაული იმით განსხვავდება პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ყველა სხვა დანაშაულისაგან, რომ ზიანი ადგება არა მარტო კონკრეტულ პირს, არამედ მოქალაქეთა დიდ ნაწილს. სწორედ ამიტომაც, ნარკოტიკული დანაშაულის უშუალო ობიექტად მოსახლეობის ჯანმრთელობას მივიჩნევთ.[52,82]

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დამნაშავეობა ადამიანთა სოციალური ქცევების ერთობლიობაა, რომელიც არღვევს საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალურად ფუნქციონირებას და გამოიხატება დაწესებული სამართლებრივი ნორმების დარღვევაში, პრაქტიკა კი გვიჩვენებს რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულს მთლიანად დანაშაულის საერთო მოცულობაში, თავისი რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისათვის სისხლისამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმებამ შესაძლოა გამოიწვიოს არა მარტო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის რაოდენობრივად ზრდა, არამედ ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ მყოფ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ზრდაც.

ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ნარკოტიკების ლეგალიზაციის იდეის მომხრეთა გააქტიურების ტენდენცია, რომლებიც ამ გზას ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მიზანმიმართულ შესაძლებელ ხერხს უწოდებენ, ასეთი სერიოზული პრობლემისადმი ამდაგვარი მიდგომა თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მასაც აქვს თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.[52,82]

ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პიროვნება ყოველთვის საშიშია საზოგადოებისთვის. ეს ფაქტი უდაოდაა მიჩნეული და დადასტურებულია მსოფლიო პრაქტიკით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ ვაკეთოთ ყველაფერი ის, რაც არ ავნებს გარშემო მყოფთ.“

ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნებით მოხმარება იწვევს სხვადასხვა ფსიქიკურ პათოლოგიებს, კერძოდ ეიფორიულ მდგომარეობას.

„ეიფორია“ სპეციალურ ლიტერატურაში განსაზღვრულია, როგორც უსაფუძვლოდ მომატებული უდარდელობის შეგრძნება, რომელსაც თან ერთვის უზრუნველობა და საკუთარი მდგომარეობის კრიტიკული შეფასების უნარის შესუსტება. ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებისას კი აღინიშნება აღქმის დარღვევები და ცნობიერების მოშლა. თავისთავად, ჰალუცინაციურ მდგომარეობაში მყოფი პიროვნება საშიში ხდება საზოგადოებისათვის, გარშემო მყოფთათვის. ასეთი საშიშროების უარყოფა ეწინააღმდეგება პიროვნების კონსტიტუციურ უფლებებს, მის უსაფრთხოებას.

ნარკოტიკული საშუალებების მიღების მიზნით, პირი შესაძლოა იძულებული გახდეს, ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება ამ საშუალებების შესაძენად, დასამზადებლად თუ შესანახად. ბუნებრივია, რომ ალოგიკურია მართლზომიერად მივიჩნიოთ ქმედება, რომელიც მოსდევს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას. მსოფლიოს უმრავლეს განვითარებულ ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მოხმარება კანონმდებლობით მაინც დასჯადია. [52,82]

რაც შეეხება იმ პრობლემას, რომ მოზარდ – ახალგაზრდობაში მოხდეს მსოფლმხედველობის სწორი ორიენტაციის პრინციპების ჩამოყალიბება და განხორციელება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გათვალისწინებული იქნას მოქმედი სამართლებრივი ნორმების პრევენციული მნიშვნელობა ანუ ის შემაკავებელი ფაქტორი, რომლის გაუქმებამაც შეიძლება მოგვცეს სავალალო შედეგი და უბიძგოს ახალგაზრდობას ნარკოტიკების მოხმარებისაკენ.

ერთის მხრივ, ნარკოტიკულ საშუალებათა თავისუფლად მოხმარება, როგორც მოვლენა და ფაქტი, თავისთავად წარმოადგენს ამ სენის გავრცელებისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობ პირობას, ვინაიდან ნარკომანი საზოგადოებას სთავაზობს მისეულ, არაჯანსაღ, ავადმყოფური ცხოვრების წესის დამკვიდრებას, რაც თავისთავად, ზიანს აყენებს არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდის, არამედ მთელი საზოგადოების ცნობიერებას; თუმცა, მეორის მხრივ, დღევანდელი საქართველოს საზოგადოების უმეტესი ნაწილი აცნობიერებს რა ამ სენის გავრცელების საშიშროებას და მის დამღუპველ შედეგებს, ნაწილობრივ მაინც უჭერს მხარს ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმების ცვლილებებს.

რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებას არასამედიცინო თვალსაზრისით, აქ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ვთვლით ნარკოტიკისადმი

ინდივიდის მზარდი დამოკიდებულების განვითარებას, რომლის მკურნალობის ეფექტური მეთოდიც დღეისათვის, სამწუხაროდ, მსოფლიოში არ არსებობს.

აუცილებელად მიგვაჩნია იმის გათვალისწინებაც, რომ, ხშირ შემთხვევაში, ნარკომანიის თანმხლებადაა მიჩნეული ისეთი მძიმე ინფექციური დაავადებები, როგორიცაა მაგალითად, შიდსი და „ც“ ჰეპატიტი და სხვ. [52,82]

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯერებთ და ერთიან თვალთახედვის არეში მოვაქცევთ, ნათლად შევძლებთ იმის დანახვას, თუ როგორ შეიძლება დაიძაბოს ნარკოსიტუაცია ნარკოტიკების თავისუფალი მოხმარების დაკანონებისას - ლეგალიზაციისას. საფრთხის წინაშე შესაძლოა დადგეს მთლიანად საზოგადოება, მისი ეროვნული გენოფონდი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ისმის კითხვა: ღირს კი ასეთი სარისკო ექსპერიმენტის ჩატარება ქვეყანაში, რომელიც ეს-ესაა დაადგა განვითარებისა და აღმშენებლობის გზას.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩართულ პირთა შორის მატულობს როგორც ქალთა, ასევე არასრულწლოვანთა რიცხვი. მასზე დიდი გავლენა მოახდინა არსებულმა სოციალურმა პრობლემებმა, მნიშვნელოვნად შესუსტდა ოჯახის გავლენა მოზარდ ახალგაზრდობაზე, ისედაც საგრძნობლადაა შესუსტებული მათთან აღმზრდელობითი მუშაობა. მეტად მწვავედ დგას ქალთა შორის ნარკომანიის გავრცელების პრობლემაც, რაც ძირითადად განპირობებულია ნარკომან ქალთა დიდი ნაწილის პროსტიტუციური საქმიანობით, ყოველივე კი, საგრძნობლად ნოყიერ ნიადაგს უქმნის საშიში, მძიმე ინფექციური დაავადებების გავრცელებას.

ჩვენის აზრით, უკანასკნელ წლებში, აღინიშნება კიდევ ერთი საგანგაშო ტენდენცია – მკვეთრად გაიზარდა ქალთა ხვედრითი წილი ისეთ მძიმე დანაშაულებში, როგორიცაა ნარკოტიკების რეალიზაცია და კონტრაბანდა, გახშირდა ამ საშიში დანაშაულის ოჯახურ „ბიზნესად“ გამოყენების შემთხვევებიც. [52,83]

საქართველო, როგორც ცნობილია, ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყნად არ არის მიჩნეული, ამიტომ, ნარკოტიკების რეალიზაციის ყოველი ფაქტის უკან უნდა ვიგულისხმოთ ნარკოტიკების კონტრაბანდული გზით შემოტანა. ნარკოტიკულ საშუალებათა კონტრაბანდის ფაქტებთან ერთად გაიზარდა ნარკოდანაშაულში მხილებულ უცხოელთა ეროვნული კუთვნილების სპექტრიც. ამ სახის

დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებულთა შორის არიან როგორც ჩვენი უშუალო მეზობელი სახელმწიფოების: რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ასევე უკრაინის, ესტონეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, გერმანიის, ნიგერიის, ისრაელის მოქალაქეებიც.

ყოველი ქვეყანა გარკვეულ ეტაპზე იწყებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას. საქართველოში 90-იანი წლების ცნობილმა მოვლენებმა გარკვეულწილად შეაფერხა ეს პროცესი – ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება საქართველოში ფაქტობრივად დაიწყო 1997 წლიდან.

1999 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობის შესახებ“, რომლის მომზადებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ამ კანონის მოთხოვნათა საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა ბიურომ მოამზადა ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, როგორიცაა:

- „საკონტროლო შესყიდვა“ და
- „კონტროლირებადი მიწოდება“.

ეს აქტები მოაწესრიგებენ გამავალი ტვირთების კონტროლირებად გადაადგილებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ტრანზიტით გავლის დროსაც. მოცემულ აქტებში სრულადაა ასახული მსოფლიოს იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც ამ პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკა გააჩნიათ. რაც მთავარია, ეს აქტები ჰარმონიზებულია საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. [52,83]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო არ არის ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა და მისი აბსოლუტური უმრავლესობა შემოედინება საზღვარგარეთიდან. ამასთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა საქართველოში დღითი-დღე უფრო საშიშ მასშტაბებსა და ხასიათს იძენს. იზრდება ნარკოტიკების კონტრაბანდისა და რეალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა, რომელიც მიუთითებს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გადინებაზე – საქართველოში შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებების ნაცვლად (მისი საფასურის გადახდის სახით),

ქვეყნიდან გაედინება დიდი ოდენობით ფული, ძვირფასეულობა და სხვა კულტურული თუ მატერიალური ფასეულობანი.

საერთაშორისო ნარკობიზნესი აქტიურად ეძებს გასაღების ახალ ბაზრებს. გავლენის სფეროში მოსაქცევ ახალ ქვეყნებში ნარკომაფიის ძირითადი სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ საწყის სტადიაზე, ამგვარ რეგიონს იგი იყენებს როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა სატრანზიტო გზას. თუმცა, იმავდროულად ამ რეგიონის ტერიტორიაზე სარეალიზაციოდ შეაქვს ნარკოტიკული საშუალებანი, ხოლო მას შემდეგ, რაც კარგად გაიდგამს ფესვებს, აქვე უკეთებს ორგანიზებას ნარკოტიკული საშუალებების წარმოებასაც. სწორედ ამგვარი საფრთხის წინაშე დგას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ყველა სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც. [52,83]

როდესაც საუბარია ნარკოტიკული საშუალებების შესაძლო ლეგალიზაციაზე, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის გარემოებანი, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს ამ ქმედებას. საქართველოში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების, მსოფლიო პრაქტიკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მასალებზე დაყრდნობით, აუცილებელია გავერკვიოთ, თუ რა საშიში და მავნე შედეგები შეიძლება მოუტანოს ქართველ ერს ნარკოტიკების ლეგალიზებამ და მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებისთვის სისხლისამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების აკრძალვამ. ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვისთვის და არასამედიცინო დანიშნულებით მისი გამოყენებისათვის სისხლისამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმების მომხრენი გვაძლევენ იმის „გარანტიას“, რომ იგი საზოგადოებას ვნებას არ მოუტანს. ჩვენთვის ცნობილია, თუ რა მდგომარეობაა ნარკოტიკული საშუალებების მხრივ საქართველოში, მაგრამ რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზებას, თუნდაც მოზარდ თაობაში. [52,84]

ანგარიშგასაწევია ის ფაქტორიც, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობა თანდათან იმატებს, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მომხმარებელთა რაოდენობაც პარალელურად გაიზრდება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძნელია იმის პროგნოზირება, რომ ლეგალიზაციის შემდეგ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდება. 70-იან წლებში საქართველოში გამოჩნდა კანაფისებრი

ოჯახის მცენარეებისაგან დამზადებული ნარკოტიკები, მაგალითად ღოგორიცაა მარიხუანა. 80-იან წლებში კი ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკები. 90-იან წლებში უკანონო ბრუნვაში ჩანს ბევრად უფრო ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალებანი, როგორიცაა მაგალითად: ჰეროინი, კოკაინი და სხვა. ბოლო პერიოდში კი გამოჩნდა და ძლიერად მოიკიდა ფეხი ისეთმა ნარკოტიკულმა საშუალებამ როგორიცაა – სუბოტექსი (რომელიც მრავალ ქვეყანაში არ შედის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში).

სევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ეს ჩვენთვისაა ცნობილი და მათი მოხმარების აკრძალვის გაუქმება ახალ იმპულსს მისცემს ნარკოტიკების მომხმარებელთა მკვეთრ ზრდას. ჩვენის აზრით, ნარკოტიკების მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს აგრეთვე იმასაც, რომ მოსახლეობის პირობითად კანონმორჩილი ნაწილი, რომელიც კანონის შიშით იკავებდა თავს ნარკოტიკებისაგან, შესაძლოა გახდეს აქტიური მომხმარებელი. მას კი შედეგად მოჰყვება მომხმარებელთა რაოდენობის სერიოზული ზრდა, რაც მეტად ნეგატიურად იმოქმედებს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროზე. მაგალითად: დაუშვებელია, რომ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ადამიანმა წარმოებაში ტექნიკურ მექანიზმებთან იმუშაოს; დაუშვებელია ავტომანქანა მართოს ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა. დაუშვებელია ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი პირების მუშაობა სახელმწიფო და სამართალდამცავ სტრუქტურებში; დაუშვებელია ნარკოტიკული საშუალებების მიღება არასრულწლოვნების მიერ და ა.შ. პრობლემას ვერც ნაწილობრივ რბილი (შედარებით მსუბუქი) ნარკოტიკების, მაგალითად მარიხუანის ლეგალიზება მოხსნის, რადგანაც პრობლემა არა იმდენად ნარკოტიკულ საშუალებაშია, რამდენადაც მისი მოხმარების გამომწვევ მიზეზებსა და მასშტაბებში. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ თუ გავაუქმებთ პასუხისმგებლობას მარიხუანას მოხმარებისათვის, ჰეროინისა და სხვა ძლიერმოქმედი ნარკოტიკების მომხმარებლები მაინც გააგრძელებენ ამ ნარკოტიკების მოხმარებას და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა მაინც გაგრძელდება. [52,84]

ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზების მომხრეთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციისას ნარკოტიკული საშუალებანი გახდება ადვილი ხელმისაწვდომი კანონიერი გზით და ეს გარემოება

დაუკარგავს მომხმარებლებს ნარკოტიკების მიღების ინტერესს. ეს პირობა არ შეიძლება იყოს იმის გარანტი, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდება და პირიქით არ გაიზრდება. ამაზე მიგვითითებს იმ პირთა გამოკითხვის შედეგები, რომლებმაც ნარკოტიკული საშუალებების მიღებას თავი დაანებეს, მათი გადმოცემით, ნარკოტიკულ საშუალებათა მიღებისაგან თავის დანებების ერთ-ერთი პირობა იყო ის, რომ მათ ნარკოტიკული საშაულებების მოსაპოვებლად ურთიერთობა უწევდათ კრიმინალური საქმიანობის მქონე ხალხთან. აქედან გამომდინარე, დადასტურებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ნარკოტიკების მიღების ხელმისაწვდომობა და კანონიერება შეამცირებს იმ პირთა რაოდენობას, ვინც მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს. ნარკოტიკული საშუალებების (თუნდაც მსუბუქის) ლეგალიზება, ჩვენის აზრით, შესაძლოა განსაკუთრებით ნეგატიურად აისახოს ახალგაზრდობაზე და მათი ფსიქიკის სწორად ჩამოყალიბებაზე. [52,84]

ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, მაგალითად: ნარკოტიკის ლეგალიზების შემთხვევაში, ისმის კითხვა, - სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურებმა რა ფასებში უნდა მიჰყიდონ ნარკოტიკული ნივთიერება მომხმარებელს? თუ გასაყიდი ფასი კანონიერ ბაზარზე ბევრად უფრო მაღალი იქნება, რა თქმა უნდა, მომხმარებელი მიმართავს არაკანონიერ შავ ბაზარს. სხვათაშორის, ასეთი მდგომარეობა შექმნილია მრავალ ქვეყანაში, მაგალითად, თამბაქოსთან დაკავშირებით, სადაც კონტრაბანდული სიგარეტი თანაარსებობს სიგარეტის კანონიერ ბაზართან. იმავე მოვლენას ჰქონდა ადგილი ოპიუმის ნედლეულთან დაკავშირებით შორეული აღმოსავლეთის კოლონიებში პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის დროის მონაკვეთში.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დააწესებდა ნარკომოვაჭრეების მიერ დადგენილ ფასზე გაცილებით ნაკლებს. ამას შესაძლოა მოჰყოლოდა ნარკომოვაჭრეთა გაქრობა ნარკობაზრიდან, მაგრამ ამას შესაძლოა მოჰყოლოდა სხვა გაცილებით უფრო დიდი პრობლემა, კერძოდ: – ნარკოტიკების ფასები შემცირდებოდა და მისი შეძენა გაცილებით მეტი ადამიანისთვის იქნებოდა შესაძლებელი დაბალ ფენებშიც კი. საერთო ჯამში ეს გარემოება კი არ შეუწყობდა ხელს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რაოდენობის შემცირებას, არამედ შესაძლოა გამოეწვია მათი რაოდენობის ზრდა. [52,85]

რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზებას ახალგაზრდებთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი, კერძოდ, ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც სწორი აღრზდისას ხდება კანონმორჩილი, შესაძლოა სწორედ ამ მიზეზის გამო ამბობს უარს ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე, რადგანაც მათი მოხმარება კანონით აკრძალულია. ლეგალიზების შემთხვევაში, ეს აკრძალვა უქმდება და კანონმორჩილმა ახალგაზრდობის ნაწილმა შესაძლებელია დაიწყოს მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, რადგან კანონით ეს უკვე ნებადართული ხდება. ამ გარემოების უარყოფითი თანმდევი შედეგი შეიძლება იყოს შემდეგი: მეცნიერთა გამოკვლევით, მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებისას ყოველი მეხუთე-მეექვსე პირი შემდგომში უფრო ძლიერ ნარკოტიკზე გადადის, რამაც სამომავლოდ შესაძლოა მოგვცეს კიდევ უფრო უარყოფითი და სავალალო შედეგი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზება ნარკომანებისთვის ახალს არაფერს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ მიუხედავად კანონით მათი მოხმარების აკრძალვისა, ისინი მაინც ღებულობენ ნარკოტიკულ საშუალებებს. აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზება დასაშვებია შეეხოთ იმათ, ვინც ადრე ნარკოტიკულ საშუალებებს არ მოიხმარდა. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ მოცემული გარემოება ძალზედ დასაფიქრებელი და ღრმად შესასწავლი პრობლემაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომავალში თუკი მაინც მოხდება მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზება, აუცილებლად გასათვალისწინებელი და ძირეულად შესასწავლი ყველა ის გარემოება, რაც ამ დროს ვლინდება და შესაბამისად უნდა დადგინდეს, იქნება თუ არა მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზება ნარკომანიასთან ბრძოლის წინააღმდეგ დასახული სწორი გზა.

§2 სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნარკომანიის პრევენციის შეფასება

ნარკომანიის პრობლემა მთელ მსოფლიოში ძალზედ მწვავეა. არც საქართველოა გამონაკლისი. უკანასკნელ პერიოდში, ვდგავართ დილემის წინაშე „ნარკომანია ავადმყოფობაა თუ ნირვანაში ნაპოვნი ბედნიერება“. ნარკომანთა პრობლემები, ნარკომანია თუ ნარკობიზნესი, დღეისათვის მოუგვარებელი პრობლემაა. აღსანიშნავია, რომ, დღეისათვის, საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ნარკომანიასთან აქტიური ბრძოლაა გამოცხადებული, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში, ნარკომანია, ჯერ კიდევ, გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სახელდობრ, კატასტროფულად მატულობს ნარკომანთა რიცხვი, სამწუხაროდ, მისდამი დიდია მოზარდი თაობის ინტერესი. ახალგაზრდობა ნარკომანიაში საფრთხესაც ხედავს, მაგრამ, თან ნარკოტიკებისადმი დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებენ.

ბუნებრივია, ისმის შეკითხვა, მაინც რა ძალა აქვს ნარკოტიკს ისეთი, რომ ამდენი მომხმარებელი ჰყავს და მასზე დამოკიდებულს ხდის? ამ კითხვებზე საპასუხოდ შემუშავებული იქნა სხვადასხვა ანკეტები, კითხვარი და ინდივიდუალური საუბრების თემა. ზოგადად ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირებთან კვლევების ჩატარებისას, საუბარი გვქონდა ნარკომანიაზე, როგორც ავადმყოფობაზე. მათგან ვიღებდით ინფორმაციას ნარკოტიკების შესახებ; როგორ ხდება ერთმანეთთან ინფორმაციის გაცვლა, როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს; რა მიზეზით ხდებიან ნარკომანებად, რა არის ამის ხელშემწყობი პირობა, რად მიმართავენ ამ საშუალებას, რატომ იგდებენ თავს საფრთხეში, რატომ მიჰყავთ თავისი სიცოცხლე დასასრულამდე. რა ასაკში დაიწყო ნარკოტიკების ხმარება, რამდენი ხანია, რაც ამ წესით ცხოვრობს, რა ზეგავლენას ახდეს ნარკოტიკი ადამიანზე კვლევა განხორციელებულია ინდივიდუალურად, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. კვლევისათვის გამოყენებულია ანკეტირების, ინტერვიურების ანუ კონკრეტულ სოციოლოგიური მეთოდი, აგრეთვე ბიოგრაფიულ-ნარატიული მეთოდი. გამოკვლევა ტარდებოდა 2007-წლის მარტიდან 2009 წლის აგვისტომდე 500 რესპოდენტზე. მათ შორის 100 ქალი (გოგონა) და 400 კაცი (ვაჟი) ქალაქ თბილისში.

შერჩევა იყო სტრატიფიცირებული, შემთხვევითი რესპოდენტების რაოდენობა მიზერულია. გამოკითხულები დაყოფილი იქნა კატეგორიებად:

- სკოლის მოსწავლეები;
- სტუდენტები;
- პედაგოგები;
- სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები და
- ნარკომანიასთან ბრძოლის წინააღმდეგ პრაქტიკულად მომუშავე თანამშრომლები.

გამოკითხვების 2 წლიანი გამოცდილების მანძილზე, წავაწყდით გარკვეულ სირთულეს, არავის არ სურდა თავისი ვინაობის გამჟღავნება, იყო გულრწფელობის პრობლემაც. ამიტომ, ვფიქრობთ, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა ანკეტირების ჩატარება გადავწყვიტეთ ანონიმური წესით, რადგანაც ნაკლებად იყო რესპოდენტთა მზაობა, დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება დასმული პრობლემების მიმართ. იყო იმ ადამიანთა გარკვეული კატეგორიაც, რომლებმაც, უმრავლეს შემთხვევაში, პასუხად შეარჩიეს "მიჭირს პასუხის გაცემა".

ქვემოთ წარმოდგენილია მხოლოდ იმ პასუხების ანალიზი, რომლებიც რესპოდენტებმა საკუთარი სურვილით შეავსეს. გამოკითხვის ფონი განსაკუთრებულია, რადგან რესპოდენტები ამ საკითხებზე სასაუბროდ, პირველად დადგნენ რეალური არჩევანის წინაშე.

ძირითადი შედეგები. შედეგების ანალიზისათვის და იმის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში ნაროტიკებთან დაკავშირებით, რესპოდენტები დავყავით ჯგუფებად:

- პირველი ჯგუფი მოსწავლე ახალგაზრდობაა;
- მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ სტუდენტი ახალგაზრდობა;
- მესამე ჯგუფში - პროფესორ მასწავლებლები;
- მეოთხე ჯგუფში ჩავრთეთ სახელმწიფო მოხელეები;
- მეხუთე ჯგუფი ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი პრაქტიკოსი მუშაკებია.

რესპოდენტთა მახასიათებლები: ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მთელი რიგი მახასიათებლებით, კერძოდ: ასაკით, განათლების დონით, გამოცდილებით, პრაქტიკული საქმიანობით.

ანკეტაში, პირველ 4 შეკითხვაში, გათვალისწინებული იყო პირთა დემოგრაფიული მახასიათებელები. განათლების დონე, სქესი ასაკი და ა.შ., ხოლო კვლევის პრობლემასთან დაკავშირებით, შემუშავებული იყო კონკრეტული 19 შეკითხვა. ქვემოთ გადმოცემულია ანკეტის ფორმა, მასში დასმული შეკითხვები და სავარაუდო საკითხები.

გამოკითხვა ტარდებოდა 2007- 2009 წელს

ა ნ კ ე ტ ა

დემოგრაფიული მონაცემები:

1. სქესი – ა) მდედრობითი ბ) მამრობითი

2. განათლება – ა) არასრული საშუალო ბ) საშუალო გ) არასრული უმაღლესი დ) უმაღლესი

3. სოციალური მდგომარეობა – ა) მოსწავლე ბ) სტუდენტი გ) მომუშავე დ) უმუშევარი ე) სპეციალისტი (ადმინისტრაციული-საინჟირნო პერსონალი) ვ) სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი

ძირითადი კითხვები:

4. როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა ნარკომანიის პრობლემა ჩვენს საზოგადოებაში?

ა) კი

ბ) არა

გ) მიჭირს პასუხის გაცემა

5. როგორ ფიქრობთ, ქალაქ თბილისში, ბოლო 5 წლის განმავლობაში ნარკომანიის პრობლემა:

ა) მნიშვნელოვნად გაიზარდა

ბ) უმნიშვნელოდ გაიზარდა

გ) უმნიშვნელოდ შემცირდა

დ) მნიშვნელოვნად შემცირდა

ე) მიჭირს პასუხის გაცემა

6. თქვენი აზრით, რა წარმოადგენს ნარკომანიის მიზეზს?

ა) დანაშაულობათა ზრდა

ბ) სიღარიბის მაღალი დონე

გ) საზოგადოებაში სტაბილურობის არარსებობა

დ) თავისუფალი დროის გატარების სპეციალიზირებული დაწესებულებების სიმცირე

ე) საერთო კულტურის დონის შემცირება

ვ) სხვა მიზეზი .....

7. როგორ ფიქრობთ, რატომ იწყებს ხალხი ნარკოტიკების მოხმარებას?

ა) ინტერესის გამო

ბ) უსაქმურობის გამო

გ) რომ დაივიწყოს არსებული პრობლემები.

დ) სხვა მომხმარებლებთან სიახლოვის გამო

ე) სხვა მიზეზით.....

8. ნარკოტიკების მოხმარების რა ხერხებს იცნობთ?

.....

9. რა სახის ნარკოტიკებია თქვენთვის ცნობილი ?

10. როდისმე თუ გაგისინჯავთ ნარკოტიკული ნივთიერება?

ა) დიახ

ბ) არა

11. ხომ არ იყენებენ თქვენი მეგობრები ან ნაცნობები ნარკოტიკულ ნივთიერებებს?

ა) დიახ

ბ) შესაძლებელია

გ) არა

დ) მიჭირს პასუხის გაცემა

12. რა დამოკიდებულება გაქვთ ადამიანებთან, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარენ?

ა) უარყოფითი

ბ) ნეიტრალური

გ) დადებითი

დ) მიჭირს პასუხის გაცემა

13. როგორ მოიქცევით, თუ გაიგებთ, რომ თქვენი ახლობელი ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარს?

ა) ვეცდები ავუხსნა, რომ ეს ჯანმრთელობისათვის საშიშია

ბ) შევეცდები გავიგო ინფორმაცია ნარკოდამოკიდებულებისგან გამოჯანმრთელების სპეციალური კლინიკების შესახებ

გ) ვუთანაგრძნობ მას

დ) არაფერს არ მოვიმოქმედებ

14. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, ადამიანი ნარკომანი გახდეს, თუ ერთხელ მაინც გასინჯავს ნარკოტიკულ ნივთიერებას?

ა) დიახ

ბ) არა

გ) მიჭირს პასუხის გაცემა

15. თქვენი აზრით, ნარკომანია ეს არის:

ა) დაავადება

ბ) მავნე ჩვევა

გ) დროსტარების ხერხი

დ) სხვა .....

16. თქვენი შეხედულებით, თუ ერთ-ერთი მშობელი ნარკოტიკების მომხმარებელია, რა სახის ზეგავლენას მოახდენს ეს გარემოება ბავშვის მომავალზე?

ა) მოახდენს დიდ ზეგავლენას

ბ) მოახდენს საშუალო ზეგავლენას

გ) მოახდენს უმნიშვნელო ზეგავლენას

დ) მიჭირს პასუხის გაცემა

17. თვლით, თუ არა, რომ ნარკომანია, ეს ახალგაზრდული კულტურის

ნაწილია?

ა) დიახ, ეს ახალგაზრდული მოდაა (ღამის კლუბების ცხოვრება)

ბ) ეს ეხება მხოლოდ ახალგაზრდობის მცირე ნაწილს

გ) არა, ეს არასწორია

დ) მიჭირს პასუხის გაცემა

18. როგორ ფიქრობთ, ადვილია თუ არა ნარკოტიკების შოვნა?

ა) დიახ, ნარკოტიკები ყოველ ნაბიჯზე იყიდება

ბ) შესაძლებელია მათი შოვნა

გ) არა

დ) მიჭირს პასუხის გაცემა.

19. თუ თქვენ გექნებათ შესაძლებლობა გასინჯოთ ნარკოტიკული ნივთიერება, მაშინ თქვენ:

ა) ნებისმიერ შემთხვევაში გასინჯავთ

ბ) ალბათ უარს ვიტყოდი

გ) მიჭირს პასუხის გაცემა

20. როგორ ფიქრობთ, მარტივია თუ არა ნარკოტიკების მოხმარებისაგან თავის დანებება?

ა) მარტივია, მხოლოდ საჭიროა სურვილი

ბ) შესაძლებელია ნარკოტიკებისაგან თავის დანებება

გ) შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებებში ან ექიმის ზედამხედველობის ქვეშ.

დ) არა, არანაირად არ არის შესაძლებელი ნარკოტიკების მოხმარებისაგან თავის დანებება

21. ეთანხმებით თუ არა, რომ ნარკომანებს უნდა ვუმკურნალოთ და არა დავსაჯოთ?

ა) დიახ, ვეთანხმები

ბ) ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე

გ) არა, არ ვეთანხმები

დ) მიჭირს პასუხის გაცემა

22. ეთანხმებით თუ არა შემდეგ გამონათქვამებს?

ვეთანხმები – წინ დაუსვით პლუსი (+)

არ ვეთანხმები – წინ დაუსვით მინუსი (–)

ნაწილობრივ ვეთანხმები – არაფრით არ აღნიშნოთ

- საჭიროა გავამკაცროთ სისხლის სამართლის სასჯელი ნარკოტიკების მოხმარებისათვის
- საჭიროა ნარკომანებს დავურიგოთ ერთჯერადი შპრიცები
- საჭიროა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმება ნარკოტიკების მოხმარებისათვის
- ჯანდაცვის ორგანოების მუშაობა ნარკომანიის წინააღმდეგ არაეფექტურია
- საჭიროა იმ ორგანიზაციების და კერძო პირების თანადგომა, რომლებიც ახორციელებენ ნარკომანიის პროფილაქტიკასა და მკურნალობას
- საქართველოში ცოტაა კარგი ექიმი – ნარკოლოგები
- სამართალდამცავი ორგანოები ეფექტურად ებრძვიან ნარკომანიის მოვლენას

23. რა არის აუცილებელი, რომ განახორციელოს სახელმწიფო ორგანოებმა, რათა გაძლიერდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა (შესაძლებელია აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

ა) ნარკომანიასთან ბრძოლის დაფინანსების გაზრდა

ბ) იქონიოს კომპლექსური პროგრამა ნარკომანიის პროფილაქტიკისა და მასთან ბრძოლის წინააღმდეგ

გ) განახორციელოს სპეციალური სამედიცინო ნარკოლოგიური დაწესებულებების ქსელის გაზრდა

დ) განახორციელოს სამედიცინო მუშაკთა სპეციალური ცოდნის გაღრმავება

ე) სხვა .....

24. როგორ ფიქრობთ, საკმარისად ხართ თუ არა ინფორმირებული იმის

შესახებ, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ნარკოტიკები?

ა) სრულად ვარ ინფორმირებული

ბ) არასრულად ვარ ინფორმირებული

გ) ცუდად ვარ ინფორმირებული

დ) მიჭირს პასუხის გაცემა

25. როგორ ფიქრობთ თბილისში სად არის უფრო მარტივი ნარკოტიკების შოვნა?

ა) მეტროს სადგურებთან

ბ) აფთიაქებში და სამედიცინო დაწესებულებებში

გ) ბაზრობებზე

დ) ახალგაზრდულ დისკოტეკებზე

ე) სასწავლო დაწესებულებებში (სკოლებში, ინსტიტუტებში)

ვ) სახლებში, სადაც ნარკოტიკები იყიდება

ზ) მიჭირს პასუხის გაცემა

26. თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარებისათვის?

ა) დიახ

ბ) არა

გ) არ ვიცი.

პასუხების გაანალიზება მოვახდინეთ მეხუთე შეკითხვიდან. კითხვებზე პასუხების გაანალიზების შედეგად მივიღეთ შემდეგი შედეგები:

5. რესპოდენტების გამოკითხვისას კითხვაზე, როგორ ფიქრობთ, ქალაქ თბილისში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნარკომანიის პრობლემა რა მაჩვენებელს აღწევს მივიღეთ შემდეგი შედეგები:

გამოკითხულმა 191-მა პირმა გვიპასუხა რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ნარკომანიის პრობლემა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 84-მა პირმა გვიპასუხა, რომ ნარკომანიის პრობლემა ამ პერიოდში უმნიშვნელოდ გაიზარდა. 97-მა პირმა გაგვცა პასუხი რომ ნარკომანიის პრობლემა უმნიშვნელოდ შემცირდა. 45-მა პირმა გვიპასუხა, რომ ნარკომანიის პრობლემა მნიშვნელოვნად შემცირდა და 83 ადამიანს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. [იხ. სურ. 40]

6. შემდეგი კითხვის შინაარსი მოცემული იყო შემდეგნაირად – თქვენი აზრით, რა წარმოადგენს ნარკომანიის მიზეზს?. მოცემული პასუხების ვარიანტებიდან რესპოდენტებს საშუალება მიეცათ პასუხის რამდენიმე ვარიანტი აერჩიათ. აქედან გამომდინარე სახეზეა შემდეგი შედეგი:

პასუხის ვერსიას, რომ ამ ყველაფრის ხელის შემწყობი მიზეზია დანაშაულობათა ზრდა, ერგო 47 ხმა. შემდეგ პასუხს, რომ ნარკომანიის მიზეზს წარმოადგენს სიღარიბის მაღალი დონე, ერგო 83 ხმა. შემდეგ პასუხის ვერსიას, რომ ამის მიზეზია საზოგადოებაში სტაბილურობის არარსებობა, ერგო 133 ხმა. პასუხის ვერსიას, თავისუფალი დროის გატარების სპეციალიზირებული დაწესებულებების სიმცირე, ერგო 198 ხმა. საერთო კულტურის დონის შემცირების ვერსიას, ერგო 210 ხმა. ბოლო მეექვსე პასუხის ვერსიად რესპოდენტებს ჰქონდათ საშუალება წერილობით გადმოეცათ, მათი აზრით, კიდევ სხვა დამატებითი მიზეზები, რომლებიც ნარკომანიას უწყობენ ხელს. ამ პასუხებიდან ბევრი თავისი შინაარსით ერთმანეთს ემთხვეოდა და აქედან, შესაძლებელი გახდა რამდენიმე მთავარი ხელშემწყობი ფაქტორის გამოყოფა. ხშირად გვხვდება პასუხის ვერსია, რომ ნარკომანიის მიზეზად გვევლინება საზოგადოების განვითარების დაბალი დონე. შემდეგი ვერსიაა სახელმწიფოში მძიმე სოციალური მდგომარეობა. აგრეთვე ხშირად მიზეზად გვევლინება ქართველი ერის დეგრადაცია.

7. კითხვაზე, როგორ ფიქრობთ, რატომ იწყებს ხალხი ნარკოტიკების მოხმარებას? მივიღეთ შემდეგი შედეგები: (პასუხების არჩევისას რესპოდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი).

გამოკითხულთაგან პასუხს – ინტერესიდან გამომდინარე, ერგო 187 ხმა. პასუხის ვერსიას – უსაქმურობისგან, ერგო 235 ხმა. პასუხს, – რომ დავიწყებული იქნას პრობლემები, ერგო 80 ხმა. შემდეგი პასუხის ვერსიას – სხვა მომხმარებლებთან სიახლოვის გამო, ერგო 190 ხმა. ბოლო პასუხის ვერსიაში რესპოდენტებს

შეეძლოთ წერილობით გადმოეცათ, მათი აზრით კიდევ სხვა დამატებითი მიზეზი, თუ რატომ იწყებს ხალხი ნარკოტიკების მოხმარებას. ამ პასუხების ანალიზისას გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ოთხივე მიზეზი ერთად უწყობს ხელს ამ პრობლემას. აქვე ხშირად გვხვდება პასუხი, რომ ხალხი ნარკოტიკების მოხმარებას იწყებს მოდის აყოლის გამო. მათი აზრით, დიდ ზეგავლენას ახდენს ამ საკითხზე სხვების მიმბაძველობა. [იხ. სურ. 41]

8. შემდეგ კითხვაში ჩვენ ვთხოვეთ რესპოდენტებს წერილობით გადმოეცათ თუ ნარკოტიკების მოხმარების რა ხერხებს იცნობდნენ. შედეგად მივიღეთ შემდეგი:

გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ, 197 პირი, ასახელებს ნარკოტიკების მოხმარების სამ ძირითად გზას. ესენია ნარკოტიკების მოხმარება ნემსით, მოხმარება მათი მოწევით და ნარკოტიკების მიღება შესუნთქვით. 132 გამოკითხული დამატებით ასახელებს ნარკოტიკების მოხმარების შემდეგ ხერხებს, ესენია: ნარკოტიკების მოხმარება თხევადი სახით მიღებით და ნარკოტიკების აბების სახით მიღებით. ინტერესს იწვევს ის საკითხი, რომ გამოკითხული 171 პირი ვერ ასახელებს ნარკოტიკების მოხმარების ვერცერთ ხერხს. [იხ. სურ. 42]

9. ამ კითხვაში რესპოდენტებს წერილობით უნდა გადმოეცათ თუ რა სახის ნარკოტიკებს იცნობდნენ ისინი.

პასუხების ანალიზისას ჩვენ დავადგინეთ, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ერთად ასახელებდა სამ ნარკოტიკულ საშუალებას ესენია: ჰეროინი, სუბოტექსი და მარიხუანა. სამივე ნივთიერება შესაძლებელია მივაკუთნოთ საზოგადოებაში ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკთა დასახელებებს. გამოკითხულთა მიერ დამატებით გადმოცემული იქნა შემდეგი ნარკოტიკული საშუალებების დასახელებები: მანაგუა, ელესდე, ექსტაზი, ჰაშიში, ვინტი, ქიმია, კოკაინი, მორფინი, ოპიუმი, მაკი.

10. კითხვაზე – როდესმე თუ გაგისინჯიათ ნარკოტიკული ნივთიერება?

რესპოდენტებმა შემდეგნაირად გაგვცეს პასუხი: 346 გამოკითხული აღნიშნავს, რომ მათ არ გაუსინჯავთ ნარკოტიკები, ხოლო 154 რესპოდენტი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ გასინჯული ნარკოტიკული ნივთიერება. [იხ. სურ. 43]

11. კითხვაზე – ხომ არ იყენებენ თქვენი მეგობრები ან ნაცნობები ნარკოტიკულ ნივთიერებებს?

მივიღეთ შემდეგი შედეგები: გამოკითხულთაგან 189 პირი ირჩევს პასუხის ფორმას – დიახ. გამოკითხულთაგან 131 პირი ირჩევს პასუხის ფორმას – მიჭირს პასუხის გაცემა. გამოკითხული 134 პირი ირჩევს პასუხად – არა და მხოლოდ 46 გამოკითხულს უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. [იხ. სურ. 44]

12. რა დამოკიდებულება გაქვთ თქვენ ხალხთან, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარენ? ამ კითხვაზე რესპოდენტებისგან მიღებული პასუხები შემდეგნაირია:

138 გამოკითხულს ამ კატეგორიის ხალხის მიმართ აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება. 207 გამოკითხულს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება. 49 გამოკითხულს აქვს დადებითი დამიკიდებულება და 106 გამოკითხულს ამ კითხვაზე უჭირს პასუხის გაცემა. [იხ. სურ. 45]

13. როგორ მოიქცევით თუ გაიგებთ რომ თქვენი ახლობელი ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარს?

პასუხის გაცემისას რესპოდენტებს შეეძლოთ ერთად აერჩიათ რამდენიმე პასუხის ფორმა. პასუხმა – ვეცდები ავუხსნა, რომ ეს ჯანმრთელობისათვის საშიშია, მიიღო 364 ხმა. პასუხმა – შევეცდები გავიგო ინფორმაცია ნარკოდამოკიდებულებისაგან გამოჯანმრთელების სპეციალური კლინიკების შესახებ, მიიღო 217 ხმა. პასუხმა – ვუთანაგრძნობ მას, მიიღო 58 ხმა და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა 44 რესპოდენტს. [იხ. სურ. 46]

14. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, ადამიანი ნარკომანი გახდეს, თუ ერთხელ მაინც გასინჯავს ნარკოტიკულ ნივთიერებას?

ამ კითხვაზე მივიღეთ შემდეგი პასუხები: ამ მოსაზრებას ეთანხმაება 234 რესპოდენტი. ამას არ ეთანხმება 147 რესპოდენტი და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 119 რესპოდენტს. [იხ. სურ. 47]

15. თქვენი აზრით, რა არის ნარკომანია?

ამ კითხვაზე მიღებული იქნა შემდეგი პასუხები: ეს არის დაავადება, მიიჩნევს 297 რესპოდენტი. ეს არის მავნე ჩვევა, მიიჩნევს 74 რესპოდენტი. ეს არის დროსტარების ხერხი, მიიჩნევს 73 რესპოდენტი. მეოთხე პასუხად რესპოდენტებს შეეძლოთ წერილობით დამატებით გადმოეცათ თავისი აზრი, თუ რა არის

ნარკომანია და შედეგად 56-მა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ნარკომანია არის - დანაშაული. [იხ. სურ. 48]

16. თქვენი შეხედულებით, თუ ერთ-ერთი მშობელი ნარკოტიკების მომხმარებელია, რა სახის ზეგავლენას მოახდენს ეს გარემოება ბავშვის მომავალზე.

რესპოდენტებისგან მიღებული პასუხები ამ კითხვაზე შემდეგია:

292 რესპოდენტი პასუხობს, რომ ბავშვებზე ეს გარემოება მოახდენს დიდ ზეგავლენას. 78 გამოკითხული პასუხობს, რომ ეს გარემოება მოახდენს საშუალო ზეგავლენას. 43 გამოკითხული აფიქსირებს, რომ ეს მოახდენს უმნიშვნელო ზეგავლენას ბავშვებზე და 87 გამოკითხულს უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. [იხ. სურ. 49]

17. თვლით, თუ არა, რომ ნარკომანია, ეს არის ახალგაზრდული კულტურის ნაწილი? ამ კითხვაზე გამოკითხულთა აზრი შემდეგნაირად განაწილდა:

117 გამოკითხული თვლის, რომ ეს არის, როგორც ახალგაზრდული მოდა (ღამის კლუბის ცხოვრება). 100 გამოკითხული თვლის, რომ ეს ეხება მხოლოდ ახალგაზრდობის მცირე ნაწილს. 228 გამოკითხული თვლის, რომ ეს არასწორია და 45 გამოკითხულს უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. [იხ. სურ. 50]

18. როგორ ფიქრობთ ადვილია თუ არა ნარკოტიკების შოვნა?

ამ კითხვაზე მიღებული პასუხები შემდეგია: 61 გამოკითხული თვლის, რომ ნარკოტიკები ყოველ ნაბიჯზე იყიდება. 319 გამოკითხული თვლის, რომ ნარკოტიკების შოვნა შესაძლებელია. 53 გამოკითხული თვლის, რომ ნარკოტიკების შოვნა შესაძლებელი არ არის და 67 გამოკითხულს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. [იხ. სურ. 51]

19. თუ თქვენ გექნებათ შესაძლებლობა გასინჯოთ ნარკოტიკული ნივთიერება, მაშინ თქვენ რას მოიმოქმედებთ.

ამ გარემოებაზე მიღებული გამოკითხულთა შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: 66 გამოკითხული პასუხობს რომ ნარკოტიკებს ნებისმიერ შემთხვევაში გასინჯავდა. 363 გამოკითხული აცხადებს რომ ალბათ უარს იტყოდა ნარკოტიკების გასინჯვაზე და 71 გამოკითხულს უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. [იხ. სურ. 52]

20. როგორ ფიქრობთ, მარტივია, თუ არა ნარკოტიკების მოხმარებისაგან თავის დანებება?

ამ კითხვაზე პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 67 გამოკითხულის მოსაზრებით ნარკოტიკების მოხმარებისგან თავის დანებება მარტივია, მხოლოდ საჭიროა სურვილი. 123 გამოკითხული აფიქსირებს, რომ შესაძლებელია ნარკოტიკებისაგან თავის დანებება. 244 გამოკითხული ემხრობა აზრს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებაში ან ექიმის ზედამხედველობის ქვეშ. 66 გამოკითხულის აზრით არანაირად არ არის შესაძლებელი ნარკოტიკების მოხმარებისაგან თავის დანებება. [იხ. სურ. 53]

21. ეთანხმებით თუ არა რომ ნარკომანებს უნდა ვუმკურნალოთდა არა დავსაჯოთ?

ამ კითხვაზე გამოკითხულთა აზრი შემდეგნაირად განაწილდა: 214 გამოკითხული ამ მოსაზრებას ეთანხმება. 172 გამოკითხული აღნიშნავს, რომ ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე. 56 გამოკითხული არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და 58 გამოკითხულს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. [იხ. სურ. 54]

22. აქ მოყვანილია რამდენიმე მოსაზრება და რესპოდენტებს აქვთ საშუალება დაეთანხმონ, ნაწილობრივ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ მათ.

შედეგად მიღებულია შემდეგი სურათი: საჭიროა გავამკაცროთ სისხლის სამართლის სასჯელი ნარკოტიკების მოხმარებისათვის – ამ მოსაზრებას ერგო გამოკითხულთა 181 ხმა. საჭიროა ნარკომანებს დავურიგოთ ერთჯერადი შპრიცები – ამ მოსაზრებას ერგო გამოკითხულთა 78 ხმა. საჭიროა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმება ნარკოტიკების მოხმარებისათვის. ამ მოსაზრებას ერგო გამოკითხულთა 227 ხმა. ჯანდაცვის ორგანოების მუშაობა ნარკომანიის წინააღმდეგ არაეფექტურია. - ამ მოსაზრებას ერგო 340 ხმა. საჭიროა იმ ორგანიზაციების და კერძო პირების თანადგომა, რომლებიც ახორციელებენ ნარკომანიის პროფილაქტიკასა და მკურნალობას – ამ მოსაზრებას ერგო გამოკითხულთა 422 ხმა. საქართველოში ცოტაა კარგი ექიმი – ნარკოლოგი. – ამ მოსაზრებას ერგო გამოკითხულთა 189 ხმა. სამართალდამცავი ორგანოები ეფექტურად ებრძვიან ნარკომანიის მოვლენას. – ამ მოსაზრებას ერგო 52 ხმა. [იხ. სურ. 55]

23. რა არის აუცილებელი რომ განახორციელოს სახელმწიფო ორგანოებმა, რომ გაძლიერდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. (რესპოდენტებს აქ შესაძლებლობა ჰქონდათ აერჩიათ რამდენიმე პასუხი).

შედეგად მივიღეთ შემდეგი: ნარკომანიასთან ბრძოლის დაფინანსების გაზრდა. – ამ მოსაზრებას ეთანხმება 311 რესპოდენტი. იქონიოს კომპლექსური პროგრამა ნარკომანიის პროფილაქტიკისა და მასთან ბრძოლის წინააღმდეგ, ამ აზრს ეთანხმება 270 რესპოდენტი. განახორციელოს სპეციალური სამედიცინო ნარკოლოგიური დაწესებულებების ქსელის გაზრდა – ამ მოსაზრებას ეთანხმება 337 რესპოდენტი. განახორციელოს სამედიცინო მუშაკთა სპეციალური ცოდნის გაღრმავება – ამ მოსაზრებას ერგო გამოკითხულთა 167 ხმა. პასუხთა ბოლოს რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ დამატებით დაეფიქსირებინათ ის გარემოებები, რომლებიც მათი აზრით, უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ. ყველაზე ხშირი პასუხის ფორმებია, რომ უნდა განხორციელდეს დამატებითი ანტინარკოტიკული აქციები, უნდა განხორციელდეს ანტინარკოტიკული რეკლამები და რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, აუცილებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მთელი ამ ტერიტორიის გაკონტროლება. [იხ. სურ. 56]

24. როგორ ფიქრობთ, საკმარისად ხართ თუ არა ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ნარკოტიკები?

ამ კითხვაზე მიღებული შედეგები კი შემდეგია: 246 გამოკითხული თვლის რომ ისინი სრულად არიან ინფორმირებული თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ნარკოტიკები. 144 გამოკითხული თვლის, რომ ისინი არასრულად არიან ინფორმირებულნი. 57 გამოკითხულის აზრით, ისინი ცუდად არიან ინფორმირებულნი და 53 გამოკითხულს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. [იხ. სურ. 57]

25. როგორ ფიქრობთ, თბილისში, სად უფრო მარტივია ნარკოტიკების შოვნა? სავარაუდო პასუხებიდან რესპოდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე მათგანი.

ამ კითხვაზე მიღებული პასუხები შემდეგია: 35 გამოკითხული თვლის, რომ ნარკოტიკების შოვნა შესაძლებელია მეტროს სადგურებთან. 58 გამოკითხული თვლის, რომ – ბაზრობებზე. 124 გამოკითხული თვლის, რომ მარტივია ნარკოტიკების შოვნა აფთიაქებში და სამედიცინო დაწესებულებებში. 193 გამოკითხულის აზრით მარტივია ნარკოტიკების შოვნა ახალგაზრდულ

დისკოტეკებზე. 38 გამოკითხული თვლის რომ მათი შოვნა მარტივია სასწავლო დაწესებულებებში. 204 გამოკითხულის აზრით, მათი შოვნა მარტივია სახლებში, სადაც ნარკოტიკები იყიდება. და 135 გამოკითხულს ამ კითხვაზე უჭირს პასუხის გაცემა. [იხ. სურ. 58]

26. თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარებისათვის?

ამ კითხვის შედეგები შემდეგია: 144 გამოკითხული თვლის, რომ უნდა იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარებისთვის. 227 გამოკითხული თვლის, რომ არ უნდა იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკების მოხმარებისთვის და 129 გამოკითხულს ამ კითხვაზე უჭირს პასუხის გაცემა. [იხ. სურ. 59]

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ნარკოტიკების მომხმარებელთა მკვეთრად გაზრდილი რაოდენობა ფართოდ ვრცელდება მოზარდებსა და ახალგაზრდებზეც. იზრდება იმ ახალგაზრდა ადამიანების რაოდენობაც, რომლებიც ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს თანდათანობით მოიხმარენ. ინტერესმოკლებული არც ის ფაქტია, რომ ახლანდელ პერიოდში ძნელად მოიძებნება ახალგაზრდა, რომელმაც არ იცის იმ საშიშროების შინაარსი, რაც თან სდევს ნარკოტიკების მოხმარებას. პირადად, ჩემს მიერ, გამოკითხულ სკოლის 200 მოსწავლეთაგან ყველამ (ვაჟებმაც და გოგონებმაც) იცის, რომ ნარკოტიკების მოხმარება მავნედ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, გამოკითხულთა შორის, დაახლოებით 40%-ს გასინჯული აქვს ნარკოტიკული საშუალება. თუკი ბავშვებმა იციან, რომ ნარკოტიკები მავნეა, მაშ რა აიძულებს მათ დაიწყონ ნარკოტიკების მოხმარება? ეს ისეთი მნიშვნელოვანი კითხვაა, რომელზედაც პასუხის მოძებნა აუცილებელია. ცნობილია, რომ ავადმყოფობის პროფილაქტიკა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ავადმყოფობის განკურნება. ეს პრობლემა მხოლოდ სპეციალისტების პრობლემა როდია. მასზე დაფიქრება, უპირველ ყოვლისა, მშობლებს მართებთ. რა უნდა მოიმოქმედონ, რომ თავისი შვილები დაიცვან ამ დაავადებისაგან და თუ ეს უკვე გვიანაა, მაშინ უნდა გაიაზრონ, თუ როგორ დაეხმარონ მათ. სამწუხაროდ, ბევრ მშობელს ურჩევნია ეს პრობლემა გადააბრალოს სახელმწიფოს, საზოგადოებას, სკოლას, ყველას, მაგრამ არ აღიარებს თავის უსუსურობას, იმას, რომ ვერ დაიცვეს ახალგაზრდები ამ სენისგან.

როდესაც საუბარია ახალგაზრდებს შორის გავრცელებულ ნარკომანიაზე, რომელიც საზოგადოებისათვის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემაა, ვითვალისწინებთ ახალგაზრდის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის ინტერესს ნარკოტიკებისადმი და მათი გამოყენებისადმი. მნიშვნელოვანია მოხდეს იმ მიზეზთა კლასიფიკაცია, რომლებიც საწყის ეტაპზე ადამიანს ხელს უწყობენ, მისი, როგორც ნარკოტიკების მომხმარებლის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ პრევენციული ღონისძიებების გატარება ნარკომანიის წინააღმდეგ, რაც საშუალებას მისცემს სპეციალისტებს უფრო მიზანმიმართულად და შედეგიანად დაუპირისპირდნენ ნარკომანიის პრობლემას. საზოგადოების დამოკიდებულება ნარკომანიისადმი დღეისთვის არის ცალსახად ნეგატიური. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საზოგადოებას აქვს ერთგვაროვანი შიში თავის ახლობლების და პირველ რიგში, შვილების მიმართ, რათა მათ საშიშროება არ შეეხოთ. ყოველივეს იქამდე მივყავართ, რომ საზოგადოებას სურვილი აქვს, რომ საზოგადოებისაგან გარიყონ ნარკოტიკების მომხმარებელი, ამდაგვარი მიდგომები განაპირობებს, რომ ნარკომანი საზოგადოებისაგან იზოლირებული რჩება. იზოლაციაში კი ამ ადამიანებს აქცევს მისივე მეგობრები, ოჯახის წევრები, საზოგადოებრივი წევრები და ა.შ. ერთადერთი გარემო, რომელიც ამ იზოლაციაში მოხვედრილი ხალხისთვის არის გახსნილი, არის ის გარემო, სადაც არსებობს ნარკოტიკების მოხმარების ტრადიცია.

საზოგადოებისგან ნარკომანების იზოლაცია აიძულებს მათ იცხოვრონ იმ პირთა შორის, რომლებიც ფსიქოლოგიურად ნარკოტიკებზე უფრო დამანგრეველ ეფექტს ახდენენ მასზე. მაგრამ ადამიანს აღარ შეუძლია ამ ნარკომანთა გარემოსგან ცალკე ცხოვრება. სწორედ ასეთი სახით ყალიბდება განსაკუთრებული ნარკომანული სუბკულტურა თავისი სპეციფიკური ცხოვრების წესით, ფასეულობათა სისტემით, ენით, სტერეოტიპებით, მაფიით. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მითი, რომ ნარკომანი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისას განიცდის არამიწიერ სიამოვნებას. სინამდვილეში კი, ეს არის თვითონ ნარკომანის მოგონილი. პირი ისმენს ისტორიას, რომ ნარკოტიკების მოხმარებისას იგი განიცდის ღვთაებრივ ნეტარებას, მაგრამ თვითონ ნარკოტიკი, როგორც ასეთი, არ იწვევს ამ ღვთაებრივ ნეტარებას, ეს არის უბრალოდ პირის სურვილი, რომ განიცადოს ასეთი სიამოვნება. ნარკოტიკი კი მხოლოდ ამის სტიმულატორია, თვითონ ნარკოტიკი არ იწვევს ასეთ ღვთაებრივ აზრებს და სასიამოვნო გარემოს

ფორმირებას ადამიანის ფსიქოლოგიაში. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ ნარკომანთა სუბკულტურა ძალიან ბევრ საზოგადოებრივ ელემენტს უადვილებს ახალგაზრდობის მიზიდვას, რადგან ახალგაზრდებზე ზემოქმედება ბევრად უფრო მარტივია.

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება, დღევანდელ ახალგაზრდობას, ართმევს უნარს, ამ ახალ საუკუნეში, იცხოვროს მაღალი ღირსების გრძნობით, საუკეთესო ჯანმრთელობით, მას აღარ აქვს უნარი შეიტანოს თავისი წვლილი საკუთარი ქვეყნისა თუ მსოფლიოს განვითარების საქმეში. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვთა გარკვეული რაოდენობა ნარკომანიის პრობლემას ეჯახება ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში, როდესაც მათი შეხვედრა ამ სამყაროსთან ხდება ტკივილების განცდით, რაც გამოწვეულია დედის მიერ ნარკოტიკების საშუალებით აბსტინენციის მდგომარეობის განცდით.

ნარკომანია, ხშირ შემთხვევაში, პიროვნების პათოლოგიურ განვითარებას წარმოადგენს, მისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ოჯახში არასწორი აღზრდის პირობები ანუ დარღვეულია ადამიანის სოციალიზაციის პროცესი. ეს გარემოება კი, ნეგატიურად აისახება ახალგაზრდებზე და მათ უჩნდებათ მიდრეკილება ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებისკენ. იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, ნარკომანიის მიზეზები, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ოთხ დონედაა წარმოჩენილი. ესენია: ბიოფიზიოლოგიური. ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური, მიკროსოციალური და მაკროსოციალური დონე.

კოკაინი – ალკალოიდია, რომელიც მიიღება კოკის ბუჩქის ფოთლებიდან, რომელიც კულტივირდება მაღალმთიან რაიონებში. ცნობილია, რომ მათი წარმოების ქვეყნებს, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენენ, მაგალითად, პერუ, ბოლივია, ეკვადორი და სხვა მრავალი ქვეყანა. უკანასკნელ პერიოდში ამ ქვეყნების რაოდენობა სულ უფრო იზრდება და იზრდება. კოკაინის დამზადება ხდება სინთეტიკური გზით. სინთეტიკურ კოკაინს ღებულობენ ეკგონინისგან. კოკაინი მეტად ძლიერმოქმედი სტიმულატორია და თავისი შინაარსით ჰგავს, მაგალითად, ამფეტამინს. კოკაინი, ისევე, როგორც ამფეტამინი, იწვევს აზროვნების ცვლილებებს, ხშირ შემთხვევაში, ხსნის დაღლილობას და ახდენს ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის სტიმულირებას. კოკის ფოთლები გამოიყენებოდა, ჯერ კიდევ, ძველი ინკების ცივილიზაციის დროს. კოკის

ფოთლების ღეჭვის მეშვეობით, ინკები ახორციელებდნენ ტრანსში შესვლას სხვადასხვა რიტუალური პროცესების ჩატარებისას. [იხ. სურ. 37]

შემდგომ პერიოდში, კოკის ფოთლები გამოიყენებოდა მთაგორიან ადგილებში მცხოვრები ხალხის მიერ, სადაც ადათ-წესებით იყო გათვალისწინებული კოკის ფოთლების ღეჭვა, ამ პროცედურის შედეგად ხორციელდებოდა ადამიანთა ხასიათის გაუმჯობესება, საშინელი დაღლილობის მოხსნა და, რაც მთავარია, შიმშილის გრძნობის შემცირება. ამერიკის ისტორიაში არსებული მაგალითების განხილვისას, ჩანს, რომ 1880-იან წლებში, კოკაინი უკვე გამოიყენებოდა, იყო შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი და ითვლებოდა ერთ-ერთ უვნებელ სტიმულატორად.

ამერიკაში კოკაინი გამოიყენებოდა მედიცინაში, როგორც ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. იგი აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა მედიკამენტების დამზადების დროსაც, მას ურევდნენ სასმელ ნივთიერებებში, მათ შორის კოკა-კოლაში, ამ ფაქტს მეტად ხმაურიანი ისტორია აქვს. შემდგომ წლებში ამერიკაში შეისწავლებოდა მრავალი ფაქტი, რომჯებიც მეტყველებდნენ, რომ კოკაინს ჰქონდა მეტად ნეგატიური და ორგანიზმზე დამანგრეველი ზეგავლენა. ასეთი ნეგატიური ზეგავლენა ვლინდებოდა კოკაინისგან გამოწვეულ ფსიქოზში, მაღალი დოზის მიღებისას უზომოდ ფატალურ შედეგებში და ნარკოტიკების მოხმარებისადმი დამოკიდებულების განვითარებაში. აქედან გამომდინარე, 1914 წლიდან ამერიკის კონგრესის მიერ, მიღებული იყო გადაწყვეტილებების მთელი სერია, რომელთა მეშვეობითაც შეიზღუდა და ფაქტობრივად, უკანონოდ გამოცხადდა, კოკაინის გამოყენება.

1970-იან წლებში ამერიკაში ისევ იყო დავა იმის შესახებ, რომ კოკაინი არ ახდენს უარყოფით გავლენას საზოგადოებაზე. აგიტაციამ გაჭრა და შემდგომში, მისი გავრცელებაც გაძლიერდა. აღნიშნულმა გარემოებამ, 1980-1990 წლებში საშინელი სურათი გამოავლინა ამერიკაში. კოკაინის დიდი დოზებით გამოყენებამ, ძლიერ გაზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი და სხვა უარყოფითი მოვლენები. ამ სურათიდან გამომდინარე, შემდგომში ამერიკაში კოკაინი, ჰეროინი და ამფეტამინი განიხილებოდნენ, როგორც განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული ნივთიერებანი. კოკაინის ფორმები უკანონო ვაჭრობაში შემდეგი სახით იყო გამოხატული:

- კოკაინ-ჰიდროქლორიდი

- კრეკი
- კოკაინისა და ჰეროინის ნაზავი - “სპიტბოლი”

ქუჩებში გავრცელებული კოკაინის ფორმები, ხშირად, შეიცავენ სხვადასხვა ნივთიერებათა დანამატს, მაგალითად, სხვადასხვა სახის შაქარს და აგრეთვე უფრო იაფ ნარკოტიკულ და სამკურნალო პრეპარატებს, როგორიცაა, მაგალითად, სტიმულატორები, ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებლები და სხვა.

კოკაინი, რომელიც მწარმოებელი ქვეყნებიდან მიეწოდება საერთაშორისო ნარკობიზნესს, წარმოადგენს მაღალხარისხიან ნარკოტიკულ პროდუქტს, რომელშიც კოკაინ-ჰიდროქლორიდის რაოდენობა 80-90%-ია. იგი იშვიათად შეიცავს რაიმე დანამატებს. მაგრამ, გავრცელების პერიოდში, მას უკვე ემატება სხვადასხვა დანამატი და კოკაინ-ჰიდროქლორიდის რაოდენობა დაახლოებით 12-30%-ს შეადგენს. ამ დანამატების შერევისას ნარკოტიკის გარეგანი სახე ფაქტობრივად არ იცვლება, რადგან დანამატები წარმოადგენენ თეთრ მშრალ ფხვნილებს, რომლებიც კოკაინს წააგავს.

შემდეგი ნარკოტიკული საშუალება, რომლის მოხმარება საქართველოშიც ხდება არის **კრეკი.** იგი კოკაინის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. სახელი „კრეკი“ მას დაერქვა შემდეგი გარემოებიდან გამომდინარე, რომ მისი გაცხელებისას, კრისტალები გამოყოფენ სპეციფიკურ ბგერებს. კრეკი არის კოკაინის ფუძე, რომელიც მიიღება კოკაინის ჰიდროქლორიდისაგან განსაკუთრებული გადამუშავების გზით, რათა საბოლოოდ შეიძლებოდეს მისი მოწევა. კრეკი მიიღება კოკაინის ჰიდროქლორიდის წყალში გახსნით, საჭმლის სოდის ან ამონიუმის დამატებით, გაცხელებით და შემდგომ გაცივებით. შემდეგ გროვდება დალექილი კრისტალები გაფილტვრის გზით. [იხ. სურ. 38]

კრეკის მიღება ასევე ხდება კოკაინის ჰიდროქლორიდის ხსნარის გაცხელებით ეთერის ან სხვა ადვილად აალებადი ორგანული გამხსნელების გამოყენებით, რა დროსაც, ხანძრის და აფეთქების პროვოცირების დიდი რისკია. კრეკი თეთრი ნაწილაკების მასაა, ის ჩიბუხის (მილის) საშუალებით მოიწევა ან მოიყრება მარიხუანასა და თამბაქოზე და სიგარეტის სახით მოიწევა. კრეკის ზემოქმედება თითქმის ისეთივეა, როგორ კოკაინის, მაგრამ გარკვეული განსხვავებები მაინც არის. სახელდობრ, **კოკაინის ზემოქმედების დროს** ადამიანი, შესაძლებელია, რამდენიმე საათის განმავლობაში გრძნობდეს ენერგიის მოზღვავებას და იგი აქტიურია, შემდეგ კი ამას მოჰყვება ხანგრძლივი ძილი. კოკაინზე

ფსიქოლოგიური დამოკიდებულებისას, ვლინდება სხვადასხვა ნიშანი, მაგალითად: მეგობრებთან ურთიერთობის ინტერესის დაკარგვა, პრობლემები ოჯახში, სკოლაში სამსახურში და სხვა. ფსიქოზის განვითარებისას, ხშირად ხორციელდება განმეორებადი კონვულსიური მოქმედებები. კოკაინის გადაჭარბებული დოზის მიღებისას, ვლინდება შემდეგი ნიშნები: თვალის გუგის გაფართოება, ტაქიკარდია, ოფლიანობის მომატება, ჰიპერტონია. კოკაინმა შეიძლება გამოიწვიოს სმენითი ჰალუცინაციები (ადამიანს ესმის რაღაც ხმები) და აქვს ძლიერი დეპრესია, აგრეთვე, ახასიათებს განწყობის სრულიად შეცვლა, ხშირად ვლინდება სულსწრაფვა, აგრესიულობა, ნევროზი, შესაძლებელია გამოიხატოს სიძულვილის გრძნობაც. კოკაინზე დამოკიდებულების სიმპტომები, მოხმარების შედეგები, ქრონიკული ეფექტები, გადამეტებული დოზირებისას ეფექტები შემდეგნაირია: ძილთან დაკავშირებული პრობლემები, უძილობა, თავის ტკივილი, მადის შემცირება; გულისრევა ან მისი შეგრძნება, დაღლილობა, სურდო, ცხვირის არხის ანთება, სისხლდენა, გაფართოებული თვალის გუგები, გაუგებარი მეტყველება, მუდმივი ქავილი და კანის დაწითლება. ხშირად შეიმჩნევა განმეორებადი ციებ-ცხელების შეგრძნება, ხელის თითების კონვულსიური მოძრაობა ხშირად გაღიზიანება, აგრესიული ქცევა, ტრემორი, კონვულსია, ციებ-ცხელება, დეპრესია, ფსიქოზი, პარანოია, ირაციონალური აზრები, ჰალუცინაციები – სმენითი, შეგრძნებითი, სუნთქვის რიტმის დარღვევა, ფილტვების დაავადება, სუნთქვის გაჩერება, გულ-სისხლძარღვთა პრობლემები, როგორიცაა: არითმია, ფიბრილაცია, ინფარქტი, გულის გაჩერება, ცერებრალური ინფარქტი, ინსულტი, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება.

კრეკის ზემოქმედება შემდეგნაირია: კრეკის მოწევისას ან ინგალაციისას, იგი მაშინვე ხვდება პირდაპირ ფილტვებში, ძლიერი ეფექტი იწყება პრაქტიკულად მაშინვე და გრძელდება დაახლოებით ათი წუთი, ამ დროის გასვლის შემდეგ ამ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, საჭიროა, ახალი დოზის მიღება. დოზის გადამეტება ძალიან მარტივია, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მძიმე შედეგები, თვით სიკვდილიც კი. კრეკის გამოყენება იწვევს ძლიერ დამიკიდებულებას მასზე, ეს დამოკიდებულება უფრო ძლიერია, ვიდრე დამოკიდებულება, კოკაინის ან ჰეროინის მოხმარების შედეგად.. კრეკის გამოყენებისას, ადამიანს მაშინვე გარეგნულად ეტყობა სიმპტომები, როგორიცაა, მაგალითად, შეფერხებული სუნთქვა, აგრეთვე ისეთი გარეგნული დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა, ქრონიკული ხმის ჩახლეჩილობა და ყელის ტკივილი. ყველა ეს გარეგნული მაჩვენებელი, არაფერია იმასთან

შედარებით, თუ როგორი კატასტროფული ცვლილებები ხდება ადამიანის ორგანოზმში კრეკის მოხმარებისას. კრეკი ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევაზე, იგი იწვევს სისხლძარღვების ძლიერ შევიწროებას, მაღალი არტერიული სისხლის წნევა და გულის მუშაობის რიტმი იწვევს დარღვევებს მათ შორის კონვულსიებით ტვინის მუდმივ სტიმულირებას.

კრეკის გამოყენებისას, თავიდანვე, არსებული ეიფორიის ძლიერი გრძნობა, შემდგომში რადიკალურად იცვლება ძლიერი დეპრესიით, რასთან საბრძოლველადაც, ისევ საჭიროა, მორიგი კრეკის დოზის მიღება, რათა ისევ დაუბრუნდეს ეიფორიის გრძნობა. ეს მუდმივად განმეორებადი მოქმედებები კი, იწვევს ნარკოტიკების შეჩვევას და მაზე დამოკიდებულებას. კრეკის ხანგრძლივმა გამოყენებამ, შესაძლოა გამოიწვიოს: უძილობა, ნერვული აღგზნება და ძლიერი პარანოია. “კრეკზე დამოკიდებული ნარკომანები” ქრონიკულად ავადდებიან ძლიერი დეპრესიით, მიდრეკილება აქვთ თვითმკვლელობისკენ ან მკვლელობისკენ. კრეკის ხანგრძლივი გამოყენების თანმდევი შედეგებია: კრეკის ზემოქმედების ქვეშ, ადამიანი ხდება ჰიპერაქტიური, ენერგიული და გამაღიზიანებელი. ფილტვებში ისმის ხრიალი, ახასიათებს ბრონქიტი და სხვა რესპერატორული პრობლემები. ერთ-ერთი სიმპტომია წონის დაკარგვა; საკვების მიღებისა და ძილისადმი ინტერესის შემცირება, მომხმარებელთა დიდი ნაწილი კატასტროფულად კარგავს წონას. ჩვლილებები შეიმჩნევა ტვინშიც, სახელდობრ, იცვლება ტვინის ბიოქიმიური პროცესები. დამოკიდებულება ვითარდება უფრო მალე, ვიდრე სხვა ნარკოტიკების მოხმარებისას, მაგალითად, ისეთი ნარკოტიკის მოხმარებისას, როგორიცაა ჰეროინი. მოხმარების შემდეგ კრეკი რამდენიმე წამში აღწევს თავის ტვინში და იწვევს ძლიერ ეფექტს, რასაც შემდეგ ნარკოტიკის მიუღებლობის შესმთხვევაში, მომხმარებელს უჩნდება ძლიერი “ლომკის” გრძნობა. ცვლილებები შეიმჩნევა თვალებთან მიმართებაშიც. კერძოდ, უფართოვდება თვალის გუგები, სინათლის მიმართ უჩნდება ძლიერი მგრძნობელობა. ნარკომანები ხედვის ფოკუსირებისას, ხშირად ხედავენ “ფიფქებს”. რაც შეეხება გულს, აქაც შეიმჩნევა სერიოზული ცვლილებები, უჩქარდება პულსი , ცნდება არითმია. შესაძლოა მოხდეს გულის გაჩერებაც.

ერთ-ერთი ნარკოტიკული საშუალებაა **სპიტბოლი.** სპიტბოლი კრეკისა და ჰეროინის ნაზავია, რომელსაც დიდი ნარკოტიკული პოტენციალი აქვს.. იგი გამოირჩევა თავისი მეტად დიდი საშიშროებით. ვინაიდან მის შემადგენლობაში

კოკაინიცაა და კოკაინის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე მეტად მავნებელია, თუმცა იგი მოქმედებს, როგორც ეფექტური სტიმულატორი.

მიუხედავად აღნიშნულისა, კოკაინის ერთჯერადად ან სისტემატიურად გამოყენება ადამიანის ორგანიზმზე ახდენს მეტად ნეგატიურ ზეგავლენას და იწვევს მრავალი სახის დარღვევას. კოკაინი მოქმედებს უშუალოდ ადამიანის ტვინის უჯრედებზე, განსაკუთრებით კი, ლიმფურ სისტემაზე. კოკაინი იწვევს ეიფორიის ეფექტს. მისი სისტემატური გამოყენება იწვევს დომფომინის მარაგის განადგურებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს ე.წ. "ლომკას", რომელიც ნარკოტიკის მოქმედების გასვლის შემდეგ იგრძნობა ხოლმე.

კოკაინს განსაკუთრებულად დამანგრეველი ზეგავლენა გააჩნია გულსისხლძარღვთა სისტემაზე, სასუნთქ სისტემაზე, ყველაფერი ეს კი, ვლინდება ქცევითი მოქმედებების გადახრებში, რაც შემდგომში გამოისახება:

- მძიმე დეპრესიით,
- პარანოიდული დარღვევებით,
- ჰალუცინაციებით,
- ხშირია ტვინის ინსულტები,
- ფსიქოზი, (სწორედ აქედან მომდინარეობს ტერმინი „კოკაინური ფსიქოზი“).

კოკაინის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე, გამოხატულია, როგორც სტიმულატორი, იწვევს:

- ემოციური ფონის ამაღლებას,
- ეიფორიას,
- ენერგიის მოზღვავების შეგრძნებას;
- ტვინის აქტივობის გაძლიერებას;
- ენერგიულად ყოფნის ხანგრძლივ პერიოდს;
- ძილის მოთხოვნილების შემცირებას;

- მადის დაქვეითებას;
- ფიზიკური გამძლეობის უნარის ამაღლებას;

კოკაინის მოქმედების ფიზიოლოგიური გამოვლინება შეიმჩნევა შემდეგნაირად:

- პულსის მომატება;
- ტაქიკარდია;
- სუნთქვის რიტმის გაზრდა;
- სისხლძარღვების შევიწროება;
- წნევის მომატება;
- სხეულის ტემპერატურის მატება;
- თვალის გუგის გაფართოება;
- ოფლიანობის მომატება.

კოკაინის მოხმარების დამახასიათებელი ნიშნებია: ერთი შეხედვით, კოკაინის მოხმარების ნიშნები შესაძლებელია არც ჩანდეს. მიუხედავად ამისა, ეს ნიშნები ვლინდება შემდგომში ნარკოტიკების სისტემატურად მოხმარებისას, ეს ნიშნებია:

- წონის დაკარგვა;
- არაჯანმრთელი სახის გამომეტყველება;
- კანის გაწითლება;
- სისტემატური ქავილი მოჩვენებითი ნაკბენების გამო;
- ქრონიკული სურდო;
- ხშირი რესპირატორული ინფექციები.

სპიტბოლის ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე შემდეგნაირად მიმდინარეობს: სპიდბოლი, როგორც ცნობილია, კრეკისა და ჰეროინის ნაზავია. ეს ნარკოტიკების ნაზავი ძალზედ პოპულარულია, ამის მიზეზი კი, შემდეგში მდგომარეობს: როგორც ვიცით, კრეკის ზეგავლენა გრძელდება დაახლოებით 8-

10 წუთი, რის შემდეგაც, დგება ძლიერი ნერვული აღგზნება და დეპრესია. სპიტბოლის გამოყენების დროს ერთად მოიხმარება კრეკი და ჰეროინი, კრეკის მოქმედების შემდეგ ჰეროინი აჩერებს ძლიერ დეპრესიას და ნერვულ აღგზნებას დაახლოებით კიდევ ოთხი საათის განმავლობაში. ამიტომ, ეს გარემოება სპიტბოლს, ძალზედ პოპულარულს ხდის.

კრეკისა და ჰეროინის ნაზავი სპიდბოლის სახით, თავის მხრივ, ძლიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმსა და ფსიქიკაზე. ცენტრალური ნერვული სისტემა ცვლილებებს განიცდის, ვინაიდან იგი კოკაინის შემცველიცაა, ადამიანის ორგანიზმზე ახდენს სტიმულატორულ ზემოქმედებას, კერძოდ, ადამიანი ხდება ჰიპერაქტიული, აგრესიული და გაღიზიანებელი.

რაც შეეხება ჰეროინს, მას საინტერესო ისტორია აქვს (ჟოზეფ ვონ მერინგი). ტრადიციულ საზოგადოებებში ნარკოტიკების მოხმარება რეგულირდებოდა მკაცრი წესებით, ასე, რომ ნარკომანია, რეალურ სოციალურ პრობლემად იქცა მხოლოდ ინდივიდუალურ ეპოქაში და, უპირველეს ყოვლისა, დიდ ქალაქებში. ინდივიდუალიზაციის, გაუცხოებისა და სხვა ფაქტორების მიუხედავად, საჭიროა დავასახელოთ ფარმაკოლოგიის პროცესის განვითარებაც. ცივილიზებული ქვეყნის მცხოვრებნი თანდათანობით მიეჩვივნენ, რომ ექიმებს შეუძლიათ ისინი იხსნან ნებისმიერი ყკივილისაგან. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში, ყველა რთული ოპერაციის ჩატარება ხდებოდა საერთო ნარკოზის ქვეშ, შედეგად ტკივილის შოკისაგან ევროპაში სულ უფრო მცირდებოდა სიკვდილიანობის ფაქტები. ექიმებს ესმოდათ, რომ მრავალი ანალგინეიდი საგანგებო დ საშიშია, მაგრამ მათი შეცვლა დიდ სირთულეს წარმოადგენდა.

ინგლისელი ქიმიკოსის ალდერ რაიტომის მიერ, რომელიც მუშაობდა ლონდონის წმიდა მარიას ჰოსპიტალთან არსებულ სამედიცინო სკოლაში, 1874 წელს, პირველად იქნა სინთეზირებული დიაცეტილმორფინი. XIX საუკუნის უკანასნელ წლებში ფარმაკოლოგები დაუღალავად შრომობდნენ მორფინის შემცვლელის ძიებაში. იმ პერიოდისათვის ყველა ქიმიური კვლევის პიონერი იყო გერმანია (სადაც პირველად მოიგონეს მომწამვლელი აირები). 1896 წელს იოზეფ ფონ მერინგმა, რომელიც მუშაობდა მორფინის მრავალ ეთერზე, შექმნა საშიში კოკაინის შემცვლელი, რაც მანამდე ხველების საწინააღმდეგო ძირითად პრეპარატს წარმოადგენდა. მან დაარწმუნა ალკოლოიდების მთავარი მწარმოებელი დარმშტადის ფირმა „მარკი“ ხელმძღვანელობა, 1898 წელს ბაზარზე გამოეტანა კომერციული რაოდენობით მომზადებული, მორფინისაგან

შექმნილი პრეპარატი, რომელსაც სავაჭრო ქსელში „დიონინი“ უწოდეს. მისი გამოყენება მაშინვე ფართოდ დაიწყეს კოდეინისა და სხვა ოპიატების ნაცვლად, ასევე მას იყენებდნენ, როგორც ხველების საწინააღმდეგო საშუალება. დიაცეტილმორფინი გამოშვებული იქნა გერმანული ფარმაცევტული კომპანია ბაუერ აგ-ის მიერ 1898 წელს „ჰეროინის“ სავაჭრო მარკით (ითვლება, რომ სახელწოდება ჰეროინი სიტყვა „გმირი“-დან, „გმირული“-დან გამომდინარეობს.

ჰეროინის ზემოქმედება კი, ადამიანზე ახდენს დამაწყნარებელ ეფექტს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სპიდბოლის მოხმარებისას, ადამიანის განწყობა იცვლება ხშირად და არაპროგნოზირებულად. სასუნთქი სისტემა სპიდბოლის მოწევისაგან ზიანდება მისი მუდმივი გამოყენება იწვევს ყელის ტკივილს, ბრონქიტს, სხვადასხვა რესპირატორულ პრობლემას. ნარკომანები ხშირად კარგავენ საკვების მოხმარებისა და ძილისადმი ინტერესს. ბევრი ნარკომანი განიცდის წონის კატასტროფულ კლებას. ტვინშიც შესამჩნევი ცვლილებები ხდება, იცვლება ტვინის ბიოქიმიური მდგომარეობა, ძალიან მალე სახეზეა ნარკოტოკისადმი ძლიერი დამოკიდებულება.

მარიხუანა. მეტად გავრცელებული ველურად მზარდი კანაფია, რომელსაც, რამდენიმე მიზეზის გამო, ადრეული პერიოდიდან აქვს დიდი გამოყენება. კერძოდ, მას აქვს ფსიქოაქტიური მოქმედება, იგი გამოიყენებოდა სამკურნალო მიზნებისათვის, იწვევს ეიფორიას და ჰალუცინაციებს. ჯერ კიდევ XV საუკუნის ხელნაწერებში ჩანს, რომ ჩინეთში, სამედიცინო საქმიანობაში, კანაფი გამოიყენებოდა როგორც ანესტეტიკი. სამედიცინო მიზნებისათვის კანაფი გამოიყენებოდა ინდოეთში, აფრიკის ტერიტორიაზე და სხვა მრავალ ქვეყანაში. მას იყენებდნენ სექტები მრავალი რიტუალის ჩატარებისას. ევროპასა და ამერიკაში კანაფი პოპულარული ხდება XIX საუკუნიდან, როგორც ფსიქოაქტიური და სამკურნალო ნიშნების მქონე ნივთიერება. ამერიკაში 1942 წლამდე კანაფიდან მიღებული პრეპარატები სამკურნალო მიზნებისათვის იყო დაშვებული და იგი ჩვეულებრივად იყიდებოდა აფთიაქებში, გამოიყენებოდა მრავალი პროფილით. [იხ. სურ. 28]

XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი აშშ ხასიათდება, როგორც მარიხუანის პოპულარობის გაზრდის პერიოდი. 1930 წლიდან ამერიკაში, სახელმწიფო დონეზე, დაიწყო ბრძოლა მარიხუანის წინააღმდეგ. ფედერალური სამსახურების მიერ მიღწეული იქნა კანონის მიღება, რომელიც კრძალავს მარიხუანის დათესვას, მის გაყიდვას და მის საფუძველზე დამზადებული

პრეპარატების გამოყენებას. ბევრმა შტატმა ამ კანონს მხარი დაუჭირა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სამსახურების მიერ, მეცნიერებისა და მედიცინის მუშაკების მიერ იქნა გამოქვეყნებული კვლევები, თუ რა უარყოფითი ზეგავლენა აქვს მარიხუანას, როგორც სამედიცინო, ისე სოციალუირი კუთხით, საზოგადოებაზე. ამერიკის საზოგადოებაში, დიდი ხნის განმავლობაში, სუფევდა აზრი, რომ მარიხუანას არ გააჩნია უარყოფითი ზეგავლენა ადამიანზე და იგი არ იწვევდა შეჩვევას, არც საზოგადოებაზე არ აქვს ნეგატიური ზეგავლენა. მარიხუანას იცნობენ, როგორც მსუბუქი სახის ნარკოტიკულ საშუალებას. ამიტომ, საზოგადოებაში არსებობდა აზრი, რომ მარიხუანის გამოყენება დასაშვებია. ამ აზრიდან გამომდინარე, მარიხუანა ფართოდ შუქდებოდა ამერიკის კინო ეკრანებზე და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში, რამაც გამოიწვია მარიხუანის პოპულარობის გაზრდა, განსაკუთრებით ამერიკის ახალგაზრდობას შორის.

ახალგაზრდების მიერ, მარიხუანის გამოყენება, თავის პიკს აღწევს 1960-1970-იან წლებში. შემდგომ წლებში, ამერიკის საზოგადოებამ რადიკალურად შეიცვალა აზრი მარიხუანაზე, დაინგრა მითი მარიხუანის უვნებლობის შესახებ. მეცნიერებმა გაამყარეს აზრი, რომ მარიხუანამ შესაძლოა გამოიწვიოს ნარკოტიკული დამოკიდებულება და რომ მას ნეგატიური ზეგავლენა აქვს ადამიანის მენტალობაზე, ემოციებზე და ფიზიკურ ფუნქციებზე. მარიხუანის გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურების ურთიერთკავშირის შედეგად, 1975-1993 წლებში ჩანს, რომ ახალგაზრდების მიერ, მნიშვნელოვნად შემცირდა, მარიხუანის მოხმარება. მიუხედავად ამისა, მარიხუანა მაინც რჩება გამოყენებად ნარკოტიკად. მაინც არსებობს დავა იმის შესახებ უნდა იყოს თუ არა ლეგალიზებული კანაფისგან დამზადებული ნივთიერებები სამედიცინო სფეროში და ნარკომანების სამკურნალოდ. მარიხუანა – მცენარის ზედა ნაწილის, ფოთლების და ყვავილის გამომშრალი და დაფხვნილი მასაა, რომელშიც აქტიური ნივთიერებების დიდი რაოდენობაა. მასში ფსიქოტროპული ნივთიერებები შეადგენენ 13-15%.

ჰაშიში – ვეგეტაციის პერიოდში კანაფისგან მიღებული მასაა, რომელიც შეიძლება იყოს მწვანე, მუქი ყავისფერი ან შავი ფერის. მასში ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს 2%-ს, ზოგ შემთხვევაში, 9-10%-ს.

ჰაშიშის ზეთი – კონცენტრირებული, შავი ფერის, თხევადი მასაა, რომელშიც ფსიქოაქტიური ნივთიერებები შეადგენენ 10 ან 30-60%-ს. [იხ.სურ.30]

გამოყენების ხერხებია: მოწევა – (ბოლის შთანთქვა), მოწევისათვის გამოიყენება მარიხუანისგან დამზადებული სიგარეტი ან ჩვეულებრივ სიგარეტში ემატება ჰაშიში ან ჰაშიშის ზეთი. ხშირად, მოწევისათვის გამოიყენება განსაკუთრებული მინის მილები. აგრეთვე გავრცელებულია ზეთის ორთქლის შესუნთქვა, რაც ცხელდება ალუმინის ქაღალდზე ან დანის წვერზე. შესაძლებელია მისი დამატება საკვებთან ან ღეჭვა. ერთ-ერთი გზაა ნარკოტიკის ვენაში შეყვანა რაც იშვიათია. მარიხუანის გახმობის შემდეგ მასში არის 400-ზე მეტი სახის კომპონენტი. მისი მოწევისას ეს კომპონენტები ტრანსფორმირდება და მათი რაოდენობა შეადგენს 2000 კომპონენტს. მარიხუანას ახასიათებს დამახასიათებელი ეფექტები:

ფიზიოლოგიური (თვალის ლორწოვანი გარსის შეშუპება და თვალის ანთება, პულსის და გულის ცემის მატება, სისხლის არტერიული წნევის მომატება, მოძრაობათა ფუნქციის დარღვევა, საერთო მოდუნება, სხეულის ტემპერატურის მერყეობა, თავის ტკივილი და თავბრუს ხვევა, გულისრევის შეგრძნება და შიმშილის გრძნობა); ქცევითი (რელაქსაცია, ფსიქომოტორული აქტივობის შემცირება, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება, მანძილის სწორი შეფასების დარღვევა, ავტომობილის მართვის უნარის შემცირება, შეუკავებელი და სწრაფი ლაპარაკი);

ემოციური (ეიფორია, უდარდელობის მდგომარეობა წარმატებლობის გრძნობა, ხშირად, ცვლადი პანიკის გრძნობით);

ნერვო-ფსიქიკური (მეხსიერების მოკლევადიანი გაუარესება, მოქმედების შესრულების უნარის შემცირება, დროისა და სივრცის აღქმის უნარის გაუარესება, მხედველობითი და სმენითი აღქმის შეცვლა, ტკივილის წინაღობის შემცირება, ჰალუცინაციები, ადამიანის შინაგანი მეს დაკარგვა, დეპრესონალიზაცია, მომატებული დოზის დროს – ფსიქოზი. შედეგები, რომლებიც მოჰყვება მარიხუანის დიდი დროის მანძილზე გამოყენებას ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაზე:

- ტვინი – მარიხუანა ზეგავლენას ახდენს აზროვნების უნარზე, აღქმის უნარზე, აბსტრაქტულ აზროვნებაზე, სწავლასა და მეხსიერებაზე. მარიხუანის დოზირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მან გამოიწვიოს პანიკის მდგომარეობა, ტოქსიკური ფსიქოზი. მარიხუანის სისტემატურმა

მიღებამ, შესაძლებელია გამოიწვიოს ფუნქციური და სტრუქტურული ცვლილებები.

- ფილტვები – მარიხუანის მოწევა იწვევს თითქმის იმავე ეფექტებს, რასაც სიგარეტის მოწევა, მაგრამ სიგარეტისგან განსხვავებით, მარიხუანა უფრო აძლიერებს სასუნთქი გზების ზედა ნაწილის დაავადებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

- გული – მარიხუანის მოხმარება სახიფათოდ აძლიერებს გულის მუშაობას, იმატებს პულსი და სისხლის არტერიული წნევა. მარიხუანა განსაკუთრებით საშიშია იმ ადამიანებისათვის, ვისაც გულთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა აქვს);

რეპროდუქციული (მამაკაცები) (იწვევს ტესტოსტერონის შემცირებას, რაც მამაკაცების ჰორმონების საფუძველია. აქტიური გამოყენებისას, შესაძლოა შეიცვალოს ახალგაზრდების ჰორმონალური ფონი, რაც არღვევს სქესობრივ ფუნქციას; (ქალები) – (ტოქსიკური ნივთიერებები გროვდება რეპროდუქციულ ორგანოებში, რამაც შემდგომში შესაძლებელია ტოქსიკური ზეგავლენა მოახდინოს ჩანასახზე, გამოიწვიოს ჩანასახის მდგომარეობის გაუარესება, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ორსულობისას მოსდევს მრავალი გადახრები და ახალშობილის ნაადრევი სიკვდილიც კი);

მოქმედებითი – (მარიხუანის მოწევა, ხშირ შემთხვევაში, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ რეაქციებზე, ირღვევა კოორდინაცია და რეაქციის სისწრაფე, ირღვევა რეაქცია შუქსა და ხმის გამაღიზიანებლებზე, უარესდება თანმიმდევრობითი მოქმედების შესრულების უნარი. წარმოიშვება საუბრისა და მოძრაობის დიდი მოთხოვნილება.

ორგანიზმის სხვა სისტემები – (ქრონიკული დაღლილობა, თავის ტკივილები, გულის რევა. სისტემატური გამოყენებისას სოციალური თვითიზოლაცია, უფრო ძლიერ ნარკოტიკებზე გადასვლა, დანაშაულობასთან კავშირი. ზოგჯერ, მარიხუანა იწვევს შედარებით დაბალ ფიზიოლოგიურ დამოკიდებულებას. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იგი ძალიან დიდია).

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვის მონაწილენი.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მონაწილე პირები პირობითად შეიძლება დაიყოს ჯგუფებად. ამასთან ერთი და იგივე პირი ჩადენილი ქმედების მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს რამდენიმე ჯგუფს.

დანაშაულებრივ გაერთიანებათა ორგანიზატორები

ეს ის პირებია, რომლებიც ორგანიზატორობენ და ხელმძღვანელობენ ნარკოტიკული ნედლეულის შემსყიდველ, მისგან ნარკოტიკების დამამზადებელ, გადამზიდ და "შავ ბაზარზე" გამსაღებელი ჯგუფების საქმიანობას. ისინი ჩვეულებრივ გვევლინებიან დამნაშავეთა შორის ავტორიტეტის მქონე პირთა წრიდან, მათ შორის უმეტესობა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის არის ნასამართლევი. ისინი კარგად ერკვევიან ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვის სფეროში მიმდინარე პროცესებში, განაგებენ დიდ ფულად სახსრებს. თვითონ ორგანიზატორები ხშირად ნარკოტიკების შესყიდვა-გადაყიდვის ოპერაციებში უშუალოდ არ მონაწილეობენ.

გამსაღებლები

ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო რეალიზატორები ნებისმიერი გზით და ნებისმიერ პირობებში. ნარკოტიკულ საშუალებათა გამსაღებლებიდან შეიძლება გამოიყოს დამნაშავეთა რამდენიმე ტიპი:

ბითუმად გამსაღებლები – ნარკოტიკულ საშუალებებს დიდ პარტიებად ყიდულობენ მწარმოებლებისა და გამტაცებლებისაგან, ორგანიზაციას უწევენ ნარკოტიკების გადაზიდვას და გადამყიდველებისთვის გადაცემას. ორგანიზატორებთან ერთად ისინი შეადგენენ დანაშაულებრივი ჯგუფების ბირთვს. თვითონ, როგორც წესი, ნარკოტიკების მომხმარებლები არ არიან.

გადამყიდველები – ბითუმად გამსაღებლებისგან იძენენ ნარკოტიკების დიდ პარტიებს, აფასოებენ და ცალობით მოვაჭრეებს მიჰყიდიან. ამ დამნაშავეთა ნაწილი თვითონ არის ნარკოტიკების მომხმარებელი ან ნარკომანი. ხშირად ისინი ნარკოტიკების გადამზიდველებადაც გვევლინებიან.

ცალობით გამსაღებლები – უშუალოდ მიჰყიდიან ნარკოტიკებს მომხმარებლებს და არც თუ იშვიათად ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების ბუნაგების

ორგანიზატორები-მომწყობები არიან. ამ კატეგორიის პირები ხშირად თვითონაც ინტენსიურად ხმარობენ ნარკოტიკებს. ნარკოტიკების გამსაღებელთათვის დამახასიათებელია ნეგატიური დამოკიდებულება სოციალურად სასარგებლო საქმიანობისადმი, აქვთ ნარკოტიკული საშუალებების წარმოების, მოხმარებისა და გასღების გამოცდილება. გამსაღებელთა სამართალსაწინააღმდეგო ქცევის განსაკუთრებული მახასიათებელია მათი ჯგუფურობა, დანაშაულებრივი კავშირების ფართო ქსელი, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების დანაწილება.

დამამზადებელი

პირია, რომელიც უშუალოდ ამუშავებს ნარკოტიკულ ნედლეულს, ანდა მოხმარებისათვის ამზადებს ნარკოტიკებს, ახორციელებს მათ რაფინირებას (გარეშე მინარევთაგან წმენდას) კონცენტრაციისა და მიღებული ნარკოტიკული ეფექტის გაზრდის მიზნით. ნარკოტიკული ნედლეულისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მწარმოებლები მოსახლეობის სხვადასხვა ფენას და კატეგორიას განეკუთვნებიან. ისინი შეიძლება იყვნენ ნარკოშემცველი კულტურის მომყვანი სოფლის მიკვიდრნი, მედიცინის, მეცნიერების მუშაკნი და სხვა.

ნარკოტიკების გამტაცებლები

არიან პირები, რომლებიც არიან ნარკოტიკების მომხმარებლები და რომლებსაც არ გააჩნიათ მათი შეძენისათვის მატერიალური სახსრები. ასევე პირები, რომლებიც ამას გამდიდრების მიზნით სჩადიან. გამტაცებლები ხშირად არიან პირები, რომლებსაც რაიმე კავშირი აქვთ ნარკოტიკულ პრეპარატებთან ანდა ნარკოტიკულ ნედლეულთან, ჩვეულებრივ, არიან ქიმფარმაცევტული დაწესებულებების, აფთიაქებისა და სააფთიაქო დაწესებულებების მუშაკები, სოფლის მაცხოვრებლები, რომელთაც გარკვეული დამოკიდებულება აქვთ ყაყაჩოსა და კანაფის ნათესებთან. გამტაცებელთა ამ კატეგორიაში გაცილებით დიდი ხვედრითი წილი უკავიათ ქალებს. ჩვეულებრივ, ესენია რიან შუახნის ქალები, რომლებიც სააფთიაქო ან სამედიცინო დაწესებულებში მუშაობენ. უმრავლესობა ქმარს გაშორებულია და კავშირი აქვს ნასამართლევ პირებთან.

გადამზიდველები

პირებია, რომლებიც სხვადასხვა საშუალებებით ახერხებენ ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გადაზიდვას მოყვანას, დამზადების ან შენახვის ადგილებიდან მათი შემდგომი გადამუშავების, გასაღებისა და მოხმარების

ადგილებში. ნარკოტიკების გადამზიდველებად დანაშაულებრივი ჯგუფების ორგანიზატორები იყენებენ როგორც მომხმარებლებს და წვრილ გამსაღებლებს, ასევე პირებს, რომლებსაც არა აქვთ უშუალო კავშირი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან.

მოხმარების ბუნაგების ორგანიზატორები და მფლობელები

ის პირებია, რომლებიც აწყობენ მოხმარების ბუნაგებს ანდა სისტემატურად უთმობენ სათავსებს, შენობას ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებისათვის ან ფლობენ ამგვარ ფართობს. ასეთ პირებს ახასიათებთ მჭიდრო კავშირი ნარკოტიკების მოხმარებასთან და დამზადებასთან. მოხმარების ბუნაგების მფლობელთა უმეტესობა ცხოვრობს იზოლირებულ ბინებში. ბუნაგების მფლობელთა თითქმის ნახევარი ნასამართლევია.

ყალბი სამედიცინო რეცეპტების დამამზადებელი პირები

ამ ჯგუფს მიეკუთვნება ყველა, ვინც ყალბ სარეცეპტო ბლანკებს ამზადებს ნაწილობრივ ანდა მთლიანად მათი შემდგომი გასაღების, ან მათი საშუალებით ნარკოტიკული თუ ძლიერმოქმედი სამკურნალო პრეპარატების შესაძენად.

ნარკოტიკების მოხმარებაზე დამყოლიელებელი პირები

ის პირებია, ვინ განზრახ, ერთჯერად ან მრავალგზის ქმედებას მიმართავენ, რათა სხვა ადამიანებს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სურვილი აღუძრან.

ხელისშემწყობნი

ის პირებია, რომლებიც ნარკობიზნესს იცავენ ფიზიკურად, ტექნიკურად ან ინტელექტუალურად, ინახავენ გასაღებისათვის მზა ნარკოტიკების დიდ პარტიებს და ა.შ.

პირები, რომლებიც იძენენ ან ინახავენ ნარკოტიკულ საშუალებებს პირადი მოხმარების მიზნით.

ნარკოტიკების მოხმარების მიდრეკილების ხარისხის მიხედვით, შესაძლებელია ამ პირთა დიფერენცირება შემდეგ ქვეჯგუფებად:

- შედარებითი რისკის – ამ ჯგუფებში შედიან პირები, რომლებიც თავიანთი ქცევით ასახავენ ნარკოტიზაციისათვის მზადყოფნას. მათ ახასიათებთ ინტერესი ნარკოტიკულ საშუალებების ანდა სხვა გამაბრუებელი ეფექტის მქონე ნივთიერებებისადმი;

- გაზრდილი რისკის – ამ ქვეჯგუფს განეკუთვნებიან პირები, რომლებმაც უკვე დაიწყეს ნარკოტიკების ანდა სხვა გამაბრუებელი საშუალებების საკუთარ ორგანიზმზე ზემოქმედების ექსპერიმენტირება. ამ ეტაპზე ისინი ვერ იაზრებენ შემდგომი ნარკოტიზაციის საშიშროებას. ამ პირთა მიერ ნარკოტიკების მოხმარების ფორმირებული მოთხოვნილება ქმნის მათი მხრიდან ნარკოტიკების უშუალო მიღებისაკენ, ანდა მათი შესაძენი სახსრების საშოვნად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენია რეალურ საფრთხეს;

ნარკოტიკების ბოროტად გამომყენებლები

ის პირები არიან, რომლებიც სისტემატიურად მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს, ძლიერმოქმედ ან სხვა გამაბრუებელ ეფექტის მქონე ნივთიერებებს. მაგრამ არ აღენიშნებათ ნარკომანიის ანდა ტოქსიკომანიის, როგორც დაავადების ნიშნები;

ნარკომანიით დაავადებულები

ის პირებია, ვისაც უკვე მკაფიოდ ჩამოუყალიბდათ ავადმყოფური ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დამოკიდებულება გამოყენებული ნივთიერებებისადმი. (81,34-35)

მომხმარებელი – მომხმარებელი თუ გამსაღებელი?

მომხმარებელს ნარკოტიკების მიმოქცევის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არსებობს ნარკოტიკების მოხმარების რამდენიმე სტადია. ეს იმ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ნარკოტიკულ ნივთიერებას ღებულობს მომხმარებელი, რა რაოდენობით ღებულობს მას და რა პერიოდში. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მიმოქცევის ბოლო ჯაჭვია, რადგან იგი ნარკოტიკებს მოიხმარს და აღარ აგრძელებს ნარკოტიკების მიმოქცევის უკანონო ჯაჭვს. ეს გარემოება ზოგიერთ პირს აძლევს საფუძველს გამოთქვას აზრი, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი,

ყველა გარემოების გათვალისწინებით, დამნაშავე არაა და უნდა გათავისუფლდეს ადმინისტრაციული და სისხლის სამმართლის პასუხისმგებლობისაგან. ეს მოსაზრება გარკვეულწილად მართებულად მიგვაჩნია.

მიუხედავად ამისა, ჩვენს რეალობაში, არსებობს გარკვეული გარემოებები რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, ნარკოტიკების მომხმარებლისათვის პასუხისმგებლობის საკითხის გადახედვისას. ხშირ შემთხვევაში, ნარკოტიკების მომხმარებელი იძულებულია ჩაიდინოს დანაშაული, რომელიც სხვდასხვანაირად გამოიხატება. მაგალითად ერთ-ერთი მათგანი, ნარკოტიკების მოხმარების წინ, ხშირ შემთხვევაში, დგას ფინანსური პრობლემის წინაშე, რაც ნარკოტიკულ საშუალებათა შეძენასთანაა დაკავშირებული. ეს პრობლემა, თითქმის ყველა ნარკოტიკების მომხმარებლის წინაში დგას, რადგან ცნობილია, რომ საქართველოში, დიდი პრობლემებია სოციალურ სფეროში ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა გარკვეულ ნაწილს, არ გააჩნია ნარკოტიკების შესაძენი ფინანსური სახსრები. ეს გარემოება ქმნის ერთ-ერთ პრობლემას, კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნარკოტიკების მომხმარებელს ხელთ აქვს ნარკოტიკული საშუალება, რომლის რაოდენობაც იძლევა საშუალებას რომ მოხდეს მისი ერთხელ ან ორჯერ გამოყენება, მაშინ ეს სხვა პირებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან პირი მხოლოდ მის მოხმარებაზე ფიქრობს. იმ შემთხვევაში, როდესაც ნარკოტიკების მომხმარებელს ხელთ აქვს ნარკოტიკების რაოდენობა, რომელთა გამოყენება რამდენჯერმე შეიძლება, ამ გარემოებამ შესაძლებელია სხვა პირებს შეუქმნას დიდი საფრთხე, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ნარკოტიკების მომხმარებლები ახორციელებენ ამ ნარკოტიკების გადაყიდვას, რაც ხელს უწყობს ნარკოტიკების გავრცელებას, რითაც საზოგადოება უფრო მეტი საფრთხე ადგება. ავხსნათ, თუ რატომ ხდება ნარკოტიკების მომხმარებლების მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა გადაყიდვა. როდესაც ნარკოტიკების მომხმარებელს შედარებით მეტი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება აქვს, ვიდრე მას ახლო მომავალში სჭირდება, იგი ახორციელებს ამ ნაწილის გაყიდვას შედარებით მაღალ ფასში, ვიდრე თვითონ შეიძინა.

ნარკოტიკების ნაწილის გაყიდვით, ნარკოტიკების მომხმარებელი ამოიღებს იმ თანხას, რაც მას ნარკოტიკული ნივთიერება შეძენისას დახარჯა. ამ ფორმულით ნარკოტიკების მომხმარებელს ხელთ რჩება ნარკოტიკული საშუალება პირადი

მოხმარებისათვის, რომლის ღირებულებაც ნარკოტიკების გადაყიდვის შემდეგ ხდება გაცილებით ნაკლები რაოდენობისაა. ნარკოტიკული საშუალებების გადაყიდვა, ნარკოტიკების მომხმარებელს დიდ საფრთხეს უქმნის კანონის წინაშე, მაგრამ მიუხედავად ამ რისკისა, ეს პირები მაინც მიმართავენ ამ ხერხს. შედეგად, ნარკოტიკების მომხმარებელს ძალიან იაფი უჯდება ნარკოტიკების შეძენა და მოხმარება, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფინანსების არქონის გამო, ნარკოტიკების მომხმარებელი, ხშირ შემთხვევაში, იძულებული ხდება მიმართოს ამ ხერხს შემდგომში ნარკოტიკების შესაძენად პირადი მოხმარებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხშირ შემთხვევაში ნარკოტიკების მომხმარებელი არა მარტო მომხმარებელია, არამედ, ხშირად, გადამყიდველის როლშიც შეიძლება მოგვევლინოს, რითაც იგი ამძიმებს დანაშაულებრივ ქმედებას.

მოსაზრება 2. ფსიქოლოგიური დამოკიდებულება რამდენიმე წლის განმავლობაში ვრცელდება, მკურნალობის დროსაც კი , საინტერესოა ეფექტურია თუ არა ერთ წლიანი თავისუფლების აღკვეთა ამასთან საბრძოლველად. რადგან სურვილი მაინც რჩება.

ნარკომოვაჭრეები

ნარკომოვაჭრეები მუდმივად მიმართავენ სხვადახვა ხერხს, რომ მოახდინონ ნარკოტიკების ტრანსპორტირება და რეალიზაცია. მაგალითისთვის, საინტერესოა შემდეგი ფაქტის აღნიშვნა – 2000 წლის 8 სექტემბერს მსოფლიო საინფორმაციო არხებით გავიდა შეტყობინება, რომ კოლუმბიის ქალაქ ფაკატატივაში, მუშათა გარეუბანში აღმოაჩინეს პრაქტიკულად გამართული 30 მეტრიანი წყალქვეშა ნავი, რომლითაც ნარკოტიკების მწარმოებლები აპირებდნენ თავის პროდუქციის გატანას. ეს ცხადყოფს, რომ ნარკობიზნესის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული იარაღით ვაჭრობასთან. ყოველწლიურად ისინი მსოფლიოს ყოველი რეგიონიდან იძენენ 100 ათას ერთეულ ცეცხლსასროლ იარაღს; ვლინდება 500 მეტი საიდუმლო ასაფრენი ბილიკი და მოედანი, ნარკოსინდიკატის მერ გამოყენებული ამდენივე რაოდენობის საფრენი აპარატი გაფრენის დროს ვარდება ან კონფისკაციას განიცდის. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო იზრდება რიცხვი იმ ფრენებისა, რომლითაც ხორციელდება ნარკოტიკული ტვირთის

ტრანსპორტირება. მნიშვნელოვანია ასევე ის საკითხი თუ როგორ ახორციელებენ ტრანსნაციონალური ორგანიზაციები კონტაქტების დამყარებას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის გამარტივებისთვის. ფართოდ არის გავრცელებული გლობალური საინფორმაციო ქსელის – ინტერნეტის გამოყენება უკონტაქტო გარიგებებისათვის. სააგენტო „როიტერის" მონაცემებით, ნარკომოვაჭრეები და მათი კლიენტები უფრო ხშირად დებენ გარიგებებს ინტერნეტის საშუალებით, რომელიც დაცულია სხვისი თვალისაგან პროგრამულ-აპარატული საშუალებებით. მსგავსი გარიგებების მიკვლევა სამართალდამცავებისთვის თითქმის შეუძლებელია. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც რომ ინტერნეტ აფთიაქები რეცეპტის გარეშე ავრცელებენ სხვადასხვა ფსიქოტროპულ პრეპარატებს. მაგალითად, ჰოლანდიის და კანადის კომპანიები ინტერნეტის საშუალებით მთელს მსოფლიოში ვაჭრობენ კანაფის თესლებით, ბალახოვანი ექსტაზით და ეფედრინით და სხვა საშუალებებით.

მრავალი ტრანსნაციონალური ორგანიზაცია თავის მხრივ ახორციელებს ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალის ლეგალიზაციას. ამ თანხების ლეგალიზაციაც ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს. ეს ორგანიზაციები ხშირად იყენებენ ინტერნეტ ბანკებს ფულის გათეთრებისთვის. ეს გარემოება თავის მხრივ აძლიერებს ნარკობიზნესს და მრავალ სახელმწიფოს უქმნის დამატებით პრობლემებს. როგორც ცნობილია ნარკოტიკების საერთაშორისო ბაზარი მსოფლიოს ყველა რეგიონს და პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მოიცავს, მაგალითად მხოლოდ რუსეთის ფედერაციის საზღვრებში 2–დან 7 მლრდ-მდე დოლარი „ნარკოფული" თეთრდება. 1996 წელს სინგაპურში დაკავებულ იქნა ნარკომაჭრეთა ორგანიზაციის 20 მილიონ დოლარამდე თანხა. ფულის გათეთრება ავსტრალიაში ყოველწლიურად დაახლოებით 3,5 მლრდ დოლარს შეადგენს. აქ, მაგალითად, აღმოჩენილ იქნა ნიუ-იორკში ჰეროინის გაყიდვით მიღებული 20 მილიონ დოლარზე მეტი თანხის გათეთრების ქსელი და ამოღებული იქნა ჰონგ-კონგსა და ავსტრალიაში კანაფით მოვაჭრე დანაშაულებრივი სინდიკატის ფონდის 40 მილიონ დოლარზე მეტი თანხა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხერხდებოდა ნარკობიზნესით მიღებული შემოსავლების გათეთრების ძირითადი არხების გადაკეტვა, მაშინ ნარკობიზნესი თავის ხიბლს მნიშვნელოვანწილად დაკარგავდა. მაგრამ ასეთი არხების

გადაკეტვა არ ხერხდება, რადგან არსებობს ფულის გათეთრების უამრავი საშუალება და ფრიად გავლენიანი ძალები ამ ყველაფერს უწყობს ხელს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება ხშირად წარმოადგენს იმავე კორუფციის მასტიმულირებელს. რომლის დახმარებითაც ნარკოკარტელები და ნარკობიზნესში ჩაბმული სხვა დანაშაულებრივი ჯგუფები, ცდილობენ გააადვილონ თავისი ბიზნესის წარმოება და თავი აარიდონ პასუხიმგებლობას. მოგების ნაწილი იხარჯება საჭირო ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად გროვდება ინფორმაცია სამთავრობო ორგანოებში კორუმპირებულ ჩინოვნიკებზე, მონაცემები ბაზრის კონიუნქტურაზე, ნარკოტიკების ფასებზე. აღსანიშნავია რომ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მექსიკური კარტელი „ტიხუანური“ - ყოველკვირეულად ხარჯავს 1 მილიონ დოლარს ქრთამებზე მექსიკელი მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის, პოლიციისთვის, არმიისთვის, საბაჟოსთვის. მექსიკის გენერალურმა პროკურორმა აღიარა, რომ ტიხუანში მოსამართლეთა და პროკურორთა 90% მოსყიდულია ნარკოკარტელის მიერ.

ნარკობიზნესზე მსჯელობისას აღსანშნავია რომ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ტენდენციად ითვლება მისი ინდუსტრიალიზაცია. ნარკოტიკული საშუალებების უკანონო წარმოება კარგად აწყობილი ინდუსტრიის სახეს იღებს. უკანონო წარმოების მიწისქვეშა ლაბორატორიები, ორგანიზაციის ტექნოლოგიური სირთულის მიხედვით, შეიძლება დაიყოს კუსტარულად, რომლებიც, როგორც წესი, დაბალი მწარმოებლობით ხასიათდება და იწარმოება რთული ქიმიური რეაქციების გარეშე და წარმოებად, რომელიც გამოირჩევა მაღალმწარმოებლობით და სინთეტიკური ნარკოტიკების მისაღებად იყენებს რთულ ქიმიურ სინთეზს.

XX საუკუნის ბოლო პერიოდში შეინიშნებოდა ნარკოტიკული ნივთიერების წარმოების კონცენტრაციის და გაძლიერების ტენდენცია. ამას ადასტურებს კოკაინის წარმოების ლაბორატორიების აღმოჩენათა მრავალრიცხოვანი ფაქტები. კოლუმბიის ანტინარკოტიკული პოლიციის მონაცემებით, ბოლო წლებში ცენტრალურ კოლუმბიაში აღმოჩენილი და განადგურებულ იქნა მიწისქვეშა ლაბორატორიების კომპლექსი, რომელსაც მსხვილი შეიარაღებული დაჯგუფება იცავდა. ამ ლაბორატორიებთან არსებობდა რამდენიმე ააფრენი

ბილიკი რომლებიც გამოიყენებოდა ნარკოტიკების ტრანსპორტირებისათვის. იგი მოწყობილი იყო თანამედროვე სისტემებით და გამოირჩეოდა მაღალი წარმოების პროცესის ორგანიზებულობით.

ნარკოტიკული საშუალებები და პრეკურსორები

ნარკოტიკული ნივთიერებების დიდი ნაწილი მზადდება ისეთი მცენარეებისაგან როგორიცაა კანაფი და ყაყაჩო. კანაფისგან მიიღება ისეთი ნარკოტიკული საშუალებები როგორიცაა მარიხუანა, ჰაშიში (რაზე უკვე გვქონდა საუბარი). რაც შეეხება მცენარე ყაყაჩოს მისგან სხვადასხვა საშუალებით მიიღება რამდენიმე სახის ნარკოტიკული საშუალებან. მცენარე ყაყაჩოსგან მიიღება ნარკოტიკული საშუალება ოპიუმი, რომელსაც თავის მხრივ დიდი ისტორია აქვს. შემდგომში ოპიუმისგან მიიღება ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი. ოპიუმის ქარხნული წესით დამუშავებისას მიიღება ნარკოტიკული საშუალებები: მორფინი, ომნოპონი. ოპიუმისგან აგრეთვე მიიღება ტექნიკური მორფინი, რომლისგანაც მიიღება ნარკოტიკული საშუალებები: კოდეინი, ეთილმორფინი, მორფოლონგი. განვიხილოთ ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალება.

ოპიუმი – არაერთგვაროვანი წებოვანი მასაა, რომელიც შეიცავს ყაყაჩოს კოლოფის სეგმენტებს. იგი არის მუქი ყავისფერი. დროთა განმავლობაში იგი მყარი ხდება. [იხ.სურ. 33,34,35]

მორფინი – მორფინი ოპიუმის ძირითადი ალკალოიდია. გამოშვების ფორმა ჩვეულებრივ არის ჰიდროქლორიდის და სულფატის სახით (საინექციო ხსნარი, აბი, ფხვნილი). მორფინის ფხვნილი თეთრი ფერისაა. საინექციო ხსნარი კი უფეროა ან მოყვითალო. მორფინის მიღების გზა: ინექცია, პერორალური, მოწევა.

ნახევრად სინთეზურ ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება ის ნარკოტიკული საშუალებები, რომლებიც მიიღება ბუნებრივი ნედლეულისაგან შემდგომი სინთეზის გზით. ამ ნარკოტიკულ საშუალებებს განეკუთვნება: ჰეროინი, ჰიდრომორფონი, ეტორფინი, ეფედრონი და სხვა.

ჰეროინი – ჰეროინი ოპიუმისაგან მიღებული ნახევრად სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალებაა. ჰეროინს აგრეთვე გააჩნია თავისი სახეობები: ფუძე ჰეროინი მიიღება მორფინის აცეტილირების გზით, შეიძლება შეგვხვდეს ჰიდროქლორიდ მარილის სახით. იგი ღია ნაცრისფრიდან მუქ ნაცრისფერამდე, ან მუქი ყავისწერი ელფერის მქონე ფხვნილია. ჰეროინი გრანულების სახით

გვხვდება ღია ყავისწერიდან მუქ რუხ ელფერამდე. ხშირად შეიცავს კოფეინს ან ბარბიტალს. მაღალდისპერსიული ფხვნილი თეთრი ან კრემისფერი ელფერით. მის შემცველობაში 98% შედის ჰეროინის ჰიდროქლორიდი. დაბინძურება აღინიშნება მინიმალური რაოდენობით. იგი შეიცავს აგრეთვე ლაქტოზას. საქართველოში შემოსული ჰეროინი კი, ხშირად, შეიცავს დიდი ოდენობით უცხო მინარევებს (დიმედროლს, პარაცეტამოლს, ანალგინს და აშ.). [იხ. შურ.36]

ჰეროინი ოპიოდური საშუალებაა, იგი დისტილირებული ძლიერმოქმედი ნარკოტიკია, რომელიც დამოკიდებულს ხდის პირს. (კვლევები გამოქვეყნებულია ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის ჯურნალ „ლანცეტში“). პუბლიკაციაში დადასტურებულია, რომ ჰეროინს მაღალი ხარისხის ფიზიკური დამოკიდებულების უნარი აქვს და მას ფიზიკური ზიანი მოჰყვება. ჰეროინის მოყვანა ძირითადად ხდება „ოქროს ნახევარმთვარის“ (ავღანეთი, პაკისტანი), „ოქროს სამკუთხედის“(ლაოსი, ვიეტნამი,მიანმა, ტაილანდი), აგრეთვე ლათინური ამერიკის (ძირითადად მექსიკა და კოლუმბია) ქვეყნებში.

ჰეროინის წარმოება ოქროს ნახევარმთვარის ქვეყნებში მსოფლიო წარმოების 92%-ს შეადგენს. რთულია ზუსტად განისაზღვროს, თუ სად ხდება ჰეროინის მოხმარება, მისი მოხმარება ძირითადად, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. ასევე რთულია შეფასდეს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ჰეროინის ბაზრის მოცულობა. ამერიკის ცენტრალური გამოძიების ბიუროს მონაცემებით, ევროპასა და აფრიკის ქვეყნებში ამოღებული ჰეროინის რაოდენობა შეადგენს მსოფლიოში, მთლიანად ამიღებული ჰეროინის 56%-ს, მაშინ, როცა აშშ-ში ეს ციფრი მხოლოდ 10%-ია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკაში უპირატესობას ანიჭებენ კოკაინის მოხმარებას, ხოლო ევროპაში – ჰეროინს. იმავე ინფორმაციით, 71% ამოღებულია „ბალკანეთის“ მარშრუტით შემოსული ნარკოტიკებია. ბალკანეთის მარშრუტს აქვს ორი ფილიალი: ჩრდილოეთში – შავი ზღვით რუსეთის, უკრაინისა და აღმოსავლეთ ევროპის გავლით, და სამხრეთით – შავი ზღვით, თურქეთის, ბულგარეთის, სერბეთის და ხორვატიის გავლით. ამ მარშრუტის გასწვრივ, ჰეროინის გადაზიდვას ახასიათებს კიდევ ერთი ასპექტი, რომ ჰეროინის ტრანზიტი ხდება უკანონო კონტრაბანდის ტვირთების სახით მსოფლიოს ერთი მხარიდან სხვაში. ჰეროინის ყოველ პარტიას შეიძლება ახლდეს არალეგალური იმიგრანტები, უკანონო იარაღი, კონტრაფაქტური საქონელი და სხვა აკრძალული საგნები. როგორც წესი, უკანონო ყვირთთან ერთად, აუცილებლად არსებობს

კანონიერი სავაჭრო საქონელი, რაც არალეგალურის აღმოჩენას უშლის ხელს, ართულებს მათ გამოვლენას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

დღეისათვის, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც ხასიათდება სავალუტო კონტროლის არ არსებობით და სადაც საფინანსო დაწესებულებანი საზღვრებს არ ექვემდებარება. ამიტომ უკონტროლოდაა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია კანონიერი საფინანსო ოპერაციების მეშვეობით. ეჭვს არ იწვევს, რომ მოძრაობა „თალიბანის“ ასეთი შემოსავლების ძირითად წყაროს ჰეროინი წარმოადგენს. ამ შემოსავლებით ხდება მსოფლიო ბაზარზე, იარაღის უკანონოდ შეძენა.

საბჭოთა კავშირის კრახისა და მისი დაშლის შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე, უპრეცედონტოდ მაღალია, იგი დანაშაულებრივი ქაელითაა დაფარული. თავის მხრივ, მოძრაობა თალიბანს“, ავღანეთის ჰეროინის ვაჭრობაში თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ესაჭიროება იარაღი. ამან განაპირობა საკუთარი სავაჭრო ქსელის განმტკიცება, რომლის აღმოჩენაც სამართალდამცავი ორგაოებისათვის სირთულეებს წარმოადგენს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შემოთავაზებულია პროგრესის მიღწევა სამ სფეროში:

1. ნავთობის ტრანსპორტირებაზე ფასის მომატება. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს შეამცირებს სატრანზიტო ტვირთის ოდენობას, რაც თავის მხრივ, იმოქმედებს საქონლის უკანონოს ბრუნვაზე;

2. რესურსების უკმარისობის პერიოდში ნეო-ნაციონალიზმის ზრდა, სავარაუდოდ, აღკვეთს სავაჭრო საქონლის აღკვეთას მიწოდების პუნქტებში. დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ მუქარის მიუხედავად, ტვირთის შეჩერება საბაჟო შემოწმებისათვის ბევრად უფრო ადვილი იქნება და დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოების მიერ ტრანსპორტირებისას ჰეროინის ამოღებას.

3. ხორბალზე ოპიუმის ყაყაჩოსთან შესაბამისობაში, ფასის მომატება მთელ მსოფლიოში, ანადგურებს ფინანსების შესაბამისობას, ავღანეთის სამხრეთში ხელს შეუწყობს ხორბლის კულტივირებას. თუ ნატოს შეძლებს ავღანეთის ფერმერების დაცვას მოძრაობა „თალიბანისაგან“, რომ ფერმერებმა მოიყვანონ ხორბალი ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე, სერიოზულად შეერ ევა ფინანსური მდგომარეობა მოძრაობა

თალიბანს და მოხდება ჰეროინის გლობალური მიწოდების მნიშვნელოვნად შემცირება.

აღნიშნული სამი ფაქტორი იმედის სხივია დასავლეთში ჰეროინზე დამოკიდებული ნარკომანებისათვის, ეს სხივია ტერორიზმთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ [სტივენ]

ეფედრონი –უფერული ან ოდნავ შემღვრეული ხსნარია. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდით ან რა ნედლეულისაგანაა დამზადებული იგი. ეფედრინი შეიძლება იყოს უფერული, ღია ყვითელი, ყვითელი, ყავისფერი ფერის.

სინთეზურ ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. მათ ახასიათებთ მორფინის მსგავსი მოქმედება მაგრამ განსხვავებული ქიმიური შემადგენლობის არიან.

- **კოკა – კოკას ბუჩქი** ხარობს ტროპიკულ სარტყელში. ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება კოკას ბუჩქის ფოთოლი, გარდა იმ ფოთლებისა, რომლებიდანაც მთელი ეკგონინი, კოკაინი და ეკგონინის სხვა ალკალოიდები ექსტრაგირებული იყო.

- **კოკას პასტა** – კოკას პასტა არის კოკას ბუჩქის ფოთლების ექსტრაქტი. იგი ძირითადად შეიცავს კოკას ალკალოიდებს და წარმოადგენს ფუძე კოკაინს. კოკას პასტა არის თეთრი ან კრემისწერი მსხვილდისპერსიული ფხვნილი, რომელიც ხშირად შეიცავხ აგრეგატებს (შეცხობილ მდგომარეობაში) და ჩვეულებრივ ნოტიოა. აქვს სპეციფიკური სუნი.

- **კოკაინი** –ალკალოიდია, რომელიც შედის კოკას ფოთლის შემადგენლობაში, ან მიიღება ეკგონინისაგან სინთეზის გზით. კოკაინი არის უსუნო, თეთრი კრისტალური ფხვნილი, რომელიც მიიღება კოკას პასტიდან. ის ჩვეულებრივ მარილის სახით გხვდება, კერძოდ, კოკაინის ჰიდროქლორიდის სახით. კოკაინის ჰიდროქლორიდის გამოყენება ხდება ინჰალაციის გზით (შესუნთქვით) ან ინექციით.

ბარბიტურატები – ბარბიტურატები ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი ყველაზე გავრცელებული ანტიდეპრესანტებია. ისინი ძირითადად ეპილეფსიის სამკურნალოდ გამოიყენება. გავრცელებული ბარბიტურატებია: ამობარბიტალი, ბარბიტალი, ფენობარბიტალი და სხვა. ბარბიტურატების გავრცელებული ფორმებია: თეთრი ფხვნილები, სხვადასხვა ზომისა და ფერის კაფსულები ან

აბები, თხევადი ფარმაცევტული პრეპარატები ინექციისათვის ან დასალევად, სუპოზიტორები (სანთლები).

ამფეტამინი და მონათესავე ნაერთები – ქიმიური ნაერთები, რომლებიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებენ როგორც სტიმულატორები. გავრცელებული ნართებია: ამფეტამინი, ჰემოლინი, ფენეტილინიდა ა.შ. მათი გავრცელებული ფორმებია: თეთრიდან ღია ყავისფრამდე ფერის ფხვნილი, სხვადასხვა ფორმისა და ფერის აბები და კაფსულები.

პრეკურსორები – პრეკურსორი არის ნედლეული ნარკოტიკული საშუალების წარმოებისათვის, რომელიც საბოლოო პროდუქტის შემადგენელი ნაწილი ხდება. რეაგენტი ქიმიურად ურთიერთქმედებს ერთ ან რამოდენიმე პრეკურსორთან, მაგრამ არ ხდება საბოლოო პროდუქტის შემადგენელი ნაწილი. გამხსნელი ქიმიურად არ ურთიერთქმედებს პრეკურსორთან ან რეაგენტთან. იგი არ ხდება საბოლოო პროდუქტის შემადგენელი ნაწილი, გამხსნელი გამოიყენება მყარი პრეკურსორებისა და რეაგენტების გახსნისათვის, ნარევის გაზავებისათვის და სხვა ქიმიკატების განცალკევების, გაწმენდისათვის. გავრცელებული პრეკურსორებია:

1. ძმარმჟავა ანჰიდრიდი: უფერო სითხე მძაფრი, სპეციფიური სუნით.

2. აცეტონი: უფერო, აქლორადი სითხე მოტკბო, სპეციფიური სუნით.

3. ანთრანილის მჟავა: თეთრი ან ღია ყვითელი ფერის კრისტალები ან ფხვნილი.

სუბოტექსი ნარკოტიკული მედიკამენტია, რომლის წარმოებაც ხდება დიდ ბრიტანეთში და რომელიც გამოიყენება ექიმის ზედამხედველობის ქვეშ, ჰეროინზე დამოკიდებული პაციენტების სამკურნალოდ. ძირითადად ვრცელდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ექიმის რეცეპტით. სუბოტექსის შემადგენლობა შემდეგნაირია: იგი შეიცავს ბუპრენორფინსა და მეტადონის მსგავს სინთეტიკურ ოპიატს, რომელიც იწვევს მსუბუქ ეიფორიას, სუბოტექსის გამოყენების გამოვლენა, ხშირ შემთხვევაში, ჩანს საფრანგეთში. სუბოტექსს მიაწერენ საფრანგეთში, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ნარკოტიკების დოზის გადაჭარბებით გამოწვეული სიკვდილის 79%-ით შემცირებას. საქართველოში, სუბოტექსი აკრძალულია, მაგრამ „შავ ბაზარზე“ მაინცაა ხელმისაწვდომია, დაახლოებით ერთი წლის წინ, ერთი აბის ღირებულება 120 ამერიკული დოლარი ღირდა, ამჟამად მისი ფასი 500 ლარამდეა გაზრდილი.

შედარებისათვის, დასავლეთ ევროპაში, სუბოტექსის ერთი შეკვრის (მასში 7 აბია) ფასი არ აღემატება 20 ამერიკულ დოლარს.

ე.წ. ვინტი – პერვინტინი. – ჟარგონული დასახელება (ვინტი). საერთაშორისო დასახელება (მეტამფეტამინი). იგი თავისი შინაარსით მიეკუთვნება მასტიმულირებელ ნივთიერებებს. იგი შეიძლება შეგვხვდეს, როგორც ფხვნილის სახით, ასევე თხევადი ფორმითაც. თხევადი სახით იგი შეიძლება იყოს, როგორც უფერული, ისე ყავისფერი ან ჰქონდეს ჟელატინის სახე. პერვინტინის სახის ნივთიერება, უმეტეს შემთხვევაში, გვხვდება როგორ უფერული კრისტალური ნივთიერება, რომელიც ძალიან წააგავს ყინულის ნატეხებს. ამ ნატეხების გაცხელებით ხდება მისგან გამოყოფილი ორთქლის შესუნთქვა. მისი მოხმარება შესაძლებელია აგრეთვე ინექციით ან გადაყლაპვით. ვინტს აგრეთვე ადარებენ თვითნაკეთ, კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკს ეფედრონს, რომელიც ფსიქოსტიმულატორების ჯგუფს მიეკუთვნება.

პერვინტინის გამოყენებისას ვლინდება შემდეგი სახის ეფექტები:

ა) იწვევს ინტელექტუალური საქმიანობის სტიმულირებას, სწრაფად აზროვნებას და მეტყველების პროცესს.

ბ) ვლინდება გაძლიერებული კონცენტრაციის უნარი (მხედველობითი და სმენითი აღქმის უნარი ძლიერდება და აგრეთვე მაღლდება მეხსიერების უნარი).

გ) შეიმჩნევა ამაღლებული ფიზიკური აქტიურობა, შრომისუნარიანობის ზრდა.

დ) იზრდება ფხიზლად ყოფნის პერიოდი (ზოგ შემთხვევებში იგი გრძელდება ას სამოცდაათ საათამდე), მცირდება ძილის მოთხოვნილება.

ე) უმჯობესდება განწყობა, შეიგრძნობს ძალების დიდი მოზღვავებას;

ვ) მადა მცირდება, საკვების მიღებისას უფრო სწრაფია დანაყრების შეგრძნება.

ზ) ძირითადად დამახასიათებელია გულის ცემის აჩქარება, არტერიული წნევის მომატება, ოფლიანობა და სხვა.

პერვინტინის მოხმარებისას დამახასიათებელია შემდეგი თანმდევი ნიშნები: ძლიერი აქტიურობის პერიოდის შემდეგ ადამიანი გრძნობს ძლიერ სისუსტეს, მას იპყრობს მოწყენილობის და აგრესიის გრძნობა და სახეზეა მუდმივად ძილიანობა. მისი სისტემატიური გამოყენება დაუშვებელია, რადგან მას თან სდევს მრავალი ნეგატიური ფაქტორი. სისტემატურად მიღებისას ვლინდება:

უძილობა, ტაქიკარდია, შეშფოთება, გულის რევა და სხვა. პერვინტინის სისტემატური გამოყენებისას ვითარდება მის მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება. ადამიანის ფსიქიკაზე ხდება ნეგატიური ზეგავლენა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შიზოფრენია ან სხვა ფსიქოლოგიური დაავადებები.

კუსტარულად დამზადებული პერვინტინი უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ინტრავენური გზით და მისი მოქმედების ვადაა 6-8 საათი. იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებას, კრუნჩხვას, პარკინსონიზმს, ღრმა ჭკუასუსტობას, ტვინში სისხლის ჩაქცევასა და სიკვდილს. მის მოსამზადებლად გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები კი, იწვევენ თავის ტვინის უბნების მძიმე დაზიანებასა და კვდომას. მკურნალობით მათი აღდგენა შეუძლებელია.

სასჯელი: – ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ დაკავებისას მოქალაქე ისჯება ადმინისტრაციული სახდელით 500 ლარის ოდენობით; – 1 წლის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში. აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წლის ვადით ან ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით; – დაკავებისას ნარკოტიკების აღმოჩენის შემთხვევაში, მოქალაქეს ემუქრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური კუთხით – ნარკოტიკულ საშუალებად მიიჩნევა ისეთი საშუალებანი, რომელთა მოხმარებასაც ადამიანი მიჰყავს პათოლოგიამდე, იწვევს მის დეგრადაციას; სამედიცინო კუთხით – ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ადამიანის ორგანიზმში იწვევს ფუნქციურ ცვლილებებს. შამედიცინო ენით ნარკომანი არის ავადმყოფი, რომლის ჯანმრთელობასაც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად მიადგა ზიანი; სამართლებრივი თვალსაზრისით – ნარკოტიკულად ჩაითვლებიან საშუალებები, თუ ისინი პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტით ცონტროლს ექვემდებარებიან; ნარკოტიკური საშუალების ანალოგებად მიჩნეულია საქართველოში ბრუნვისათვის აკრძალული სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის საშუალებები ან ნივთიერებები, რომლებიც ცონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ნუსხაში არ არის შეტანილი.

§3 ნარკოტიკებთან ბრძოლის მარეგულირებელი აქტების თავისებურება

ნარკომანიის პრობლემა მთელი მსოფლიოსათვის მეტად მწვავე პრობლემაა. არც საქართველოა გამონაკლისი. უკანასკნელ პერიოდში, ვდგავართ დილემის წინაშე „ნარკომანია ავადმყოფობაა თუ ნირვანაში ნაპოვნი ბედნიერება“. ნარკომანთა პრობლემები, ნარკომანია თუ ნარკობიზნესი, დღეისათვის მოუგვარებელი პრობლემაა. აღსანიშნავია, რომ, დღეისათვის, საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ნარკომანიასთან აქტიური ბრძოლაა გამოცხადებული, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში, ნარკომანია, ჯერ კიდევ, გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სახელდობრ, კატასტროფულად მატულობს ნარკომანთა რიცხვი, სამწუხაროდ, მისდამი დიდია მოზარდი თაობის ინტერესი. ახალგაზრდობა ნარკომანიაში საფრთხესაც ხედავს, მაგრამ, თან ნარკოტიკებისადმი დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებენ.

მსოფლიოში სხვადასხვა საერთაშორისო დიკუმენტია შედგენილი ნარკოტიზმთან საბრძოლველად. რასაკვირველია, არც საქართველოა გამონაკლისი, მაგრამ დღეისათვის, ჩვენ საუბარი გვექნება მხოლოდ რამდენიმე აქტთან დაკავშირებით.

საინტერესო მოსაზრება გაგვაჩნია **საქართველოს პარლამენტის დადგენილებასთან** “უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნუსხის” დამტკიცების შესახებ, რომელიც მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 23 ივლისს. [8,3] მოცემულ კანონს, დანართის სახით, ერთვის ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ნუსხა. ამ ნივთიერებათა ნუსხას თან ახლავს რაოდენობრივი მაჩვენებლები, რითაც განისაზღვრება ყოველი აქ მოცემული ნივთიერების რაოდენობრივი მაჩვენებელი. ამ მაჩვენებლით, შესაძლებელია ამა თუ იმ ნარკოტიკული ნივთიერების რაოდენობის განსაზღვრა – სახეზე გვაქვს მცირე, დიდი, თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რასაც სამართალდამცავი ორგანოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, ამ რაოდენობიდან გამომდინარე, შესაბამისი ორგანოები პირს შეუფარდებენ ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომებს. ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები მოცემულია და განისაზღვრება მათი შემავსებლების (ფქვილი, შაქარი, სახამებელი, სამკურნალო საშუალება და სხვა) გარეშე. ამ

ცხრილით გათვალისწინებულ ფსქოტროპულ ნივთიერებათა ჩამონათვალს მიეკუთვნება მხოლოდ სუფთა ნივთიერებები (სუბსტანციები) და არა მათი წამლის ფორმები. მოცემულ ნივთიერებათა რაოდენობა ამ ნუსხაში აღნიშნულია გრამებში. როგორც აღვნიშნეთ, ნივთიერებათა რაოდენობა მოცემულია სამი სსახით: მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა. ამ კანონის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად ჩაითვლება მცირედან დიდ ოდენობამდე მოცემული რაოდენობა.

შეგვიძლია მოვიყვანოთ იმ ნივთიერებების რამდენიმე სახეობა, რომლებიც აქტიურადაა გავრცელებული საქართველოში. მაგალითად:

- **ბუპრენორფინი** – მცირე ოდენობა - 0,0012 გრ., დიდი ოდენობა- 0,012 გრ., განსაკუთრებით დიდი ოდენობა - 0,12 გრ.
- **მარიხუანა გამშრალი** – მცირე ოდენობა - 5გრ., დიდი ოდენობა - 50გრ., განსაკუთრებით დიდი ოდენობა – 500 გრ.
- **მარიხუანა ნედლი** – მცირე ოდენობა - 10გრ., დიდი ოდენობა - 100გრ., განსაკუთრებით დიდი ოდენობა – 1000 .გრ
- **ოპიუმი ამფიონი** – მცირე ოდენობა - 0,2 გრ., დიდი ოდენობა – 2 გრ., განსაკუთრებით დიდი ოდენობა – 20 გრ.
- **ჰეროინი** – მცირე ოდენობა – 0 (არ აქვს). დიდი ოდენობა - 1გრ. განსაკუთრებით დიდი ოდენობა – 1 გრ.

განმარტებისთვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ პირველი მაჩვენებლიდან მეორე მაჩვენებლის ჩათვლით, ნივთიერება ითვლება მცირე ოდენობად, მეორე მაჩვენებლიდან მესამე მაჩვენებლის ჩათვლით, ნივთიერება ითვლება დიდ ოდენობად. მესამე მაჩვენებლის ზევით ნივთიერება ითვლება განსაკუთრებით დიდ ოდენობად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესს იწვევს ჰეროინი და მისი მაჩვენებლები. ამ კანონის საფუძველზე, ერთ გრამამდე ნებისმიერი ჰეროინის რაოდენობა ითვლება დიდ ოდენობად და აუცილებლად ხდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი. მარტივად რომ ვთქვათ, ჰეროინს არ გააჩნია მცირე ოდენობა. ჩვენი აზრით, ეს გარემოება მეტად საკამათოა. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში მხოლოდ ჰეროინი როდია ისეთი ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც არ გააჩნია მცირე ოდენობის

მაჩვენებელი, ნუსხაში ასეთები სხვებიცაა, მაგრამ, ჩამოთვლილთაგან ჰეროინია საქართველოში ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული საშუალება. [8,4]

ჰეროინი ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერებაა და ამიტომაც, მისდამი ასეთი მკაცრი კანონი, შესაძლებელია მართებულიცაა. მაგრამ, თუ ჩვენ, გავაანალიზებთ საქართველოში ნარკოვითარების დღევანდელ მდგომარეობას და გავითვალისწინებთ მრავალი პრაქტიკოსი პოლიციის თანამშრომლის გამოცდილებას ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ჩვენეული მოკრძალებული მოსაზრება ჰეროინთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰეროინს არ გააჩნია მცირე რაოდენობის მაჩვენებელი და მისი, ერთ გრამამდე, ნებისმიერი რაოდენობით აღმოჩენა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება. არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ პირს 0,5 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა, თუ 0,005 გრამი., სასჯელი იდენტურია. მოვიყვანთ ცხრილს, რომელშიც რამდენიმე ნარკოტიკის მაჩვენებელია. აქ ნათლადაა ნაჩვენები, რომ ჰეროინის 0,6 გრამამდე, ნებისმიერი ოდენობით ამოღებისას პირს ემუქრება 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, 0,6-დან 1 გრამამდე ამოღებისას – 6-და 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 1 გრამზე მეტი ოდენობის ამოღებისას 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. (იხ. ქვემოთ მოცემული სქემა)

სუბოტექსი	მარიხუანა	ჰეროინი	თავისუფლების აღკვეთა
0,0012 –0,012 გრამი	5 – 50 გრამი	----------	6 თვიდან 10 წლამდე
0,012 – 0,12 გრამი	50–500 გრამი	0,6-1 გრამი	6-დან 12 წლამდე
0,12 გრამზე მეტი	500 გრ. მეტი	1 გრ. მეტი	8-დან 20 წლამდე ან უვადოდ

ჰეროინის აღმოჩენის გამო, საქართველოში დაკავებულ პირთა რაოდენობა საკმაოდ დიდია.

ჩვენი აზრით, და ამაში სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე პრაქტიკოსი მუშაკებიც გვეთანხმებიან, უნდა იყოს შემოღებული ჰეროინისთვის მცირე ოდენობის ზღვარი და ამ რაოდენობამდე აღმოჩენის შემთხვევაში, პირს უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული სახდელი. როგორც დღევანდელი რეალობიდან ჩანს, ჰეროინის მიკროსკოპული რაოდენობის აღმოჩენის შემთხვევაში, პირისთვის

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება არ არის ამ პრობლემის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ხერხი. მაგალითად, თუ პირს აღმოაჩნდა 0,005 გრამი ჰეროინი, დღევანდელი კანონდებლობით, მას ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლიბა. მას აღეკვეთება თავისუფლება და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პირზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, არ წარმოადგენს ბოლომდე ჩამოყალიბებულ დამნაშავეს, ხვდება სხვა მსჯავრდებულებთან ერთად ხვდება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, სადაც სხვა მსჯავრდებულები, ხშირ შემთხვევაში, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ მასზე. მიგვაჩნია, რომ ასეთი, უკიდურესად მცირე, რაოდენობის ჰეროინის აღმოჩენისას, საბოლოო შესაძლებელ შედეგად, პირის გამოსწორების ნაცვლად, შეიძლება მივიღოთ ახლადჩამოყალიბებული დამნაშავე პირი. ვფიქრობთ, ასეთი მდგომარეობა, სამომავლოდ, ზოგადად, კრიმინოგენურ ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს შემდეგი სახის **წინადადებები:** როდესაც საუბარია ნარკომანიასთან ბრძოლის წინააღმდეგ საკანონდებლო ბაზის სრულყოფაზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ საკითხისათვის. **პირველ რიგში,** ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ გამოყენებული სახდელები თუ სასჯელები უნდა იყოს ეფექტური და მათ უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი. მხოლოდ კანონის გამკაცრება არ იძლევა სასურველ შედეგს. მიზნის მისაღწევად, საჭიროა გარკვეული სამუშაოებების ჩატარება, რომლებიც ხშირ შემთხვევებში, ძალზედ შრომატევადი, რთული და მასიურია, თუმცა, უკიდურესად საჭირო. აუცილებელია, პირველ რიგში, ნარკოვითარების სრული და ობიექტური სურათის აღწერა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება შესაბამისი მოქმედებების განხორციელება და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში კანონდებლობის სრულყოფა. დღეისათვის, დიდ მნშვნელობას წარმოადგენს ნარკოტიკების მომხმარებელთა, რაც შეიძლება, სრული და ზუსტი აღრიცხვა. ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში, ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა, დაახლოებით სამასი ათას ადამიანს შეადგენს, ეს ინფორმაცია გროვდება და შემდგომ ჯამდება სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურებში. ეს ციფრი, სამწუხაროდ, არ ასახავს ნარკოტიკების მომხმარებელთა სრულ და რეალურ სურათს, რადგან დიდია იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც არ ხვდებიან ოფიციალურად რეგისტრირებულთა სიაში იმ მარტივი მიზეზის გამო, არ აქვთ ან არ ჰქონიათ რაიმე სახის ურთიერთობა

სახელმწიფო სამსახურებთან. მაგალითად, ნარკოტიკების ბევრი მომხმარებელი საერთოდ არ ყოფილა დაკავებული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, მაგრამ ნარკოტიკებს მოიხმარენ. ნარკოტიკების მომხმარებელთა სრულყოფილ აღრიცხვას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომში სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისას, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ნარკომანიასთან ბრძოლის სხვადასხვა ხერხებს.

ჩვენი აზრით, უნდა განხორციელდეს ნარკოტიკების **მომხმარებელთა კლასიფიკაცია** მათი ნარკოტიკებისადმი დაქვემდებარების ხარისხიდან გამომდინარე. ნარკოტიკების მომხმარებელთა კლასიფიკაცია არ უნდა წარმოადგენდეს განუხორციელებელ ღონისძიებას, რადგან საქართველოში, სპეციალისტების მაღალი პროფესიონალიზმი გვაძლევს ამის განხორციელების საშუალებას. როგორც ცნობილია, არსებობს მრავალი ნაშრომი, რომელიც ეხება ნარკოტიკების მომხმარებელთა პიროვნების შესწავლას. ამ ნაშრომთა უმრავლესობაში ნარკოტიკების მომხმარებლები, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი კუთხით განიხილებიან და ეს გარემოება უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე კონკრეტული შინაარსის მქონე. ჩვენი აზრით, ასეთი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არ უნდა იყოს მართებული. ნარკოტიკების მომხმარებელთა შორისაც განსხვავებებია მათი სტატუსიდან და საზოგადოებრივი საშიშროებიდან გამომდინარე, ამიტომ ხშირად, სხვადასხვა მეცნიერის აზრი ამ საკითხის მიმართ, საფუძვლიანად განსხვავდება. როდესაც საუბარია ნარკოტიკების მომხმარებლებზე, აუცილებელია მათი გარკვეული კლასიფიკაცია და აქედან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს მათ მიმართ შესაბამისი აღმზრდელობით-პროფოლაქტიკური საქმიანობა, ადმინისტრაციული თუ სისხლისამართლებრივი ზემოქმედება.

მიგვაჩნია, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები სოციალურ-კრიმინოლოგიური კრიტერიუმით შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

პირველ ჯგუფს შესაძლებელია მივაკუთნოთ ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც ამას ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი არ სჩადიან რაიმე სხვა სახის სამართალდარღვევას. კრიმინოლოგიური შეფასებით, ნარკოტიკების ასეთი მომხმარებლები საზოგადოებისათვის არ წარმოადგენენ დიდ საშიშროებას, რადგან ისინი არ არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. ასეთი კატეგორიის პირებზე ოჯახის წევრებისა და მეგობრების მიერ მაინც ხორციელდება დადებითი ზეგავლენა.

მეორე ჯგუფს შესაძლოა მივაკუთნოთ ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც საზოგადოებისათვის საშიშნი არიან, რადგანაც, ხშირ შემთხვევებში, არღვევენ საზოგადოებირვ წესრიგს. ამ პირებზე ოჯახის წევრებისა და მეგობრების მიერ უკვე ვეღარ ხორციელდება დადებითი ზეგავლენა. ასეთი ქმედებით მათვე ადგებათ ზიანი.

მესამე ჯგუფს მიეკუთნებიან ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც საზოგადოებისთვის მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენენ და რომელთა მიმართაც უკვე განხორციელებული იქნა ადმინისტრაციული ზემოქმედება.

მეოთხე ჯგუფს მიეკუთნებიან ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებმაც უკვე გაიარეს ნარკოტიკებისგან თავის დანებების სარეაბილიტაციო მკურნალობის კურსები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აგრძელებენ ნარკოტიკების მოხმარებას.

მეხუთე ჯგუფს მიეკუთნებიან ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც წარსულში ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარებისთვის იყვნენ მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ნარკოტიკების მომხმარებლების ამდაგვარად დაყოფა ძალზედ მნიშვნეოვანია, რადგან კონკრეტული სტატუსიდან გამომდინარე, მათზე შესაძლებელია განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი. რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელი გახდება ნარკოტიკების მომხმარებელზე განხორციელდეს ეფექტური აღმზრდელობითი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, ადმინისტრაციული თუ, ზოგ შემთხვევაში, სისხლისამართლებრივი ზემოქმედება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ასეთი კლასიფიკაციის საფუძველზე, ნარკომანიასთან ბრძოლა უფრო ეფექტური გახდება.

ჩვენი აზრით, ნარკოტიკების მომხმარებლებს, მათი სტატუსიდან გამომდინარე, უნდა შეეფარდოთ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სანქციები. ერთ-ერთი ასეთი სანქციის ფორმაა ნარკოტიკების მოხმარების გამო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაა. მაგალითად, სანქციის სახით შერჩეული იქნას, უსასყიდლოდ, დასუფთავების სამსახურში დასაქმება. განვიხილოთ რა დადებითი მხარეები, მოჰყვება ასეთი სანქციის შემოღებას.

ნარკოტიკების მომხმარებელთა ანონიმურად გამოკითხვით, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ნარკოტიკების

მოხმარებისათვის გამოკითხულთა უმეტესობისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა უფრო მეტად მკაცრი, არასასურველი და მიუღებელი სანქციაა, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. ამას ხსნიან ქართული საზოგადოების მენტალიტეტით. ეს მათთვის უფრო სათაკილო, სასირცხვილოა და უფრო მტკივნეულად აღიქმება, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასეთი სახის სანქციები უფრო ეფექტური იქნებოდა ნარკომანიასთან ბრძოლისას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენება, როგორც სანქციის ერთ-ერთ სახე მეტად ეფექტური იქნებოდა ნარკოტიკების მომხმარებლებთან საბრძოლველად და მათი რაოდენობის შესამცირებლად.

სანქციის ამდაგვარი ფორმა, უფრო მეტად ეფექტური იქნებოდა ნარკოტიკების იმ მომხმარებელთა მიმართ, რომლებსაც ჯერ არ აქვთ ბოლომდე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება ნარკოტიკებისადმი და მათი განკურნება შედარებით უფრო მარტივია. ასეთი სანქციის ერთ-ერთ დადებით მხარედ შესაძლებელია ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ არ ხდება პირის თავისუფლების აღკვეთა, იგი საზოგადოებისაგან არ არის იზოლირებული და არ უწევს ურთიერთობა სხვა დამნაშავეებთან. ამით მცირდება რისკი, რომ პიროვნება დამნაშავედ ჩამოყალიბდება, რადგან სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირები მათზე ვერ განახორციელებენ ნეგატიურ ზეგავლენას. ასეთი ნაბიჯი მნიშვნელოვანია ნარკოტიკების მომხმარებელთა რესოციალიზაციისთვის.

ასეთი სანქციით მიიღწევა ის, რომ პირი არ შორდება საზოგადოებას და სასჯელის მოხდის პერიოდში ისევ ჯანსაღი საზოგადოების წევრია. პირს აქვს შესაძლებლობა, ყოველდღიურად ჰქონდეს ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. ეძლევა შესაძლებლობა გადახედოს სხვადასხვა ფასეულობებს და უმეტეს შემთხვევებში, ხელი აიღოს ნარკოტიკების მოხმარებაზე., საერთო ჯამში, ასეთი სხვადასხვა ფსიქოლოგიური ელემენტის გათვალისწინებით, უფრო მეტია იმის შანსი, რომ პირმა აიღოს ხელი ნარკოტიკების მოხმარებაზე, ვიდრე ამას შეძლებს თავისუფლების აღკვეთის შედეგად და მისი კრიმინალურ საზოგადოებაში მოთავსებით.

შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა, როგორ ვაიძულოთ ნარკოტიკების მომხმარელები, შეასრულონ მათზე დაკისრებული სანქცია - საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა. შესაძლებელია მათზე სხვადასხვა იძულებითი

ზემოქმედების ზომების განხორციელება. როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არის 381-ე მუხლი განაჩენის ან სხვა სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა. ეს მუხლი პირველი ნაწილით ითვალისწინებს შემდეგ სანქციებს – ჯარიმა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე. [3,381-ე მუხ]

ჩვენი აზრით, ამ მუხლში უნდა იყოს დამატებული კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც შეეხება სასამართლოს განაჩენის შეუსრულებლობას, ვფიქრობთ თუ ნარკოტიკების მომხმარებელი არ შეასრულებს სასამართლოს განაჩენს და არ განახორციელებს მასზედ დაკისრებულ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, შემდეგი ნაბიჯი მის მიმართ უნდა იყოს ჯარიმა, დამატებითი სანქციის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ნარკოტიკების მომხმარებელი მაინც ჯიუტად აარიდებს თავს სანქციების შესრულებას, მიგვაჩნია, რომ მას სანქციის სახით უნდა დაეკისროს თავისუფლების აღკვეთა.

ჩვენი რეკომენდაცია, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ სანქცია - თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლში არ უნდა იყოს მოცემული ორი წლის ვადით, არამედ იგი უნდა იყოს ადმინისტრაციული სახდელი და არ უნდა აღემატებოდეს ერთი ან ორი თვით თავისუფლების აღკვეთას. ერთი ან ორი თვით თავისუფლებააღკვეთილი პირი არ მოთავსდება საშიშ დამნაშავეებთან ერთად და მასზე, დროის ამ მოკლე პერიოდში, არ განხორციელდება ნეგატიური ზეგავლენა დამნაშავე პირების მიერ, არც მის ჯანმრთელობას და ფსიქიკურ მდგომარეობას არ მიადგება რაიმე ზიანი. გათავისუფლების შემდეგ, თუ პირმა არ შეასრულა მასზედ დაკისრებული მოვალეობანი, ან შემდგომშიც განაგრძო ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ მოხმარება, მასზედ შესაძლებელია კიდევ განხორციელდეს დამატებითი სამართლებრივი მოქმედება. კერძოდ, ნარკოტიკების მომხმარებლების და საზოგადოების სხვა წევრების გამოკითხვისას, მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩათვალა მიზანშეწონილად და ამაში ჩვენც ვეთანხმებით, რომ ნარკოტიკების მომხმარებლებზე ეფექტური ზემოქმედებისა და მათ რიგებში კანონის მიმართ „შიშის სინდრომის“ დანერგისთვის, სანქციის სახით უნდა იყოს შემოღებული ქონების განკარგვაზე დროებით უფლების ჩამორთმევა ან ზოგ შემთხვევაში, ქონების ჩამორთმევაც კი. ზოგადად საზოგადოების და სხვადასხვა კომპეტენტური პირის აზრით, ასეთი სანქციის

შემოღება ნარკოტიკების მომხმარებელთა გარკვეულ ნაწილს აიძულებს უარი თქვან შემდგომში ნარკოტიკების მოხმარებაზე.

ქონების ჩამორთმევა სანქციის სახით, საქართველოს კანონმდებლობაში მოცემულია, მაგრამ იგი ვრცელდება მხოლოდ ნარკოტიკების გამსაღებელთა მიმართ. ეს საქართველოს კანონის "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" მე-4 მუხლშია მოცემული. მიგვაჩნია, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვის შესამცირებლად, აუცილებელია, ამ კანონის მე-4 მუხლში "ქონების ჩამორთმევა" დამატებული იქნას, ქონების განკარგვაზე დროებით უფლების ჩამორთმევა. ქონების ჩამორთმევა შესაძლებელია განხორციელდეს ნარკოტიკების იმ მომხმარებელთა მიმართ, რომლებსაც თავისი მდგომარეობიდან და სტატუსიდან გამომდინარე, უნარი აქვთ, უარი თქვან ნარკოტიკების მოხმარებაზე, მაგრამ ამას ჯიუტად არიდებენ თავს. [5,მე-4 მუხლი]

ზემოთ ხსენებული სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეამცირებს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობას, რაც ზოგადად გააუმჯობესებს ნარკოვითარებას საქართველოში. ეს მოქმედებები, უმეტეს შემთხვევებში, ეფექტური იქნება იმ პირთა მიმართ, რომლებთაც სრულად არ აქვთ ჩამოყალიბებული ნარკოტიკების მიმართ ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება და რომლებიც საზოგადოებისთვის საშიშნი არ არიან.

განვიხილოთ ნარკოტიკების სისტემატურად მომხმარებელთა ის კატეგორია, რომლებსაც სრულად აქვთ განვითარებული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ნარკოტიკების მიმართ, რომლებიც საშიშნი არიან საზოგადოებისთვის და სჩადიან სხვადასხვა დანაშაულებს ნარკოტიკული საშუალებების მოსაპოვებლად და რომლებსაც წარსულში დაექვემდებარნენ ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მიუხედავად ამისა, არ იღებენ ხელს ნარკოტიკების მოხმარებაზე. როგორც ბოლო პერიოდის სტატისტიკა გვიჩვენებს, ნარკოტიკების მომხმარებელთა ასეთ კატეგორიაზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ვერ ახდენს დადებით შედეგს და ისინი მაინც არ იღებენ ხელს ნარკოტიკების მოხმარებაზე. რა უნდა განხორციელდეს ასეთი კატეგორიის ნარკოტიკების მომხმარებლებზე, რომ რაიმე სახით იქნას მიღებული დადებითი შედეგი.

არსებობს მოსაზრება, რომ ნარკოტიკების ასეთი კატეგორიის მომხმარებლებზე უნდა განხორციელდეს სანქციის დაკისრება იძულებითი მკურნალობის სახით. განვიხილოთ თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ზემოქმედების ფორმას ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის. პირველ რიგში, თუ ყველა ამ პირს დავაკისრებთ იძულებით მკურნალობას, ამისათვის საჭიროა მრავალი სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა, რომლებიც დღეისათვის, საქართველოში, საკმარისი რაოდენობით არ არსებობს. აგრეთვე, როგორც ჩვენს ნაშრომში გვაქვს აღნიშნული, თუ პირი ნარკოტიკულ საშუალებებზე ფსიქოლოგიურად და ფიზიოლოგიურად სრულად დამოკიდებულია, მისი ფსიქიკა რადიკალურად იცვლება. კერძოდ, მას არ აინტერესებს არაფერი ნარკოტიკების თემის გარდა და მთელი მისი აზროვნება ამ საკითხთანაა დაკავშირებული.

ასეთი კატეგორიის პირთა იძულებითი მკურნალობა, უმეტეს შემთხვევებში, არ იძლევა სასურველ შედეგს და შემდგომში პირი მაინც უბრუნდება ნარკოტიკების მოხმარებას, რადგან მისი ფსიქიკა საბოლოოდ შეცვლილია და ნარკოტიკებზე დამოკიდებული. რა თქმა უნდა, იძულებითი მკურნალობა, დღეისთვის უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი, ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობისა და იმ დანაშაულების რიცხვის შესამცირებლად, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკებთან. იძულებითი მკურნალობის დანიშვნა ძალზედ შრომატევადი, ხანგრძლივი და ფინანსურად ძალზედ ძვირი საქმიანობაა. საბოლოოდ კი, შესაძლებელია, ვერ მივიღოთ სასურველი შედეგი. ჩვენი აზრით, აუცილებელია აგრეთვე იძულებით მკურნალობასთან ერთად განხორციელდეს სხვა პროგრამებიც , რაც შედარებით ნაკლები ფინანსების გამოყენებით უფრო წარმატებულ შედეგს მიგვაღწევინებს, აგრეთვე რაც გააუმჯობესებს ნარკოვითარებას საქართველოში და შეამცირებს კრიმინოგენური მდგომარეობას, რომლებსაც სჩადიან ნარკოტიკების მომხმარებლები ნარკოტიკული საშუალებების მოსაპოვებლად.

როგორც ცნობილია, საქართველოში არსებობს მეტადონით ჩანაცვლების პროგრამა. სხვადასხვა ნარკოლოგიურ დაწესებულებებში პირები, რომლებიც არიან აღრიცხვაზე, იღებენ მეტადონს, რითაც იხსნიან ნარკოტიკულ შიმშილს, ე.წ. “ლომკას” და არ განიცდიან ამ დროს ნარკოტიკულ ეიფორიას. ამ პროგრამებში, სამწუხაროდ, არ არის ჩართული ნარკოტიკების ყველა ის მომხმარებელი, რომელიც საჭიროებს ასეთ პროგრამაში ჩართვას.

თუ გადავხედავთ ნარკოტიკების მომხმარებელთა, ჩვენს მიერ დაყოფილ, კატეგორიებს, დავინახავთ, რომ არის ნარკომანთა ისეთი კატეგორია, რომლებიც სრულად არიან დაავადებულნი ნარკომანიით, რომელთა განკურნება ვერ ხდება მკურნალობის პროგრამაში ჩართვით. ამ კატეგორიის ნარკომანებისთვის, ნარკოტიკების მოხმარება ყოველდღიური მოთხოვნილებაა. ისინი, ხშირ შემთხვევაში, უკვე ნარკოტიკების მოხმარებისას ვეღარ განიცდიან ეიფორიას და მათ უმრავლესობას აღარც აქვს სურვილი მოიხმარონ ნარკოტიკები, მაგრამ ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად იმდენად არიან დამოკიდებულნი ნარკოტიკებზე, რომ სურთ თუ არ სურთ, იძულებულნი არიან მიიღონ ნარკოტიკული საშუალებები, რათა მოიხსნან ნარკოტიკული შიმშილი.

ამის განსახორციელებლად, ნარკოტიკების ასეთი კატეგორიის მომხმარებლები, იძულებულნი არიან, ჩაიდინონ სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაული, რათა მოიპოვონ სახსრები ნარკოტიკების მოსაპოვებლად. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, იმ კატეგორიის ნარკომანების, რომელთა განკურნებაც ვერ ხერხდება და რომლებიც საზოგადოებისათვის საშიშნი არიან და ვის მიერაც მძიმდება კრიმინოგენური მდგომარეობა, სასურველია მათი ჩართვა იმავე მეტადონით ჩანაცვლების პროგრამებში. მაგალითისათვის, ავიღოთ რომელიმე თბილისის რაიონი და წარმოვიდგინოთ, რომ მხოლოდ ამ რაიონშია ნარკოტიკების ათასობით სისტემატურად მომხმარებლი, რომლებიც ყველაფერზე მიდიან, რომ მოიპოვონ ნარკოტიკული საშუალებები, ყოველდღე ახორციელებენ სხვადასხვა მოქმედებებს, ხშირ შემთხვევაში, თანამონაწილეობით სჩადიან დანაშაულებრივ ქმედებებს ნარკოტიკების მოსაპოვებლად. ასეთ დროს, მათი ოჯახის წევრები და ზოგადად საზოგადოება განიცდიან დიდ სტრესსა და დეგრადაციას.

ასეთი ვითარების გათვალისწინებით, რა დადებით შედეგებს მივიღებთ, თუ ნარკოტიკების ამ კატეგორიის მომხმარებლებს ჩავრთავთ მეტადონის ჩანაცვლების პროგრამაში. პირველ რიგში მივიღებთ იმას, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა ეს კატეგორია ყოველდღიურად აღარ ჩაიდენს სხვადასხვა დანაშაულს, მნიშვნელოვნად შემცირდება დანაშაულთა რიცხვი, რომლებსაც ნარკომანები სჩადიან. შემდეგ ისინი სტერილურად, სხვადასხვა სახით, მიიღებენ სხვადასხვა პრეპარატებს, რითაც მოიხსნიან ნარკოტიკულ შიმშილს, არ განიცდიან ამით ეიფორიას, არ წარმოადგენენ თავიანთი ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის და ზოგადად საზოგადოებისათვის მომეტებულ საფრთხეს.

აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირდება ნარკოტიკების არასტერილურად მიღებით გამოწვეული მძიმე დაავადებების გავრცელება. როდესაც ეს ჩანაცვლების პროგრამა იქნება სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი და სახელმწიფო თვითონ გასცემს ჩანაცვლების პროგრამისათვის საჭირო პრეპარატებს, ამით კიდევ მნიშვნელოვანია, რომ შავ ბაზარზე შემცირდება ნარკოტიკებზე მოთხოვნილება და ნარკოტიკების გამსაღებელთა რაოდენობაც, შესაბამისად, მცირდება. შედარებით სტაბილური ხდება ნარკოვითარება, მცირდება ნარკოტიკების გამსაღებელთა რაოდენობა, მცირდება ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის რიცხვი, ანუ უმჯობესდება კრიმინოგენური ვითარება, მცირდება ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ სხვადასხვა მძიმე დაავადებების გავრცელება, მცირდება საზოგადოებრივი საშიშროება, რომელსაც ამ კატეგორიის ნარკოტიკების მომხმარებლები ქმნიდნენ. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ასეთი პროგრამებიის განხორციელება დადებითად აისახება სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე. რა თქმა უნდა, ასეთი კატეგორიის ნარკოტიკების მომხმარებელთათვის უნდა იყოს კანონით დაწესებული სხვადასხვა შეზღუდვა, რითაც მიეცემათ მაგალითი საზოგადოების სხვა წევრებს, აიღონ ხელი ნარკოტიკების მოხმარებაზე.

ასეთი პროგრამების განხორციელებისათვის კიდევ ერთხელ აუცილებელია ნარკოტიკების მომხმარებელთა კატეგორიებად დაყოფა და შემდგომში ამის საფუძველზე, მათი ჩართვა სხვადასხვა პროგრამებში. რაც შეეხება ასეთი პროგრამების განხორციელების ფინანსურ საკითხს, ნებისმიერი სახის ხარჯი, რომელსაც საჭიროებს ასეთი ტიპის პროგრამების განხორციელება, ყოველთვის გამართლებულია და ძალზედ მნიშვნელოვანი. როგორც ცნობილია, ასევე არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც ახდენენ ასეთი სახის პროგრამების სრულ თუ ნაწილობრივ დაფინანსებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სახელმწიფო ხარჯებს.

რაც შეეხება ასეთი პროგრამების და ზოგადად ნარკომანიასთან ბრძოლის დაფინანსებას, ჩვენის აზრით, სახელმწიფოს მიერ უნდა შეიქმნას ნარკომანიასთან ბრძოლის ფონდი, რომელშიც თანხის გადარიცხვა საზოგადოების ყველა წევრს შეეძლება და რომელიც საზოგადოებას გამჭვირვალედ აჩვენებს, თუ შემოსული თანხა რა სახით და რა კონკრეტული ღონისძიებისათვის იქნა გახარჯული. ასეთი სახის სახელმწიფო ფონდის შექმნის აზრს გვიმყარებს ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ გამოკითხული ყველა

რესპოდენტი აფიქსირებს აზრს, რომ თუ ასეთი ფონდი შეიქმნება, საქმიანობა იქნება გამჭვირვალე, კანონით მოწესრიგებული და ეს თანხები რეალურად მოხმარდება ნარკომანიასთან ბრძოლას, ისინი აუცილებლად, თვითონაც სისტემატურად მიიღებენ მონაწილეობას და გარკვეულ შენატანებსაც განახორციელებენ.

გვაქვს რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კანონთან **„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“** მიმართებაში, რომელიც 2007 წლის 3 ივლისსაა მიღებული. კანონი შედგება 8 მუხლისაგან: კანონის მიზანი, ტერმინთა განმარტება, უფლებების ჩამორთმევა, ქონების ჩამორთმევა, ვადის ათვლა, უფლებების აღდგენა, გარდამავალი დებულებანი, დასკვნითი დებულებანი. როგორც ცნობილია, ეს კანონი მიღებული იქნა 2007 წელს. [5,5]

კანონის შესაბამისად, ხორციელდება დამატებითი სამართლებრივი შეზღუდვები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებელ პირთა მიმართ, ვინც ნარკოტიკების გამსაღებლები და ნარკოტიკული დანაშაულის ხელის შემწყობნი არიან. კანონში კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული შეზღუდვები და მათი მოქმედების ვადები, რომლებიც დამატებით შეიძლება დაეკისროს სამართალდამრღვევს სასამართლოს მიერ. კანონის მე-3 მუხლში მოცემული სამართლებრივი შეზღუდვები ვრცელდება საზოგადოების ყველა წევრზე, როგორც სახელმწიფო მოხელეებზე, ისე ფიზიკურ პირებზე. ერთის მხრივ, ეს შეზღუდვები ვრცელდება სხვადასხვა სამსახურში დასაქმებულ პირებზე, მაგალითად, პედაგოგებზე, ექიმებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებზე და სხვა. მეორეს მხრივ, ეს შეზღუდვები ეხება ყოველ მოქალაქეს, მაგალითად, მართვის მოწმობის ჩამორთმევისას, ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის ან ტარების უფლების ჩამორთმევისას და პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევისას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ გათვალისწინებული შეზღუდვები მაინც არ ვრცელდება საზოგადოების ყველა იმ წევრზე, რომელთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები უკავშირდება ნარკოტიკულ საშუალებებს. როგორც აღვნიშნეთ, ეს კანონი მიღებული იქნა 2007 წელს. თუ მოვიშველიებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკას, დავრწმუნდებით, რომ ნარკოტიკული დანაშაულის მაჩვენებელი რაოდენობრივად მაინც განიცდის ზრდას. ეს ზრდა, რა თქმა უნდა, განპირობებულია, სხვადასხვა მრავალი ფაქტორით.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული კანონის ეფექტურობისთვის მიზანშეწონილია, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, დაემატოს დამატებითი სამართლებრივი შეზღუდვები. როგორც ცნობილია, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები და სხვა სამართალდამრღვევები ხშირ შემთხვევაში, დროებით უმუშევრები არიან ან დასაქმებულნი არიან კერძო სექტორში. მაგალითად, განვიხილოთ ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებლების ის კატეგორია, რომლებიც არიან დროებით უმუშევრები ან კერძო სექტორში ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას.

ამ კატეგორიის პირთა მიმართ, ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე, შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ რამდენიმე სამართლებრივი შეზღუდვა, როგორიცაა, მაგალითად: მართვის მოწმობის ჩამორთმევა, პასიური სარჩევნო უფლების ჩამორთმევა, ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის ან ტარების უფლების ჩამორთმევა. ისმის კითხვა, ამ კატეგორიის პირებზე მოახდენს თუ არა აღნიშნული სამართლებრივი შეზღუდვები მნიშვნელოვან ყოველდღიურ ზეგავლენას, შემდგომში დანაშაულზე ხელის ასაღებად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, შეიძლება მოვიშველიოთ ინფორმაცია, რომელიც ჩვენს მიერ მოპოვებული იქნა ნარკოტიკების იმ მომხმარებლების ანონიმურად გამოკითხვისას, რომლებიც იქნენ დაჯარიმებულნი ადმინისტრაციული წესით. მათი თხოვნით, ჩვენ არ ვასახელებთ მათ ვინაობას. ჩვენ მათ გავაცანით ამ კანონის შინაარსი და მათგან მივიღეთ ინფორმაცია თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ ამ კანონში მოცემული შეზღუდვების მიმართ. მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოდ რამდენიმე დასკვნა. ის პირები, რომლებიც არიან დროებით უმუშევრები ან დასაქმებულნი არიან კერძო სამსახურებში და რომლებიც ადმინისტრაციული წესით იქნენ დაჯარიმებული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო, ამ კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებს მნიშვნელოვნად სულაც არ აღიქვამენ და არ განიცდიან. ასეთი პასუხისმგებლობა ნარკომანებზე, ზეგავლენას სრულებითაც არ ახდენს. მაგალითად, რა გავლენას მოახდენს ამ პირებზე მართვის მოწმობის ჩამორთმევა, როგორც დამატებითი სამართლებრივი შეზღუდვა. მათი აზრით, ამდაგვარი ზემოქმედება, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო გარემოებაა, მაგრამ ბევრ მათგანს, ეს მაინც არ უშლის ხელს მართოს სატრანსპორტო საშუალება. მათი გადმოცემით, მცირეა იმის ალბათობა, რომ ეს შეზღუდვა გამოვლინდეს და მათ დამატებით, ადმინისტრაციული წესით, შეეფარდოთ ჯარიმა სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის გარეშე მართვის გამო.

კიდევ ერთი მაგალითი, როცა ნარკოტიკების მოხმარების გამო, პირს ჩამოერთმევა ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლება. გამოკითხულთა თქმით, ძალზედ ცოტაა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარების გამო იყვნენ დაჯარიმებულნი და რომლებთაც რაიმე სახის შეხება აქვთ ცეცხლსასროლ იარაღთან. გამოკითხულთა გადმოცემით, ხშირ შემთხვევაში, მათთვის არც ამდაგვარი შეზღუდვა არ წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. როგორც ცნობილია, იმ შემთხვევაში, თუ პირს სურს, მაგალითად, შეიძინოს ოფიციალურად ცეცხლსასროლი იარაღი, მას, ნებისმიერ შემთხვევაში, მოუწევს მისი რეგისტრაცია ანუ გარკვეული ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან. ჩვენის აზრით, ამ დროს გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი. სამართალდამრღვევ პირებს არ აქვთ სურვილი, რაიმე საკითხის გამო, დამატებით იქონიონ ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან, იგივე შეიძლება ითქვას მათ მიერ ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ნარკომანთა შორის, ძალზედ ცოტაა სამართალდამრღვევ პირთა რაოდენობა, რომლებიც შეიძენენ და შემდგომში მოახდენენ ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციას.

განვიხილოთ ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საკითხი. გამოკითხულთა აზრით, ძალზედ მცირეა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც შეიძლება დაჯარიმდნენ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო და რომლებსაც პრობლემები შეექმნებათ პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევის გამო. მათი გადმოცემით, ასეთი მხოლოდ ათეული პიროვნება თუ იქნება, რომლებიც რაიმე სახით იყრიან კენჭს.

ისმის კითხვა, დამატებით რა სახის შეზღუდვა შეიძლება დაეკისროს ნარკოტიკების მომხმარებელ პირს, რომელიც დაჯარიმებული იქნა ნარკოტიკების მოხმარების გამო და არ საქმიანობს არცერთ სახელმწიფო სამსახურში. როგორც ცნობილია, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ყველაზე, გარდა ამ კატეგორიის პირებისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შესაძლებელია იქნას შემოღებული დამატებითი სამართლებრივი შეზღუდვა, მაგალითად, ისეთისა, როგორიცაა პირადობის მოწმობის ჩამორთმევა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებას გამოუჩნდება მოწინააღმდეგეთა ჯგუფი, ადამიანის უფლებების დამცველთა შორის.

განვიხილოთ გარემოებები, რომლებიც შესაძლებელია მოჰყვეს პირადობის მოწმობის ჩამორთმევას. როგორც ჩანს, უკანასკნელ წლებში ნარკოტიკის ბევრი მომხმარებელი მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში. სამწუხაროდ, ეს გარემოება არ ამცირებს ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობას. ისინი გათავისუფლების შემდეგ მაინც არ ანებებენ თავს ნარკოტიკების მოხმარებას. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნარკოტიკების მომხმარებელთა მოთავსებისას მათზე სხვა დამნაშვაეებისგან ხდება ძალზედ უარყოფითი ზეგავლენა. პირადობის მოწმობის ჩამორთმევის შემთხვევაში განხორციელდება სამართალდამრღვევთა მნიშვნელოვანი შეზღუდვა, მაგრამ დადებითად დარჩება ის გარემოება, რომ ამ დროს არ განხორციელდება მათი თავისუფლების აღკვეთა, არ მოხდება ოჯახის წევრებისაგან და ზოგადად საზოგადოებისაგან მათი იზოლაცია. ამდაგვარი პირობების შექმნით, პირზე არ განხორციელდება ნეგატიური ფსიქოლოგიური ზეგავლენა ანუ არ მოხდება მათი იზოლაცია. პირადობის მოწმობის ჩამორთმევით ნარკოტიკების ნებისმიერი მომხმარებელი ყოველდღიურობაში მუდმივად წააწყდება შეზღუდვებს და მასზე მუდმივად მოუწევს ფიქრი. ასეთი სახის შეზღუდვა შეეხება უკვე ყველას, ეს იქნება კერძო სამსახურში დასაქმებული პირი თუ დროებით უმუშევარი. ასეთი შეზღუდვა მნიშვნელოვნად შეუკრავს ხელ-ფეხს ნარკოტიკების მომხმარებლებს და მათ ამის გამო შეეზღუდებათ მომავალში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების საშუალება. პირადობის მოწმობის გარეშე, მათ გაუჭირდებათ ურთიერთობა სახელმწიფო სამსახურებთან, საბანკო სფეროსთან, გაუჭირდებათ შეიძინონ ან გაყიდონ მათზე რეგისტრირებული ქონება, დატოვონ საქართველოს ფარგლები, რაც თავის მხრივ, ზოგ შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალებების მოპოვების ხელისშემშლელი გარემოებაა.

ასეთი სახის შეზღუდვის შემოღებისას ნარკოტიკების მომხმარებლებს მნიშვნელოვნად ეზღუდებათ შესაძლებლობა, მომავალში მოიპოვონ და მოიხმარონ ნარკოტიკული საშუალებები, რადგან მათი ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შემცირდება. ასეთი სახის სამართლებრივ შეზღუდვას მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ეფექტიც აქვს, რადგან პირი არ არის თავისუფლებააღკვეთილი, მაგრამ ყოველდღიურად განიცდის მნიშვნელოვან შეზღუდვებს. ჩვენი აზრით, ასეთი გარემოების განხორციელება ნარკოტიკების მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილზე მოახდენს ზეგავლენას და მათ ნაწილს აიძულებს თავი შეიკაონ ნარკოტიკების მოხმარებისგან. იმ პირებს, რომლებსაც

ნარკოტიკების მოხმარების გამო ჩამოერთმევათ პირადობის მოწმობა, ჩვენის აზრით, უნდა გადაეცეს რაიმე სახის დროებითი დოკუმენტი, რომელზედაც აღნიშნული იქნება მათი ვინაობა მხოლოდ იმისათვის, რომ მათი იდენტიფიცირება მოახდინონ სამართალდამცავმა სამსახურებმა.

ნარკოტიკების მომხმარებლებს არ ექნებათ შესაძლებლობა ამ დროებითი დოკუმენტის საფუძველზე მოახდინონ რაიმე სახის სამართლებრივი სახის გარიგებები. პირადობის მოწმობის ჩამორთმევის მოწინააღმდეგეთათვის ჩვენ ასეთი პასუხი გვაქვს: როცა ნარკოტიკების მომხმარებელი მიეცემა პასუხისგებაში, თავისუფლების აღკვეთისას მათ ჩამოერთმევათ პირადობის მოწმობა, რომელიც მათ პირად საქმეში ინახება. რა უფრო მძიმეა, ჩამოერთვას პირადობის მოწმობა და იმყოფებოდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილას, თუ ჩამოერთვას პირადობის მოწმობა, მიეცეს დროებითი დოკუმენტი და არ იყოს თავისუფლების აღკვეთის ადგილას? მართალია, ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ ასეთი სამართლებრივი შეზღუდვა სხვა ქვეყნებში არ ხორციელდება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ნარკომდგომარეობის გათვალისწინებით, ასეთი ზომა ეფექტური იქნება. ბუნებრივია, ასეთი სახის წინადადებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება ადამიანის უფლებათა დაცვის ხაზით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთი შეზღუდვა პირის რესოციალიზაციისათვის ბევრად უფრო სარგებლიანი და შედეგის მომცემი იქნება, ვიდრე მათი სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსება სხვადასხვა სახის დანაშაულების ჩამდენ პირთა შორის. საკითხი საკამათოა, მაგრამ მომავალი კვლევის ობიექტი შეიძლება გახდეს.

§4 ნარკომანთა რეაბილიტაცია, როგორც ნარკომანიის ადრინდელი პრევენციის მიმართულება

სახელმწიფოს პოლიტიკა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების და წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

აუცილებელია განიმარტოს თუ რა პოზიცია უნდა ეჭიროს სახელმწიფოს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ნარკოტიკულ საშუალებათა მიმოქცევაზე სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მკაცრი კონტროლი. სახელმწიფოს მიზანს ამ სფეროში უნდა წარმოადგენდეს ნარკომანთა რაოდენობის შემცირება, იმ სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირება რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვასთან.

შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ის პრინციპები, რომლითაც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ, ესენია:

- სახელმწიფოს სავალდებულოა ჰქონდეს სრული კონტროლი იმ საკითხებზე რომლებიც ეხება ნარკოტიკულ საშუალებათა მიმოქცევას სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
- ყველა იმ საქმიანობის მკაცრი ლიცენზირება, რომლებიც ეხება ნარკოტიკულ და დაფსიქოტროპულ საშუალებათა მიმოქცევას.
- სახელმწიფოში ყველა იმ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სრული კოორდინაცია რომლებიც თავისი საქმიანობით ნარკოტიკულ სშუალებათა უკანონო ბრუნვას ეხებიან.
- სახელმწიფოს მიერ დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს პირველ რიგში ნარკომანიის პროფილაქტიკას და ანტინარკოტიკული პროპაგანდის განვითარებას.
- აუცილებელია მუდმივად ხორციელდებოდეს სახელმწიფოს მიერ დახმარება და მჭიდრო კავშირი მეცნიერებასთან, კერძოდ მეცნიერულ კვლევებთან, რომლითაც ხორციელდება ახალი მეთოდების შემუშავება ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.
- სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ახლო კავშირი არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უშუალოდ საზოგადოებათან, რითაც ნარკომანიის

წინააღმდეგ განხორციელდება კომპლექსური ბრძოლა. ეს შესაძლებელია გამოიხატოს იგივე ხელის შეწყობაში რომ შეიქმნას და ეფექტურად იფუნქციონიროს მრავალმა სარეაბილიტაციო სამსახურებმა, რომ მოხდეს ნარკოამიით დაავადებულ ხალხთა ეფექტური დახმარება.

- მნიშვნელოვანია განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების მოწვევა და მათი აქტიური ჩართვა ნარკომანიის

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრევენციული, პროფილაქტიკური ხასიათის ძალისხმევას. ასევე გათვალისწინებულია ზომები, რომლებიც მიმართულის სისხლის სამართლის სასჯელის გამკაცრებაზე ნარკოტიკების მომზადების, გავრცელებისა და გასაღებისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, კითხვაზე, თუ რა იყო პირველი წყარო, საიდანაც გაიგეს ნარკოტიკების შესახებ, შეიქმნა შემდეგი სურათი:

- ტელევიზიაზე მიუთითებს ყოველი მეექვსე;
- პრესაზე – ყოველი მეოთხე;
- რადიომაუწყებლობაზე – ყოველი მერვე;

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ნარკოფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაზე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ნეგატიური გავლენის ნეიტრალიზაციის ზომები. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. გადაცემების ან პუბლიკაციების შეწყვეტა, რომელიც ღიად ან ირიბად იწონებს „ნარკოგენურ“ ქცევას, აგრეთვე პირდაპირ ან ირიბად უკეთებს რეკლამას ნარკოტიკების არასამედიცინო თვალსაზრისით მოხმარებას;
2. ინფორმაციის მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდა, რომელიც განაპირობებს ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარების დამღუპველი შედეგების გაცნობიერებას.

სპეციალისტების აზრით, ფრიად ეფექტიანია სამედიცინო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სტრატეგია, რომლის მიზანია ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირება. ამისათვის, მრავალ ნარკოლოგიურ საავადმყოფოში ფუნქციონირების ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება. აქ იყენებენ ე.წ. „ლომკის“ მოსახსნელ ყველაზე თანამედროვე

მეთოდიკებს. პაციენტებთან მუშაობენ ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები, კონსულტანტები ყოფილ ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა რიცხვიდან. გასაგებია, რომ 2-3 კვირა, რომელსაც ატარებენ ავადმყოფები განყოფილებაში, - საკმაოდ მოკლე დროა, რათა პაციენტმა მიიღოს განკურნების ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ამიტომ არსებობს დღის სტაციონარებიც, სადაც კიდევ სამი კვირის განმავლობაში პაციენტებთან მუშაობენ ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები.

შემდეგი ეტაპია – ასეთ პირთა მკურნალობა სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური განყოფილებების სპეციალისტებთან. აქ ავადმყოფი იღებს ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების ამომწურავ ინფორმაციას. განყოფილებასთან მოქმედებს ანონიმური ნარკომანების ჯგუფები, დამოკიდებულთა ნათესავებისთვის ჯგუფები. პაციენტებს შეუძლიათ შემდგომი რებილიტაცია განაგრძონ ქალაქგარეთ სარეაბილიტაციო ცენტრებში , რომელთა მიზანია – პიროვნების ხელახალი ჩამოყალიბება, სარეაბილიტაციო ცენტრებში გამოყენებული ფსიქოთერაპიული მეთოდები მიმართულია ინტელექტუალური გადამუშავების გზით სიამოვნების შეგრძნების უნარის გაშუალებულ ფორმირებაზე. ასეთი ცენტრების წყალობით, ხუთი წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა დახმარებოდნენ, ნარკოტიკების ხმარებისაგან უარი ეთქვათ დაახლოებით იმდენივე რაოდენობის ახალგაზრდა ადამიანს, რამდენიც გათავისუფლდა ამ დამღუპველი ჩვევისგან წინა 15 წლის განმავლობაში.

სარეაბილიტაციო საქმიანობის ზოგადი ამოცანები კი მდგომარეობს იმაში, რომ სრულყონ თითოეული პაციენტის შესაძლებლობები დამოუკიდებლად გადაჭრან თავიანთი პრობლემები, გადალახონ სიძნელეები, გამოიმუშაონ ჩვევები, რათა აუცილებელი დახმარებისათვის მიმართონ მათ. [19,89-90]

სოციალური პათოლოგიის ფსიქოპროფილაქტიკა, ადიქცია და სოციალური უთანასწორობა, როგორც დევიაციის ფაქტორები

თანამედროვე მეცნიერებაში ნეგატიური სოციალური მოვლენების დეტერმინაციის პროცესი, მათ შორის, დევიანტური ქცევა, განიხილება, როგორც იმ ფაქტორთა რთული იერარქიული სისტემა, რომელიც ვლინდება რამდენიმე დონეზე: ინდივიდუალური ქცევის, პატარა სოციალური ჯგუფების ქცევების, სოციალური გაერთიანებების, მთლიანად საზოგადოების დონეზე.

დევიაციის ფორმირების ერთ-ერთი მექანიზმია ადიქცია – დამღუპველი მიდრეკილება რაიმეს მიმართ, სწრაფვა შეცვალო არაკომფორტული, ფსიქიკური მდგომარეობა არა ცივილიზებული საშუალებით, არამედ ზოგიერთი ნივთიერების მიღებით ან ყურადღების ფიქსირებით გარკვეულ საგნებზე (მოქმედების სახეობებზე). ასეთი ნივთიერებების განმეორებით მოხმარება თანდათან იწვევს ადამიანთა ცხოვრების მართვას, ართმევს მას წინააღმდეგობის გაწევის სურვილს. ქცევის მსგავსი ფორმა დამახასიათებელია ფსიქოლოგიური სიძნელეების გადატანის დაბალი უნარის მქონე ადამიანებისთვის და განპირობებულია სწრაფვით, რაც შეიძლება სწრაფად და იოლად მიაღწიოს ფსიქოფიზიოლოგიურ კომფორტს რეალური ცხოვრებიდან გაქცევის საშუალებით, რომელიც მიიღწევა ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარებით და ა.შ. განმეორებით ადიქტიურ რეაქციებს მივყავართ ადიქტიურობის, როგორც პიროვნების თვისების, წარმოქმნასთან, რაც გადაიზრდება დევიანტურ ქცევასა და ცხოვრების წესში, ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას და ფსიქიკას. ადამიანი სულიერად იფიტება, ქრება ძირითადი ადამიანური თვისებები, ჭეშმარიტი ადამიანური ემოციები.

სხვა ფაქტორს წარმოადგენს სოციალური უთანასწორობა, წინააღმდეგობა შედარებით ზომიერად გაზრდილ ადამიანთა მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების არსებითად არათანაბარ შესაძლებლობებს შორის. ამასთან, მთავარია მატერიალური და სულიერი დაკმაყოფელების არა თვით დონე, არამედ სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და ინდივიდისთვის მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებში განსხვავების, „განხეთქილების“ ხარისხი. ინდივიდის მიერ ამ „განხეთქილების“ გაცნობიერება და ამის საფუძველზე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური დაუკმაყოფილებლობის, სოციალური უსამართლობის მყარი შეგრძნება, პიროვნების აღზრდისა და სოციალური განვითარების ნაკლოვანებებთან და შეკავებებთან შეთავსებით, დევიანტური ქცევის ძირითადი დეტერმინანტია, რომელიც ვლინდება პოლიტიკურ ექსტრემიზმში ან მის სხვა ფორმაში.

პრევენციული ფსიქოლოგიის მნიშვნელობა

სამამულო პრევენციული ფსიქოლოგების გამოკვლევების ობიექტებია, უპირატესად, სოციალურ-დეზადაპტირებული ბავშვები და მოზარდები (სხვაგვარად რომ ვთქვათ „ძნელადაღსაზრდელები“, „პედაგოგიკურად

ხელმიშვებულები“), რომელთა გადახრილი ქცევები ატარებს აგრესიულ, ანგარებიან ან სოციალურ-პასიურ თვითდამანგრეველ ხასიათს.

გადახრილი ქცევები სამამულო მეცნიერულ ტრადიციებში, ჩვეულებრივ, შეისწავლება ქცევების ან ცალკეული სოციალური მოქმედების სისტემის ანალიზის საშუალებით, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ სამართლებრივ ან ზნეობრივ ნორმებს. გადახრილი ქცევების ძირითად სახეობებს მიეკუთვნება როგორც დანაშაულებრივი (დელინკვენტური), ასევე მართლსაწინააღმდეგო (სისხლის სამართლის არადასჯადი) ამორალური ქცევა, მაგალითად, სისტემატური ლოთობა, მომხვეჭელობა, სექსუალური და ასოციალური აღვირახსნილობის სხვა ფორმები). თუმცა, დევიანტური ქცევის აღნიშნული გამოყოფილი სახეობები საკმაოდ პირობითია, რადგანაც მორალურ-ზნეობრივი ნორმების იგნორირება ხშირად გადაიზრდება დანაშაულში ან სხვა სამართალდარღვევაში.

გადახრილი ქცევების პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების პრობლემებისადმი ახალი. უფრო მრავალმხრივი (მათ შორის, ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევებზე დაფუძნებული) მიდგომის დამუშავების აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას უარვყოთ ადრე არსებული „დამსჯელი პროფილაქტიკა“, რომელიც დაფუძნებულია სანქციის იმპერატივზე, მკაცრი სოციალური და ადმინისტრაციული კონტროლის ზომებზე. ახალი მიდგომა უნდა შეიცავდეს „დაცვით პროფილაქტიკას“, ე.ი. უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეთა და მათ გაერთიანებათა კონკრეტული კატეგორიების მიმართ სოციალური, სამართლებრივი, სამედიცინო, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური დახმარებისა და ღონისძიებების კომპლექსს.

პრევენციული ფსიქოლოგიის ამოცანები

პრევენციული ფსიქოლოგიის ამოცანათა შორის აუცილებელია გამოვყოთ:

1. გადახრილი ქცევების კანონზომიერებებისა და მექანიზმების გამოვლენა, აგრეთვე იმ ფაქტორებისა, რომლებიც იწვევს სოციოპათოგენებს და მათი ნეიტრალიზაციის ზომების შემუშავება;

2. სოციალურ-სამართლებრივი და საკორექციო-სარეაბილიტაციო პრაქტიკის ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება

დაწესებულებებისა და სხვადასხვა უწყების (სახალხო განათლების, სოციალური დაცვის, ჯანდაცვის, სამართალდამცავი ორგანოების და სხვ.) სპეციალური სამსახურების მიერ.

3. ნარკოდამოკიდებულთა სოციალური რეაბილიტაციის სხვადასხვა მოდელები: მომხმარებელთათვის, როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი მკურნალობის აღმოჩენა სარეაბილიტაციო ცენტრებსა და სასჯელაღსრულებით საწესებულებებში.

თავი IV. ნარკომანიის პრევენცია საზღვარგარეთის ქვეყნებში

§1 ნარკომანიასთან ბრძოლის ტენდენციები გაეროს მოხსენებების მიხედვით

დღეისათვის მსოფლიოში, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, გლობალიზაცია, უკვე, შეუქცევად პროცესად იქცა, თუმცა, არც ანტიგლობალისტების რაოდენობაა მცირე. მიუხედავად გლობალიზაციის თანმდევი დადებითი და ნეგატიური გარემოებებისა, დღეისათვის, მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული, საერთაშორისო ტერორიზმი და ნარკობიზნესი ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს და ამ გარემოებებს, თავის მხრივ, ხელს უწყობს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესიც. მსოფლიოში ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელებას მიზეზები შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი თუ ზნეობრივი ხასიათის. ნარკომანია, თანამედროვე საზოგადოების სოციალური დაავადებაა. მასთან ეფექტურად საბრძოლველად, აუცილებელია მისი კარგად შესწავლა, ანალიზი და ზუსტი დიაგნოზირება. სრულად და ობიექტურად უნდა იყოს აღქმული ყველა ის სირთულე და პრობლემა, რაც, შესაძლოა წარმოიშვას ამ ბრძოლის დროს.

როგორც ცნობილია, 1998 წლის ივნისში გაეროს გენერალური ასამბლეის ნარკოტიკების გავრცელებისადმი მიძღვნილ სპეციალურ სესიაზე მრავალი სახელმწიფოს მეთაურის და მთავრობის გამოსვლას, ლეიტმოტივად გასდევდა ღრმა შეშფოთება ამ საშიშროების შეუნელებელი ზრდის გამო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ის ქვეყნები აღმოჩნდნენ, რომლებსაც აქვთ გარდამავალი ეკონომიკური მდგომარეობა და ამასთან დაკავშირებული სიძნელეები.

ნარკობიზნესის ტრანსნაციონალიზაცია, მისი შემტევი სტრატეგია მეორე ათასწლეულის მიჯნაზე, დაკავშირებულია ისეთ ტრადიციულ და მრავალფეროვან მიზეზებთან, როგორიცაა მაგალითად: სიღარიბის პრობლემა, პოლიტიკური კრიზისები, სოციალური პრობლემები და ა.შ. 90-იანი წლებში დაწყებულმა გლობალიზაციამ გამოიწვია ფინანსური, საბანკო, სავაჭრო, ტექნოლოგიური, საინფორმაციო და სხვადასხვა სფეროების უდიდესი წინსვლა და განვითარება. ეს ფაქტორები, ერთი მხრივ, ცხოვრების დონის ამაღლებას იწვევენ, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდებოდა. ხოლო მეორეს მხრივ, კი, ნარკოსაქმოსნებისთვის ქმნიან ახალ საშუალებებსა და პერსპექტივებს. ეს

აისახება არა მარტო ნარკოტიკების წარმოების სტრუქტურებსა და საშუალებებზე, არამედ მის გადაზიდვაზე, ვაჭრობასა და მოხმარებაზეც.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული მსოფლიო მოხსენებებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ თანამედროვე მსოფლიოში, დაახლოებით, 200 მლნ. ადამიანზე მეტი მოიხმარს სხვადასხვა სახის ნარკოტიკულ ნივთიერებას. მათ შორის 140 მლნ. ადამიანი ეწევა მარიხუანას. ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკ კოკაინს მოიხმარს 13 მლნ. ადამიანი, ჰეროინს - 8 მლნ. ადამიანი, 30 მლნ. ადამიანი ბოროტად იყენებს ამფეტამინების ტიპის მასტიმულირებლებს. ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ეს კი ძირითადად ახალგაზრდობის ხარჯზე ხორციელდება. ზოგიერთ ქვეყანაში კი მოსწავლეებისა და სრულწლოვან ახალგაზრდათა რიცხვი, რომელთაც, ერთხელ მაინც აქვთ გასინჯული მარიხუანა, დაახლოებით 37%-ს შეადგენს. [იხ.სურ.11] ასევე სწრაფად იცვლება საერთაშორისო დანაშაულებრივ დაჯგუფებათა არალეგალური საქმიანობა. თავისი საერთაშორისო ხასიათის და საბაზრო საფუძვლების წყალობით, ნარკობიზნესი უფრო სწრაფად იძლევა რეაქციას ყველა ცვლილებაზე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ლეგალური ბიზნესი. ნარკოქსელის გაფართოებისა და ექსპანსიისათვის წარმატებით გამოიყენება გლობალიზაცია. გააქტიურებულია ნარკობიზნესით დაკავებული ორგანიზაციების ჩრდილოვანი ეკონომიკის უპირატესობანი, სახეზეა უკონტროლობა, უზარმაზარი კაპიტალის კონცენტრაცია, კორპორატიული ტიპის საერთაშორისო ქსელური თანამშრომლობა, რომელიც მოიცავს ნარკოინდუსტრიის ძირითად ღერძებს და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა ერთ ქსელში ჩაბმას. მსოფლიოში გაანალიზებულია რა ნარკოტიკული დანაშაული, დაფიქსირებულია, რომ ნარკოტიკულ დანაშაულთა რაოდენობა 285 ათასს აღწევს. მათ შორის დიდია ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების წილი. [იხ. სურ. 9]. ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ერთად, ხელს უწყობს მწარმოებლის, მომხმარებლისა და ქვეყნიდან ნარკოტვირთის ტრანზიტის უსაფრთხოების განვითარებას. ნარკოტიკებს, აკრძალვის გამო, მაღალი ფასი აქვს, რაც განპირობებულია არა თვითღირებულებით, არამედ ისეთი გარემოებით, როგორებიცაა ნარკობაზარზე მომხმარებლის მოთხოვნა და ნარკოტიკული საშუალების წარმოების ადგილიდან სიშორე.

გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლოოში მუდმივად არსებობს მოთხოვნილება ნარკოტიკულ საშუალებებზე, ნარკოინდუსტრია საკმარისად გამძლეა და

სერიოზული კონკურენციის არარსებობის გამო, საკმაოდ დიდი მოგება მოაქვს ამ ბიზნესით დასაქმებულ პირთათვის. მსოფლიო ნარკოინდუსტრიის წლიური ბრუნვა გაეროს მიერ დაახლოებით 400 მლრდ. ამერიკულ დოლარად არის შეფასებული, რაც მთელი საერთაშორისო ვაჭრობის ბრუნვის 8%-ს შეადგენს. მარტო კოლუმბიური კარტელები, წარმოდგენილი 500-ზე მეტი კომპანიით, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, აშშ-ში ნარკოტიკებით ვაჭრობით ყოველწლიურად 20 მლრდ. აშშ დოლარის სუფთა მოგებას იღებდნენ. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ამ დროისთვის კოლუმბიის, ბოლივიის და პერუს სახელმწიფო ბიუჯეტები დაახლოოებით 9 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

მსოფლიოში ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ ოპერაციებს 200-300%-იანი მოგება მოაქვთ, ეს გარემოება კი ძალზედ მიმზიდველია სხვადასხვა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციებისთვის სხვა კრიმინალური დაჯგუფებებისთვისაც კი, რომელთა მიზანიც უმოკლეს ვადებში მაქსიმალური მოგების მიღებაა. ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვაში ჩართულია სხვადასხვა ორგანიზაცია, რაც, თავისთავად, ნარკოინდუსტრიის სრულყოფას ემსახურება. ამ პროცესისი გასაუმჯობესებლად აქტიურადაა გამოყენებული მსოფლიოს მეცნერული და ტექნიკური მიღწევები. მრავალი ტრანსნაციონალური ნარკოსინდიკატი თავიანთი არალეგალური საქმიანობისათვის იყენებს ყველაზე თანამედროვე შეიარაღებასა და საბრძოლო მასალებს, ელექტრონული სისტემების, საკუთარი უსაფრთხოების უახლეს მეთოდებს. ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, სხვადასხვა დაჯგუფება და ნარკოკარტელები, ნარკოტიკული საშუალებებისგან მიღებული მოგების ნაწილს, იყენებენ ძვირადღირებული ტექნიკის შესაძენად. სპეციალისტთა შეფასებით, ნარკობიზნესი, ახალი „სიგნალური დაზვერვის ტექნიკის" შესაძენად, ყოველწლიურად, დაახლოებით 130 მლნ. დოლარს ხარჯავს. ნარკოკარტელებს ჰყავთ შესანიშნავად შეიარაღებული დაცვა, მათ შეიარაღებაშია ყველაზე თანამედროვე იარაღი, რაც შესაბამისად, მათთან ბრძოლას ძლიერ ართულებს.

ნარკომოვაჭრეები, ნარკოტიკების ტრანსპორტირებისა და რეალიზაციისათვის, მუდმივად სხვადახვა ხერხს მიმართავენ. მაგალითად, საინტერესოა შემდეგი ფაქტი – 2000 წლის 8 სექტემბერს მსოფლიო საინფორმაციო არხებით გავიდა შეტყობინება, რომ კოლუმბიის ქალაქ ფაკატატივაში, მუშათა გარეუბანში

აღმოაჩინეს პრაქტიკულად გამართული 30 მეტრიანი წყალქვეშა ნავი, რომლითაც ნარკოტიკების მწარმოებლები აპირებდნენ თავისი პროდუქციის გატანას. ცხადია, ნარკობიზნესის განვითარება მჭიდრო კავშირშია იარაღით ვაჭრობასთან. ყოველწლიურად ისინი მსოფლიოს ყოველი რეგიონიდან იძენენ 100 ათას ერთეულ ცეცხლსასროლ იარაღს; ვლინდება 500-ზე მეტი საიდუმლო ასაფრენი ბილიკი და მოედანი, ნარკოსინდიკატის მიერ გამოყენებული ამდენივე რაოდენობის საფრენი აპარატი, გაფრენის დროს ვარდება ან კონფისკაციას განიცდის. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად, სულ უფრო და უფრო იზრდება იმ ფრენების რიცხვი, რომლითაც ხორციელდება ნარკოტიკული ტვირთის ტრანსპორტირება.

მნიშვნელოვანია ასევე საკითხი, თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის გასამარტივებლად როგორ ხორციელდება ტრანსნაციონალური ორგანიზაციების კონტაქტები. უკონტაქტო გარიგებებისათვის ფართოდაა გავრცელებული გლობალური საინფორმაციო ქსელის – ინტერნეტის გამოყენება. სააგენტო „როიტერის" მონაცემებით, ნარკომოვაჭრეები და მათი კლიენტები, უფრო ხშირად დებენ გარიგებებს ინტერნეტის საშუალებით, რომელიც პროგრამულ-აპარატული საშუალებებით, დაცულია სხვა თვალისაგან. მსგავსი გარიგებების მოძიება, სამართალდამცავებისთვის, თითქმის შეუძლებელია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინტერნეტ აფთიაქები, რეცეპტის გარეშე, ავრცელებენ სხვადასხვა ფსიქოტროპულ პრეპარატს. მაგალითად, ჰოლანდიისა და კანადის კომპანიები, ინტერნეტის საშუალებით, მთელს მსოფლიოში ვაჭრობენ კანაფის თესლებით, ბალახოვანი ექსტაზით, ეფედრინითა და სხვა საშუალებებით.

მრავალი ტრანსნაციონალური ორგანიზაცია, თავის მხრივ, ახორციელებს ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალის ლეგალიზაციას. ამ თანხების ლეგალიზაციაც ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს. ეს ორგანიზაციები, ფულის გასათეთრებლად, ხშირად იყენებენ ინტერნეტ ბანკებს. შესაბამისად, ძლიერდება ნარკობიზნესი, რაც მრავალ სახელმწიფოს უქმნის დამატებით პრობლემებს. როგორც ცნობილია, ნარკოტიკების საერთაშორისო ბაზარი მსოფლიოს ყველა რეგიონს და პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოს მოიცავს, მაგალითად მხოლოდ რუსეთის ფედერაციის საზღვრებში 2–დან 7 მლრდ-მდე დოლარი „ნარკოფული" თეთრდება. 1996 წელს სინგაპურში დაკავებული იქნა ნარკომოვაჭრეთა ორგანიზაციის 20 მილიონ დოლარამდე

თანხა. მაგალითად, ავსტრალიაში, ფულის გათეთრება, ყოველწლიურად, დაახლოებით 3,5 მლრდ დოლარს შეადგენს. აქ, მაგალითად, აღმოჩენილ იქნა ნიუ-იორკში ჰეროინის გაყიდვით მიღებული 20 მილიონ დოლარზე მეტი თანხის გათეთრების ქსელი და ამოღებული იქნა ჰონგ-კონგსა და ავსტრალიაში კანაფით მოვაჭრე დანაშაულებრივი სინდიკატის ფონდის 40 მილიონ დოლარზე მეტი თანხა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხერხდებოდა ნარკობიზნესით მიღებული შემოსავლების გათეთრების ძირითადი არხების გადაკეტვა, მაშინ ნარკობიზნესი თავის ხიბლს მნიშვნელოვანწილად დაკარგავდა. მაგრამ ასეთი არხების გადაკეტვა არ ხერხდება, რადგან არსებობს ფულის გათეთრების უამრავი საშუალება და ფრიად გავლენიანი ძალები ამ ყველაფერს ხელს უწყობენ პირადი ინტერესების გამო.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ იგი, ხშირად, კორუფციის მასტიმულირებელიცაა. [72,24-43] მისი დახმარებით ნარკოკარტელები და ნარკობიზნესში ჩაბმული სხვა დანაშაულებრივი ჯგუფები, ცდილობენ თავისი ბიზნესის წარმოების გაადვილებას და პასუხიმგებლობისაგან თავის არიდებას. მოგების ნაწილი იხარჯება საჭირო ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად გროვდება ინფორმაცია სამთავრობო ორგანოებში კორუმპირებულ ჩინოვნიკებზე, მონაცემები ბაზრის კონიუნქტურაზე, ნარკოტიკების ფასების ცვალებადობაზე. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მექსიკური კარტელი „ტიხუანური“ - ყოველკვირეულად 1 მილიონ დოლარს ხარჯავს მექსიკელი მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის, პოლიციისთვის, არმიისთვის, საბაჟოსთვის გათვალისწინებულ ქრთამებზე. მექსიკის გენერალურმა პროკურორმა აღიარა, რომ ტიხუანში მოსამართლეთა და პროკურორთა 90% მოსყიდულია ნარკოკარტელის მიერ. ნარკობიზნესზე მსჯელობისას, აღსანშნავია მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტენდენცია – მისი ინდუსტრიალიზაცია. ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ წარმოება იღებს კარგად აწყობილ ინდუსტრიის სახეს. უკანონო წარმოების მიწისქვეშა ლაბორატორიები, ორგანიზაციის ტექნოლოგიური სირთულის მიხედვით, შეიძლება დაიყოს კუსტარულად, რომლებიც, როგორც წესი, დაბალი მწარმოებლობით ხასიათდება და იწარმოება რთული ქიმიური რეაქციების გარეშე და წარმოებად, რომელიც გამოირჩევა მაღალმწარმოებლობით და სინთეტიკური ნარკოტიკების მისაღებად იყენებს რთულ ქიმიურ სინთეზს. ამ საკითხს, შედარებით დაწვრილებით შევეხებით ამავე თავში.

XX საუკუნის ბოლოსათვის შეინიშნებოდა ნარკოტიკული ნივთიერების წარმოების კონცენტრაციისა და გაძლიერების ტენდენცია. ამას ადასტურებს კოკაინის წარმოების ლაბორატორიების აღმოჩენათა მრავალრიცხოვანი ფაქტი. კოლუმბიის ანტინარკოტიკული პოლიციის მონაცემებით, ბოლო წლებში ცენტრალურ კოლუმბიაში აღმოჩენილი და განადგურებულ იქნა მიწისქვეშა ლაბორატორიების კომპლექსი, რომელსაც მსხვილი შეიარაღებული დაჯგუფება იცავდა. ამ ლაბორატორიებთან არსებობდა ნარკოტიკების ტრანსპორტირებისათვის არსებული რამდენიმე ასაფრენი ბილიკი. ლაბორატორიები მოწყობილი იყო თანამედროვე სისტემებით და გამოირჩეოდა მაღალი წარმოების პროცესის ორგანიზებულობით. შეშფოთებას იწვევს გარემოება, რომ იზრდება ნარკოტიკული ნივთიერებების მწარმოებელთა მობილობაც. გამოვლენილია ფურგონებში ან სატვირთო მანქანებში ჩამონტაჟებული ნარკოტიკების დასამზადებელი ლაბორატორიების ფაქტები. მსგავსი ლაბორატორიები გზაში აგრძელებენ წარმოებას და მიწოდების ადგილზე უკვე მზა პროდუქტი ჩააქვთ. იუხედავად იმისა, რომ ხშირია ამდაგვარი ლაბორატორიების აღმოჩენა და მათი ლიკვიდაცია, [იხ. სურ. 2], მაინც ასეთი ლაბორატორიები, საკმაოდ იშვიათად ხვდებიან სამართალდამცავი ორგანოების ხელში. მაგალითად, კოლუმბიაში აღმოჩენილი ერთ-ერთი მსგავსი ლაბორატორიის სიმძლავრე დღე-ღამეში 70გ კოკაინს შეადგენდა.

XX-ე საუკუნის ბოლო ათწლეულში ნარკობიზნესის განვითარების უმნიშვნელოვანეს ტენდენციად შესაძლებელია ჩაითვალოს სინთეტიკის როლის გაზრდა, ეს გარემოება მცენარეულ ნარკოტიკებთან შედარებით სინთეტიკური ნარკოტიკების რამდენიმე უპირატესობით აიხსნება. სინთეტიკების მრავალფეროვნება და მათი ანალოგიების სწრაფი სინთეზირების შესაძლებლობა ძლერ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო ნარკობაზარზე. ძირითადი პროდუქტების შეცვლისას სპეციალისტები, კერძოდ ქიმიკოსები, იღებენ სინთეტიკის ახალ სახეობებს, რომლებიც არ შედიან აკრძალულ და კონტროლირებად ნარკოტიკთა ეროვნულ სიებში. მნიშვნელობა აქვს, ასევე, ახალი ნარკოტიკული ნივთიერებების, ფსიქოტროპიული ზემოქმედების ან ძლიერმოქმედი ნივთიერებების ოფიციალურ სიებში მოხვედრასაც. ნარკოტიკული საშუალებების წარმოებისთვის საჭირო ქიმიური ნივთიერებების მრავალფეროვნება, ძირითადი კომპონენტების ცვალებადობა უზრუნველყოფს მათ წარმოებას და დაბალ ხარჯებს. ამ სიტუაციაში ძირითად კომპონენტად შეიძლება გამოყენებულ იქნას არაკონტროლირებადი ანალოგები, რაც თავის

მხრივ, რისკის ფაქტორს ამცირებს. მაგალითად, ჰოლანდიაში ნარკოტიკული ნივთიერებების მწარმოებლები „ექსტაზის" ერთი დოზის წარმოებაში 7-9 ცენტს დებენ და შემდეგ ბითუმად 8-15 დოლარს ამოიღებენ. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალებები მომხმარებელზე საკუთარი მოქმედების ძალით ათასჯერ სჯობნიან თავის წინამორბედებს. სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალებების წარმოების პროცესი არაა დაკავშირებული ნედლეულთან, მათი ტრანსპორტირებისა და გადაზიდვის ადგილთან. ამ გარემოებიდან გამომდინარე შეინიშნება სინთეტიკური ნარკოტიკების მიმოქცევის დეცენტრალიზაცია. მკვეთრად მცირდება რგოლები ჯაჭვში - „მწარმოებელი-მომხმარებელი", რაც მნიშვნელოვნად ამცირებს რისკის ფაქტორსა და ხარჯის რაოდენობას. სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენა გაცილებით უფრო რთულია მისი მომოქცევის ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს მისი შექმნის სტადია, ტრანსპორტირება თუ ვაჭრობა. თუ დავაკვირდებით ბოლო წლების ტენდენციებს, დავასკვნით, რომ, ბოლო წლებში, სინთეტიკური ნარკოტიკების მრავალი ახალი სახეობა ჩნდება. მათ წარმოებაში გამოიყენება უკანასკნელი მეცნიერული მიღწევები. მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები ინვესტირდება ახალი ნარკოტიკების დამოუკიდებელი გამოკვლევებისა და მათი წარმოების სრულყოფილი ტექნოლოგიების მოსაძებნად. ამ საკითხზე, უფრო დეტალურად გვექნება საუბარი ამავე თავში.

ნარკოტიკულ საშუალებათა მიმოქცევის საერთაშორისო მასშტაბმა და მათი არალეგალური ტრანსპორტირების საერთაშორისო ქსელში მეტი სახელმწიფოს ჩართვამ, ფაქტობრივად, წაშალა ათწლეულობის განმავლობაში დამკვიდრებული „მომხმარებელისა" და „მწარმოებლის" განსხვავება. აღსანიშნავია, რომ 90-იან წლებში ნარკობიზნესი განვითარდა ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ადრე ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო მიმოქცევა და მათი ბოროტად გამოყენება საერთოდ არ აღინიშნებოდა. გაეროს ექსპერტები ამ განვითარების მიზეზებს მიაწერენ გლობალურობას, რაც მსოფლიო პოლიტიკითა და ეკონომიკითაა განპირობებული. სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო მგზავრობების და კავშირების, ეროვნული საზღვრების და გლობალური ფინანსური ქსელების არსებობამ გამოიწვია, როგორც კანონიერი, ასევე უკანონო პროდუქციის მსოფლიო ბაზრების გაჩენა. ორგანიზებული ნარკოდამნაშავეობის განვითარება და გაქანება შეიძლება ჩაითვალოს იმ შესაძლებლობათა ანარეკლად, რაც მოჰყვა საერთაშორისო ურთიერთობების გარდაქმნას და საკუთრივ, სახელმწიფოს სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

დიდ ინტერესს იწვევს ის მიზეზები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო ნარკობიზნესის ქსელის განვითარებას. შესაძლებელად მიგვაჩნია გამოვყოთ შემდეგი ელემენტები:

- მთავრობათა ზოგადად სუსტი საქმიანობა;
- სახელმწიფოს უუნარობა, განახორციელოს სრულყოფილი კონტროლი მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე;
- სახელმწიფოს პასიური, უკანდამხევი, პოლიტიკის გატარება ნარკობიზნესთან ბრძოლაში ან „ჩუმი შემრიგებლობის" პოლიტიკა;
- თითქმის ყველა ქვეყანაში, ნარკობიზნესის განვითარების ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორად ითვლება პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა; ეს დაკავშირებულია ნარკოტიკების წარმოებიდან და გაყიდვიდან მიღებული მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებასთან. საზოგადოებისთვის ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდიდან მიღებული ფინანსები ხმარდება იარაღის შეძენას სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული კონფლიქტების გასაღვივებლად.
- ნარკობიზნესის განვითარების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მრავალ ქვეყანაში სოციალური ინსტიტუტების შესუსტება და დისფუნქცია, პოსტსოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების ძალიან სწრაფი ტემპები. აგრეთვე კანონის არ არსებობა ან არასრულყოფილება, ან მისი შესრულების უკონტროლობა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამწვავება, რაც ერთიანობაში, შესაძლებელია, ჩაითვალოს ნარკობიზნესის განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოებად.
- მთავრობათა კორუმპირებულობა, რომელთა წევრებიც იღებენ უზარმაზარ მოგებას კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელებით. სახელმწიფო მოხელეები, ნარკობიზნესის წინააღმდეგ, არ მიმართავენ არანაირ ბრძოლის ხერხებს. რიგ ქვეყნებში, იყენებენ რა კორუმპირებულ პოლიტიკოსებს, მოკავშირეებს სამართალდამცავ ორგანოებში, არმიაში, საბაჟოში, ნარკომაფიამ ძლიერ გავლენას მიაღწია.

მაგალითად, ბოლივიაში, 80-იან წლებში ე.წ. „ნარკოკრატია“ მთავრობისა და ნარკოტიკებით მოვაჭრე დანაშაულებრივ ორგანიზაციათა შორის. სპეციალისტები ადასტურებენ, რომ შეუძლებელი იყო ბოლივიის სამხედრო მთავრობის და ნარკომომწოდებელთა შორის ზღვარის გავლება. ამავე დროს, ქვეყნის სუვერენიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მსგავსი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, ხშირ შემთხვევაში ,უზრუნველყოფდა მათ დაცვას სხვა ქვეყნების მცდელობისგან შეეჩერებინა მათი დანაშაულებრივი საქმიანობა.

- მნიშვნელივანი ფაქტორია, აგრეთვე, განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოთა შორის უთანასწორობის შენარჩუნება. არასახარბიელო მდგომარეობა, რომელშიც განვითარებადი ქვეყანა აღმოჩნდა, ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს მათი კანონიერი კომერციული საქმიანობის გზით მიღებულ შესაძლებლობათა რეალიზაციას და ნორმალურ ეკონომიკურ პროგრესს. შეიძლება ითქვას, რომ სიღატაკის დასაძლევ, ერთ-ერთ მიმზიდველ ალტერნატივად იქცევა კანონსაწინააღმდეგო ბიზნეს-საქმიანობა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის მნიშვნელოვანმა სისუსტემ და არასტაბილურობამ კულტივირებული გახადა კოკას და ოპიუმის მოყვანა ადგილობრივი გლეხებისთვის მაგალითად, ბოლივიაში, პერუში და რიგ ქვეყნებში, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

- ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია, აგრეთვე, სხვადასხვა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად სტიმულია უკანონო ბიზნესში ჩაბმისათვის. ეკონომიკური კრიზისების პირობებში, ნარკობიზნესში მონაწილეობა თითქოს წყვეტს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დასაქმების პრობლემას. მაგალითად, კოლუმბიაში ნარკოტიკით მოვაჭრეებმა უზრუნველყვეს მუშახელის დასაქმება, მოიპოვეს რა ამით ადგილობრივი მოსახლეობის სიმპათიები. მსგავს ლოიალობას დამნაშავეობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს სამართალდამცავი ორგანოების შედეგიან და ეფექტურ საქმიანობას.

ზემოაღნიშნული მიზეზები გვაძლევენ საშუალებას დავასკვნათ, თუ, მრავალ ქვეყანაში, რა არის ნარკობიზნესის მასტიმულირებელი გარემოებები. მრავალი მეცნიერი და მკვლევარი აღნიშნავს სხვადასხვა მოვლენას, რომლებმაც

მოახდინეს ნარკოინდუსტრიის განვითარება. ამ მოვლენებზე საუბრისას, აღსანიშნავია, XX-ე საუკუნის ბოლო ორი ათწლეული და ამ პერიოდში მომხდარი სხვადასხვა მოვლენა:

- როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში 80-იან წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება კოკაინზე. ასეთმა დიდმა მოთხოვნილებამ გამოიწვია კოლუმბიის ნარკოკარტელების მაქსიმალურად გააქტიურება. მათ გააძლიერეს წარმოება, რათა დაეკმაყოფილებინათ ამერიკის ბაზარზე არსებული დიდი მოთხოვნილება. ნარკოკარტელებმა დიდი შემოსავლის მისაღებად ჩამოიშორა თითქმის ყველა კონკურენტი, რომელსაც შეეძლო ნარკოტიკების მიწოდება ამ ბაზარზე;

- მნიშვნელოვან მოვლენად ნარკობიზნესთან დაკავშირებით შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრა 1979 წელს და ამ კონფლიქტის ხანგრძლიობა, მან ხელი შეუწყო ოპიუმის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, აფინანსებდა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მიმართულ საბრძოლო მოქმედებებს. არსებობს მოსაზრება რომ, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ სპეციალურად შემუშავებული პროექტი სახელწოდებით „თეთრი ჯიჰადი" აღვივებდა საბჭოურ-ავღანური კონფლიქტს, ავღანეთის ტერიტორიას იყენებდა ნედლეულის საწარმოებლად და შემდეგ ამ ნედლეულის გადასასროლად სსრკ-ის ტერიტორიაზე. აგრეთვე საომარმა კონფლიქტმა ნარკომოვაჭრეებს საშუალება მისცა ირანის და პაკისტანის მოჯაჰედების მხარდაჭერით ეს ქვეყნები სატრანზიტო მარშრუტებად გადაექცია;

- შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა აღინიშნოს ისლამური რევოლუცია ირანში, როდესაც ფუნდამენტალისტებისთვის ირანის მთავრობის მხარდაჭერამ ბექაას ხეობაში შეწყვიტა ანტინარკოტიკული ოპერაციები ლიბანსა და მთელს რეგიონში და ხელი შეუწყო ირანს, გამხდარიყო ჰეროინის გავრცელების რთულ სისტემაში ერთ-ერთი მთავარი მოქმედი სახელმწიფო;

- აღსანიშნავია, აგრეთვე, სასტიკი ანტინარკოტიკული ზომები, რომლებიც მიღებული იყო კოლუმბიასა და მექსიკაში 80-იან წლებში, რამაც შეცვალა წარმოების და გაყიდვის გეოგრაფია და შემდგომში ნარკოტიკების წარმოება დაიწყო ბრაზილიაში, ვენესუელაში, ეკვადორში, ხოლო მთავარ

საკვანძო პუნქტებად იქცნენ სურინამი, ჰაიტი და პარაგვაი; ინტერესს იწვევს აგრეთვე, 1989 წელს კოლუმბიის პრეზიდენტობის კანდიდატის კარლოს გალანის მკვლელობის შემდგომი ინტენსიური ზომების გატარება და პანამაში 1989 წლის დეკემბერში აშშ-ის ინტერვენცია ლათინური ამერიკის ნარკოინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეტანით. პანამამ დაკარგა თავისი, ნარკოვაჭრობის უმსხვილესი ცენტრის სტატუსი, კოლუმბიაში შემცირდა კოკაინის წარმოება, მაგრამ მუხედავად ამისა, სამაგიეროდ გაიზარდა მისი წარმოება პერუში, გაფართოვდა ანტინარკოტიკული ოპერაციები არგენტინაში, ჩილესა და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში; უკვე 90-იანი წლების პერიოდში, აშშ-ის ბაზარი უკვე გავსებული იყო კოკაინით. შემდგომში ნარკომოვაჭრეებმა ბაზრების და „პროდუქტის“ დივერსიფიკაციას მიჰყვეს ხელი. ლათინოამერიკელმა ნარკომოვაჭრეებმა აითვისეს და გააფართოეს ევროპის, იაპონიის და შუა აღმოსავლეთის ბაზრები. კალის კარტელმა კურიერები კოკაინის კონტრაბანდისათვის გააგზავნა პოლონეთში. ჩეხეთის და პოლონეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა აღმოაჩინეს ორგანიზაციის იატაკქვეშა ქსელი, რომელიც ამ დროისთვის უკვე მოიცავდა პოლონეთს, ჩეხეთს და ნიდერლანდებს, ამ ქსელის ცენტრს კი წარმოადგენდა ჩეხურ-კოლუმბიური დიდი კომპანია;

- მნიშვნელოვანი გარემოება და ამასთანავე დიდ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი რომ ნარკოტიკული ნივთიერებების ვაჭრობამ მიიღო ინტერნაციონალური სახე. მაგალითად, მრავალი ქვეყანა არ წარმოადგენს ნარკოტიკული ნივთიერებების მწარმოებელს და ხშირ შემთხვევაში, ესოდენ მწვავედ, ეჯახება ნარკოტიკების მოხმარების პრობლემას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი, მაინც, საბოლოო ჯამში, ღრმად ჩართულნი აღმოჩნდებიან ხოლმე ნარკოვაჭრობის პროცესში საკუთარი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო. აზერბაიჯანმა და უზბეკეთმა შუა აზიის ნარკოვაჭრობაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა შეიძინეს; გალანა, ტრინიდადი და ტობაგო, კოლუმბიიდან აშშ-ში, ხოლო ნიგერია – სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ დასავლეთ აზიაში ჰეროინის გადაზიდვის ნარკოტიკების მოძრაობის მნიშვნელოვან და სტრატეგიულ ტერიტორიებად გადაიქცნენ.

ნარკობიზნესის საერთაშორისო ექსპანსია და სწრაფი ზრდა თავის ქსელებში თანდათანობით ითრევს სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანას. რაც თანამედროვე მსოფლიოს ნარკოსიტუაციის ევოლუციის, ძალზედ მნიშვნელოვანი, მაგრამ არა საბოლოოდ განმსაზღვრელი ფაქტორია. შეიძლება ითქვას, რომ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს აქტიური წინააღმდეგობა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, რაც ხორციელდება მრავალრიცხოვანი პროგრამებით, მაგალითად, გაეროს ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის პროგრამა, ნარკოტიკებთან მებრძოლი მოქმედებების ევროპული გეგმა, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ნარკოტიკების კონტროლის სუბრეგიონული პროგრამა, შუაამერიკული ნარკოსტრატეგია, ანტინარკო ომი და სერტიფიკაციის პოლიტიკა და მრავალი სხვა. ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, აგრეთვე, „ცივი ომის“ პერიოდის დასრულების შემდეგ, პოლიტიკური წინააღმდეგობების შედარებითი შერბილება და სახელმწიფოთა თანამშრომლობა, რაც ნარკობიზნესის წინააღმდეგ, პრაქტიკულად, უფრო განხორციელებადი ღონისძიებაა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი, რომ უკანასკნელ პერიოდში, თითქოს, წარმოუდგენელი იყო თანამშრომლობის პროგრამები, სადაც ერთდროულად იქნებოდნენ ჩართულნი, მაგალითად, ისრაელი, იორდანია და პალესტინის ავტონომია. ცნობისთვის ეს პროგრამა 1999 წლის თებერვალში ამოქმედდა. აგრეთვე, 1990-იანი წლებიდან ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევის აღსაკვეთად, ინდოეთისა და პაკისტანის თანამშრომლობა, რაც, საბოლოო ჯამში, გაეროს ნარკოტიკებთან მებრძოლი განყოფილების ეგიდით განხორციელდა. 1998 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამართა ნარკოტიკების პრობლემებისადმი სპეციალურად მიძღვნილი სესია, ამ სესიაზე განისაზღვრა ნარკოტიკებთან ბრძოლის მიზნები. მათ შორის, მაგალითად, ორჯერ შემცირებულიყო ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და 2008 წლისათვის არსებითად შემცირებულიყო მათი უკანონო წარმოება. იმ პერიოდისათვის, ეს მიზნები ფაქტობრივად, არარეალურად აღიქმებოდა, მაგრამ უკანასკნელი წლების შედეგები, ნათლად მოწმობს, რომ ნარკობიზნესზე ეფექტური კონტროლის განხორციელების გზების ძიება, საბოლოო ჯამში, მაინც იძლევა დადებით ეფექტს.

როგორც ცნობილია, ვენაში არსებულმა გაეროს განყოფილებამ, 2000 წელს გამოაქვეყნა მოხსენება მსოფლიოში იმ დროისათვის არსებული ნარკოსიტუაციის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მოხერხდა არსებითი პროგრესის მიღწევა ორი მთავარი ნარკოტიკული ნივთიერების კოკაინის და ჰეროინის მიმოქცევის

მნიშვნელოვანი შემცირებაში ზემოაღნიშნულ მოხსენებაში გადმოცემულია, რომ მრავალი ქვეყნის მხრიდან, ამ საკითხისადმი სერიოზული მიდგომის წყალობით, კოკას და ყაყაჩოს წარმოება, ადრედაფიქსირებულთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა შემცირებული. მაგალითად, პაკისტანში 2000 წელს ფაქტიურად შეწყდა ოპიუმის ყაყაჩოს წარმოება, გარდა ამისა, თხუთმეტწლიანი პროგრამის განხორციელების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ განადგურებულია მთელი პროდუქცია. აღსანიშნავია, აგრეთვე, ბოლივიაც, სადაც, სამი წლის განმავლობაში, 1997 წელს მოქმედებაში მოყვანილი "ძირითადი გეგმის" შესაბამისად, 78%-ით შემცირდა კოკას უკანონო კულტივირება. 1980-იან წლებში პერუში გაზრდილი კოკას წარმოება, 1992 წლიდან მსოფლიო ბაზარზე 50%-ით ეცემა. ლაოსის პრეზიდენტსა და გაეროს შორის მიღწეული შეთანხმების შემდეგ, 18 თვის განმავლობაში, ოპიუმის კულტივირება ლაოსში, რომელიც ამ დროისთვის მსოფლიოში მესამე ძირითად მწარმოებლად ითვლება, 30%-ით შემცირდა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 1990-იან წლებში ვიეტნამში ოპიუმის ყაყაჩოს კულტივირება 90 %-ით შემცირდა. ტაილანდში ოპიუმის ყაყაჩოს წარმოება შემცირდა ქვეყნის მეფის სასტიკი კონტროლის წყალობით, რომელსაც მხარს უჭერენ სოციალური ინსტიტუტები და საერთაშორისო თანამეგობრობა.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში სტაბილური გახდა ან გარკვეული რაოდენობით შემცირდა; თუ მოვახდენთ შედარებას წინა ათწლეულთან, ნათლად ჩანს, რომ მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა კოკაინის მოხმარება, დასავლეთ ევროპაში სტაბილური გახდა ნარკოტიკული საშუალების ჰეროინის მოხმარება.

ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების შემოსავლების ერთ-ერთი, ყველაზე გავრცელებულ წყაროა ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო წარმოება და გავრცელება. სწორედ ნარკობიზნესის დინამიკამ განსაზღვრა, XX საუკუნის ბოლოს, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების განვითარების საერთო პერსპექტივები.

მსოფლიოში, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით, მომუშავე ექსპერტებს შორის, მუდმივად იწვევს ინტერესს და კამათს ის საკითხი, თუ რომელი ტიპის ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ნარკოკარტელები. აშშ-ის

ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების სპეციალისტები კარტელს განმარტავენ, როგორც „დიდ კორპორაციას, რომელსაც საკუთარი ვიცე-პრემიერები ჰყავს“. ყოველი მათგანი მეთაურობს რომელიმე განყოფილებას ან „კონსორციუმს“, რომელთა წევრებიც ერთობლივად მუშაობენ იმ შემთხვევაში, როცა ეს, მათ ინტერესებში შედის. როდესაც ამის აუცილებლობა უკვე აღარ არსებობს, ისინი საკუთარი რისკის ფასად მოქმედებენ. ამერიკული ჟურნალი “თიმე” კარტელს „კრიმინალურ ოჯახთა კონფედერაციად“ მოიხსენიებს, ხოლო კოლუმბიური ჟურნალი „სემანა“მრავალრიცხოვან დამოუკიდებელ ჯგუფებად“

ახასიათებს, რომლებიც დროთა განმავლობაში, დებენ სტრატეგიულ კავშირებს. ინგლისური ყოველკვირეული „ეკონომისტი“ უარყოფს ამ განსაზღვრებას, და აცხადებს, რომ ტერმინი „კარტელი“ აიოლებს ნარკოტრაფიკით დაკავებული კორპორაციის ორგანიზაციულ სტუქტურას, რასაც, ხშირ შემთხვევებში, მათთან ბრძოლის დროს გარკვეულ შეცდომებამდე მივყავართ. ჩილელი სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ ნარკობიზნესის ტრანსნაციონალურ ხასიათს: „ნარკოტრაფიკი არ წარმოადგენს უკანონო საქმიანობის ერთ-ერთ სახეს. ეს ძალზედ დიდი და რთული ტრანსნაციონალური საწარმოა, რომელმაც თანამედროვე მსოფლიოში ახალი მოვლენის გენერირება მოახდინა, და ამიტომაც დაერქვა მას სახელად ნარკოეკონომიკა“. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის ერთ-ერთი მკვლევარი, ჯეიმს მილზი, ნარკობიზნესს შემდეგნაირად ახასიათებს: „ნარკოტიკთა საერთაშორისო ინდუსტრია - ეს სინამდვილეში, სულაც არ არის ინდუსტრია, იგი იმპერიაა. სუვენერული, თვითკმაყოფილი და ექსპანსიონისტური, ეს ჭეშმარიტი იმპერიაა, თუნდაც შინაგანი ბრძოლებით ხშირად გახლეჩილი, იგი ყოველთვის გამოდიოდა მსოფლიო საზოგადოების წინაშე შეკრული ფრონტით. იგი მსოფლიოს ისევე სასტიკ ექსპლუატატორად ევლინება, როგორც გასული საუკუნეების ნებისმიერი იმპერიული სახელმწიფო, ისეთივე დიდი, როგორც ბრიტანეთის იმპერია, ისეთივე მზა გადაწყვეტილებისათვის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები. ეს მიწისქვეშა იმპერიაა, აგრესიული და მოძალადე საკუთარი ბუნებით. ჰყავს საკუთარი არმია, დიპლომატიური და სადაზვერვო სამსახურები, ბანკები, სავაჭრო ფლოტი და ავიახაზები. ის საკუთარი ბატონობის გაფართოვებას ნებისმიერი საშუალებით ცდილობს, არალეგალური ძირსგამომთხრელი საქმიანობით დაწყებული, და ღია ომებით დამთავრებული.“

ნარკოკარტელთა დიდი მრავალფეროვნების მიუხედავად, იქ უმთავრესად მაინც შიში და დისციპლინა მეფობს, რადგან ამ სამყაროში დასჯის ფორმა არის ერთი – სიკვდილი. უცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციები თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებისას, ახდენენ სრულ იგნორირებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფოთა საზღვრები, ეროვნული სუვენერიტეტი და ა.შ. ეს მაშინ, როცა მათთან მებრძოლი საერთაშორისო და ეროვნული სამსახურები, იძულებულნი არიან ამ ბრძოლის დროს იმოქმედონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სრული დაცვით.

ნარკოვითარება გაეროს 2006 წლის ანგარიშის მიხედვით

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულობასთან ბრძოლის სამმართველოს აღმასრულებელი დირექტორი ანტონიო მარიო კოსტა, მის მოხსენებაში ნათქვამია შემდეგი: „ნარკოტიკები ყველგანაა“ - შეწუხებულნი აცხადებენ მშობლები. „ნარკოტიკების პრობლემა აღანაირ კონტროლს არ ექვემდებარება“ ირწმუნებიან აღშფოთებული ჟურნალისტები. „მოახდინეთ ნარკოტიკებისა და ნარკოტიკების ლეგალიზაცია და დანაშაული შემცირდება“- გვთავაზობენ სხვანი.

ემოციების ამდაგვარი ტალღა გამართლებულია ძირითადად იმ საზოგადოებაში, სადაც ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვა დანაშაულების, ძალადობის, დაავადებებისა და სიკვდილიანობის მიზეზია. თუმცა, ზოგადსაკაცობრიო სტატისტიკა საწინააღმდეგოზე მეტყველებს: ნარკოტიკულ საშუალებებზე კონტროლი რეალურად არსებობს, ხოლო ნარკოტიკების გავრცელება მსოფლიოში მდგრადობას ინარჩუნებს.

კაცობრიობა XXI საუკუნეში შევიდა ბევრად უფრო ნაკლები ადგილებით,სადაც ნარკოტიკული საშუალებების შემცველი კულტურების ნათესებისთვისაა განკუთვნილი, ვიდრე ეს 100 წლის წინ არსებობდა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ადამიანთა ძალისხმევით შესუსტებულია ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვის გამო არსებული მუქარა; საუკუნის მეოთხედში შესაძლებელი გახდა ნარკომანიის გაზრდის ტენდენციების გარდატეხა, რომელსაც, თუკი მართლაც არ იქნებოდა მისდამი რეალური წინააღმდეგობა, შეეძლო გლობალური პანდემიამდე მიეღწია. ნარკოტიკების უკანონოდ გავცელება მოიცავს სამ ძირითად ელემენტს. ესენია:

- ნარკოტიკების მოყვანა და წარმოება;
- ტრანსპორტირება და ვაჭრობა;
- მოხმარება და ნარკომანია.

აღსანიშნავია, რომ მეორე ელემენტის დეტალების შესახებ, ჩვენ, სასურველზე ნაკლები ცოდნა გაგვაჩნია, რამდენადაც ნარკოტიკების ვაჭრობაზე მიდევნება და მასზე კონტროლის განხორციელება საკმაოდ რთულია, მაგრამ, როგორც, ჩვენს წინამდებარე ნაშრომშია ნაჩვენები, საკმარისად ბევრია, ჩვენთვის ცნობილი, დანარჩენი ორი ელემენტის შესახებ და შეგვიძლია დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ ჯერ-ერთი, დღეისათვის, კოკისა და ოპიმის ყაყაჩოს პლანტაციები ბევრად უფრო მცირე მოცულობის ტერიტორიებს მოიცავენ, ვიდრე გარკვეული წლების წინ იყო; მეორეც, შესაძლებელი გახდა ნარკომანიის მასშტაბებისა და გავრცელების გაქანება შედარებით შემცირება.

ნარკომანთა რაოდენობა, განსაკუთრებით მათი, ვინც კოკაინზე და ჰეროინზე იყვნენ დამოკიდებულნი, უკანასკნელი 100 წლის მანძილზე არსებითად შემცირდა და მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით სტაბილურად რჩება. ბუნებრივია. გლობალურად, წარმატების მიღწევა დამოკიდებული იქნება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მისწრაფებაზე, რომ ნარკოტიკების გავრცელების მდგრადობიდან გადავიდნენ მისი გავრცელების შემცირებაზე. ამ დონემდე, ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ. აღნიშნული მოხსენება მსოფლიოში ნარკოტიკების პრობლემების შესახებ, მეტყველებს იმ პროგრესზე, რაც 2005 წლისათვის იყო მიღწეული, აქვე გაშუქებულია ნარკოტიკების გავრცელებაზე კონტროლის გლობალური სისტემის სუსტი მხარეები, პირველ რიგში, ავღანეთიდან ჰეროინის შემოთავაზება, ევროპაში ჰეროინზე მოთხოვნილება, აგრეთვე კანაბისის მიწოდება და მასზე მოთხოვნილების გაზრდა მთელ მსოფლიოში. აღნიშნული მთავარი ტენდეციები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ. მსოფლიოში შემცირდა მოთხოვნილება ოპიუმზე, მაგრამ არა თანაზომიერად.

უკანასკელი წლების მანძილზე ცნობილი აზიური „ოქროს სამკუთხედი“ [იხ. სურ.3], რომელიც ოდესღაც, ნარკოტიკების მსოფლიო ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა, შეიძლება უახლოეს მომავალში გახდეს ოპიუმისაგან თავისუფალი ზონა. მაგრამ, ავღანეთში, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ 2005 წელის ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა,

ქვეყანაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული საერთო სურათი არამდგრადია და ზრდის ტენდენცია შეიძლება აღდგეს. ეს შეიძლება უკვე 2006 წელსვე მოხდეს. ანდის რეგიონის ქვეყნებში კოკის მოყვანის ტერიტორიის მოცულობა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თითქმის მეოთხედით შემცირდა. იმისათვის, რომ ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებულიყო, მდიდარ ქვეყნებს (კოკაინის მომხმარებლებს) უნდა ჩაედოთ მეტი სახსრები, რათა დახმარებოდნენ ამ ქვეყნების ფერმერებს, რომ ისინი გადასულიყვნენ დაშვებული კულტურის მოყვანაზე. როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, ევროპაში შეიმჩნევა კოკაინზე მოთხოვნილების საშიში ზრდა.

ავტორი მოუწოდებს ევროკავშირის ქვეყნებს არავითარ შემთხვევაში არ მოახდინონ ამ საშიშროების იგნორირება. ძალზედ დიდია განათლებულ და პროფესიულად განვითარებულ ევროპელთა რიცხვი, რომლებიც მოიხმარენ კოკაინს და უარყოფენ თავის დამოკიდებულებას მასზე, ხოლო ნარკომანიის შემთხვევები ვარსკვლავებსა და ცნობილ ადამიანთა შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ხდება არა კრიტიკულად წარმოჩინებით, რაც დეზორგანიზაციას წარმოშობს ახალგაზრდობაში. კოკაინის ბრუნვის სფეროში არსებული ტენდეციების შეფასება მეტად რთულია. კოკაინის ამოღების ფაქტები არსებითად გაიზარდა. ანდების ქვეყნებში პლანტაციების მოსპობამ და მსოფლიოს ქვეყნებში სამართალდამცავი ორგანოების გააქტიურებამ განაპირობა, რომ დამნაშავე კარტელები ეძებენ ევროკავშირის ქვეყნებში ნარკოტიკების მიწოდების ახალ გზებს და აქტიურად მუშაობენ კარიბის ზღვის, დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში. ავტორი მიიჩნევს, რომ ამ ქვეყნებს საჭიროა გაეწიოს დახმარება, კერძოდ თანადგომა გამოუცხადონ მათ კორუფციასთან ბრძოლის სფეროში და სამართალდამცავი ორგანოების განმტკიცებაში. კანაბისი, რომელსაც მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებას წარმოადგენს, იგი სარეველა მცენარეა და ხარობს სხვადასხვა კლიმატურ პირობებში და მრავალი ქვეყნის ზონებში. ნარკობიზნესის წარმომადგენლები დიდ სახსრებს დებენ იმისათვის, რომ კანაბისის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე მეტად გაზარდონ და შესაბამისად მიმზიდველი გახდება იგი ბაზრისთვისაც.

ზემოაღნიშნულის შედეგად სახეზეა კატასტროფული შედეგები: დღეისათვის კანაბისის დახასიათება არც ისე განსხვავდება ისეთი მცენარეული წარმოშობის

ნარკოტიკული საშუალებების დახასიათებიდან, როგორიცაა კოკაინი და ჰეროინი. კანაბისის გავრცელების ეპიდემია, ადამიანის ჯანმრთელობის ყველა სხვა მუქარის მსგავსად, საჭიროებს კონსენსუსს, აგრეთვე საზოგადოების ყველა ფენის მუდმივ და თანმიმდევრულ მონაწილეობას იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეძლონ გრძელვადიანი სამოქმედო ღონისძიებების ჩატარება ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ზოგ ქვეყანაში, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეტამფეტამინი არია ნომერი პირველი მტერი. სხვა რეგიონებში, კერძოდ ევროპაში, სინთეტიკური წარმოშობის ფსიქოაქტიურმა საშუალებებმა დაკარგეს მიმზიდველობა და თავის ადგილს უთმობენ კოკაინს. მათი ამოღება მკვეთრად გაიზარდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ზოგ ქვეყანაში ნარკოტიკების გავრცელების მასშტატების შემცირების კომპენსირება ხდება მათი პოპულარობის გავრცელებით სხვა ქვეყნებში, რასაც მივყავართ გასაღების ბაზრის რეორგანიზაციისკენ. მსოფლიო მოხსენება ნარკოტიკების შესახებ, **პირველ რიგში,** სტატისტიკური მონაცემების წყაროა და არა პოლიტიკური დამუშავების დამხმარე საშუალებაა. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები იძლევიან ზოგიერთი უშეცდომო დასკვნის საფუძველს. პირველყოვლისა, სახელმწიფოებმა კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთონ ნარკოტიიკებზე მოთხოვნილების შესამცირებლად. ასეთი ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები განსხვავდებიან კოკაინისა და ჰეროინის მომხმარებლებისაგან, ხოლო მკურნალობა, ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე და ფართოდ არ არის გავრცელებული. **მეორე,** - არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა აღიკვეთოს შიდსის გავრცელება იმ პირთა შორის, ვინც ნარკოტიკებს ვენებსშიდა გზით იყენებს, სულერთია ეს ქუჩის ნარკომანები იქნებიან, თუ ადამიანები, რომლებიც სექსუალურ მონობაში ან პატიმრობაში იმყოფებიან; მესამე,- მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკების ბაზრის განვითარების ტენდენციები პოზიტიური მიმართულებითაა, კიდევ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, რათა ამ მიმართულებას მიეცეს მყარი ხასიათი. თუ არ მოხდება გრძელვადიანი თანმიმდევრული სტრატეგიის შემუშავება, ზოგიერთი სახემწიფო მთელი სერიოზულობით არ გაითავისებს ნარკოტიკების პრობლემას და არ გაატარებს ადეკვატურ პოლიტიკას, შეეჯახება უფრო დიდ პრობლემებს.

ანტონიო მარიო კოსტა თავის მსოფლიო მოხსენებაში ამახვილებს ყურადღება ნარკოტიკების პრობლემის განვითარების ისტორიაზე. ფაქტები ეყრდნობა

ყველაზე თანამედროვე და აქტუალურ მოვლენებსა და მონაცემებს. ნარკომანიასთან საყოველთაო ბრძოლა არსებობდა ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნამდე, უფრო მეტიც, მისი წინამორბედი – ერთა ლიგის შექმნამდეც. მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკების მიღება ხდებოდა უძველესი პერიოდიდან, ზოგიერთი სახელმწიფოსათვის იგი, როგორც საერთაშორისო პრობლემა, მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გახდა.

1909 წელს შანხაიში დაარსდა საერთაშორისო კომისია ოპიუმის შესახებ. მისი მუშაობის შედეგია პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ფსიქოაქტიურ საშუალებებთან ბრძოლის საკითხებს ეხებოდა, ეს იყო 1912 წლის ჰააგის კონვენცია ოპიუმის შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო საერთაშორისო მრავალმხრივი სისტემის კონტროლი ნარკოტიკების გავრცელებაზე ოპიუმიდან კოკაინამდე, კანაბისამდე, შემდგომში ფსიქოაქტიურ საშუალებამდე. ამჟამად საერთაშორისო კონტროლს ახორციელებს სამი საერთაშორისო კონვენცია (1961, 1971 და 1988), რომლებსაც შეუერთდა პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა ქვეყანა. გამოკვლევების შედეგები დაფუძნებულია ოპიუმის მაგალითზე, რამდენადაც მისი გამოკვლევა შანხაის კომისიის მიერ ხდებოდა ჯერ კიდევ 1909 წელს. კომისიის მუშაობის დაწყებამდე ოპიუმის წარმოება მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეფასებული იყო, როგორც მინიმუმ 30 ათას ტონად. თითქმის 100 წლის შემდეგ, ოპიუმის წარმოება მსოფლიო მასშტაბით შემცირდა 5 ათას ტონამდე, მასში შედიოდა კიდევ 400 ტონა ოპიუმი, რის მომზადებაც ხდებოდა ლეგალურად სამედიცინო დანიშნულებისათვის და 4 ათას 620 ტონა არალეგალური წარმოშობის ოპიუმი. პლანეტის მოსახლეობა გაიზარდა 1,65 მლრდ ადამიანამდე, 1900 წლის 6,4 მლრდ-თან შედარებით. აქედან გამომდინარე, ოპიუმი 80%-ით ნაკლები მოიყვანება სამჯერ მეტ მოსახლეობასთან შედარებით.

ჩინეთში, რომლის მოსახლეობაც იმ დროისათვის შეადგენდა დაახლოებით 450 მილიონ ადამიანს, ოპიუმის დაახლოებით 25 მილიონი მომხმარებელი იყო. 2006 წლისათვის აზიაში, ოპიატების მომხმარებელთა რაოდენობა, შეფასებების მიხედვით, 8,5 მილიონია, რასაკვირველია, ამ პერიოდისათვის არის სხვა ნარკოტიკებიც. მაგრამ თვითონ ნარკოტიკების უკანონოდ წარმოების ტენდენცია გვაძლევს წარმატებულ სურათს. აღნიშნული სურათი ნაკლებად სასიამოვნოა, როცა საქმე ეხება ლეგალურ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება თამბაქოს, რომელსაც ზოგიერთი მონაცემებით, ეწევა პლანეტის

მოზრდილი მოსახლეობის 28%, რაც ბევრად აღემატება იმ რაოდენობას, ვინც მოიხმარს აკრძალულ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მაგალითად, კანაბისს – 4%, კოკაინს და ოპიატებს -1%.(იხ.სქემა). ამ მონაცემთა წყაროა გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის სამმართველო. მოსახლეობის დაახლოებით 0,6 % 15-დან 64 წლის ასაკამდე ადამიანია, ვისაც ნარკოტიკებზე დამოკიდებულს უწოდებენ. ამ სიდიდეს პრაქტიკულად ცვლილება არ განუცდია. მოხსენებაში მოცემულია ასეთი მაგალითიც: 90-იან წლებში კოკის მოსაყვანი ტერიტორები შეადგენდა 200 ათა ჰექტარს, 2000 წლიდან დაწყებული აშკარად შეიმჩნევა ამ ტერიტორიების შემცირება თითქმის მეოთხედით. 2005 წელს ოპიმის ყაყაჩოს ნათესების ტერიტორია შეადგენდა 36%-ით ნაკლებს, ვიდრე 1998 წელს იყო (237.819 ჰა) და 46%-ით ნაკლები (281.560 ჰა) და ეს, მიუხედავად, ავღანეთში უკანასკნელი წლების მოცულობის აღდგენისა. თუნდაც ისეთი საკითხის განხილვისას, როგორიცაა ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარება, სადაც მონაცემები ხშირად, ან საერთოდ არ გვაქვს, ან რთულად შეფარდებითია, აღინიშნება ზოგიერთი პოზიტიური ტენდენცია. მთლიანად, მსოფლიოში, ნარკოტიკების –კოკაინისა და ოპიატების ძირითად, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში და მოხმარება რჩებოდა სტაბილურად. ამასთან ნარკომანთა რაოდენობა შეადგენდა მიუღებლად დიდ რიცხვს, იმედი გვრჩება, რომ, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი სახის, აკრძალული ნარკოტიკის მოხმარების შეკავება შესაძლებელია.

2005 წლისათვის მსოფლიოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 200 მლნ ადამიანს, რაც 14-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის 5%-ს შეადგენს. ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკს წარმოადგენს კანაბისი, რომელიც ძალზედ ასწრებს ყველა სხვა სახის ნარკოტიკების მოხმარებას (დაახლოებით, 162 მლნ ადამიანი). მას მოსდევს ამფეტამინის რიგის სტიმულატორები (დაახლოებით 35 მლნ ადამიანი), მათ მიეკუთვნებიან ამფეტამინის (25 მლნ) მომხმარებლები) და ექსტაზები (თიღქმის 10 მლნ. ადამიანი).]იხ. სურ. 11]

ოპიატების ბოროტად მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს 16 მლნ ადამიანს, რომელთა შორის 11 მლნ მოიხმარს ჰეროინს. დაახლოებით 13 მლნ ადამიანი მოიხმარს კოკაინს. 2004 წლიდან ექსპერტებმა კვლავ დაიწყეს საუბარი ნარკოტიკების მომხმარებელთა ზრდის ტენდენციაზე, განსაკუთრებით ავღანეთის მოსაზღვრე ქვეყნებში, აღინიშნებოდა რა, ნარკოტიკების დიდი ოდენობის

მიწოდების ფაქტები, რაც ავღანეთში 2003-2004 წლების ოპიუმის ყაყაჩოს დიდი მოსავლის შედეგად მოხდა.

ავღანეთი და ოპიუმის მსოფლიო ბაზარი: ყაყაჩოს წარმოება და ვაჭრობა.

ყაყაჩოს მოყვანა ავღანეთში, მაგალითის სახით არის მოყვანილი, თუ როგორია, ადგილობრივ და მსოფლიო სავაჭრო ბაზრის ძლიერი ურთიერთკავშირი, რაც ზემოქმედებს ყაყაჩოს მოყვანაზე, რომელზედაც სახელმწიფოებრივი კონტროლი მეტად სუსტდება და უარყოფითად მოქმედებს რეგიონალურ პოლიტიკურ ხელისუფლებაზეც. ქვეყანაში ოპიუმის წარმოება, ძირითადი საშემოსავლო წყაროა, ამითაა განპირობებული ავღანეთის პოლიტიკური მდგომარეობა და მისი ადგილი მსოფლიო რუკაზე.

უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ოპიუმის მოყვანა ავღანეთში, ერთგვარი ნახტომით არის ცნობილი. მაგალითად, თუ 1979 წელს მოყვანილი იყო 200 ტონა ოპიუმი, 2004 წლისათვის 4200 ტონა მოიყვანეს, შექმნეს მათი მოყვანის ოაზისები გილმენდისა და ნანგარხარის პროვინციებში., ჩრდილოეთი ალიანსის ბადახშან-ციხემ მესამე ადგილი დაიკავა. ავღანეთში ოპიური ყაყაჩოსა და ოპიუმის წარმოება უნდა აიხსნას გლობალიზაციისა და ფრაგმენტაციის კუთხით. ნარკოტიკებით ვაჭრობა ზემოქმედებს მეზობელ სახელმწიფოებზე, სახელდობრ, ირანზე, ტაჯიკეთსა და პაკისტანზე, ისინი კი, ასრულებენ როგორც მოხმარების ბაზრის ფუნქციას, ისე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისათვის ადგენს კონტრაბანდის სავაჭრო მარშრუტებს.

ავღანეთმა დაიწყო, ბევრად უფრო მეტი ოპიუმის წარმოება, [იხ. სურ. 14] ვიდრე ეს იყო ერთად აღებული: XIX საუკუნეში, ბრიტანეთის იმპერიის მიერ მომზადებული და მსოფლიო ბაზარზე მიწოდებული ოპიუმი, ასევე, ოქროს ცნობილი სამკუთხედის (ლაოსი, მიანმა და ტაილანდი) მიერ და „ოქროს ნახევარმთვარის (ავღანეთი, პაკისტანი და ირანი) მიერ წარმოებული და რეალიზებული ოპიუმი.

საბჭოთა ჯარის შეჭრა ავღანეთში

მნიშვნელოვან მოვლენად ნარკობიზნესთან დაკავშირებით შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრა 1979 წელს და მისმა შემდგომმა ხანგრძლივმა კონფლიქტმა, ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ოპიუმის წარმოების

ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, აფინანსებდა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მიმართულ საბრძოლო მოქმედებებს. არსებობს მოსაზრება რომ, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ სპეციალურად შემუშავებული პროექტი სახელწოდებით „თეთრი ჯიჰადი" საბჭოურ-ავღანური კონფლიქტის დროს, რომლის არსიც გამოიხატებოდა ავღანეთის ტერიტორიის გამოყენებაში ოპიუმის ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნად და შემდეგ ამ ნედლეულის გადასასროლად სსრკ-ის ტერიტორიაზე. აგრეთვე საომარმა კონფლიქტმა ნარკომოვაჭრეებს ირანის და პაკისტანის მოჯაჰედების მხარდაჭერით ამ ქვეყნების სატრანზიტო მარშრუტებად გადაქცევის საშუალება მისცა.

შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენად აგრეთვე ითვლება ისლამური რევოლუცია ირანში, როდესაც ფუნდამენტალისტებისთვის ირანის მთავრობის მხარდაჭერამ ბექაას ხეობაში შეწყვიტა ანტინარკოტიკული ოპერაციები ლიბანში და მთელს რეგიონში, და ხელი შეუწყო ირანს, გამხდარიყო ჰეროინის გავრცელების რთულ სისტემაში, ერთ-ერთი მთავარი მოქმედი ელემენტი.

მსოფლიო ნარკოტიკების ბაზარი არსებობს იმიტომ, რომ მასზე მოთხოვნილებაა, ხელისუფლება უუნაროა შეეწინაღმდეგოს მასშტაბურად მოსავლის წარმოებასა და მოგების მაქსიმალიზაციას. გლობალური ბაზრები დინამიზმისა და ადაპტაციის მაღალ ხარისხს გვიჩვენებს. მომთხოვნელობის ხარისხი კვლავ მაღალია.

თანამედროვე კვლევების შედეგებით, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიას შორის, ნედლეულის მომზადებასთან დაკავშირებით. საწყის ეტაპზე მოეყვანათ ჯერ მიხაკი და მუსკატის კაკალი, შემდგომში – წიწაკა, კაკაო და შაქარი, მოგვიანებით კი, ჩაი და სხვა ტროპიკული მცენარეები. გარკვეული აზრით, ოპიუმი გამონაკლისს წარმოადგენს, რამდენადაც ევროპის ბაზარზე მისი მოთხოვნა კვლავაც დიდია და უფრო მეტად ფასობს, ვიდრე აზიის ბაზარზე. სავაჭრო კომპანიები ნაკლებად ყიდულობენ უკვე ჩინეთის ჩაის, რომელიც ოქროსა და ვერცხლზე ფასობს. აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია (EIC) შეეცადა თავისი მონოპოლია ჩაიზე დაეკავშირებინადიდ ბრიტანეთთან, რომელიც აკონტროლებდა ოპიუმის ნაკადს ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. საქონლის გაცვლა ხდებოდა მეტად დიდი რაოდენობით.

ინდოეთმა ოპიუმის ექსპორტი დაიწყო 1894 წელს, მისი რაოდენობა 6000 ტონას უდრის, რაც თითქმის სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიოში, ერთად აღებული, წლიური რაოდენობა. ჩინეთში მოხმარების ყოველწლიური რაოდენობა 12000 ტონიდან 15000 ტონამდე მერყეობს. ჩინეთის საზოგადოებაზე და პოლიტიკურ ურთიერთობებზე მოქმედებს დამღუპველი გავლენა: განხილული იქნა და სტიმულირებული სოციალურ-კულტურული კვლევების პერსპექტივები; სამი სტრატეგიული საქონლიდან: ინდიგო, ოპიუმი და ოპიუმის „ხლოპოკი“ მოიპოვა ლიდერის პოზიცია. ოპიუმის ღირებულება სამჯერ მაინც აღემატებოდა დანარჩენი პროდუქციის ფასს და თითქმის ორჯერ – კოტონის ფასს.

XX საუკუნეში ჩინეთის პოლიტიკურმა რევოლუციამ, ვიეტნამის ომებმა, ოქროს სამკუთხედის ეთნიკურმა აჯანყებებმა და აზიაში „ცივი ომის“ შედეგებმა განაპირობა ოპიური ყაყაჩოს მოყვანა ზოგიერთ ცხელ წერტილში. ვინაიდან ავღანეთს 1980-იან წლებში ყოველწლიურად მოჰყავდა 2000 ტონამდე ოპიუმი, ამით იგი შევიდა ოპიუმის გლობალურად მწარმოებელ ციკლში, სადაც იგი, ამჟამადაც იკავებს პრემიერ-მწარმოებლის თანამდებობას. (იხ.ქვემოთ ნაჩვენები ცხრილი, გაეროს 2003 წლის მონაცემებით)

სამყაროს სხვა მხარეებში, მათ შორის, ჩრდილო ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, ოპიატების მომხმარებელთა რაოდებობა შედარებით, სტაბილურობას ინარჩუნებს. ითვლება, რომ კოკაინის ნარკომანიის გავრცელების მასშტაბები რამდენადმე შემცირდა, განსაკუთრებით აღნიშნული შეიმჩნევა სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში. სამაგიეროდ, ევროპაში კოკაინის მოხმარება კვლავ იზრდება. ამოღებას აქვს მრავალფეროვანი ბუნება. მაგრამ მას, უპირველესად, ხელს უწყობს სამართალდამცავ ორგანოებს შორის ოპერატიული ინფორმაციების გაცვლა.

მოხსენების შესწავლა და გაანალიზება გვაძლევს საინტერესო სურათს ოპიუმისა და ჰეროინის ბაზრის შესახებ. შეიმჩნევა ზოგიერთი პოზიტიური ცვლილებები: 2005 წელს მსოფლიოში შემცირდა, როგორც ყაყაჩოს ნათესების, ისე მისი წარმოების მოცულობა. ოპიატების (ჰეროინის, მორფინისა და ოპიუმის) ამოღება მსოფლიოში გაიზარდა, განსაკუთრებით სამხრეთაღმოსავლეთში, ხოლო ოპიატების გამოყენება სტალურობას ინარჩუნებდა. 2005 წელს ოპიუმის ყაყაჩოს ნათესები შემცირდა 22%-ით (195.940 ჰა-დან 151.500 ჰა-მდე), ძირითადად მოხდა ნათესების შემცირებით სამ, ქვეყანაში, კერძოდ, ავღანეთში, მიამნისა და ლაოსის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მსოფლიოში ოპიუმის

წარმოება შეადგენს 4.620 ტონა, რომელთაგან 4.100 ტონა (ანუ 89%) წარმოშობილი იქნა ავღანეთში.

2005 წლისათვის ნათესების ტერიტორია შემცირდა 21%-ით 131.000-დან(2004) 104.000-მდე (2005), თუმცა, ამ შემცირებასთან ერთად, იმალება პროვინციებს შორის არსებული სერიოზული პრობლემები, თუ ზოგიერთ მათგანში სახეზეა ნათესების სერიოზულად შემცირება, მაგალითად, ნანგარხარის პროვინციაში 28.213 ჰა-დან შემცირდა 1.093 ჰა-მდე, სხვაგან, მაგალითად, კანდაგარის პროვინციაში 4.959 ჰა-დან 12.989 ჰა-მდე გაიზარდა. 2006 წლისათვის ოპიუმის ყაყაჩოს ნათესები გაიზარდა და ეს, ძირითადად სამხრეთის პროვინციების ხარჯზე ხდება. 2005 წლისათვის მიამნიში ნათესების რაოდენობა შემცირდა 26%-ით, ლაოსის სახალხო რესპუბლიკაში 72%-ით. ლაოსში ნავარაუდევია, რომ ოპიუმის რაოდენობა ფასდება 14 ტონით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ 2006 წლისათვის ლაოსი არის ოპიუმისაგან თავისუფალი ქვეყანა. 1998 წლიდან დაწყებული, გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის ჩატარების შემდეგ, რომელიც ეძღვნებოდა ნარკოტიკების საკითხს, ორ ქვეყანაში – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ ორ ქვეყანაში ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების ტერიტორიები შემცირდა 78%-ით.

სამხრეთ და ჩრდილოეთის ამერიკის ქვეყნებში გრძელდება ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა და შემდგომში მისი გავრცელება ჩრდილოეთ ამერიკაში. კოლუმბიის მთავრობის შესაბამისად, 2006 წლისათვის ნათესები მოიცავს 2000 ჰას, რაც 50%-ით ნაკლებია 2004 წელთან შედარებით და შეადგენდა 4000 ჰას. მექსიკაში იყო 3300 ჰა, შემცირდა 32%-ით 2003 წელთან შედარებით. ძალზედ ძნელია მონაცემების დადგენა პერუში, იქ დღემდე არ არის შემუშავებული ისეთი სისტემა, რომელიც შეძლებდა ოპიუმის ნათესების მონიტორინგს. კოლუმბიაში, მექსიკასა და პერუში გრძელდება ნათესების განადგურება.

ოპიუმის მსოფლიო წარმოება შემცირდა მხოლოდ და მხოლოდ 5%-ით და შეადგენს 4.620 ტონას. ავღანეთში აღინიშნება 4.100 ტონა, რაც 2%-ით ნაკლების 2004 წლის შედეგებთან შედარებით. 2005 წლისათვის ავღანეთზე მოდის ოპიუმის წარმოების 89%, ხოლო მიანმიზე – 7%. [იხ.სურ.13]

ოპიატების მიწოდება ხდება სამი ძირითადი მარშრუტით, ვინაიდან ზუსტი მონაცემების მოპოვება ძალზედ ძნელია, გამოყენებულია ნარკოტიკების კონფისკაციის რაოდენობის მიხედვით. ოპიატების (ჰეროინის, მორფინისა და

ოპიუმის) ტრანსპორტირება ხდება:

- ავღანეთიდან – მეზობელ ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში;
- მიანმიდან და ლაოსიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახლომდებარე ქვეყნებში (უპირველეს ყოვლისა, ჩინეთში) და ოკეანიის რეგიონში
- ლათინური ამერიკიდან (მექსიკა, კოლუმბია და პერუ) – ჩრდილოეთ ამერიკაში (ძირითადად აშშ-ში).

ავღანეთიდან ევროპაში ნარკოტიკების მიწოდების წილი 2002 – 2004 წლებში შეადგენს 78-85%-ს, რავ მეტყველებს იმაზე, რომ გაზრდილია მათი მოყვანა და გავრცელება. დანარჩენი ორი მიმართულებით სურათი კლებას უფრო აჩვენებს (7-დან 4%-მდე), ამერიკის კონტინენტზე – 15-დან 11%-მდე. [იხ.სურ. 14]

ოპიატების ამოღების მაჩვენებელი მსოფლიოში გაიზარდა 9%-ით და შეადგენს 120 ტონას. 2004 წლისათვის ევროპაში ნარკოტიკების ამოღება გაიზარდა 49%-ით და შეადგენს 29 ტონას (ჰეროინის ეკვივალენტით), [იხ. სურ.12] რაც რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია. ევროპაში ჰეროინის უკანონოდ ბრუნვიდან ამოღება, პირველ რიგში, განპირობებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მისი გაორმაგებულად ამოღებისა და კონფისკაციის შედეგად.ეს წილი შეადგენს 15 ტონას, რაც ბევრად აღემატება დასავლეთ და ცენტრალურ ევროპისა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთად ამოღებულ რაოდენობას. ყველაზე მეტი ამოღებაა დაფიქსირებული თურქეთში. 1987 წლიდან ეს ქვეყანა ამოღების ხაზით ლიდერობს. ამ სიაში მეორე ადგილს იკავებს რუსეთის ფედერაცია, რომელზეც 4 ტონა, ანუ საერთოევროპული ამოღებების 14% მოდის. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის (მსხვილი პარტიების ამოღების ფაქტები იყო დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, მიდერლანდებში, გერმანიასა და საფრანგეთში. ევროპაში დიდი ბრიტანეთი წარმოადგენს ოპიატების ყველაზე მსხვილ ბაზარს ევროპაში. [იხ.სურ.10,12,18,21]

აფრიკაში ოპიატების ამოღება გაიზარდა 60%-ით, იგი მკვეთრად გაიზარდა 2004 წელს. აფრიკული ქვეყნებიდან ევროპისა და შედარებით ნაკლებად,ამერიკის ქვეყნებში ხდება ჰეროინის ტრანსპორტირება. აფრიკაში ნარკოტიკების ამოღების რაოდენობა ბევრად უფრო მოკრძალებულია.., იგი მსოფლიოში ამოღებული ნარკოტიკების 3%-ს შეადგენს.

ოპიატების მოხმარება მსოფლიოს მასშტაბით სტაბილურობას ინარჩუნებს.

ოპიატებს მოიხმარს 15-დან 64 წლის ასაკამდე 16 მლნ ადამიანი, ანუ მოსახლეობის 0.4%. ნარკოტიკების მომხმარებელთა 50%-ზე მეტი მოდის აზიის მოსახლეობაზე, ხოლო ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობა ფიქსირდება ტრანსპორტირების მარშრუტების გასწვრივ ქვეყნებში. 16 მლნ ნარკომანიდან 11 მლნ ადამიანი, ანუ 70% ჰეროინზეა დამოკიდებული. აფრიკაში ოპიატემის მომხმარებლებიდან თითქმის ყველა ჰეროინის მომხმარებელია. აზიაში ოპიატების მომხმარებელთა 64% ადამიანი ჰეროინს მოიხმარს.

კოკაინის ამოღება 2004 წლისათვის რეკორდულ ციფრს აღწევს. არსებობს კოკაინის ტრანსპორტირების ორი ძირითადი მარშრუტი.

- ანდის რეგიონიდან, პირველ რიგში კოლუმბიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხშირად მექსიკის ტრანზიტით;
- ანდის რეგიონიდან ევროპაში, ყარიბის აუზის ქვეყნების ტრანზიტით, უკანასკნელ პერიოდში, უფრო ხშირად, აფრიკის ტრანზიტით.

2004 წელს კოკაინის ამოღება გაიზარდა 18%-ით, 588 ტონამდე, რაც ადრინდელთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. უკვე სამი წელია, რაც კოლუმბიაში კოკაინის უფრო მეტი ამოღება ხდება, ვიდრე მსოფლიოს სხვა მხარეებში, თითქმის 183 ტონა. მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობა შეადგენს 166 ტონას, რაც ამოღებული ნარკოტიკების 28%-ია. ეკვადორში მოხდა ამოღების ცხრაგზის ზრდა, კერძოდ, 2004 წელს ამოღებული იქნა 5 ტონა, ხოლო 2005 წლისათვის იგი შეადგენდა 4000 ტონას.

ეკვადორზე ერთი წლის მანძილზე ცხრაჯერ გაიზარდა ამოღებული კოკაინის რაოდენობა. თუ 2004 წელს ამოღებული იყო 5 ტონა კოკაინი, 2005 წელს ამოღებული ნარკოტიკის რაოდენობა შეადგენს 44 ტონას. ევროპაში 2004 წელს ამოღებული იქნა 80 ტონა კოკაინი, ხოლო 2005 წლისათვის რაოდენობა გაიზარდა 100 ტონამდე. 1994-დან 2004 წლამდე ყოველწლიური ზრდა შეადგენდა საშუალოდ 10%-ს. ესპანეთი რჩება იმ მთავარ კარიბჭედ, საიდანაც ნარკოტიკები აღწევენ ევროპაში. კოკაინის დიდი რაოდენობის ამოღება შეიმჩნევა პორტუგალიაში, რომელიც ევროპაში კიდევ ერთ შემოსასვლელს წარმოადგენს. კოკაინის ამოღებით ევროპაში პორტუგალიას მიაკუთვნებენ მესამე ადგილს. ხოლო პირველობას უთმობს ესპანეთსა და ნიდერლანდებს. ევროპაში შემოსასვლელ ერთ-ერთ მარშრუტს წარმოადგენს კარიბი აუზის ქვეყნების

მარშრუტი. ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ჰოლანდიის ანტილიის კუნძულებს. 2004 წელს ჰოლანდიის ხელისუფლების მიერ ამოღებული კოკაინის 40%-ზე მეტი ამოღებული იქნა ანტილიის კუნძულების აკვატორიაში.

მსხვილი მიწოდება შეიმჩნევა აგრეთვე საფრანგეთის ტერიტორიაზე. კარიბის ზღვის ტრანზიტით. უკანასკნელ პერიოდში აფრიკა და განსაკუთრებით დასავლეთ-აფრიკა, როგორც ევროპის ბაზარზე ნარკოტიკების შემცველი სატრანზიტო ქვეყანა. ნარკოტიკების ყველაზე მსხვილი პარტია ამოღებული იქნა 2000-2004 წლებში აფრიკის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კაბო-ვერდე, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა, კენია, განა და ნიგერია. ამოღებული კოკაინის რაოდენობა, სამწუხაროდ, არ აღემატება 1%-ს და თუ ასე გაგრძელდა, ტრანზიტის მოცულობა და ნარკოტიკების გავრცელება ამ გზით მკვეთრად გაიზრდება. კოკაინზე დამოკიდებულია მსოფლიოში 13,4 მლნ ადამიანი, ეს რაოდენობა შეადგენს სამყაროს 15-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის 0,3%-ს. ექსპერტთა აზრით, 2004 წლისათვის კოკაინის მოხმარება, მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა. მისი მოხმარება დიდი რაოდენობით გრძელდება ამერიკის კონტინენტზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკაში, მის ხარჯზეა 6,5 მლნ ნარკომანი, მსოფლიო ბაზრის კოკაინის მომხმარებელთა თითქმის ნახევარი

2008 წლის გაეროს ანგარიშიდან ირკვევა შემდეგი ტენდენცია, რომ მსოფლიოში ჰეროინისა და კოკაინის დამზადება იმედისმომცემად მცირდება. ეს, ბუნებრივია, სახელმწიფოთა შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. 2008 წლის გაეროს ანგარიშში ჩანს, რომ იმავე ავღანეთში, ოპიუმის წარმოება შემცირდა 19%-ით, ხოლო კოლუმბიაში, კოკას მოყვანა შემცირდა 18-%-ით. სხვადასხვა სახელმწიფოში ამ ნარკოტიკთა წარმოება ზოგადად რაოდენობრივად იზრდება, მაგრამ ეს არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას იმ მაჩვენებელზე, რომელიც ამ ორ დიდ ნარკოტიკების მწარმოებელ სახელმწიფოებშია დაფიქსირებული.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ინფორმაცია ნარკოტიკების შესახებ არ არის სრული, მაინცაა შესაძლებელი გაკეთდეს შეჯდეგი დასკვნა: ახალგაზრდების გამოკითხვიდან ჩანს, რომ დასავლეთ ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში მნიშვნელოვნად მცირდება ოპიუმის, კოკაინის მოხმარება. ეს რეგიონები ყველაზე დიდი რაოდენობის მომხმარებელთა ადგილია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხში მსოფლიო ვითარება სტაბილური ხდება.

უფრო ნეგატიური სურათი წარმოგვიდგება მსოფლიოში სტიმულატორების - ამფეტამინისა და მეტამფეტამინის წარმოებისა და მოხმარების საკითხთან დაკავშირებით, ამ სახის ნარკოტიკების ამოღების სტატისტიკა 2007 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით 30%-ს შეადგენს, ისინი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებზე მოდის. მეტამფეტამინის გაყიდვების ბაზარი უმეტესად მოდის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკაზე. 2007 წლის მსოფლიო ანგარიში ნარკოტიკების შესახებ უფრო სრულყოფილია, ვიდრე წინა წლების ანგარიშები. ამ ანგარიშში ყველაზე ნაკლებადაა ცდომილება ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციაზე. ამ ცდომილებას განაპირობებს სხვადახვა ფაქტორი. კერძოდ ის, რომ აქ გროვდება ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფოდან, მაგრამ ეს ინფორმაცია ყოველთვის არ არის სრულყოფილი. ლაპარაკია იმაზე, რომ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია მიიღება, მაგალითად, ამერიკიდან და ევროპიდან, ვიდრე აფრიკიდან და აზიის სხვადასხვა რეგიონიდან.

2008 წლისათვის მსოფლიოში ოპიუმის კულტივირება შემცირდა 16%-ით წინა წელთან შედარებით. ეს შემცირება მნიშვნელოვნად შეეხო ავღანეთს. ოპიუმის კულტივირება წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა აგრეთვე ოპიუმის მწარმოებელ სხვადასხვა სახელმწიფოში. ავღანეთში ოპიუმის ორი მესამედის კულტივირება ხორციელდება სახელმწიფოს ჩრდილოეთ რეგიონებში. დანარჩენი ერთი მესამედის ოპიუმის კულტივირება თითქმის თანაბრად მოდის სახელმწიფოს დანარჩენ ტერიტორიებზე. ოპიუმის მოსავალი ავღანეთში 2008 წლისათვის შეადგენს დაახლოებით 7700 ტონას. (6330 ტონიდან 9308 ტონამდე). ითვლება რომ ამ რაოდენობის 60% იქცევა მორფინად და ჰეროინად ქვეყნის შიგნითვე. ექსპერტების შეფასებით მორფინის და ჰეროინის საექსპორტო რაოდენობა ავღანეთში შეადგენს დაახლოებით 630 ტონას (519 ტონიდან 774 ტონამდე)

რაც შეეხება კოკაინს, ანგარიშის მიხედვით, კოლუმბია რჩება კოკაინის მწარმოებელ ყველაზე დიდ ქვეყანად. შემდეგ, კოკაინის წარმოების რაოდენობის მხრივ, მოდიან ბოლივია და პერუს სახელმწიფოები. მიუხედავად ამისა, კოკაინის მსოფლიო წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა. 2008 წლისათვის მისი წარმოება შემცირდა 994 ტონიდან დაახლოებით 845 ტონამდე. ეს განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ კოკაინის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა კოლუმბიაში დაახლოებით 28%-ით, ეს შემცირება არ ეხება ბოლივიასა და პერუს ამ

ტერიტორიებზე წარმოების შემცირება არ მომხდარა, მაგრამ ამ ფაქტორმა არ მოახდინა საერთო კოკაინის წარმოების რაოდენობის შემცირება.

კანაბისთან დაკავშირებით, მსოფლიო შეფასება შედარებით რთულია. მისი კულტივირება ხდება მრავალ ქვეყანაში, როგორც გახსნილ ადგილებში, ასევე დახურულ ტერიტორიებზე. კანაბისის წარმოების რაოდენობა 2008 წლისათვის მერყეობს 13300 ტონიდან 66100 ტონამდე. რაც შეეხება კანაბისის ზეთს, მისი წარმოების რაოდენობა მერყეობს 2200 ტონიდან 9900 ტონამდე. როგორც ვხედავთ, კანაბისის წარმოების კონკრეტული მონაცემები არ არსებობს და ცდომილება ძალზედ დიდია. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ართულებს ამ გარემოების შეფასებას. კანაბისთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვება გაცილებით რთულია, ვიდრე ინფორმაცია კოკაინსა და ოპიუმზე.

ნარკოტიკების მოხმარების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 2007 წელს დაახლოებით 172 დან 250 მილიონამდე ადამიანმა ერთხელ მაინც მოიხმარა ნარკოტიკული ნივთიერება. ეს ციფრები, შეიცავენ ნარკოტიკების შემთხვევით მოხმარებასაც. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სხვადასხვა ნარკოტიკი ქმნის სხვადასხვა პრობლემებს მრავალ სახელმწიფოში. მაგალითად, სამკურნალო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ აფრიკაში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება კანაბისის მოხმარება. კანაბისი აფრიკაში, ნარკოტიკების მოხმარების რაოდენობის 63%-ს შეადგენს. ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში კი 43%-ს. რაც შეხება კოკაინს, მისი გამოყენება სხვა ნარკოტიკებთან შედარებით, ყველაზე დიდი რაოდენობით, ხდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში - 34%-დან 52%-მდე. კანაბისს, მას ისევ დიდი ადგილი უჭირავს ევროპაში. 2007 წლისათვის პირთა რაოდენობა, რომლებმაც ერთხელ მაინც მიიღეს ოპიატები 15 მილიონიდან 21 მილიონამდეა. საინტერესოა, აგრეთვე, რომ ნარკოტიკების მოხმარების მხრივ, მოსახლეობის უფრო მეტი პროცენტული რაოდენობა მოიხმარს ავღანეთსა და მის ნარკომარშრუტების ტერიტორიებზე. ეს შესაძლებელია იმითაა განპირობებული, რომ ამ ტერიტორიებზე ნარკოტიკების შოვნა შედარებით ადვილია. ოპიატები ისევ რჩება მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან პრობლემად, ეს განსაკუთრებით ეხება ევროპას, სადაც ოპიატებზე დიდი მოთხოვნილებაა.

2007 წლისათვის კოკაინი ერთხელ მაინც მოიხმარა 16 დან 21 მილიონამდე ადამიანმა. მისი ძირითად მოხმარების ადგილებად ისევ ითვლება სამხრეთ და ჩრილოეთი ამერიკა და ცენტრალური ევროპა. კოკაინის მოხმარების მხრივ

გარკვეული სტაბილიზაცია შეინიშნება აღმოსავლეთ ევროპაში. მნიშვნელოვნად იზრდება კოკაინზე მოთხოვნილება ჩრდილოეთ ამერიკაში.

მსოფლიო სტატისტიკიდან ჩანს, რომ კანაბისი 2007 წლისათვის, ერთხელ მაინც მოიხმარა 143-დან 190 მილიონამდე ადამიანმა. ყველაზე დიდი ბაზარი გვხვდება სამხრეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. აქვე შეიმჩნევა დადებითი ტენდენციებიც, კერძოდ კანაბისის მოხმარება ახალგაზრდებს შორის, გარკვეულწილად, მცირდება განვითარებად ქვეყნებში.

ამფეტამინისა და მეტამფეტამინის მოხმარება მსოფლიო სტატისტიკის შესაბამისად, ხდება დაახლოებით 12დან 24 მილიონი ადამიანის მიერ. ამ ნარკოტიკებთან დაკავშირებით, დიდი პრობლემაა სტატისტიკური მონაცემები, რადგან ვერ ხორციელდება სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. მიუხედავად ამისა, მაინც შეიმჩნევა, რომ მეტამფეტამინის გამოყენება ხდება აზიის ქვეყნებში, ხოლო ამფეტამინისა კი, ევროპაშიც.

§2 ნარკომანიის მომწესრიგებელის საერთაშორისო აქტები (კონვენციები)

როგორც წინამდებარე ნაშრომის წინა თავებში იქნა აღნიშნული, ნარკოტიკების პრობლემა უხსოვარი დროიდან დგას მსოფლიოს ქვეყნების წინაშე. მოიძიება სხვადასხვა ცნობა ცალკეულ ქვეყანაში ნარკოტიკების არსებობის შესახებ, მაგალითად: ჩვ.წ-აღრ-მდე V საუკუნეში ძველებრაულ თორაში; 2700 წ ჩვ.წ.აღრ-მდე ჩინეთში; 980-1037 წწ- ავიცენას რეკომენდაციები ოპიუმთან დაკავშირებით; 440-377 ჩვ.წ.აღრ-მდე ჰიპოკრატეს მიერ 300-მდე პრეპარატის აღწერა; 1560 წელს ფრანგი მღვდლის ნაშრომში „ახალი ესპანეთის ზოგადი ისტორია“ მექსიკელი ინდიელების მიერ ნარკოტიკული ნაყენის მოხმარების შესახებ; XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში ნაპოლეონის ბრძოლებისას ნარკოტიკების გამოყენება; იმავე ევროპაში ნარკომანიის მასიული აფეთქება 1840 წელს; 1859 წელს ინგლისში ოპიუმის მასობრივად გამოყენების ფაქტები; მორფინიზმის განვითარება ყირიმის 1856-1857 და რუსეთ-საფრანგეთის 1870-1871 წლებში და მრავალი სხვა. მაგრამ, ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო აქტები ჩნდება მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან.

1909 წლის 5-26 თებერვალს შანხაიში შეიკრიბა 13 ქვეყნის წარმომადგენელი, „შანხაის ოპიუმის კომისიის“ სახელწოდებით, მიზნად დაისახეს აზიის ქვეყნებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში ნარკოტიკების შეტანის საწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა და ოპიუმის მოხმარების თანდათანობით შემცირება. ამ კომისიამ სავალდებულო სამართლებრივი ნორმები არ შეიმუშავა, მაგრამ ისტორიულად მნიშვნელოვანია, რადგანაც პირველი საერთაშორისო შეკრებაა ნარკომანიასთან დაკავშირებით; ცნობილია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახელწოდებაა კონვენცია, რომელიც ძირითადად გამოიყენება მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებისათვის. [18,166]

ჰააგის საერთაშორისო კონფერენცია

1911-1912 წლებში ჰააგაში, 12 ქვეყნის წარმომადგენლობით ჩატარდა ოპიუმის საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც შეიმუშავა 1912 წლის ჰააგის ოპიუმთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენცია, რომელიც პირველი კონვენციაა ნარკოტიკებთან დაკავშირებით. მისი რატიფიცირება 58-მა ქვეყანამ მოახდინა. მათ დაადგინეს ნარკოტიკების სია. კონვენცია ითვალისწინებდა

ნარკოტიკების მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის გამოყენებას, აგრეთვე ნარკოტიკებთან საბრძოლველად სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევას. შედეგს ამ კონვენციამ ვერ მიაღწია და ამიტომ განაპირობა ახალი საერთაშორისო აქტის მიღების აუცილებლობა.

ერთა ლიგის მეორე საერთაშორისო კონფერენცია

შემდეგი კონვენცია მიღებული იქნა 1925 წლის 19 თებერვალს ჟენევაში ერთა ლიგის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მიერ, მას ეწოდა „ჟენევის ოპიუმთან დაკავშირებული კონვენცია“. მონაწილეობდა 37 ქვეყანა. 1912 წელს ნარკოტიკების დადგენილ სიას დაემატა კოკას ფოთოლი, კოკაინი, ინდური კანაფი. მონაწილე ქვეყნებს კონვენცია ავალდებულებს შიდა ნორმატიული აქტების მიღებას ოპიუმის დამზადებასა და გავრცელებაზე მკაცრი კონტროლის გასატარებლად. კონვენციამ შემოიღო ლიცენზირება და ნარკოტიკების საგარეო ვაჭრობის გარიგებების რეგისტრაციის სისტემა, ერთიანი სტატისტიკური მონაცემები. მონაწილე ქვეყნებს 1936 წლის 29 იანვარს მიუერთდა საბჭოთა კავშირი.

ჟენევის 1931 წლის კონვენცია

ერთა ლიგის ეგიდით, 37 ქვეყნის მონაწილეობით 1931 წლის 13 ივლისს ჟენევაში მიღებული იქნა საერთაშორისო კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების დამზადების შეზღუდვისა და განაწილების რეგულირების შესახებ“ (ძალაში მხოლოდ 1933 წელს შევიდა). ამ კონვენციით დაიხვეწა მოქმედი სისტემა, ყველა ქვეყანას უნდა წარედგინა ნარკოტიკების მოთხოვნილების რაოდენობა, ხოლო გასაკონტროლებლად შეიქმნა „მაკონტროლებელი კომისია, რომელსაც ყოველწლიურად უნდა გამოეცა ინფორმაცია მოთხოვნილების შესახებ.

ჟენევაში 1936 წლის 26 ივნისს მიღებული იქნა საერთაშორისო კონვენცია „მავნებელი წამლის ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელშიც ნარკოტიკების კანონის დარღვევისათვის, გარკვეულ შემთხვევებში, პირი უნდა გადაეცათ სხვა სახელმწიფოსათვის. წინა კონვენციებთან შედარებით, გამკაცრებული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები ნარკოტიკული დანაშაულებისათვის. ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ყველა ქვეყანას არ შეეძლო, ამიტომ ზოგიერთმა ქვეყანამ უარი თქვა ხელმოწერაზე. საერთო კონტროლი

ნარკოტიკებისგასაღებაზე დაევალა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებით შექმნილ ერთა ლიგას.

1961 წლის ერთიანი კონვენცია

1961 წლის 24 იანვრიდან 25 მარტამდე, 73 სახელმწიფოს მონაწილეობით, ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ კონვენციის მიღების მიზნით, გაიმართა გაეროს კონფერენცია. შეიქმნა სპეციალური კომიტეტები, მიღებული იქნა რეზოლუციები. გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია შედგება 51 მუხლისაგან, მასში 1972 ოქმის მიხედვით შეტანილი იქნა ცვლილებები. ერთიან კონვენციაში მოცემულია ტერმინთა განმარტებები; ჩამოყალიბებულია კონტროლს დასაქვემდებარებელი ნივთიერებები; კონტროლის საერთაშორისო ორგანოები, კომისიები, მათი ფუნქციები, მოვალეობანი, ანაზღაურება, პროცედურის წესები; სტატისტიკური მონაცემების სისტემის მართვა; განსაკუთრებული მმართველობა, ანგარიშები ნარკოტიკულ საშუალებებზე, სხვადასხვა შეზღუდვები; საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სპეციალური პირობები; უკანონო ბრუნვასთან საბრძოლველად მიმართული ღონისძიებანი; ზედამხედველობა და ინსპექცია, სასჯელი, სადაო საკითხების გადაწყვეტა, შეტყობინებები და ა.შ.

კონვენციამ შეცვალა ადრე მიღებული ყველა ხელშეკრულება, გარდა 1936 წელს მიღებული კონვენციისა თავისი დათქმით. მთავარი ამ კონვენციაში მაინც ნარკოტიკულ საშუალებების ექსპორტსა და იმპორტზე ნებართვის მიღებაა. მეთვალყურეობას ახორციელებს ერთი ძირითადი ორგანო – ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც გაეროს ფარგლებში საქმიანობს, მაგრამ ცალკეული სტატუსიც აქვს. დამაძინებელ ყაყაჩოზე კონტროლი ვრცელდება კოკას ბუჩქზე და კანაფზეც. სამართლებრივი კუთხით, კონვენციის 38-ე მუხლმა აკრძალა ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარება. კონვენცია ითვალისწინებს, რომ ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის დადებითი შედეგი მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი, ეროვნული კონტროლის განხორციელებაზე დაყრდნობით შეიძლება იქნას მიღწეული. კონვენცია ნარკოტიკული ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნებს ავალდებულებს, ლეგალური ბრუნვიდან ნარკოტიკული საშუალების ან ნედლეულის გადინების აღმკვეთი ღონისძიებების გატარებას. ასეთივე ვალდებულებები ეკისრებათ პრეპარატების დამამზადებელ ქვეყნებს, იმის მიუხედავად, ნარკოტიკები ბუნებრივი ნედლეულითაა დამზადებული, თუ ქიმიური სინთეზით. სამკურნალწამლო ნარკოტიკების მომხმარებელ ქვეყნებს ევალებათ შექმნან

საკანონმდებლო და ადმინისტრაციული პირობები, რომ ნარკოტიკული საშუალებები გამოყენებული იქნას მხოლოდ სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნებისათვის. ერთიანი კონვენცია 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ნებისმიერ მონაწილე ქვეყანას უფლებას ანიჭებს აწარმოოს მოთხოვნილების შესაბამისი რაოდენობის ოპიუმი ან გაიტანოს სხვა ქვეყანაში, ორივე მხარის მიერ კონვენციის პირობების დაცვით. კონვენციის 36-ე მუხლით დადგენილია ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ქმედებათა დანაშაულად ცნობის საერთო წესები.

კონვენციას თან ერთვის სპეციალური – ნარკოტიკულ საშუალებათა ოთხი სია, მათგან, განსაკუთრებით მკაცრ კონტროლს ექვემდებარება პირველ სიას დაქვემდებარებული პრეპარატები. აქ, ძირითადად, შედის ოპიუმის ყაყაჩოდან, კოკას ფოთლიდან და კანაფიდან მიღებული პრეპარატები. მეორე სიაშია მედიცინაში ფართოდ გამოყენებადი პრეპარატები, რომლებიც რეცეპტით გაიცემა. მათ დამზადებაზე ლიცენზიებია გათვალისწინებული. მესამე სიაში ის პრეპარატებია, რომლებიც ინგრედიენტების სახით შეიცავს მე-2 სიით გათვალისწინებულ ნარკოტიკებს, მაგრამ შედარებით მცირე კონცენტრაციით და იმ პრეპარატებს, რომლებსაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ვერ იქნება უკანონო მოხმარების საგანი. რაც შეეხება მეოთხე სიას, იქ ისეთი ნარკოტიკული საშუალებებია, რომელთა მცირე რაოდენობაც კი, ხასიათდება განსაკუთრებით საშიში თვისებებით, მაგრამ თერაპიაში გამოიყენება მეტად შეზღუდული მასშტაბით. მხარეები უფლებამოსილნი არიან აკრძალონ ამ პრეპარატების წარმოება, დამზადება, ექსპორტი, იმპორტი და ა.შ.

ვენის 1971 წლის კონვენცია

შემდეგი კონვენცია „ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ“ გაეროს მიერ მიღებულია ვენაში 1971 წლის 21 თებერვალს (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 28 მაისს. [7,№733] გაეროს კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ ოქმის მისაღებად. კონვენცია შედგება პრეამბულის და 33 მუხლისაგან. პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მხარეები ზრუნავენ კაცობრიობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, აღიარებენ, რომ არსებობს პრობლემები ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით. აღიარებენ მკაცრი ზომების მიღების აუცილებლობას, კონტროლის გამკაცრებას და ა.შ. კონვენციაში განმარტებულია ტერმინები, განსაზღვრულია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მიმართ კონტროლის

სფერო, მიღებულია პრეპარატებზე კონტროლის სპეციალური დებულებები, თანდართულ სიებში შეტანილი პრეპარატების შეზღუდვა,ლიზენზირებისა და რეცეპტების საკითხები, კოლოფებზე გამაფრთხილებელი წარწერები და რეკლამა, სარეგისტრაციო ჩანაწერები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა და შეზღუდვა და ა.შ.

ამ კონვენციით საერთაშორისო დონეზე იხილებოდა ახალი საკითხები, რომლებიც ეხებოდა ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონოდ გამოყენებას. მათი, არასამედიცინო მიზნით გამოყენების პრობლემა იპყრობს მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას. ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე საუბარი ,ჯერ კიდევ, 1955 წლიდან იწყება, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციია ექსპერტთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებით. [ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მოხსენებათა სერია 1952 №57, 1954 №76, 1957 №116, 1964 №273, 1965 № 312) ზოგმა ქვეყანამ ფსიქოტროპული ნივთიერებანი მოაქცია ნარკოტიკების რეჟიმში.

1971 წლის წლის კონვენციამ დაადგინა საერთაშორისო კონტროლის სისტემა შემდეგი სახის ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე: ჰალუცინოგენები, ამფეტამინები, ბარბიტურატები, ტრანკვილიზატორები, ანალგეტიკები და საძილე საშუალებები.

კონვენცია ადგენს ოთხ სიას: – №1 სიაშია ჰალუცინოგენების ჯგუფი, რომელშიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებებია. კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად, მათი გამოყენება სამეცნიერო და მკაცრად კონტროლირებადი სამედიცინო მიზნების გარდა აკრძალულია; – №2 სიაში შედიან სტიმულატორები, რომელთაც შეზღუდული თერაპიული დანიშნულება აქვთ, აგრეთვე ნარკოტიკული ანალგეტიკები, რომლებიც თერაპიაში საერთოდ არ გამოიყენება, იწვევს ძლიერ დამოკიდებულებას; – მე-3 სიაში ბარბიტურატებია, რომლებიც დამამშვიდებელი, ანტიეპილეფსიური და ნარკოტიკული თვისებების მქონე სხვა ნივთიერებებია. აუცილებელია მათი მოხმარების შესახებ საჭიროა სტატისტიკური ანგარიშების წარდგენა; – სია №4-ში შედის საძილე საშუალებები, ტრანკვილიზატორები და ანალგეტიკები, რომლებიც გამოიყენება ნარკომანების მიერ და თერაპიული მიზნებისათვის. მათზე ვრცელდება მეცნიერულად დასაბუთებული სამედიცინო რეცეპტი,ეტიკეტირება, წარმოების ან რეალიზაციის ლიზენზირება.

გაეროს 1988 წლის ვენის კონვენცია

გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ“ მიღებულია კონფერენციის მეექვსე პლენარულ სხდომაზე 1988 წლის 19 დეკემბერს. კონვენცია შედგება 34 მუხლისგან, რომლებშიც რეგლამენტირებულია შემდეგი საკითხები: განსაზღვრებები, კონვენციის გამოყენების სფერო, სამართალდარღვევები და სანქციები, იურისდიქცია, კონფისკაცია, გადაცემა, იურიდიული ურთიერთდახმარება, სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე მასალების გადაცემა, თანამშრომლობის სხვა ფორმები და კადრების მომზადება, საერთაშორისო თანამშრომლობა და ტრანზიტის სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევა, კომერციული გადამზიდები, უკანონო ბრუნვა ზღვაზე, საფოსტო გზავნილების გამოყენება, კომისიისა და კომიტეტის ფუნქციები, რატიფიცირება, ძალაში შესვლა, დენონსაცია, სადაო საკითხების გადაწყვეტა და სხვა საკითხები.

კონვენცია ერთხმად იქნა მიღებული 1988 წლის სპეციალურ კონფერენციაზე ვენაში. იგი შემუშავებული იქნა წინა ორი კონვენციის განმტკიცებისა და დამატების მიზნით. კონვენციამ გაითვალისწინა ისეთი საკითხები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ან არასრულყოფილად იყო გადმოცემული წინა დოკუმენტებში. მაგალითად, 1-4 მუხლებში დათქმაა, რომ კონვენცია არ გამორიცხავს მონაწილე მხარეთა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ სისხლის სამართლის იურისდიქციას. კონვენცია განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ნივთიერებებზე კონტროლის დაწესებისათვის, რომელთა გამოყენებითაც ხდება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების დამზადება.

კონვენციას თან ერთვის ორი ცხრილი, რომლებშიც მოცემულია 22 ნივთიერება, რომლებიც პრეკურსორების სახელწოდებითაა ცნობილი. კონვენციის თანახმად, მხარეები ამყარებენ ურთიერთკავშირს, თანამშრომლობენ სამართალდარღვევების გამოძიებებისას, კადრების მომზადებაში, ცვლიან ინფორმაციებს ტრანზიტის შესახებ, ახორციელებენ კონტროლირებად მიწოდებას, ახდენენ ვაჭრობის მონიტორინგს ორივე ცხრილში შეტანილ ნივთიერებებს. მხარეები თანხმდებიან შეცვალონ ეროვნული კანონმდებლობა ნარკოტიკებით მიღებული შემოსავლების კონფისკაციის გამარტივების მიზნით; მე-14 მუხლის თანახმად, ყველა მხარე იღებს შესაბამის ზომებს უკანონო

კულტივირების საწინააღმდეგოდ და ახორციელებს უკანონო ნათესების განადგურებას.. კონვენციას შემოაქვს პრინციპულად ახალი დანაშაულის შემადგენლობები, შემუშავებულია დამამძიმებელი ფაქტობრივი გარემოებანი. პირველად, საერთაშორისო პრაქტიკაში, კონვენციამ გაითვალისწინა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის მეთოდი - კონტროლირებადი მიწოდება. შემუშავებულია ნარკოტიკების აღრიცხვა და სხვ. კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 28 მაისის „№732 დადგენილებით. საინტერესოა, რომ აღნიშნული კონვენცია წინადადებას აძლევს ქვეყნებს შეიმუშაონ დანაშაულის ახალი შემადგენლობა და შემოიღონ პასუხისმგებლობა ნარკოდანაშაულის ორგანიზებისა და ფინანსირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულია, სისხლის სამართლის კოდექსში მსგავსი ცვლილება შეტანილი არ არის, მიზანშეწონილად მიგვაჩნის შემუშავებული იქნა სისხლისსამართლებრივი ახალი ნორმა და დაწესებული იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოდანაშაულის ორგანიზებისა და ფინანსირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, აიღო ვალდებულება მისი რეკომენდაციების შესრულებაზე, მაინც არ შეიმუშავა ნარკოდანაშაულის ორგანიზებისა ან ფინანსირებისთვის ახალი სამართლებრივი ნორმის შემადგენლობა, ამიტომ ავტორი გვთავაზობს ნოვაციას ასეთი სისხლისსამართლებრივი ნორმის შესაქმნელად (იხილეთ ნოვაციები შესავალ ნაწილში).

1999 წლის ლოკხნაუსის შეთანხმება

საერთაშორისო ნარკომანიის კონტროლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის პროგრამას, რომელიც გულისხმობს საერთაშორსო დონის მეცნიერთა მოსაზრებების გათვალისწინებას ნარკომანიის საერთაშორისო პრობლემასთან საბრძოლველად. იგი თავისი შინაარსით ითხოვს ნარკომანისთან ბრძოლის პოტენციალის სწორად შეფასებას, ამდაგვარ რეკომენდაციებს საერთაშორისო დონის მეცნიერები იძლევიან. აღნიშნული რეკომენდაციები აღნიშნულია გაეროს 43-ე პლენარულ სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 1999 წლის 28 ივლისს.

მნიშვნელოვანია, ლოკხნაუსის შეთანხმება, რომელიც მიღებული იქნა 34-ე სესიაზე, იგი ჩატარდა 1999 წლის 1-დან 5 თებერვლის ჩათვლით ლოკხნაუსში, ინდოეთში, დაისახა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის გაძლიერება.

შეთანხმება ეხებოდა პრეკურსორებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების უკანონო საერთაშორისო ვაჭრობის, ნარკოტიკებისა და პრეკურსორების უკანონო დამზადების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანი ზომების მიღებას. კონვენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის იძლევა რეკომენდაციას, გააფრთხილოს ყველა წევრი ქვეყანა მიღებული დოკუმენტის შესახებ, რათა თითოეულმა გაითვალისწინოს ლოკხნაუსის შეთანხმება და განახორციელოს 1988 წლის კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები. კონვენციის მე-12 მუხლი გულისხმობს ანგიდრიდის მჟავის და პერმანგანატის კალის გადატანას კონვენციით გათვალისწინებული მეორედან პირველ სიაში.

ლოკხნაუსისის შეთანხმების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია ერთად შექმნას ერთიანი კონტროლის მექანიზმი, რითაც გაკონტროლდება საერთაშორისო სივრცეში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და აგრეთვე მხარეებს უფლება ენიჭებათ, საერთო მიზნის მისაღწევად შემოიღონ მათი ქვეყნისთვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური ბრძოლის მექანიზმები. შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოებში კომპეტენტურ ორგანოებს აუცილებლად უნდა გადაეცეს ინფორმაცია საერთაშორისო გადაზიდვებზე ნარკოტიკული საშუალებების შემცველი ნივთიერებების შესახებ, რის საფუძველზეც მოხდება შესაბამისი ზომების მიღება. თავის მხრივ ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია გენერალურ ანსამბლეას გადასცეს ინფორმაცია მისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნარკოტიკების შემცველი ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ. წევრ სახელმწიფოებს ევალებათ სანქციების შემოღება მათი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიების მიმართ, რომლებიც არღვევენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წესებს და არ გასცემენ ინფორმაციას ნარკოტიკების შემცველი ნივთიერებების იმპორტის ან ექსპორტის შესახებ.

გაეროს 1999 წლის 28 ივლისს გაეროს 43-ე პლენარულ სხდომაზე მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, სახელმწიფოები, რომლებიც იმპორტის სახით მიიღებენ ნაარკოტიკების ან პრეკურსორების შემცველ ნივთიერებებს, ვალდებულლნი არიან გააკონტროლონ ეს ნივთიერებები მათი საბოლოო დანიშნულებით გამოყენებამდე.

2005 წლის შეთანხმება

აღნიშნული ორმხრივი შეთანხმება განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1988 წელს მიღებულ კონვენციის შესაბამისად, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლისას ამოღებული, კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონება. კონვენციის საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ ნარკომანიასთან წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი იქნება იმ ქონების გამოყენება, რომელიც დაექვემდებარა კონფისკაციას და რომელიც მოპოვებული იქნა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შედეგად.

მხარეები თანხმდებიან, რომ ეს ქონება მოთხოვნისთანავე უნდა დაუბრუნდეს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ამ სფეროში ჩადენილი დანაშაულისგან უშუალოდ მიადგა ზიანი. ეს ქონება დაეხმარება წევრ-სახელმწიფოს ბრძოლის გაძლიერებაში ან იმ პირებისათვის ქონების დაუბრუნდებისათვის, რომლებსაც უშუალოდ მიადგათ ზიანი. კონვენციაშივეა აღნიშნული, რომ ასეთი სახით, კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების განკარგვა არ ეწინააღმდეგება კორუფციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ კონვენციას. კონვენციის საფუძველზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ წევრ სახელმწიფოებს, მოთხოვნის შემთხვევაში, ამ საკითხთან დაკავშირებით გაეწევათ კონსულტაციები. წევრ სახელმწიფოებს, თხოვნის სახით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ევალებათ იმ ინფორმაციის მიწოდება, თუ რა სახის წარმატებებს მიაღწიეს მათ ამ საკითხში.

კონვენციას თან ახლავს დანართი, სადაც მოცემულია ასეთი ხელშეკრულების ფორმა. ხელშეკრულება შედგება 13 მუხლისაგან, ზემოხსენებული კონვენციის შინაარსი და პრინციპები ფორმულირებულია და სრულყოფილადაა გადმოცემული მათში.

§3 ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორის ინსტიტუტები

(ნარკოტიკებთან ბრძოლით დაკავებული საერთაშორისო ინსტიტუციები – მიზნები და საქმიანობის სფერო)

საინტერესოა იმ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც შეიქმნა და ახორციელებენ თავის ფუნქციებს ნარკოტიკებთან საბრძოლველად. ამ ორგანიზაციების მიერ გაწეულია მნიშვნელოვანი სამუშაო და მიღწეული შედეგებიც დიდ ინტერესს იწვევს. განვიხილოთ რამდენიმე მათგანის სტატუსი და საქმიანობა.

ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციაა **ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭო** (**INCB** – International Narcotics Control Board), წარმოადგენს 1961 წელს მიღებული ნარკოტიკული საშუალებების ერთგვარ ოვანი კონვენციის ხელშეკრულებითი ორგანო, რომელიც შეიქმნა 1968 წელს და შეცვალა ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ შექმნილი მუდმივი ცენტრალური საბჭო (Pernament Central Board) ოპიუმის საერთაშორისო კონვენციის მიერ 1925 წლიდან შექმნილი საერთაშორისო ხელშეკრულებითი ორგანო, ეკონომიკური და სოციალური სანჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (**ECOSOC** – ეკონომიკური და სოციალური საბჭო), რომელიც გაეროს ექვსი ძირითადი ორგანოთაგანია, შეიქმნა გაეროს ქარტიის საფუძველზე, როგორც მთავარი კოორდინირებული ორგანო გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში). არის დამოუკიდებელი ორგანო და მიუხედავად იმისა, რომ მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროსთან, მისი ადმინისტრაცია, არ ექვემდებარება არც ერთ მის სააგენტოსა თუ ორგანოს, იგი შექმნილია სახელმწიფოთა მიერ 1961 წელს ერთგვაროვანი კონვენციით მიღებული ვალდებულების შესრულების კონტროლისათვის. მომდევნო კონვენციებით გაფართოვდა მისი ამოცანები და მოიცავს ყველა ზედამხედველობით გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნა სამივე, მრავალმხრივ ანტინარკოტიკულ კონვენციაში. ეს კონვენციებია:

- 1961 წლის 30 აპრილს ნიუ-იორკში ხელმოწერილი ერთგვაროვანი კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“, რომელიც გატარდა 1964 წელს;
- 1971 წელს ვენაში მიღებული კონვენცია „ფსიქოტროპული სუბსტანციების შესახებ“, რომელიც ცხოვრებაში 1976 წელს გატარდა;

- 1988 წელს ვენაში მიღებული კონვენცია „გამაბრუებელი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის კონტროლის შესახებ, ცხოვრებაში გატარდა 1990 წელს.

ნარკოტიკების კონტროლის მთავარი საბჭოს ამოცანაა: „გამაბრუებელი საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმოქცევაზე ზედამხედველობა მთელ მსოფლიოში, ასევე არალეგალურ მიმოქცევაში მათი „გაჟონვის“ თავიდან არიდება და ასევე ზრუნვა, რომ მათი მოყვანა, წარმოება თუ გამოყენება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნით“ [60,110]

INCB ორგანიზაციაა, რომელიც კონვენციის ყველა მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების სადარაჯოზე დგას, მას აქვს კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოს მნიშვნელოვანი უფლებები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აქვს ემბარგოს დაწესების უფლება კონტროლირებადი ნივთიერებების ექსპორტსა და იმპორტზე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც არ იცავენ აღებულ ვალდებულებებს.[61,206-213]თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად ნარკოტიკული საშუალებების კომისიის მეშვეობით, ეკონომოკერ და სოციალურ საბჭოს (ECOSOC)-ს წარუდგენს მოხსენებას.

ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭო (INCB) შედგება 13 წევრისაგან, რომლებიც აირჩევა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC)-ის მიერ 5 წლის ვადით. ისინი არც ერთ სახელმწიფოს არ წარმოადგენენ და მოქმედებენ, როგორც ექსპერტები. სამი წევრი ფლობს სამედიცინო, ფარმაკოლოგიურ და ფარმაცევტულ გამოცდილებას, ირჩევა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის – World Health Organization (WHO)-ს მიერ წარდგენილი კანდიდატების სიიდან, დანარჩენი 10 წევრი კი, აირჩევიან მთავრობების მიერ გამოცხადებული კანდიდატების სიებიდან 5 წლის ვადით. ამჟამად ამ საბჭოში ექსპერტები წარდგენილნი არიან WHO-ს მიერ ირანიდან, ნიგერიიდან, ინდონეზიიდან, დანარჩენი (მთავრობების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან) არიან: განადან, თურქეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან, მექსიკიდან, კოლუმბიიდან, ავსტრალიიდან, ბელგიიდან და ჩინეთიდან.

INCB-ს თავმჯდომარეა ჰამიდ გჰოდსი (Hamid Ghodse) – ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, დაბადებული 1939 წელს, მედიცინისა და ფილოსოფიის დოქტორი, ფლობს დიპლომს ფსიქოლოგიაში. 1987 წლიდან ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და საერთაშორისო ნარკოტიკული პოლიტიკის პროფესორია. 1992 წლიდან კი ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭოს წევრია (თავმჯდომარედ არჩეული იყო 1993, 1994, 1997, 1998, 2000, 2001, 2004, 2005 წლებში). [17,389]

პარიზის პაქტი. 2003 წლის მაისში პარიზში ჩატარდა კონფერენცია ცენტრალური აზიიდან ევროპის მიმართულებით ნარკოტიკების კონტრაბანდის მარშრუტების თემაზე. კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საგამოძიებო ორგანოებსა და საზღვარზე საკონტროლო საქმიანობების ძლიერი და კოორდინირებული წარმართვისათვის აუცილებელი იყო ამ საქმიანობის რეალიზაცია პარიზის პაქტის მექანიზმის ჩარჩოებში. 2003 წლიდან პაქტის ჩარჩოებში შეიქმნა ორი სამუშაო მექანიზმი – ოპერაციულ და პოლიტიკურ დონეზე:

- მრგვალი მაგიდა (Export Roundtable), რომლის საქმიანობაც მიმართულია საზღვრებზე კონტროლის, ანტინარკოტიკული საქმიანობისა და ახალი ფორმის რეგიონალური და საერთაშორისო თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად;

- პოლიტიკური ჯგუფი (Policy Group) – რომლის ფუნქციონირებაც სტრატეგიულ დონეზე ახალი შეთავაზებების საქმიანობის შემოწმებისათვის.

2003 და 2006 წლებში პარიზის პაქტის ჩარჩოებში საქმიანობამ მოიცვა ავღანეთიდან ევროპის მიმართულებით, ნარკოტიკების კონტრაბანდის მარშრუტი. ესენია: პაკისტანის, შემდეგ ირანის გავლით და ბოლოს საზღვაო ან საჰაერო გზით ევროპისაკენ მარშრუტი; ირანზე, თურქეთსა და ბალკანეთზე გამავალი დასავლეთის მარშრუტი და ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და რუსეთზე გამავალი ჩრდილოეთის მარშრუტი.

პარიზის პაქტის მექანიზმები ტრანზიტულ ქვეყნებს ეხმარებიან ნარკოტიკების კონტროლის სახელმწიფოთაშორისი მაკოორდინირებელ სამსახურებს; სახელმწიფო ანტინარკოტიკული ერთეულების შექმნით, ლეგალურ მიმოქცევასა და მედიცინაში გამოყენებადი ნარკოტიკებისა და პრეკურსორების მაკონტროლებელი სახელმწიფო მექანიზმებისა და კრიმინალისტიკური

ლაბორატორიების გაძლიერებაში; თანამედროვე ტექნიკური სწავლებების განვითარებაში; მეზობელ სახელმწიფოებთან ნარკოტიკების კონტროლის სფეროში თანამშრომლობაში მასტერკლასების ორგანიზებით და ა.შ.

ევროკავშირის ფორუმში თანამშრომლობა. ევროკავშირის საბჭოში ფუნქციონირებს **ჰორიზონტალური ჯგუფი ნარკოტიკების საკითხებში (HDG),** ესაა მუდმივი ჯგუფი, რომლის საქმიანობაც კოორდინირებულია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მთელი ევროპის მასშტაბით. HDG-ის ფორუმზე განიხილება როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის შექდუდვის საკითხები (მკურნალობა, ზარალის შეზღუდვა, რეაბილიტაცია, გაფრთხილება და ა.შ.) მის ჩარჩოებში შემუშავდა ნარკოტიკული სტრატეგია და მოქმედების გეგმაც.

კომიტეტი პრეკურსორების საკითხებში – ევროკავშირის მუდმივი ექსპერტების ჯგუფია. ექსპერტები, წელიწადში ორჯერ, მონაწილეობას ღებულობენ შეხვედრებში, საჭიროების შემთხვევაში, პრობლემების გადასაჭრელად, ქმნიან „მუშა ჯგუფს“. კომიტეტი კოორდინირებულია პრეკურსორების მიმოქცევის კონტროლსა და მონიტორინგზე. ამ კომიტეტში, პოლონეთი წარმოდგენილია ფარმაცევტიის მთავარი ინსპექციისა და ასევე პოლიციის მთავარი სამმართველოს ცენტრალური საგამომძიებლო სამსახურის წარმომადგენლების სახით. ექსპერტებმა ევროკავშირში ნარკოტიკების პრეკურსორების კონტროლის ძირითადი საკითხების მომცველ ვრცელ დოკუმენტზე დაასრულეს მუშაობა 2006 წელს. ეს დოკუმენტია „დირექტივები ეკონომიკური სუბიექტებისათვის“. დაიწყო ევროკავშირის კანონმდებლობის შეფასების პროცესი ნარკოტიკების პრეკურსორების სფეროში. ამ კომიტეტში, პოლონეთი, როგორც ერთ-ერთი დომინანტი ქვეყანათაგანი ნარკოტიკების პრეკურსორების საკითხებში, 2007 წლის I ნახევარში, ჩართული იყო სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც აფასებდა იმდროინდელ კანონმდებლობასა და მის მოქმედებას ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში.

დადგენილია საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოება ნაციონალური სახელმწიფოების მთავრობათაშორის ფორმალურად მიღწელი შეთანხმებებით, მაგრამ მთავრობათაშორის ასეთ თანხმობას არ შეეძლო პოლიციათაშორის პრაქტიკული თანამშრომლობის საფუძველი გამხდარიყო. [145,276]

ინტერპოლი. ინტერპოლი ახორციელებს საერთაშორისო პოლიციურ საქმიანობას. იურისტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ინტერპოლის შექმნის ათვლის პერიოდია 1914 წლის აპრილი. [156,2] XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩნდება ტერმინი „ინტერპოლი“ და მიღებული იქნა ახალი წესდება, ხოლო 80-იანი წლებიდან ის არასახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციიდან ცნობილი იქნა სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო ორგანიზაციად. [31,13] იურისტთა გარკვეული ნაწილის აზრით, 1914 წლის 14-18 აპრილს მონაკოს ჰერცოგის ალბერტ პირველის ინიციატივით სისხლის სამართლის პოლიციის I საერთაშორისო კონგრესის მოწვევა გახდა ინტერპოლის შექმნის წინაპირობა. [122,9] ზოგი ავტორის აზრით, ინტერპოლი შეიქმნა 1923 წელს, როგორც სხვადასხვა ქვეყნის საერთო ხასიათის სისხლისსამართლებრივ დანაშაულებთან ბრძოლის კოორდინაციის სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო კომისია. [172] ინტერპოლი თავდაპირველად 17 სახელმწიფოს აერთიანებდა და მათი ცენტრი ავსტრიაში, ვენაში მდებარეობდა. 1938 წელს ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის ოკუპაციის შემდეგ, ინტერპოლმა შეწყვიტა თავისი არსებობა და მუშაობა მხოლოდ 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განაახლა. დღეს მას ინტერპოლს უწოდებენ და იგი 1956 წლის 13 ივნისს მიღებული წესდების ესაბამისად მოქმედებს. კონგრესის მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავსკვნათ, რომ მონაკოში მიმდინარე კონგრესმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან რკინის ფარდის გაუქმების შემდეგ, სახელმწიფოთა შორის არსებული დაძაბულობის ნეიტრალიზაციის მიზნით დაიწყო მათ შორის ტურისტული, სპორტული,კულტურული და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის დამყარება, რომელსაც თან სდევდა დანაშაულები, ყველაზე მეტად კი ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება და გასაღება, იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდა. [იხ. სურ. 15,19]

1960 წელს ინტერპოლის წევრი იყო 65 სახელმწიფო, ხოლო 1980 წელს მათი რიცხვი 130-ს აღწევს. ინტერპოლის პრაქტიკაში სისხლის სამართლის პოლიციის ქვეშ მოიაზრებიან ის ორგანოები, რომლებიც ასრულებენ პოლიციის ფუნქციებს.მისი წესდების მე-4 მუხლის შესაბამისად, „თითოეულ ქვეყანას შეუძლია ნებისმიერ საპოლიციო ორგანოს, რომლის ფუნქციებიც ემთხვევა ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს, მიანიჭოს უფლებამოსილება გამოვიდეს

ორგანიზაციის წევრის სახელით“. წევრად მიღების თხოვნა კომპეტენტური სამთავრობო ორგანოს მიერ ეგზავნება გენერალურ მდივანს. გადაწყვეტილება წევრად მიღებაზე გამოაქვს გენერალურ ასამბლეას ხმების 2/3 უმრავლესობით. 1990 წლისათვის ინტერპოლის წევრ სახელმწიფოთა რიცხვი 150-მდე გაიზარდა. დღეისათვის ინტერპოლის წევრია 186 სახელმწიფო. ამჟამად მისი შტაბ-ბინა საფრანგეთში, ქალაქ ლიონში მდებარეობს, ის ამავე დროს, რეგიონულ ცენტრს წარმოადგენს ევროპისათვის ხმელთაშუა ზღვისთვის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთისთვის. ინტერპოლის სხვა ცენტრები განლაგებულია ნაირობიში (აღმოსავლეთ აფრიკისთვის), ტოკიოში (აზიისთვის) და პუერტო-რიკოში (ყარიბის აუზის და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებისთვის). [172]

ინტერპოლის მიზნებია:

- ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, სისხლის სამართლის პოლიციის ყველა ორგანოების (დაწესებულებების) ფართო ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა;
- იმ დაწესებულებების შექმნა და განვითარება, რომლებიც წარმატებით უწყობენ ხელს დანაშაულის პრევენციასა და მასთან ბრძოლას.

ინტერპოლის სტრუქტურა შემდეგი კომპენენტებისაგან შედგება:

- გენერალური ასამბლეა;
- აღმასრულებელი კომიტეტი;
- გენერალური სამდივნო
- ეროვნული (ნაციონალური) ცენტრალური ბიურო;
- მრჩევლები. [172]

საქართველო შეუერთდა მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებს, სადაც ხაზგასმულია ინტერპოლის როლი სამართლებრივი დახმარების სფეროში, მათ შრისაა გაეროს და ევროსაბჭოს ეგიდით მიღებული კონვენციებიც. 1993 წლის ოქტომბერში ინტერპოლში საქართველოს მიღების შემდეგ, იქმნება ერთგვარი საკანონმდებლო ვაკუუმი, შიდანორმატიული ბაზა არ არსებობდა. 2006 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ინტერპოლის ახალი

დებულება, რომელშიც, VI თავის შესაბამისად, განისაზღვრა ბიუროს სტრუქტურული დანაყოფები და მათი კომპეტენცია.

ევროპოლი – პოლიციის ევროპული სამსახურია. იგი პასუხისმგებელია ევროპაში კრიმინალურ გამოძიებაზე. ევროპოლი შეიქმნა 1992 წელს. მისი შტაბი მდებარეობს ჰააგაში, ნიდერლანდებში. ევროპოლი სამსახურში ასაქმებს საგამომძიებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს პოლიციის, საბაჟო და იმიგრაციული სამსახურებიდან. ევროპოლში შემადგენლობაში ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოებიდან თითო-თითო წარმომადგენელია. კონვენციის თანახმად, ევროპოლის ამოცანაა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგამოძიებო ორგანოების მხარდაჭერა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში, დამნაშავეთა ქმედებების იდენტიფიკაციაში, რომლებიც ხდება, სულ ცოტა, ორი ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ სახეზეა შემდეგი სახის დანაშაულებები:

- ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვა;
- არალეგალური მიგრაცია;
- ტრეფიკინგი, ბავშვების პორნოგრაფიის ჩათვლით;
- მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებების მართლსაწინააღმდეგო გადაადგილება;
- ფულისა და სხვა ფულადი საშუალებების გაყალბება;
- რადიოაქტიური და ასაფეთქებელი საშუალებების;
- მართლსაწინააღმდეგო მიმოქცევა;
- ტერორიზმი;
- ზემოაღნიშნული კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად მოპოვებული ფულის ლეგალიზაცია.

2001 წლის 7 დეკემბრიდან ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 2002 წლის 1 იანვრიდან ევროპოლის კომპეტენციის გაფართოების შესახებ შემდეგი სახის დანაშაულებებში:

- მკვლელობა და სხეულის მძიმე დაზიანება;

- გატაცება, დანაშაულებრივი თავისუფლების აღკვეთა და მძევლად აყვანა;
- ადამიანის ორგანოებითა და ქსოვილებით არალეგალური ვაჭრობა;
- რასიზმი და უცხოელების სიძულვილი ე.წ. ქსენოფობია;
- ორგანიზებული თავდასხმა და ძარცვა;
- ძალმომრეობა და იძულებითი ყაჩაღობა;
- თაღლითობა და ქონების მითვისება;
- კულტურის ქონების კონტრაბანდა, მათ შორის ძეგლებისა და ხელოვნების შედევრების;
- ტვირთის შტამპების გაყალბება;
- დოკუმენტების გაყალბება;
- კომპიუტერული დანაშაულებები;
- კორუფცია;
- იარაღით, ამუნიციითა და ასაფეთქებელი საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა;
- დაცული ცხოველებისა და მცენარეების არალეგალური ვაჭრობა;
- ბუნებრივი გარემოს დაბინძურება;
- ჰორმონალური და სხვა, სხეულის ზრდის გამომწვევი საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა;

ევროპოლი წევრი სახელმწიფოების საგამოძიებო ორგანოებს ეხმარება შემდეგნაირად: ევროპოლში შემავალ ოფიცრებს უქმნის პირობებს ინფორმაციის გაცვლის მიზნით; ოპერატიული კრიმინალური ანალიზი; ოპერატიულ-დაზვერვით ან სახელმწიფოს მიერ მიწოდებული წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სტრატეგიული მოხსენებების დამუშავება და სტრატეგიული კრიმინალური ანალიზის შესრულება; წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შესასრულებლად სპეციალური

ცოდნის მიწოდება და ტექნიკური დახმარების გაწევა; კრიმინალური ანალიზისა და ოპერატიულ-საგამოძიებო ტექნიკის ჰარმონიზაციისათვის ხელშეწყობა.

ევროსაბჭომ, 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით გააფართოვა ევროპოლის საქმიანობის სფერო, დაემატა

- ფულის გათეთრება (ლეგალიზაცია), როგორც ცალკე არსებული დანაშაულებრივი კატეგორია და არა მხოლოდ შესავალში დასახელებულ დანაშაულებებთან კომბინაციის სახით, რაც ითხოვს ევროპოლის შესახებ კონვენციის შევსებასა და რატიფიცირებას ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოს მიერ.

ევროპოლი ექვემდებარება საბჭოს იურიდიულ და შიდა საქმეთა წარმოებაში, ანუ ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს.

ევროპოლის სტრუქტურაში შედის:

- მმართველობის საბჭო;
- დირექტორი 9დირექტორატი)
- საფინანსო დისპეტჩერი;
- საფინანსო კომიტეტი;
- ეროვნული ერთეულები [31,59]

ინტერპოლსა და ევროპოლს მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნებათ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. ინტერპოლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც დროებით, ისე მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოების საქმიანობაში. ინტერპოლი და ევროპოლი ლომის წილს დებენ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გახსნის საქმეში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი როლი ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ბრძოლა დღითიდღე აქტუალური ხდება. სახელმწიფოთაშორის საზღვრების ლიბერალიზაციისა და რეგიონალური კავშირების გაფართოებასთან ერთად ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულები იძენს ორგანიზებულ ხასიათს. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით აქტუალური ხდება.

აქტუალურია ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების სპეციფიკურობის გამოკვლევა ინტერპოლის, ევროპოლის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფოთა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით.

COSPOL – (Comprehensive Operational Strategic Plannig for the Police) ქვეჯგუფი „სინთეტიკური ნარკოტიკები“- ყოველმხრივი ექსპლუატაციის დაგეგმარება პოლიციისათვის, ევროკავშირის საბჭოსა და ძირითადად PCTF-ის (Police Chiefs Task Force) პოლიციის უფროსების ოპერატიული ჯგუფი) მფარველობის ქვეშ განხორციელებული პროექტია, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიციების საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებით, ძირითადად კი, ორგანიზებული დანაშაულის სფეროში; ახორციელებს ნარკოტიკების მიმოქცევით დაკავებული საერთაშორისო დანაშაულებრივი ჯგუფების განეიტრალებისა და ასევე, მათი ორგანიზატორების დაკავების მიზნით ურთიერთდამოკიდებული საქმიანობის წარმართვა; გარდა ზემოაღნიშნულისა, ქვეჯგუფის მიზანია იმ ქვეყნების პროექტებში მონაწილეობა, რომელთაც ძირითადად სინთეტიკურ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული ემუქრებათ. ჯგუფის მიერ მომზადებული და დამოწმებული ქვეჯგუფის მოქმედების გეგმა აყალიბებს მუდმივ ორმხრივ თანამშრომლობას, AWE SYNERGY-ის (Ligiud Gas, Apollo) პროექტების აუცილებელი ანალიტიკური მხარდაჭერით, რომლებიც, ძირითადად, ამფეტამინის წარმოებისათვის საჭირო პრეკურსორებისა და ნარკოტიკების აღმოსავლეთ ევროპიდან ლიტვის, პოლონეთისა და გერმანიის გავლით ბელგიასა და ჰოლანდიაში კონტრაბანდული გზით გადამტან ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს შორის არსებულ მართლსაწინააღმდეგო კავშირების მონიტორინგს ახორციელებენ და ასევე ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიაზე ამფეტამინისა და MDMA-ს მწარმოებელი მართლსაწინააღმდეგო მეწარმეობის იდენტიფიკაციას ახდენენ.

EMCDDA- **ნარკომანიისა და ნარკოტიკების მონიტორინგის ევროპული ცენტრი** – ჯერ კიდევ, 10 წლის წინათ, ევროპის შესაძლებლობანი, მისსავე ტერიტორიაზე, ნარკოტიკების პრობლემის მონიტორინგის სფეროში, ძალიან შეზღუდული იყო. ამ ამოცანისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ნარკოტიკების, ევროპის დონეზე, ნარკომანიისა და მათი შედეგების თემაზე იგრძნობოდა საიმედო და შედარებითი ინფორმაციის

ნაკლებობა. შეუძლებელი იყო ევროპის ტერიტორიაზე, ნარკოტიკების მოხმარების ტენდენციებსა და მაგალითებზე დარწმუნებით საუბარი. ამდაგვარი სიტუაცია შეცვალა 1993 წეწს შექმნილმა ნარკომანიისა და ნარკოტიკების მონიტორინგის ევროპულმა ცენტრმა (EMCDDA)-ამ. ცენტრის მიზანია ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებს მიაწოდოს ევროპაში ნარკოტიკების პრობლემის ფაქტიური მიმოხილვა და ასევე ნარკოტიკების საკითხების ირგვლივ მათი საერთო ინფორმაცია. ამჟამად, ცენტრი პოლიტიკურ დეკადენტებს სთავაზობს ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონებისა და სტრატეგიების მომზადებისათვის საჭირო საწყის ცოდნას, ასევე მეცნიერებსა და ექსპერტებს საუკეთესო პრაქტიკებისა და ანალიზის ახალი არეალის განსაზღვრაში ეხმარება. მისი საქმიანობის მთავარი მიზანია, ევროკავშირში, ნარკოტიკების შესახებ, შედარებითი ინფორმაციის ზრდა. ცენტრი მიმართავს მონიტორინგის დაახლოებით 30-მდე სახელმწიფო ცენტრების ქსელს შიდა მონაცემების ანალიზისა და შეგროვების მიზნით, საერთო სტანდარტებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, მონაცემების შეგროვებას. ქვეყნის შიგნით წარმოებული მონიტორინგის შედეგები ანალიზისათვის გადაეცემა ცენტრს და საბოლოოდ გამოქვეყნდება წლიურ მოხსენებაში ევროპაში ნარკოტიკული პრობლემის მდგომარეობის შესახებ. ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალ ნარკოტიკებსა და ტენდენციებს, რადგანაც იმ დროს, როცა ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზით მოხმარებისაგან ყოველწლიურად იღუპება დაახლოებით 7000 ევროპელი, აუცილებელია, უწყვეტი მონიტორინგის წარმოება.

რეგიონური თანამშრომლობა. ბალტიის ზღვის რეგიონში მოქმედებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში მუშა ჯგუფის ოპერატიული კომიტეტი **(BALTCOM)-** იგი მოქმედებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, მონაწილეობს 40 წევრი-სახელმწიფო (გერმანია, რუსეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, შვეცია, ნორვეგია, ფინეთი, დანია, პოლონეთი და სხვ), შეიქმნა რეგიონში წევრი-სახელმწიფოების პრემიერების ინიციატივით შეიქმნა.

ნარკოტიკებთან დაკავშირებით, ხორციელდება სტრატეგიული და სამეცნიერო ხასიათის პროექტები, რომლებსაც მოჰყვება კონკრეტული, ეფექტური შედეგები. ამ ჯგუფის ფარგლებში განხორციელებულია შემდეგი პროექტები: BMK-ს ფორმირების პოლონური პროგრამა (ზემოთ გვქონდა მასზე საუბარი); ოპერავია

„არწივი“ - ორმხრივი, პოლონურ-შვედური ხანგრძლივი პროექტია,გატარდა 2005 წელს, 2007 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, იმავე სახელწოდებით, მისი გაგრძელების შესახებ. ოპერაცია ოთხი პროექტიდან ერთ-ერთია. განხორციელდა პრეკურსორებისა და სინთეტიკური ნარკოტიკების წინააღმდეგ სუბ-რეგიონალური პროექტის ფარგლებში.

ოპერაცია „არწივის“ ძირითად მიზნებად წარმოდგენილია:

- ნარკოტიკების მწარმოებელი არალეგალური ლაბორატორიების აღმოჩენა;
- პოლონეთიდან შვედეთის მიმართულებით ნარკოტიკების კონტრაბანდის აღმოჩენა;
- სინთეტიკური ნარკოტიკებისა და პრეკურსორების არალეგალური წარმოებით, მიმოქცევითა და კონტრაბანდით დაკავებული ერთეული თუ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების ამოცნობა;
- სინთეტიკური ნარკოტიკებისა და პრეკურსორების არალეგალური წარმოებით, მიმოქცევითა და კონტრაბანდით დაკავებულ დამნაშავეთა საერთაშორისო ორგანიზებული ჯგუფების განადგურება და აღმოფხვრა;
- ნარკოტიკების წარმოებისათვის საჭირო პრეკურსორების კონტროლი და მონიტორინგი;
- ოპერატიული და საგამოძიებო საქმიანობის სფეროში ორმხრივი და მრავამხრივი თანამშრომლობის გაძლიერება;
- პრეკურსორების კონტრაბანდისა და გადინების მარშრუტების, მათი მეთოდებისა და მოქმედების ადგილების იდენტიფიკაციისათვის საჭირო საგამოძიებლო ტექნიკის წარმოება პრეკურსორების წარმოშობის წყაროს დადგენის მიზნით;
- 2007 წლის I ნახევარში ჩატარდა 12 ოპერატიული და 8 პროცესუალური საქმე. დაკავებული იქნა 14 ადამიანი და კონფისკაცია გაუკეთდა 11,98 კგ ამფეტამინსა და 15 000 ზლოტის ღირებულების ქონებას. შვედეთის მხრიდან ოპერაციაში მონაწილეობდა სახელმწიფო კრიმინალური პოლიცია, ასევე საბაჟო სამსახური, ხოლო პოლონური მხარე კი,

პოლიციის მთავარი სამმართველოს ცენტრალური საგამოძიებო სამსახურისა და სასაზღვრო პოლიციის სახით იყო წარმოდგენილი.

მახე III – ორმხრივი პროექტი (პოლონეთი-ლიტვა). ამ პროექტმა 2006 წელს მნიშვნელოვანი ეფექტურობით იმუშავა, განსაკუთრებით აღსანიშნავია AWF Synergy-ის ფარგლებში გაუწია დახმარება ევროპოლ – LIQUID GAS-ის მიერ ჩატარებულ სუბ-პროექტს. დანიაში, პოლონურ და ლიტვურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღმოჩენილი და დაკავებული იქნა BMK-ს ტრანსპორტირების შემთხვევა.

Heads of National Drug Law Enforcement Agencies (HONLEA) - ვენაში UNODC-ის (United Nations Office on Drugs and Crime)- მფარველობით განხორციელებული მოწინავე პროექტი ევროპის ტერიტორიაზე ნარკოტიკულ საფრთხეებს ეხება, მათ შორის ევროპულ ქვეყნებშიც. HONLEA –ს შეხვედრა VII შეხვედრა დაეთმო VI შეხვედრაზე მიღებული რეკომენდაციების რეალიზაციის მდგომარეობის შეფასება რეკომენდაციების რეალიზაციის მდგომარეობის შეფასებას, გამოცდილების გაზიარებას, რეკომენდაციების შემუშავებას და ქვემოთ ჩამოთვლილ მოვლენების შეფასებას: ევროპისაკენ კოკაინის კონტრაბანდის სფეროს; ნარკოტიკებთან ბრძოლის სააგენტოს საერთაშორისო საგამოძიებო ტექნიკას; დამნაშავეთა ჯგუფების მიერ ევროპაში სავაჭრო ქსელის შექმნის სიტუაციას; ფულის გათეთრებას. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 82-მა ადამიანმა, რომლებიც წარმოადგენდნენ 28 ევროპულ სახელმწიფოს, ევროპოლსა და UNODC –ს პლენარულ სესიაზე მოხდა **UNODC**-ის VI შეხვედრის რეკომენდაციის განხორციელების მდგომარეობის შეფასება. ეს რეკომენდაციები ავღანეთიდან ევროპის მიმართულებით ჰეროინის კონტრაბანდისა და ევროპაში კოკაინის შეზღუვასთან, გემებზე კონტეინერების გაკონტროლებასა და მოწმის დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობებს ეძღვნებოდა. პლენარული სესიის მეორე ნაწილი კი თითოეულ ქვეყანაში, საერთაშორისო თანამშრომლობის გათვალისწინებით, ნარკოტიკული სიტუაციის შეფასების დაეთმო. პოლონურმა მხარემ მოამზადა ინფორმაცია, რაც დაერთო HONLEA-ს შეხვედრების ოფიციალურ დოკუმენტაციას დაეთმო. პლენარული სესიის დროს აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ბელგიის, იტალიის, პოლონეთის რუსეთის, თურქეთის წარმომადგენლებმა და ასევე, ევროპოლის დამკვირვებელმა წარმოადგინეს ოფიციალური განაცხადები ნარკოტიკული სიტუაციის თემაზე. პოლონეთმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰეროინისა და კოკაინის სატრანზიტო და ამფეტამინის

მწარმოებელი ქვეყანაა. აღინიშნა ისიც, რომ პოლონეთში არ შეინიშნება MDMA-ს წარმოება. მოხსენების ბოლო ნაწილი დაეთმო პოლონეთის პოლიციის მიერ რეალიზებულ საერთაშორისო თანამშრომლობას. პოლონელი დელეგატის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებების ძირითადი ნაწილი შეხვედრის საბოლოო მოხსენებაში იქნა შეტანილი. მომდევნო შეხვედრის ჩატარება დაიგეგმა 2009 წელს.

§4 ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციალურ-კრიმინოლოგიური მეთოდები

გამაბრუებელ, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს სინთეტიკური ნივთიერებები წარმოადგენენ. ეს ისეთი ნარკოტიკებია, რომლებიც მიიღება სინთეტიკური პრეკურსორებისაგან, როგორც წესი, ხდება არალეგალური გზით. მათზე მოთხოვნილება გაიზარდა XX საუკუნის 80-იან წლებში. ბუნებრივ ნარკოტიკულ საშუალებებთან შედარებით სინთეტიკური საშუალებები ბევრად უფრო ახალი სუბსტანციებია. მათი პოპულარობა, ჩვენის აზრით, ორი მიზეზითაა განპირობებული.

პირველი მიზეზია – ისეთი ტიპის ნარკოტიკების უამრავი ნაირსახეობა, რომელთა დიდი ნაწილიც, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმზე ფსიქოტროპულ ზემოქმედებას ახდენს, არაკონტროლირებადია. მაგალითად, ფენეთილოამინის სახელწოდებით ცნობილი ნაერთისაგან წარმოებული ნივთიერებები. პოლონეთში, ისევე, როგორც მთელ ევროპაში, ამ ნაერთისაგან წარმოებული, დაახლოებით 20 დერივატი კონტროლირდება. შულგინმა, თავის წიგნში ``I,Chemical Love Story'', წარმოადგინა დაახლოებით 200-მდე დერივატის სინთეზის ფორმულები და აღწერა მათი ბიოლოგიური ზემოქმედება, მათგან რამდენიმე დიდი პოპულარობით სარგებლობს არალეგალურ ბაზარზე. მათ შორისაა მეთილენოდიოქსიამფეტამინის დერივატები „ექსტაზის", „ამფეტამინის" ან „მეტამფეტამინის" სახელითაა ცნობილი.

მეორე მიზეზი – სინთეტიკური ნარკოტიკების წარმოების სიმარტივეა. მათი უმეტესობა , უმარტივესი მეთოდით მიიღება სახლის პირობებში მოწყობილ პატარა ლაბორატორიებშიც კი. [იხ. შურ. 23] ისინი, ძირითადად, ადგილობრივი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. მათი, ძალიან დიდ მანძილზე გადატანისა და ტრანსპორტირების აუცილებლობა არ არსებობს, მაგალითად, როგორც ეს კოკაინის ან ჰეროინის შემთხვევაში ხდება. ასეთი მიზეზი, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მათი ამოღების რისკს ამცირებს და მისი ფასიც, ამიტომ, შედარებით დაბალია. სინთეტიკური ნარკოტიკები მზადდება სხვადასხვა ფორმების აბებად, რომელთა გამოყენებაც, ძირითადად ახალგაზრდებში, ნარკოტიკების მიღებამდე, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვაში ეხმარება. სინთეტიკური ნარკოტიკების არალეგალურად წარმოება, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა ევროპაში არსებულ ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ

პრობლემებს შორის. ამ სფეროში ლიდერობს ჰოლანდია, რომელიც სინთეტიკური ნარკოტიკის უმთავრესი წყაროა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ, მთელ მსოფლიოში. ყოველწლიურად ხდება ათობით ამდაგვარი ლაბორატორიის ლოკვიდირება. ჰოლანდია ლიდერობს ამფეტამინის მწარმოებელ ქვეყნებს შორისაც, მეორე ადგილზეა პოლონეთი.

1995 წლიდან, რაც ვოლი კარჩევსკიში ლიკვიდირებული იქნა პოლონეთში უდიდესი არალეგალური ლაბორატორია, აღმოჩენილი იქნა კიდევ 170 ამდაგვარი ლაბორატორია, მათი უმრავლესობა ამზადებდა ამფეტამინს, მხოლოდ ერთში მზადდებოდა PMAPMA (პ-მეთოქსიამფეტამინი) და PMMA (პ-მეთოქსიმეტამფეტამინი), ზოგჯერ ისინი, საკუთარი საჭიროებისათვის, აწარმოებდნენ მეტამფეტამინს. (იხ. სურათი №)

ნარკოტიკების წარმოება არალეგალურ ლაბორატორიებში იზრდება [იხ.სურ.4,5] და არ იგრძნობა ამ ტენდენციის ცვლილება. თვითონ სახელწოდება - **„არალეგალური ლაბორატორია“**ასოცირდება იმ ადგილთან, სადაც ნარკოტიკები და პრეკურსორები იწარმოება არალეგალური გზით. ასეთ ადგილად შეიძლება მოიაზრებოდეს საცხოვრებელი ან სამეურნეო დანიშნულების შენობა, ავტოფარეხი ან სარდაფი წარმოებისათვის საჭირო აღჭურვილობით. [იხ. სურ. 4,5] აღჭურვილობაში, მაგალითად, იგულისხმება სპეციალური დანადგარები (კოლბები, რადიატორები) და ყოველდღიური მოხმარების ნივთები. ლაბორატორიის საქმიანობის სფეროს განსაზღვრა დაკავშირებულია მისი საქმიანობის სფეროსთან. ნარკომანიის წინააღმდეგ კანონის (35-ე მუხლი) შესაბამისად, არალეგალური ლაბორატორიაა ის ადგილი (ფართი), სადაც შესაბამისი ნებართვის უქონლობის მიუხედავად, მიმდინარეობს ქიმიური და ფიზიკური პროცესები, რომლის მიზანსაც წარმოადგენს:

- ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გადამუშავება, წარმოება, გარდაქმნა (კანონის 35-ემუხლი);
- ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების დასამზადებლად საჭირო პრეკურსორების წარმოება, გარდაქმნა (კანონის 41-ე მუხლი).

ტერმინი **„წარმოება“** განსაზღვრულია, როგორც ტრანსაქცია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მიღებული იქნას ნარკოტიკული საშუალებები ან ფსიქოტროპული სუბსტანციები ან მათი პრეკურსორები, მოხდეს მათი

გასუფთავება, ნედლეულისა და ნახევრად პროდუქტების ექსტრაქცია, ან ამ ნივთიერებებისა და სუბსტანციებისაგან მარილის მიღება. ანუ იგი მოიცავს ყვალა იმ ოპერაციას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კონტროლირებადი სუბსტანციების მიღებას, წარმოებას. ძალიან ხშირად, სინთეზის გარკვეული ეტაპები სხვადასხვა ადფილებში მდებარეობს, ზოგ ასეთ ადგილას მიიღება ნახევარპროდუქტები, რომლებიც არაკონტროლირებადი სუბსტანციებია. მაგალითად, ლეუკარდის მეთოდით ამფეტამინის სინთეზის პირველი ეტაპი – ნ-ფორმილოამფეტამინის მიღება. ანუ ამ ადგილას არ ხდება ფსიქოტროპული სუბსტანციების, ნარკოტიკული საშუალებების ან პრეკურსორების წარმოება. თუმცა, ეს ადგილი, მაინც არალეგალური ლაბორატორიაა, რადგანაც აქ მიმდინარეობს გადამუშავებითი პროცესი ანუ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული სუბსტანციების ან მათი პრეკურსორების ჩანაცვლებითი პროცესი ისეთი სხვა საშუალებებით, ფსიქოტროპული სუბსტანციებითა თუ პრეკურსორებით, რომლებიც არ წარმოადგენენ ნარკოტიკულ საშუალებებს, ფსიქოტროპულ ნივთიერებებს ან პრეკურსორებს.

შედარებით უფრო იშვიათია შეხება ისეთ არალეგალურ ლაბორატორიებთან, სადაც მიმდინარეობს გარდაქმნა ანუ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული სუბსტანციებისა და მათი პრეკურსორებისაგან ან თხევადი ნაერთის მიღება და ასევე ამ საშუალებებისა თუ სუბსტანციებისათვის მკურნალობაში გამოსაყენებელი ფორმის მიცემა.

იმისათვის, რომ ხდებოდეს არალეგალური ლაბორატორიების საჭიროებისამებრ ფუნქციონირება, აუცილებელია სახეზე იყოს სამი ელემენტი. ესენია: ცოდნა, ქიმიკალები (პრეკურსორები და რეაგენტები) და ლაბორატორიულიი აღჭურვილობა. ამ ელემენტების სახელწოდებაა „საჭიროებათა სამკუთხედი“ .

(იხ. სურათი №) სადაც:

1) - ცოდნა,

2)- ქიმიკალები და

3)- ლაბორატორიული აღჭურვილობაა.

როგორც ყველა სამკუთხედში, აქაც აუცილებელია სამივე ელემენტის არსებობა, თუმცა, პირველ ადგილზე მაინც ცოდნაა. ქიმიკოსმა, რომელმაც იცის, რა უნდა მიიღოს, შეუძლია ქიმიური სინთეზის შესაბამისი მეთოდი

მოარგოს მის ხელთ არსებულ ქიმიკალებსა და აღჭურვილობას, მეორეს მხრივ, თვით საუკეთესო აღჭურვილობაც კი, მისი უცოდინარობის შემთხვევაში, არ იძლევა ნორმალური პროდუქტის მიღების გარანტიას. ცოდნა არალეგალუყრი ლაბორატორიებისათვის საჭირო მოთხოვნათა სამკუთხედის საფუძველია. არსებული მონაცემებით, ცოდნის ოთხი ძირითადი წყარო არსებობს:

1) განათლება – მოპოვებული სკოლასა და ქიმიურ ფაკულტეტზე სწავლისას;

2) გამოცდილება – სხვა პირისაგან გაზიარებული ცოდნა;

3) არალეგალური ლიტერატურა, ხელნაწერი რეცეპტები – არალეგალური წყაროებიდან მიღებული ცოდნა;

4) ინტერნეტიდან მოძიებული რეცეპტები. ნარკოტიკების სინთეზის მეთოდების რეცეპტებს ვხვდებით სამეცნიერო ჟურნალებში. ეს გზა რთული გამოსაყენებელია, რადგანაც რეცეპტები მოცემულია ჰერმეტული სამეცნიერო ენით იმ ადამიანთა მიერ, ვისაც აქვს შესაბამისი განათლება.

არალეგალურ ლაბორატორიებში მომუშავე ადამიანთა კატეგორია ორი სახისაა: ქიმიკოსები და ოპერატორები.

ქიმიკოსები, ხშირად, უმაღლესი სპეციალური განათლების ხალხია, ზოგჯერ, დოქტორის ხარისხითაც. მათი ამოცანაა ნარკოტიკების წარმოების ძირითადი დამუშავება პრეკურსორებიდან საბოლოო პროდუქტის კრისტალიზაციამდე. ხშირ შემთხვევაში, ინსტრუქცია ისეა შემუშავებული, რომ პროდუქტის მომზადება შეიძლება არაქიმიკოსმაც შეძლოს. ქიმიკოსები, ძირითადად ამზადებენ რეცეპტებს, უშუალოდ პროდუქტს, როგორც წესი, ისინი არ ამზადებენ.

რაც შეეხება **ოპერატორებს,** ისინი სხვადასხვა განათლებისა და პროფესიის მქონე ადამიანებია. ისინი, უკვე, ქიმიკოსების მიერ მომზადებული რეცეპტების საფუძველზე, ამზადებენ პროდუქტს. მათთვის საკმარისია ისეთი მარტივი ოპერაციების ცოდნა, როგორიცაა დისტილაცია და ექსტრაქცია.

ნარკოტიკების წარმოებისათვის საჭირო მოთხოვნილებათა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდია ქიმიკალები, რომელთა უმრავლესობა ლეგალური გზით გამოიყენება და მათი გაყიდვა კონტროლს არ ექვემდებარება, მაგრამ არის ისეთი ქიმიკალებიც, რომელიც კოტროლის ქვეშაა და მათი მოძიება გართულებულია. ძირითადად, ეს პრეკურსორებია, რის გამოც, ცდილობენ, მათი სინთეზური გზით მიღებას.

მოწყობილობა-აღჭურვილობა მოიცავს როგორც საერთო, ისე კონკრეტული პროცესის წარმოებისათვის განკუთვნილ, სპეციალიზირებული დანიშნულების აპარატურას, ლაბორატორიული სკალისა და ხელსაწყოების ფართო სფეროს. [იხ, სურ. 4,5] მასში შედის საოჯახო ნივთებიც (მაგალითად, ჩაიდანი, რომელიც გამოიყენება როგორც ორთქლის წყარო წყლის ორთქლის დისტილაციის დროს) ასევე საჭიროა ელექტრული გამაცხელებელი ქვაბები, რადიატორები, კოლბები, გამანაწილებლები, საშრობები და სხვა. [იხ.სურ.6,7,8] საინტერესო ინფორმაცია მოვიპოვეთ პოლონური არალეგალური ლაბორატორიების შესახებ, სადაც რეაქციული ნაერთების გასაცხელებლად და დისტილაციისათვის, უფრო ხშირად, გამოიყენება 6-დან 20 ლიტრამდე მოცულობის მინის კოლბები, დამხმარე საშუალებების, შედარებით უფრო მცირე ზომის კოლბები, რომელთა გაცხელება, ძირითადად, ელექტრული გამაცხელებელი ქვაბებით ხდება., ხოლო გამოყოფილი ორთქლის გასაგრილებლად იყენებენ მინის რადიატორებს (მომრგვალეპულს, სპირალურსა და სწორს), დისტილაციის დროს, რადიატორის გავლით უნდა გავიდეს წყალი.

არალეგალურ ლაბორატორიებში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია დისტილაცია (იხ.სურ. 7]), რაც, დუღილის გზით, ცვალებადი ტემპერატურის საფუძველზე, ქიმიური ნაერთისაგან შემადგენელი ნაწილების გამოცალკევებას გულისხმობს. დისტილაციისათვის საჭირო დანადგარი შედგება: მრგვალი ფორმის კოლბისაგან, რომელიც გამაცხელებელ ქვაბშია მოთავსებული, სწორი რადიატორისა და სინჯარისაგან.

სინთეტიკური ნარკოტიკების მიღება ხდება კრისტალური სახით, შესაბამისი მარილისაგან, მაგალითად, ამფეტამინის სულფატისაგან და ა.შ. საბოლოო პროდუქტი ყოველთვის შეიცავს გამხსნელის ნარჩენებს, რომლებიც გაშრობის შედეგად უნდა მოცილდეს. იყენებენ გაშრობის ორ მეთოდს: ერთია – სპეციალურ ჭურჭელზე გაშლილი პროდუქტის ლამპების სინათლეზე გაშრობით. (იხ.სურ. 6); მეორე – გამოიყენება სხვადასხვა სახის საშრობები.

გამშრალი პროდუქცია ნატეხების სახითაა, ამიტომ მიმოქცევაში გასვლამდე ხდება მისი დაფქვა. დაფქვის პროცესში შესაძლებელია სხვადასხვა მინარევების დამატება, მაგალითად, როგორიცაა გლუკოზა ან ტკივილგამაყუჩებლები და ა.შ., ვიზუალურად შეუძლებელი ხდება მინარევებისა და დანამატების გარჩევა.

უკანასკნელ პერიოდში, სულ უფრო პოპულარული ხდება აბების დამზადება, რაც ბაზრიდან გამოდევნის ფხვნილის სახით დამზადებულ ნარკოტიკებს. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: უმთავრესია, პროდუქტების მიწოდების ლამაზი ფორმა, მისი გადაყლაპვისას უკუქცევების არ არსებობა, აქვს ლოგო, რაც , ბუნებრივია, რომ არ შეესაბამება პროდუქტის ქიმიურ შემადგენლობას. ხშირად, აბები მზადდება სხვა ადგილას, ხოლო ნარკოტიკები სულ სხვა ადგილას. აბების დამზადება ხდება დავალებით, იმის გაუაზრებლად, თუ რა ქიმიური შემადგენლობისაა რეალურად მიწოდებული პროდუქტი. ასეთია, მაგალითად „იტსუბისჰი“, ამდაგვარი აბები მრავლადაა და სხვადასხვა სახელწოდებით. აბების დამზადება ხდება ფხვნილის მსღალი წნევის ქვეშ დაპრესვითა და აბის ფორმის მიცემის გზით., მათზე იტვიფრება ლოგო. საშუალოდ, ასეთ ლაბორატორიებში, ერთ საათში 20 000-დან 30 000-მდე აბს ამზადებენ. ნარკოტიკების ზოგიერთი სინთეზი მოითხოვს სპეციალურ მოწყობილებას. პოლონეთში, მაგალითად, აღმოაჩინეს ორი სახის აღჭურვილობა, პირველი საწარმოებელი რეაქტორია. (იხ.სურ.8) ეს ფოლადის რეაქტორია, რაც საშუალებას იძლევა სინთეზის 360 გრადუსზე, შედგება რეაგენტების დასამატებელი ტუმბოსა და პრეპარატის გამოსახდელი ფოლადის რადიატორისაგან. მეორე მოწყობილობა კი, ამინოვანიის რედუქციის მეთოდით ამფეტამინის წარმოებისათვის გამოიყენებოდა ეს დანადგარი შეიცავს შესარევ და თერმოსტატულ (ღარს) მექანიზმისა და მაღალი წნევის რეაქტორებად გადაკეთებულ ტექნიკური გაზის ბალონებს.

ნებისმიერი არალეგალური ლაბორატორიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ელექტრო ენერგია და წყალი. ამფეტამინისა და მისი დერივატების წარმოებისას დახარჯული ელექტროენერგია, თითქმის იმდენივე იხარჯება, რამდენიც საოჯახო პირობებში, ამიტომ დამახასიათებელია ელექტრო ენერგიის უკანონოდ გაყვანა, იგი შეიძლება შედიოდეს მთელ შენობაში, ან შენობის მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც უშუალოდ მიმდინარეობს ნარკოტიკების სინთეზი. მეორე აუცილებელი საშუალებაა წყალი. ლაბორატორიებში მოიხმარენ ორი სახის წყალს: ტექნიკურსა და გამოხდილს. ტექნიკური წყალი გამოიყენება წარმოების პროცესში და კავშირშია ტექნოლოგიურ წარმოებასთან. გამოხდილი წყალი გამოიყენება რადიატორში ორთქლის გადატანისათვის. წყალმომარაგების სამი საშუალებაა: წყალსადენები, ჭები და წყლის დახურული შიდა გაყვანილობები. პირველის დროს არ არის წყლის ეკონომიურად გამოყენების შიში, მეორე – გამოიყენება სოფლის პირობებში არსებული

ლაბორატორიებისათვის. მესამე შედგება დიდი მოცულობის მქონე წყლით სავსე კასრისა (ხშირად გვხვდება 200 ლიტრიანები) და წყლის ტუმბოსაგან, რომელიც წყლის ცირკულაციისათვის და გასაგრილებელი რადიატორებისთვისაა საჭირო.

არალეგალური ლაბორატორიები, როგორც წესი, ლოკალიზებულია და ძირითადად, პატარა ქალაქებსა და სოფლებშია განთავსებული. ძირითადად, ეს შორიდან რთულად დასაკვირვებელი შენობაა, თუმცა, არის შემთხვევები, როცა ასეთი ლაბორატორიების განთავსება ხდება საცხოვრებელ კორპუსებსა და ბინებში.

არალეგალური პროდუქტების სინთეზისათვის, ლაბორატორიებში გამოიყენება ქიმიური გარდაქმნები, რომლის დროსაც უპირატესობას ანიჭებენ შემდეგ დამახასიათებელ ნიშნებს: განსახორციელებლად ადვილია და არ საჭიროებს რთული და კომპლექსური აპარატურის გამოყენებას; ხასიათდებიან მცირე რაოდენობის შემოვლითი ეტაპებით, საფეხურებით, რაც არ მოითხოვს შუალედური პროდუქტების კომპლექსურ, ღირებულ და დროისმფლანგველ განაწილებას; დამაკმაყოფილებელი პროდუქტიულობით იძლევია პროდუქციას; ქმნიან ფართო მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობას; ხასიათდებიან მიღებული ნახევარპროდუქტების გამძლეობით, რაც გარკვეულ შუალედურ ეტაპზე წარმოების პროცესის შეჩერების შესაძლებლობასა და მასალის მომდევნო გარდაქმნისათვის სხვა ადგილას ტრანსპორტირების შესაძლებლობას ქმნის; სინთეზის დროს მოიხმარენ ადვილად მოსაპოვებელ, უბრალო პრეკურსორებსა და რეაგენტებს.

სინთეტიკური ნარკოტიკების დამზადებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ ქიმიკალებს, რომლებიც, ძირითად ოთხ კატეგორიად იყოფა: პრეკურსორები, რეაგენტები, კატალიზატორები და გამხსნელები.

პრეკურსორების სახელწოდების მქონე ნარკოტიკების წარმოებას ორი მნიშვნელობა აქვს: ქიმიური და სამართლებრივი. ქიმიური სინთეზის თვალსაზრისით პრეკურსორი სუბსტანციაა, რომლის ფუძეც ქმნის კონტროლირებადი სუბსტანციის სტრუქტურას, ან სტრუქტურის ნაწილს; **რეაგენტი** ნივთიერებაა, რომელიც სასურველი პროდუქტის მიმართულებით პრეკურსორის სტრუქტურის მოდიფიკაციას უზრუნველყოფს, თუმცა, არ შედის მისი სტრუქტურის შემადგენლობაში; **კატალიზატორი** ნივთიერებაა, რომელიც არსებით როლს თამაშობს, იგი აჩქარებს რეაქციის მიმდინარეობას

განსაზღვრული მიმართულებით, მაგრამ თავად არ მონაწილეობენ ქიმიურ რეაქციებში; **გამხსნელები** სითხეა, რომელიც უზრუნველყოფს რეაქვიის შემადგენლობის ერთგვაროვნებას.

სამართლებრივი გაგებით, პრეკურსორი სუბსტანციაა, რომელიც დასახელებულია პრეკურსორების წარმოებისა და მიმოქცევის მარეგულირებელ სამართლებრივი დებულებების ნუსხაში. ევროკავშირში, პრეკურსორები მიჩნეულია ქიმიურ ნივთიერებებად, რომლებიც 2004 წლის 11 თებერვლის, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს მიერ, ნარკოტიკების პრეკურსორების საკითხებში მიღებულ დადგენილებებშია (№ 273/2004) მოხსენიებული. შეინიშნება ისეთი პრეკურსორების მიღება არალეგალური სინთეზის მეთოდების გზით, რომელთა მოძიება ბაზარზე სირთულეს წარმოადგენს. ასეთიპრეკურსორების მისაღებად გავრცელებულია მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება: ფენილოძმარმჟავა, ბენზოლის ციანიდი, ბენზალდეჰიდი (ნიტროსინთეზის მეთოდი). ფენილოძმარმჟავა კონტროლირებადი ნივთიერებაა, მაგრამ მისი ფართო მოხმარების გამო, ხდება მისი დიდი ოდენობით წარმოება, ამიტომ იგი შედარებით ხელმისაწვდომია. ხშირად, არალეგალურ ლაბორატორიებში მის ნაცვლად გამოიყენება ფენილოძმარმჟავის ქლორიდი, რომელიც არაკონტროლირებადი პროდუქტია და მისი წყალთან შერევით ნორმალური ძმარი მიიღება. ორივე ეს ნივთიერება ძალიან იაფი და ხელმისაწვდომია. BMK-ს ფენილოძმარმჟავასაგან მიღების პროცესი საკმაოდ რთული რეაქციის პირობებში მიმდინარეობს და არც თუ ისე პროდუქტიულია. ამ სირთულეებისა და შეზღუდვების მიუხედავად, BMK-ს წარმოება ფენილოძმარმჟავასაგან ხელსაყრელია და პრეკურსორების არალეგალური ბაზრის არსებითი ელემენტია. BMK-ს სინთეზი ფენილოძმარმჟავასა და ძმარმჟავისაგან ერთეტაპიანი პროცესია, მაგრამ იგი საჭიროებს სპეციალურ აპარატურას, იგი მიმდინარეობს ფოლადის რეაქტორში. საჭიროა კატალიზატორი – ტორის ოქსიდი. პროცესი მიმდინარეობს სპეციალური რეცეპტით. პროდუქციას აქვს დამახასიათებელი თვისებები. კერძოდ: აქვს დამახასიათებელი მძაფრი სუნი; აუცილებელია სპეციალური ფოლადის რეაქტორი (მზადდება შეკვეთით), გასაცხელებელი დანადგარ და ტემპერატურის მაკონტროლებელი 300-400 C-ის გრადუსის ფარგლებში; აუცილებელია ცილინდრი კატალიზატორის აზოტით რეგენერაციისათვის; დიდი ოდენობით ელექტრო ენერგიის გამოყენება, საჭიროა აგრეთვე დისტილაციის დანადგარი, ექსტრაქციის დანადგარი, წვრილმანი ლაბორატორიული ხელსაწყოები და ა.შ. თითქმის ანალოგიურად მზადდება სხვა პრეკურსორებიც.

ბენზოლის ციანიდი ორეტაპიანი პროცესია. მის დასამზადებლად საჭიროა შემდეგი ქიმიკატები: პრეკურსორები -ბენზოლის ციანიდი და ეთილის აცეტატი: რეაგენტები – მეტალური ნატრიუმი, ეთანოლის ანჰიდრიდი გოგირდმჟავა (კონტროლირებადი), ფოსფორმჟავა, ძმარნჟავა. ასევე ორ ეტაპად მიმდინარეობს BMK-ს წარმოება ბენზალდეჰიდისაგან, გამოიყენება ორი მეთოდი სპეციალური რეცეპტით. პროცესში გამოიყენება ნაკლებად ცნობილი ქიმიური ნაერთები. გამოიყენება პრეკურსორები – ბენზალდეჰიდი და ნიტროეთანი; კატალიზატორი – ბუტილოამინი; გამხსნელები – ეთანოლი, მეთანოლი, დიეთილის ეთერი, ტოლუენი, ბენზოლი; რეაგენტები – ნატრიუმის ბორჰიდრიდი, პერეჰიდროლი, პოტასიუიმის კარბონატი, რკინის მტვერი, ძმარმჟავა ან მარილმჟავა.

ამფეტამინი – თავისუფალ მდგომარეობაში არასასიამოვნო სუნის მქონე სითხეა (გაფუჭებული თევზის სუნის მსგავსი), ალისფერია, მზადდება ცელსიუსის 200-203 გრადუსზე. არალეგალურ ბაზარზე შეაქვთ მარილის, ამფეტამინის სულფატის სახით, რომელიც არის უსუნო, ან თავისუფალი ამფეტამინის სუსტი სურნელის, თეთრიდან მოყავისფრო შეფერილობის მქონე ფხვნილი. ამფეტამინის სინთეზი შემუშავდა XIX საუკუნის ბოლოს, 1930 წლიდან, როცა დამზადდა ამფეტამინის პირველი შემცველი პრეპარატი „ბენზედრინი“, იგი იყიდებოდა აბების სახით და გამოიყენებოდა, როგორც მადის დასაქვეითებელი (გასახდომი) საშუალება. ეს პრეპარატი იძლეოდა ხანგრძლივად მუშაობის საშუალებას და მას ღებულობდნენ სატვირთო მანქანების მძღოლები და სპორტსმენები, სტუდენტები გამოცდების წინ. პრეპარატს იყენებდნენ მსუბუქი დეპრესიის სამკურნალო წამლადაც. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს, ზოგჯერ მას აღებინებდნენ ჯარისკაცებს ბრძოლის წინ. ამფეტამინი იწვევს აფორიაქებულ და ეიფორულ მდგომარეობას, იწვევს ძლიერ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას. ყველაზე მეტად ეა პრობლემა შვედეთს შეეხო. 1965 წლიდან ამფეტამინი ამოღებული იქნა ფარმაკოლოგიური ბაზრიდან, ამან კი, ხელი შეუწყო პრეპარატის არალეგალურ ლაბორატორიებში მომზადებას. პოლონეთსა და სკანდინავიურ ქვეყნებში, ასევე დასავლეთ ევროპასა და უნგრეთში, ამფეტამინი გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სინთეტიკური ნარკოტიკული საშუალება. პოლონეთი გახდა არა მხოლოდ მისი მომხმარებელი ქვეყანა, არამედ,90-იანი წლებიდან მისი დიდი ოდენობით მწარმოებელიც. პოლონეთს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროპაში, ჰოლანდიის, ბელგიისა და ინგლისის გვერდით. ამ ქვეყნებში რეალიზებული ამფეტამინის 60% პოლონეთზე მოდის. მისი დამზადება ხდება ლეუკარდის მეთოდით.პროცესი სამეტაპიანია. მის

მისაღებად საჭიროა სპეციალური აპარატურა. სინთეზში გამოიყენება ამონიუმის ჭიანჭველმჟავის პროდუქცია, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს, იყენებენ აგრეთვე ამონიუმის კარბოქსილს და სხვა ქიმიკალები. ამფეტამინის სინთეზი მზადდება რედუქციული ამინიზაციის მეთოდითაც, სხვა მეთოდებთან შედარებით, აქვს უპირატესობა, რომ უფრო მცირე დრო სჭირდება, უფრო სუფთა პროდუქტია და მაღალი პროდუქტიულობა აქვს. წარმოებისათვის საჭიროა ტექნიკური გაზები: წყალბადი და ამონიაკი; საჭიროა ალუმინის შენადნობი ნიკელთან, ესაჭიროება როგორც კონტროლირებადი, ისე სუბსტანციური ქიმიკალები, აგრეთვე რეაგენტები – ამონიაკი, წყალბადი (აირის სახით), ნატრიუმის ჰიდროქსიდი, გოგირდმჟავა; გამხსნელები – მეთანოლი,დიეთილის ზეთი, ტოლუენი და ექსტრაქციისათვის საჭირო სხვა გამხსნელები. პროდუქტი მიიღება დაბალწნევიანი მეთოდებითაც. ძემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის მუშაკები, რომლებიც ებრძვიან არალეგალურ წარმოებას, უნდა ფლობდნენ ღრმა ქიმიურ ცოდნას პრეკურსორების, რეაგენტების, კატალიზატორებისა და გამხსნელების შესახებ.

დასკვნა

სახელმწიფოს სტაბილურობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის საშუალებათა სისტემაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემას, როგორც საზოგადოებისათვის, მისი განვითარების ნებისმიერი ეტაპისათვის დამახასიათებელ ნეგატიურ სოციალურ მოვლენას. წინამდებარე ნაშრომის შესავალში გამახვილებულია ყურადღება XXI საუკუნეში საქართველოსა და მთელს მსოფლიოში არსებულ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ეროვნული უსაფრთხოების ისეთ გლობალურ საშიშროებაზე, როგორიცაა ნარკომანია, მასზე დაკვირვების წარმოება და მისი მიზეზების იდენტიფიკაცია ითხოვს მუდმივ მონიტორინგსა და კვლევას. ნარკომანიის პროგნოზირება და პრევენცია, ალბათ, ისეთივე ხანგრძლივი ისტორიით ხასიათდება, როგორც თავად საზოგადოების ისტორია ადამიანთა ჩამოყალიბებიდან დღემდე. საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდნენ როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა სახეები, წარმოებისა და მოხმარების ხერხები და მეთოდები, მისი გამომწვევი მიზეზები, ნარკომანიის მასშტაბები, ასევე ის პერსპექტივები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს ნარკოტიზაციის მეცნიერული შესწავლა. საზოგადოების განვითარების ნებისმიერი ეტაპი ხასიათდება ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციფიკური მეთოდოლოგიისა და მიმართულებების განვითარებით, რაც თანამედროვე კრიმინოლოგიის მრავალფეროვან და ყოვლისმომცველ, ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ ხასიათს განაპირობებს.

ნარკომანია თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი ურთულესი პრობლემაა, მისი ყოველმხრივი კვლევა ერთი დისერტაციით ვერ შემოიფარგლება და ვერ დაფარავს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ გადასაჭრელ პრობლემებს, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში აშკარადაა გადმოცემული ავტორისეული მცდელობა ნარკომანიის პრობლემა გაანალიზებულიყო მისი ისტორიული გენეზისის, სოციოლოგიური, სამედიცინო, რელიგიური, ფსიქოლოგიური, კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულ -სამართლებრივი და სხვა ფაქტორების შესწავლით;

დისერტაციაში ავტორის მიერ პირველადაა გაშუქებული საქართველოს გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ნარკომანიის ტენდენციები და ფორმები, აღწერილია და ახსნილი მისი ტრანსფორმაცია. ავტორის მიერ

ჩატარებულმა თეორიულმა და ემპირიულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ნარკომანიის პრობლემა საქართველოში მეტად მწვავეა და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. ავტორი მიიჩნევს, რომ ნარკომანიაზე რეაგირების ფორმებისა და პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად საჭიროა ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ, არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების რეპრესიული ზეგავლენა, მათი დაკავება და პასუხისგებაში მიცემა, არამედ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, სოციალური თუ სხვა კომპლექსური ღონისძიებების გატარება და ზოგადად ამ კუთხით სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსაზღვრა და ჩამოყალიბება.

დისერტანტი საკუთარ მოსაზრებებს იძლევა პენიტენციური და პენოლოგიური ხასიათის მიმართულებით, შემოთავაზებულია ნარკოტიკების მომხმარებელთა დაყოფა კატეგორიებად, მომავალში, მათთვის შესაბამისი ადექვატური პასუხისმგებლობის ზომების შესაფარდებლად; დისერტანტი, რამდენადაც ლიბერალურ პოლიტიკას გვთავაზობს ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ, იმდენად უფრო მკაცრი ზომების გატარება მიაჩნია მიზანშეწონილად ნარკოტიკების გავრცელების ორგანიზებისა და დაფინანსებისათვის. ავტორი თვლის, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული გაეროს 1988 წლის კონვენციის რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოში აუცილებელია შემუშავდეს ნარკოტიკების გავრცელების ორგანიზებისა და დაფინანსებისათვის ახალი სისხლისსამართლებრივი ნორმის შემადგენლობა და ამ კატეგორიის პირთა მიმართ განისაზღვროს მკაცრი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ავტორი პენოლოგიური მიმართულებით გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში შესატანი ცვლილებების თაობაზე, მისი მოსაზრებით, ამ მუხლში იურიდიული პირის მიერ ჩადენილი დარღვევისათვის სანქციის ყველაზე მკაცრი ფორმაა გათვალისწინებული, თუმცა, ნორმის დისპოზიცია, ამავე კოდექსის სხვა მუხლების დისპოზიციებთან შედარებით უფრო მსუბუქია, სხვა ნორმები კი, იურიდიული პირისათვის შედარებით უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომას ითვალისწინებენ;

ავტორი კვლევისას ასაბუთებს წინადადებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა) და ეკონომიკური სანქციების საკითხებთან დაკავშირებით; დისერტანტი თავის ნაშრომში

გვთავაზობს ნარკოტიკების მოცულობის რეგლამენტაციას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ადექვატურობისათვის, მას მიზანშეწონილად მიაჩნია ჰეროინის მცირე ოდენობისა და დიდი ოდენობის განსაზღვრა შესაბამისად, სასჯელების შემსუბუქება მცირე ოდენობისათვის;

წინამდებარე ნაშრომში ავტორის მიერ ნარკომანიასთან დაკავშირებით განხილულია თანამედროვე საერთაშორისო მიდგომები და ამისათვის გამოყენებულია გაეროს, ევროკავშირის, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტები. გაანალიზებულია მსოფლიო მოხსენებები ნარკომანიის პრობლემებზე, გადმოცემულია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და დანიშნულება. აგრეთვე დასაბუთებულია წინადადებები საქართველოს კანონმდებლობაში სხვა, განვითარებული ქვეყნების სამართლის ზოგიერთი ნორმის იმპლემენტაციისათვის, მაგალითად ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ კონტროლის განხორციელება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; პენიტენციურ სისტემაში მყოფ პირთა განკურნების მიზნით, კონკრეტული სამედიცინო ღონისძიებების გასატარებლად და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომში პირველადაა გაშუქებული ნარკომანიის ასახვის პრობლემა, როგორც საზოგადოებრივი აზრის, ისე სამართალდამცავი ორგანოების მიერ; გაშუქებულია მართლმადიდებლური ეკლესიის დიდი როლი ნარკომანთა რესოციალიზაციის საქმეში; სპეციალური ანალიზის საგანია ნარკომანიის შეფასება თვით ნარკომანთა მიერ; ამ მიმართულებით, ნაშრომში დადგენილია პოზიციათა თანხვედრისა და განსხვავების ხელშემწყობი პირობები;

ავტორმა ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა, სადაც გამოხატულია საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პირთა აზრი ნარკოტიკების შესახებ, შესწავლილია მოსწავლე ახალგაზრდობის, სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და სახელმწიფო მოხელეების და პირველად საქართველოს სინამდვილეში გამოკვლეულია და გაანალიზებული თვით ნარკოტიკების მომხმარებელთა მოსაზრებანი ნარკომანიის პრობლემებთან დაკავშირებით. აღნიშნული მონაცემები გაანალიზებულია და ავტორის მიერ შემოთავაზებულია საკუთარი მოსაზრებანი.

სადოქტორო დისერტაციაში ავტორმა გააშუქა და გაანალიზა პრევენციის ზოგადსოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომების სისტემა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამ მიმართულებით შემოთავაზებულია პენიტენციურ და პენოლოგიურ საკითხებთან, საერთაშორისო აქტების რეცეპციასთან და ნარკომანთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ნოვაციები; ნარკოტიკების მომხმარებელთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ავტორი გვთავაზობს საკუთარ კონცეფციებს სამედიცინო, სოციალურ-სამედიცინო და პირადი სოციალური რეაბილიტაციის მოდელების მიხედვით.

გამოკვლეული საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყნებში, სადაც ნარკომანთა მიმართ ლიბერალური პოლიტიკა ტარდება, შედეგიც დადებითია, ნარკომანთა რაოდენობა და ნარკოტიკულ დანაშაულთა ფაქტები მცირდება, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც უფრო მკაცრი ზომები მიიღება. ავტორის აზრით, ასეთი დადებითი პრაქტიკის გატარება საქართველოშიც შედარებით დადებით შედეგებს მოგვიტანს.

დისერტაციაში ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ნარკომანთა რეაბილიტაციის საკითხს, მიაჩნია, რომ ეფექტურად უნდა განხორციელდეს ჩანაცვლების პროგრამა ნარკოტიკების მომხმარებელთა გარკვეული კატეგორიის მიმართ, აქტიურად უნდა გატარდეს კომპლექსური სამკურნალო პრევენციული ღონისძიებანი და შემუშავებული იქნას სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ამ პრობლემის დასაძლევად.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი 1995 წლის 24 აგვისტო, 2009 წლის ივნისის მდგომარეობით;

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 2009 წლის ივნისის მდგომარეობით

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი 1999 წლის 22 ივლისი. 2009 წლის ივლისის მდგომარეობით

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2007 წ. გამომცემლობა „ბონა კაუზა“

5. საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. თბილისი. 2007 წლის 3 ივლისი;

6. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ. 2006 წ

7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება № 733 „გაეროს 1971 წლის 21 თებერვლის კონვენციის „ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ“ რატიფიცირების შესახებ. თბილისი 1997 წლის 28 მაისი.

8. საქართველოს პარლამენტის დადგენილება “უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნუსხის” დამტკიცების შესახებ“ თბილისი .2003 წლის 23 ივლისი;

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. 2003 წლის №9 და № 12; 2004 წლის № 2, № 3, №5, №7, № 8, №12; 2005 წლის №1; №4;

10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება № 416 (2005 წ. 27 აპრილი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ

11. სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო. თბილისი, 2007 წლის 25 ივლისი;

12. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერმინთა ლექსიკონი. ევროპის საბჭო. თბილისი. შპს „პეტიტი“., 2008

13. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული. წიგნი II. სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ. გვ.189-236

14. ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები. პროფესიონალური ტრენინგი, სერია 11, I-ლი გამოცემა. ნიუ-იორკი და ჟენევა. 2005.

15. ადამიანის უფლებები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება. 2006 წლის პირველი ნახევარი. თბილისი, 2007 წ.

16. ავტორთა კოლექტივი. გიორგი ღლონტი და სხვ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში. თბილისი, 2008 წ.

17. კანონი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ანოტაცია, ტადეუშ, ლესლავ ქრუშჩელ, მარტა პრეის მისვოვსკა, ვარშავა 2000, გვ.389;

18. ალექსიძე ლ., გიორგაძე ლ., კვაჭაძე მ., კორკელია კ., ქურდაძე ი, - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი., ლექსიკონი.ცნობარი. თბილისი.2003. გვ 166

19. ი.ი. ამინოვი. იურიდიული ფსიქოლოგია. სამართლიანი საქართველო. თბილისი., 2008;

20. გ.ბეგიაშვილი, ა.გაბიანი, ბ.ნანეიშვილი. ნარკომანია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1984 წ.

21. ზაზა ბეროზაშვილი. ნარკოტიკების უკანონო ბრძოლის სფეროში კონვენციური ურთიერთობების მექანიზმი. თბილისი ჟურნალი „სამართალი“ 2001 წლის № 7 გვ 65-68

22. ზაზა ბეროზაშვილი. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული კონვენციების აღსრულების

ინსტიტუციონალური მექანიზმები. თბილისი, ჟურნალი „სამართალი“ 2001 წლის №12. გვ 51-53;

23. ზაზა ბეროზაშვილი. ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი. 2006 წ

24. თ. ბერუაშვილი, „ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება“. კრიმინოლოგი, 2007 წლის №1,გვ.15-30;

25. ლაშა ბრეგვაძე. დანაშაულის ახსნის თეორიები. წიგნში: კრიმინოლოგია, თბილისი 2008 წელი. გვ. 367-402

26. ანზორ გაბიანი, ლალი ღვინეფაძე. მოსწავლე ვაჟებსა და გოგონებს შორის მავნე ჩვევების გავრცელების მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი. თბილისი ჟურნალი„სამართალი“ 2000 წლის №2., გვ 43-48; №№4-5 გვ 76-81;

27. გაერო. დამხმარე სახელმძღვანელო. გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში. საქართველოს გაეროს ასოციაცია. მეორე გამოცემა, 2003.

28. გაეროს გენერალური ასამბლეის მე-20 სპეციალური სესიის პოლიტიკური დეკლარაცია;

29. ოთარ გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. 2008 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. ზოგადი ნაწილი. პირველი წიგნი. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი. 2008.

30. დავით გეგეშიძე. ნარკომანია ადამიანთა სულის სატკივარი, თბ., 2000.

31. ვეფხვია გვარამია. ინტერპოლი და ევროპოლი. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2009 წ

32. ნაირა გიგიტაშვილი. ნარკოდანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის. თბილისი. ჟურნალი „სამართალი“. 1999 წლის №5, გვ. 68-74

33. პეტრე დაუთაშვილი. საქართველოს სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. თბილისი. 2008 .

34. ევროპის საბჭო. ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში. 2004

35. ლალი ზაქარაძე. კულტურის სოციოლოგია. კლასიკოსები. ცნებები. პრობლემები. პირველი ნაწილი. გამომცემლობა „ნეკერი„ თბილისი, 2009. გვ11,16-17

36. გიორგი თოდრია. კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება. წიგნში: კრიმინოლოგია. თბილისი, 2008 წ. გვ. 2;

37. გ.თოდრია „ საქართველოზე ნარკობიზნესის ზეგავლენის შედეგიანობის პრობლემისათვის“ -კრ.: „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“, თბილისი., 1999, გვ 58-61;

38. ე.იოელი „ნარკომანიის მკურნალობა“(თარგმანი გერმანულიდან), ოდესა 1930 გვ.15-16. წიგნში კრიმინოლოგია. თბილისი 2008)

39. კაკაბაძე ზ. ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა. თბილისი, 1987.

40. ი.კანტი. წმინდა გონების კრიტიკა. თბილისი., 1979 თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 346

41. გაბრიელე კაპაი. ადგილობრივი რეალობა და გლობალური პროცესები: ემიგრაცია, ჯგუფების წარმოქმნა და თვითშეგნება მულტიკულტურულ საზოგადოებებში. ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო., ზაფხულის სკოლა., 24-30 ივლისი 2001 წ., ბაკურიანი

42. დავით კაჭკაჭიშვილი. სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ნარკოტიკული საშუალებების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ. თბილისი. ჟურნალი „სამართალი“ 2001 წ №4 გვ. 54-60;

43. დავით კაჭკაჭიშვილი – ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი 2001;

44. ი. კახურაშვილი, „როგორ მდიდრდება სახელმწიფო ბიუჯეტი ნარკომომხმარებელთა ხარჯზე“. გაზეთი „კამარა“. 7-13 ივნისი, 2006, №15

45. ვასილ კვირიკაშვილი. ნარკომანია და დანაშაულობა. კრიმინოლოგია. თბილისი. 2008 გვ. 273-289

46. კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. თბილისი 2004 წლის თებერვალი;

47. კუტალია ლაშა-გიორგი, ბრალი სისხლის სამართალში. ბრალის გენეზისი. ტომი I, თბილისი, 2000.

48. გივი ლობჟანიძე. საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა. საგამომცემლო ცენტრი. ქუთაისი, 2002., გვ. 44-70;

49. ინგა ლომსაძე. ნარკობიზნესის ცნებისა და სტრუქტურის შესახებ. ჟურნალი „სამართალი“, თბილისი. 2000 წ №№ 6-7 გვ. 89-92;

50. ინგა ლომსაძე – ნარკობიზნესის სფეროში ჩადენილ დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების მეთოდების პრობლემები. თბილისი., 2001.

51. ზურა მაისურაძე. ნარკოტიკული დანაშაულის მიზეზები. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი. სტუდენტური ბიულეტენი №4. თბილისი. 2004, გვ. 36-41

52. ამირან მოსულიშვილი. მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა ლეგალიზაციის შესაძლო თანმხვედრი შედეგები საქართველოში. თბილისი. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დანაშაულობის კვლევის ცენტრისა და პროგნოზირების ცენტრის ჟურნალი „კრიმინოლოგი“ №2 (3) – 2008 წ. გვ. 79-85;

53. ამირან მოსულიშვილი. ნარკომანიასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შრომები. თბილისი 2009. გვ 124-129

54. ამირან მოსულიშვილი. ზოგიერთი მოსაზრება, საქართველოში ნარკოტიკებთან ბრძოლის, რამდენიმე აქტთან დაკავშირებით ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ 2009 წ № 3(7)

55. მანანა მოსულიშვილი. არასრულწლოვანთა დანაშაულისა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი „სამართალი“ №№ 4-5., 2000., გვ. 82-87

56. მანანა მოსულიშვილი. იურიდიული პასუხისმგებლობა (კონცეფციები და მოსაზრებანი). თბილისი. 2002 წ

57. მანანა მოსულიშვილი. ქალთა დანაშაულის გამომწვევი ზოგიერთი ასპექტი. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამეცნიერო შრომები VI ნაწ. გამომცემლობა „იურიდიული აზრი“, თბილისი 2003., გვ.15-23

58. ზაურ მჟავანაძე. სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. კომენტარები. ქსუ გამომცემლობა., 2000. გვ. 344 - 370;

59. ნინო ნადარეიშვილი, დავით ჩაგუნავა. გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებანი და პრეკუსორები (მეთოდური სახელმძღვანელო), თბილისი, 2002 წ.

60. ნაჭყებია გ. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001 წ.

61. იანუშ რიძკოვსკი, გაეროს ლექსიკონი, ვარშავა, 2000, 2003 გვ 206-213.

62. ოჯახური ძალადობა და სახელმწიფო. ახლანდელი სტატუსი და საჭირო ცვლილებანი. თბილისი 2002 წ;

63. გოჩა სისაური. ნარკომანია – რეალობა და პერსპექტივა. ჟურნალი „სამართალი“ თბილისი 2000 წლის №№ 10-11-12 გვ. 103-110;

64. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები. თბილისი, მერიდიანი. 2006;

65. სურგულაძე ლ. სისხლის სამართალი. დანაშაული. თბილისი 1997;

66. ტურავა მ., სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი 2002. გამომცემლობა „ბონა კაუზა“;

67. უზნაძე ს. შრომები. ტომი 3-4. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი. 1964 წ

68. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი 1990 თსუ გამომცემლობა.

69. უცხო სიტყვათა ლექსიკონი., თბილისი 1989 წ გვ.332

70. დ.დ.ფედოტოვი არაალკოგოლური ტოქსიკომანიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრობლემების დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. ალკოგოლიზმი და ტოქსიკომანია“ კრებული, მ. 1968 გვ.173. წიგნში კრიმინოლოგია. თბილისი 2008 წ.

71. გიორგი ღლონტი, ამირან მოსულიშვილი, კორუფციის კრიმინოლოგიური დახასიათება საქართველოში. წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები., თბილისი. მერიდიანი. 2006. გვ.327-366;

72. გიორგი ღლონტი, მანანა მოსულიშვილი, პეტრე დაუთაშვილი. კორუფცია., სახელმძღვანელო (გიორგი ღლონტის რედაქტორობით)., სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი., თბილისი., 2009.

73. შავგულიძე თ. „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა“, თბილისი „საბჭოთა საქართველო“, 1981.

74. ჰერმან შვარცი. რით შეიძლება დაეხმაროს თავისუფალი პრესა მართლმსაჯულებას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ჟურნალი ალმანახი. №16 – 2001. გვ. 23-29

75. გიორგი შინდელიშვილი. ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის ტაქტიკური ხერხები. თბილისი. ჟურნალი „სამართალი“ 2001 წლის №7, გვ. 89-92;

76. ჩხარტიშვილი შ. ნებისყოფა და მისი აღზრდა. თბილისი 1964. გამომცემლობა „მეცნიერება“;

77. თინათინ წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები I ტომი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007;

78. წერეთელი თ, ტყეშელიაძე გ. მოძღვრება დანაშაულზე. თბილისი. 1969.

79. ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბილისი 2003, გვ 18-19

80. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მოხსენებათა სერია 1952 №57, 1954 №76, 1957 №116, 1964 №273, 1965 № 312)

81. ჯემალ ჯანაშია. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა (სახელმძღვანელო). ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო. თბილისი. 1995;

82. ჯემალ ჯანაშია. XXI საუკუნის გამოწვევა. თბილისი. 2002;

83. ჰომეროსი. ილიადა. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი., 1979 წ. გვ. 268-269

84. Уголовный кодекс Российской федерации. Текст и справочные материалы на 10 апреля 2007 г.

85. Комментарий к уголовному кодексу РФ с постатейными материалами и судебной практикой. Москва 2000

86. Р.О.Авакян. Наркомания и методы борьбы с нею. (Спец. ред.Г.М. Воскресенский). - Ер: Айфстан. 1990.-323;

87. Бабаев М.М. Духовная культура и преступность. В книге Влияние социальных условий на преступность.М.1983,с.69

88. Ч. Беккариа, О преступлениях и наказаниях.,М.1939. с 281;

89. Бориневич Е.В. Наркомании. М.1963. стр.46

90. И. Бентам. Тактика законодательных собраний.СПБ 1907;

91. Рональд Блэкборн. Психология криминального поведения.Москва-Санкт-Петербург-Нижний Новгород-Воронеж- Ростов-на-Дону –Екатеринбург-Самара-Киев-Харьков-Минск. «Питер» 2004;

92. Большой юридический словарь (Под редакцией Сухарева и В.Е.Крутских) М.2001

93. Большой юридический энциклопедический словарь – (Авт.составитель А.Б.Барихин) М. 2002

94. Вартанян Ф.,Шфховский К. Наркотики и проблемы национальной безопасности. http://www.rau.su/observer/#6_2005/6_07.NTM 30.07.08

95. Всемирная история государства и права. Энциклопедический словарь (Под ред. А.В. Крутских. М.2001

96. Габиани А.А Уголовная ответственность за преступления совершенные в состоянии опьянения. изд. «Мецниереба»; Тбилиси.1968.

97. Георгий Глонти. Организованная преступность, как один из основных источников насильственной преступности и этнических конфликтов., Тбилиси.,1998 г.

98. Дюркгеим Э. Норма, патология.Социология преступности.М.1966, с.42

99. Е.П.Ильин. Эмоции и чувства. Москва-Харьков-Минскю «Питер» 2001;

100. Ильин Е.Р. Психология воли СПб., 2002

101. С.М. Иншаков. Зарубежная криминология.,Москва 1977, с.48-49,с 123; 132.,с. 342

102. Г.Кайзер, криминология, (перевод с немецкого),М.,1979;

103. Кикнадзе Д.А.,Система факторов действия и развития личности., Тбилиси., 1982, с.18

104. А.Коен,Содержание деликвентной субкультуры – Социология преступности. М. 1966. с.314-321;

105. Конституции зарубежных государств. М.2002 стр. 405-524

106. Кудрявцев В.Н. Социальные отклонения. Введение в общую теорию.М.Юр.лит. 1984., с.204;

107. Криминология: Учебник для вузов (под. ред. проф.В.Д.Малькова). 27-ое изд. перераб.и доп.-М.;ЗАО Юстицинформ, 2006, с.21;

108. Криминология: Учебное пособие (Под ред Н.Ф.Кузнецовой) М 1998;

109. Криминология: Учебник (Под ред. В.Н.Кудрявцева, В.У.Эминова.,М. Юристь1997

110.Криминология: Учебник (Под ред. А.И.Долговой). М. 2000

111. Криминология. М. Изд. МГУ,1994, сс.110-112

112.Ч.Ломброзо. Гениальность и помешательство. «Реноье», Симферополь.1998

113.Ч.Ломброзо.Преступление.Новейшие успехи науки о преступнике. Анархисты. (Сост.и предисл.В.С. Овчинского). М.;ИНФРА-М, 2004;

114.В.В.Лунеев. Преступность XX века.,Мировой криминологический анализ.М., «норма»,1977. с.77.,с.125, с.138;

115. Люди, события, даты: Всемирная история. М. 2001 стр.411-412

116. Мертон Р. Социальная структура и аномия.»Социология преступности» М. 1966., с.229;

117. И.К.Масягутов, »Криминологический анализ криминальной субкультуры несовершеннолетних», СПб, 2001;

118. Механизм преступного поведения (авт. колл.Ю.М.Антонян, П.С.Дагель, О.Д.Дубовик и др. Отв. ред. В.Н.Кудрявцев). М. Наука,1981, წიგნში: კრიმინოლოგია, თბილისი, 2008 წ. გვ 2;

119. Мотков А. Европейское полицейское ведомство(EUROPOL). Энциклопедия кругосвет. 9 марта.2007. http://www.krugosvet.ru/articlts/102/1010295/1010295 al. htm.

120. Поздняков В.М. Личность и исправление осужденных (Историко-психологические очерки) М.1998

121. Правовые системы стран мира. (Отв. редактор А.Я.Сухарев.) М. 2001, стр.22-27, 56-61, 89-105, 105-125, 158-175, 199-210, 233-241, 251-259, 329-335, 452-462, 562-567, 578-585,617-622, 630-636 ;

122. Самарин В.И. Интерпол международная организация уголовной полиции. «ПИТЕР» М.2004

123. Т.Селлин. Социологический подход к изучению причин преступности – Социология преступности.М.,,Прогресс,, 1966.,с.28], წიგნში: კრიმინოლოგია, თბილისი 2008წ.

124. Стивен Агилар-Миллан www.wfs.org в ноябре-декабре 2008;

125. Тараканов Ю.В.»Криминологическая характеристика отклоняющегося поведения несовершеннолетних» СПб,2000

126. Г.Тодрия. Проблемы перестройки криминодогического мышления., Журнал «Мацне», 1989. №1,с.102-111;

127. Адриан Феринхем, Патрик Хейвен. Личность и социальное поведение.Санкт-Петербург. Москва-Харьков-Минскю «Питер» 2001

128. Овчинский В.С. Интерпол. М.Инфра. М.2001

129. Э.Ферри. Уголовная социология(Сост.и предисл) Овчинский В.С.) М. Инфра-М,2005.с.211,с.336ж

130. В.Фокс. Введеие в криминологию.М.»Прогресс».1980.с.72

131. Д.А.Шестаков.О понятии преступности – Преступность среди социальных подсистем.Санкт-Петербург. »Юрид.центр Пресс». 2003, с.20,22

132. Г.Шнаидер.Криминология.М.»Универс».1994с.72

133. Шопенгауер. Свобода воли и нравственность. М.1992 стр.118-123

134. Р.Л.Хачатуров. Юридическая энциклопедия. Т.1.,Тольятти 2003

135. Р.Л.Хачатуров. Юридическая энциклопедия. Т.2., Тольятти 2004 г

136. Р.Л.Хачатуров. Юридическая энциклопедия. Т.3., Тольятти 2004 г

137. Р.Л.Хачатуров. Юридическая энциклопедия. Т. 4., Тольятти 2005 г

138. Р.Л.Хачатуров. Юридическая энциклопедия. Т.4а.,Тольятти 2005 г

139. Р.Л.Хачатуров. Юридическая энциклопедия. Т.,5 Тольятти 2005 г

140. Adler,G (1982) Recent psychoanalytic contribution to the understanding and treatment of criminal behaviour. International Journal of Offender Therapy and

Comparative Criminology 26, 281-7

141. Bank,L., Duncan,T., Patterson, G. and Reid,J. (1993) Parent and teacher rating in hte assesssment and prediction of antisocial behaviours Journal of Personality 61, 693-709

142. P.Beirne;J Messerschmidt.Criminology. Oxford.1999.p.213-218

143. R.Bennett – Routine: A Cross National Asses ment of criminology Perspective Social Forces 70 1991;

144. P. Conrad. Identifying Hyperactive Children: The Medicalization jf Deviant Behavior (Ashgate Classics in Socioljgy). 2006. p. 1-9;

145. Defltm Mathieu, ``Wild Beasts Without Nationality'' The Uncertain Origins of Interpol, 1898-1910, 275-285Pp. in The Handbook of Transnational Crimt and Justice,edited bu Philip Reichel. Thousand Oars, CA: Sage Publications.2005, P. 276

146. Ewen,R.(1993) An introduction to theories of personality. Hillsdale, Nj: Lawrence Erlbaum Associates

147. Eysenck,H. and Gudjonsson, G. (1989) The causes and cures of criminality. New York: Plenum Press.

148. Eysenck,S. and Eysenck, H. (1970) Crime and personality: an empirical study of the three-factor theory. British journal os Criminology 10, 225-39

149. Georgi Glonti - Georgia at the Crossroads – Democratizatsia Volume 8 Number 4 Fall 2000 page 533-534 Washington DC USA

150. Georgi Glonti - Problems associated with organized crime in Georgia – Trends in Organized Crime winter 2005 . volume 9 number 2, page 64 Rutgers, New Jersey

151. Georgi Glonti – Human Trafficking: Concept? Classification and Questions of Legislative Regulation. Organized Crime, Trafficking, Drugs. European Society of criminology Helsinki 2003, page 72-73

152. Glueck "Wanted:" A Comparative Criminology" London,Tavistock 1964

p.304

153.Goma,M.(1995) Prosocial and antisocial aspects of personality. Personality and Individual Differences 19, 125-32 ===

154. Gudjonsson,G (1997) Crime and personality. In Nyborg,H.(ed.), The scientific study of human nature: tribute to Hans, J. Eysenck at Eighty. Oxford and New York: Pergamon, 142-654

155. Indira,R. (1987) The psychoanalytic theory as a basis for understanding criminal behaviour. Indian journal of Behaviour 11, 29-32;

156. Interpol. General information.Lyons: General Reference Department.1995

157. info@odysseyhouseinc.org.Питер Provet, ფილოსოფიის დოქტორი, ნიუ-იორკის კერძო, არაკომერციული ნარკომანიისა და ფსიქიკური მკურნალობისათვის „ოდისეის სახლის“ პრეზიდენტი. იგი წარმოადგენს კლინიკურ ფსიქოლოგს, ალბერტ ეინშტეინის სახელობის სამედიცინო კოლეჯის ფსიქიატრიის პროფესორის ყოფილ თანაშემწეს

158. Hagan J. Modern Criminology: Crime,Criminal Behavvior and its Control.NY.: McGraw-Hill, 1985 p.49

159. Klip A. The Constitution for Europ and Criminal law:A step Not far Enough// Maastricht journal of European and Comparative Law. 2005. Vol.12 #2

160. M.Kolvin.Crime and Coercion:An Integrated Theory of Chronic Criminality.Nev York; St. Martin s Press, 2000 p.141;

161. Lane,D. (1987) Personality and antisocial behaviour; a long-term study. Personality and individual Differences 8, 799-806 ===

162. Marshall B. Clinard and Robert F.Meier.Sociology of Deviant <ehavior. 2007. p.3-49;

163. H. Mannheim – Comparative Criminology, Boston,1965;

164. Nelson Jack, Interpol reforms and crime fight, los Angeles Times, PM 1/9/1998, http://www.chron.com/content/chronicle/world/98/01/11/interpol.2-0.htme 02.09.2006;

165. Rules of procedure of the ICPO-interpol General Assembly.Resolution AGN/65/RES/15 (Antalya.1996). Resolution AGN-2004-RES-12(Cancun.2004)

166. United Nations office on Drugs and Crime.WORD DRUG REPORT 2008;

167. Vold, G.(1958) Theoretical criminology. New York: Oxford University Press.

168. Word drug report. United Nations international. Drug Control Program/Oxford University Press, 1997. P.127

169. K.Williams. Textbook on Criminology. Oxford 2004 Copyright © 2009

170. www.statisticks.ge

171. www.police.ge

172. www.coe. ge

173. www.ungeorgia.ge

174. http://www.galaxy.com.ua/publications/librery/advocate/6.htm

175. http://www.supremecour.ge

176. www.un.org/russian/documen/convents/aga.pdf

177. www.narkotizm.ru

დანართი

№	დასახელება	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
1	რეგისტრირებული დანაშაული	1783	1855	1945	1941	1941	3542	3542	19529
2	მსჯავრდებულთა რაოდენობა	854	766	715	837	809	1760	1919	2095

სურ. 1

1995-2007 წლებში ლიკვიდირებული ლაბორატორების რაოდენობა, (სულ 127)



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

სურ. 5

სურ. 6



სურ. 7



სურ. 8


ნარკოტიკული დანაშაულებები
180000
160000
140000
120000
100000
80000
60000
40000
20000
0
ჰეროინე
ატს*
სხვა
ნარკოტიკულ დანაშაულთა საერთო რიცხვი 285.000
ნარკოტიკების გადატანა
ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ ჩადენილი დანაშაულებები
*ATS = ამფეტამინის ტიპის ნივთიერება, შეიცავს ექსტაზის

სურ. 9


ამოღებული კანაფის პროდუქციის რაოდენობა
9000
8000
7000
6000
5000
4000
3000
2000
1000
0
2000
2001
2002
2003
2004
2005
კანაფის ფისი
კანაფის ფოთლები

სურ. 10


ნარკოტიკების აქტიური მომხმარებლები
სულ: 20.000 ადამიანი
her oi ni
kokai ni
kr eki
bupr enor f i ni
eqst azi
sxva(l sd-s CaTvl iT)

სურ. 11


ამოღებული ჰეროინის რაოდენობა
კგ
900
800
700
600
500
400
300
200
100
0
787
2000
2001
2002
2003
2004
2005

სურ. 12


ოპიუმის გლობალური წარმოება
მსოფლიოს სხვა ქვეყნები
მიანმა
აღმანეთი
პროდუქციის მიახლოებითი ოდენობა
5000
4000
3000
2000
1000
0
2 335
2 248
2 804
2 693
4 565
3 278
185
3 400
3 600
4200
4100
1 664
1 760
1 676
1 303
895
1 087
1 097
828
810
453
347
343
350
304
328
300
372
355
258
300
1995
1996
1997
1998
1999
2000
2001
2002
2003
2004
2005

სურ. 13


ავღანეთის გარშემო თავდაცვის ხაზის,
„უსაფრთხოების ქამრის“ განვითარების სტრატეგია
ირანი
პაკისტანი
უზბეკეთი
თურქმენეთი
ტაჯიკეთი
ყირგიზეთი
ყაზახეთი
რუსეთის ფედერაცია
ყაზახეთი
თურქეთი
არაბეთის
ნახევარკუნძული
ინდოეთი

სურ. 14


ჰეროინის კონტრაბანდის გზები (მარშრუტი)
რუსეთის ფედერაცია
ბალტიისპირეთის ქვეყნები
„აბრეშუმის
გზა
(მარშრუტი)“
ყაზახეთი
„ბალკანეთის გზა
(მარშრუტი)“
ირანი
ავღანეთი
პაკისტანი

სურ. 15

კონტროლირებადი გადატანა
მანქანა, რომელსაც იყენებდნენ
სამართალდამრღვევები

სურ. 16

კონტროლირებადი გადატანა
ჰეროინი მანქანის კარებში იყო დამალული
9,2 კგ ჰეროინის ამოღება ფრანკფურტში
8 თურქის დაკავება ფრანკფურტში (4),
ჰამბურგსა (1) და თურქეთში (3).

სურ. 17


ამოღებული კოკაინის რაოდენობა
kg
2500
2000
1500
1000
500
0
1,079
2000
2001
2002
2003
2004
2005

სურ. 18

კოკაინის კონტრაბანდის მარშრუტები
კოლუმბია
პერუ
ბოლივია

სურ. 19


კოკაინის იმპორტი ევროპაში
ამოღებული რაოდენობა 2005
ნიდერლანდები:
~ 17 ტონა
პორტუგალია:
~ 18 ტონა
ესპანეთი:
~ 50 ტონა

სურ. 20

ამფეტამინის ტიპის ნივთიერებების
ამოღებული რაოდენობა
ექსტაზი (აბი)
ამფეტამინი (კგ)
5000000
4500000
4000000
3500000
3000000
2500000
2000000
1500000
1000000
500000
0
2000
2001
2002
2003
2004
2005
700
600
500
400
300
200
100
0
2000
2001
2002
2003
2004
2005
2005: 1,589,000 აბი
2005: 669 კგ

სურ. 21

სინთეტიკური ნარკოტიკული ნივთიერებების
წყაროები გერმანიაში
ნიდერლანდები
ექსტაზი
ამფეტამინი
ამფეტამინი
პოლონეთი
მეტამფეტამინი
ჩეხეთის
რესპუბლიკა
88% ამფეტამინი
და 98% ექსტაზი
ამოღებულია გერმანიაში
წყარო ცნობილია

სურ. 22


ნარკოტიკულ ნივთიერებათა არაკანონიერი
ლაბორატორიები
კრეკი
(კოკაინის
ერთ-ერთი ფორმა)
დიზაინერული ნარკოტიკი
(ჰალუცინოგენი)
კოკაინი
კრეკი
მესკალინი
ჰაშიშის ზეთი
14
12
10
8
6
4
2
0
2000
2001
2002
2003
2004
2005
ამფეტამინი
ექსტაზი
გამა ჰიდროქსიბუტირატი
სხვა

სურ. 23

სინთეტიკური ნარკოტიკების წარმოება
გერმანიაში
მცირე ზომის „სამზარეულო-
ლაბორტორიები“
იშვიათად ფართომასშტაბიანი
წარმოება
უკანასკნელი გერმანიაში: ექსტაზის ლაბორატორია კელნში /
დეკემბერი 2001
(კომერციულ გამოყენებაში მყოფ ყოფილ სამხედრო ბაზაზე)
ექსტაზის შემცველი ნარკოტიკული ფხვნილის წარმოება => სულ
ცოტა 13 000 აბის სინთეზირება იქნებოდა შესაძლებელი

სურ. 24


მიმოხილვა
• ნარკოტიკული დანაშაული სერიოზულ პრობლემად რჩება ევროპასა და საქართველოში;
• კრიმინალური ორგანიზაციების პროფესიონალიზმი იზრდება, რაც დაკავშირებულია კანონიერი და არაკანონიერი ლოჯისტიკური სტრუქტურების შერწყმასთან;
• სამართალდამცავმა უწყებებმა წარმატება მოიპოვეს ცალკეულ ოპერაციებში, მაგრამ დღემდე ვერ შეძლეს ნარკოტიკული მარაგის შემცირება;
• სამართალდამცავ უწყებათა საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა გაძლიერდეს.

სურ. 25

ნარკოტიკები რამდენიმე კატეგორიად იყოფა
ცენტრალური ნერვული სისტემის დამაზიანებლები
ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტები
ტონიკები
ინჰალანტები

სურ. 26

ცენტრალური ნერვული სისტემის დამაზიანებლები
მარიხუანა
LSD
ალუცინოგენური სოკოები

სურ. 27

მარიხუანა
კანაფის ცნება პირველად დაახლოებით 40 საუკუნის წინ გამოიყენეს ჩინელი ბოტანიკოსების ხელშეკრულებაში. ჩინელები მას თერაპიული მიზნებისთვის იყენებდნენ
ეს მცენარე ძირითადად შუა აღმოსავლეთში ხარობს, კერძოდ, მაროკოში არის ნამდვილი ფერმები, სადაც იწარმოება ჰაშიში (ბრუნვა 650 კგ/ჰა)
მწარმოებელი ქვეყნებიდან ასევე აღსანიშნავია:
ლიბანი (3 ტონა/ჰექტარზე) – ავღანეთი – პაკისტანი. არალეგალური კულტურა ასევე განვითარდა აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში (კოლუმბია), ასევე შეერთებულ შტატებში.

სურ. 28

ზოლები
ჯოხები
აგურები
Résine

სურ. 29

მას ასევე შეიძლება ჰქონდეს
ზეთის ფორმა და
დამალულ იქნეს ასეთი
გზით

სურ. 30

სოკოები

სურ. 31

რა გავლენას ახდენენ ისინი?
ისინი რეაგირებას ახდენენ 30-45 წუთის შემდეგ, რომელიც 3 საათის მოკრეფილი და მოკრეფის შემდეგ 4-5 საათის განმავლობა-ში გაჩერებული უნდა იყოს.
Psilocybe semilanceata
სოკოების ზემოქმედება LSD-ის საშუალო დონის „ეოფორიის" მსგავსია, რაც იმაში გამოიხატება, რომ იცვლება ადამიანის მხედველობითი, ბგერითი და ა.შ. აღქმა, ასევე იცვლება მომხმარებლის გრძნობები და აზროვნება.

სურ. 32

ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტები
ყაყაჩო
ოპიუმი
ჰეროინი

სურ. 33

ოპიუმი მიიღება ბალახეული მცენარისაგან
ყაყაჩო

სურ. 34

ოპიუმი
ოპიუმი მიიღება ყაყაჩოს შიგთავსისაგან. მცენარის გულს ოდნავ ჩაჭრიან და იქედან გადმოედინება ოპიუმი.

სურ. 35

ჰეროინი
Héroïne blanche
Héroïne

სურ. 36

კოკაინი
კოკაინის მოპოვება ხდება ტროპიკული
მცენარეების ფოთლებიდან
Erythroxylum coca var: coca.
Erythroxylum coca var: ipadu.

სურ. 37

სურ. 38

ნარკოტიკების მოხმარების რანჟირება



2007 წლის ბოლოს მდგომარეობით

სურ. 39



სურ. 40

სურ. 41



სურ. 42



სურ. 43



სურ. 44



სურ. 45



სურ. 46



სურ. 47



სურ. 48



სურ. 49



სურ. 50



სურ. 51



სურ. 52



სურ. 53



სურ. 54



სურ. 55



სურ. 56



სურ. 57


35
58
124
193
38
204
135
მეტრო სადგურებთან
ბაზრობებზე
აფთიაქებსა და სამედიცინო დაწესებულებებში
ახალგაზრდულ დისკოტეკებზე
სასწავლო დაწესებულებებში
სახლებში სადაც ნარკოტიკები იყიდება
უჭირთ პასუხის გაცემა

სურ. 58


90
144
227
უნდა იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა
არ უნდა იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა
უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა

სურ. 59

რეგისტრირებული დანაშაულები

ერთეული

დანაშაულის სახეები	2001	2002	2003	2004	2005*	2006	2007	2008 წ I კვარტ	2008 წ I-II კვარტ	2008 წ I-III კვარტ	2008 წ I-IV კვარტ
რეგისტრირებული დანაშაული, სულ	15662	16658	17397	24856	43266	62283	54746	12116	23272	34539	44644
მათ შორის:											
მძიმე დანაშაული	8601	9658	10326	17833	24320	29249	13158	3207	6001	9281	13028
განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა	430	498	499	538	697	640	741	159	306	515	653
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	244	279	253	371	368	271	157	46	98	150	200
გაუპატიურება	39	52	52	62	141	167	156	28	61	91	100
ძარცვა	399	397	556	1316	2087	2751	1615	321	629	908	1167
ყაჩაღობა	676	757	1013	1733	1925	2160	1208	294	468	758	1008
ქურდობა	4949	5548	5593	10634	16256	27657	18586	3682	7509	11139	14814
ნარკოტიკული ნივთ-ბის უკანონო ბრუნვა	1783	1855	1945	1941	2074	3542	8493	1555	3485	5790	8699
ხულიგნობა	437	488	487	706	1314	1208	858	211	403	569	724
ტრანსპ. მოძრაობის უსაფრ. ან ექსპლ. წესის დარღვევა, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი	300	267	308	385	445	499	511	122	282	428	551
არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული	662	674	617	557	755	997	674	227	422	568	759

* 2005 წლის მაისიდან საქართველოს სისხლის სამმართლის საპროცესო კოდექსში შეტანილია ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებენ მოკვლევის ორგანოების გაუქმებას და წინასწარი გამოძიების დაწყებას დანაშაულის ჩადენის მომენტიდან. ამ და სხვა მიზეზებით გაზრდილია რეგისტრირებული დანაშაულებების რაოდენობა.

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

სურ. 60

მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის სახეების მიხედვით

კაცი

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
სულ მსჯავრდებულია	8897	8579	8110	9071	9168	16911	21170	20804
მათ შორის დანაშაულობათა მიხედვით:								
განზრახ მკვლელობა	150	136	90	122	146	243	297	321
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	77	117	87	66	46	241	268	176
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	106	97	106	117	110	170	124	173
გაუპატიურება	29	27	27	33	25	74	65	81
ძარცვა	243	272	270	427	393	743	648	634
ყაჩაღობა	256	268	194	269	371	1098	823	593
ქურდობა	2546	2239	1714	1782	2264	3817	3913	4111
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	854	766	715	837	809	1760	1919	2095
ხულიგნობა	336	313	305	394	443	922	958	941
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა	244	233	253	294	342	618	1095	878

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო

სურ. 61

მსჯავრდებულთა რაოდენობა და სასჯელის ღონისძიებები

კაცი

პასუხისმგებლობის ზომები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
სულ მსჯავრდადებულია	8897	8579	8110	9071	9168	16911	21170	20804
მათ შორის მიესაჯათ:								
თავისუფლების აღკვეთა	2708	2474	2324	3172	3525	7930	9788	8846
გამასწორებელი სამუშაოები	76	38	41	66	182	66	7	3
პირობითი მსჯავრი	3528	3600	3550	3588	3755	7002	9585	10601
ჯარიმა	2344	2394	2129	2177	1658	1820	828	1010
გადაედოთ განაჩენის აღსრულება	50	23	13	27	2	3	7	7
სხვა	191	50	53	41	46	90	955	337

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო

სურ. 62

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულის მიხედვით

კაცი

დანაშაულის სახეები	2004			2005			2006			2007			2008		
	მსჯავრდებულია, სულ	მათ შორის გოგონა	აღეკვეთა თავისუფ-ლება	მსჯავრდებულია, სულ	მათ შორის გოგონა	აღეკვეთა თავისუფ-ლება	მსჯავრდადებულია, სულ	მათ შორის გოგონა	აღეკვეთა თავისუფ-ლება	მსჯავრდადებულია, სულ	მათ შორის გოგონა	აღეკვეთა თავისუფ-ლება	მსჯავრდადებულია, სულ	მათ შორის გოგონა	აღეკვეთა თავისუფ-ლება
სულ	598	10	140	475	6	104	1002	23	340	1060	34	426	1166	47	381
მათ შორის															
განზრახ მკვლელობა	5	0	5	5	0	5	21	2	21	40	1	39	31	0	29
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	8	0	4	3	0	1	14	0	5	9	0	5	17	0	6
გაუპატიურება	0	0	0	1	0	1	4	0	4	1	0	0	5	0	3
ქურდობა	286	5	60	299	1	43	575	9	135	551	11	175	619	14	150
ხულიგნობა	13	0	3	12	0	3	42	0	9	43	2	8	63	0	8
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	24	1	4	8	0	2	21	0	8	22	3	8	32	3	7
სხვა დანაშაული	260	4	64	144	5	49	320	12	158	394	17	191	399	30	178

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო

სურ. 63

მსჯავრდებულთა შემადგენლობა

კაცი

მსჯავრდებულთა ასაკი და სქესი	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
მსჯავრდებულია, სულ	8897	8579	8110	9071	9168	16911	21170	20804
მათ შორის ასაკში:								
14-17	525	497	459	598	475	1002	1060	1166
18-24	2251	2292	2308	2581	2416	4561	5055	4638
25-29	1703	1493	1391	1490	1621	3007	3758	3817
30-49	3444	3331	3125	3456	3718	6735	9259	9483
50 და მეტის	974	966	827	946	938	1604	2038	1700
მსჯავრდადებულთა საერთო რიცხოვნობიდან: ქალები	680	731	738	689	586	998	1375	1126
ნასამართლეობის მქონე	343	474	653	629	528	603	725	668

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო

სურ.64

აივით–ინფიცირებისა და შიდსით დაავადების შემთხვევათა გავრცელება

კაცი

ინფიცირებულები	2003	2004	2005	2006	2007
რეგისტრირებული წლის ბოლოსათვის, სულ	387	508	671	912	1179
აქედან ახალი შემთხვევები	94	163	242	276	344
შიდსით დაღუპულთა რაოდენობა	21	55	61	49	75

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სურ.65

გავრცელებული ფსიქოაქტიური საშუალებების ნარკოლოგიური დახასიათება

ფსიქოაქტიური ნივთიერება	სამედიცინო გამოყენება	ფიზიკური დამოკიდებულება	ფსიქიკური დამოკიდებულება	ტოლერანტობა	მოქმედების დრო(სთ)	მოხმარების მეთოდი	ძირითადი ეფექტები	ზედოზირების ეფექტები	აღკვეთის სინდრომი
ოპიოიდები									
ჰეროინი	ანალგეზიური	მაღალი	მაღალი	დიახ	3–6	ინექცია ,ყნოსვა, მოწევა			❖ ცრემლიანობა
მორფინი	ანალგეზიური	მაღალი	მაღალი	დიახ	3–6	ორალური მოწევა' ინექცია		❖ სუნთქვის დეპრივაცია	❖ რინორეა
კოდეინი	ანალ, ხველების საწინ.	ზომიერი	ზომიერი	დიახ	3–6	ორალური, ინექცია	❖ ეიფორია	❖ კანის სიმშრალე	❖ მოქნარება
ჰიდროკოდონი	ანალ, ხველების საწინ.	მაღალი	მაღალი	დიახ	3–6	ორალური	❖ თვლემა	❖ კრუნჩხვები	❖ უმადობა
ჰიდრომორფონი	ანალგეზიური	მაღალი	მაღალი	დიახ	3–6	ორალური, ინექცია	❖ სუნთქვის დათრგუნვა		❖ გულისრევა
ოქსიკოდონი	ანალგანაცვლებითი	მაღალი	მაღალი	დიახ	4–5	ინექცია	❖ მოზი	❖ კომა	❖ ტრემორი
მეთადონი	ანალგეზიური	მაღალი	მაღალი	დიახ	12–72	ორალური	❖ გულისრევა	❖ შესაძლო სიკვდილი	❖ პანიკა
ფენტანილი	ანალგანტიდარეული	მაღალი	მაღალი	დიახ	10–72	ინექცია			❖ კრამპი
									❖ გულისრევა
									❖ ცივი ოფლი
დეპრესანტები									
ქლორალჰიდრატი	ჰიპნოზური	ზომიერი	ზომიერი	დიახ	5–8	ორალური	❖ გაუგებარი მეტყველება	❖ სუნთქვის დეპრივაცია	❖ შფოთვა
ბარბიტურატები	ანტიკრუნჩხვითი, სედაციური	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	დიახ	1–16	ორალური, ინექცია	❖ დეზორიენტაცია	❖ კანის სიმშრალე	❖ იხსომნია
ბენზოდიაზეპინები	ანქსიოლიზური ანტიკონვულსიური	დაბალი	დაბალი	დიახ	4–8	ორალური, ინექცია	❖ ალკოჰ.თრობის მსგავსი ქცევა	❖ მიდრიაზი	❖ ტრემორი
გლუტეთიმიდი	სედაციურ–ჰიპნოზური	მაღალი	ზომიერი	დიახ	4–8	ორალური		❖ ტაქიკარდია	❖ დელირიუმი
								❖ კომა	❖ კრუნჩხვები
								❖ შესაძლო სიკვდილი	❖ შესაძლო სიკვდილი
სტიმულატორები									
კოკაინი	ადგილობრივი საანესთეზი	შესაძლებელია	მაღალი	დიახ	1–2	ყნოსვა, მოწევა, ინექცია	❖ აწყვლიანებლობა	❖ აფეტაცია	❖ აპათია
მეთ–/ამფეტამინი	ყურადღების დეფიციტის	შესაძლებელია	მაღალი	დიახ	2–4	ორალური, ინექცია, მოწევა	❖ ეჭსტატიკა	❖ ჰიპერთერმია	❖ ძალიანობა
მეთილფენიდატი	და ნარკოლეფსიის დროს	შესაძლებელია	მაღალი	დიახ	2–4	ორალური, ინექცია	❖ ეიფორია	❖ ჰალუცინაცია	❖ გაღიზიანებლობა
							❖ ტაქიკარდია	❖ კრუნჩხვა	❖ დეპრესია
							❖ ინსომნია	❖ შესაძლო სიკვდილი	❖ დეზორიენტაცია
							❖ უმადობა		
კანაბიოიდები									
მარიხუანა	არ გამოიყენება	ძალზე სუსტი	ზომიერი	დიახ	2–4	მოწევა,ორალური	❖ ეიფორია	❖ დაღლილობა	❖ ინსომნია
ტეტრაჰიდროკანაბინოლი	ღებინების საწინ.	ძალზე სუსტი	ზომიერი	დიახ	2–4	მოწევა,ორალური	❖ თავისუფალიქვეცა	❖ პარანოია	❖ ჰიპერ–აქტივობა
ჰაშიში, ჰაშიშის ზეთი	არ გამოიყენება	ძალზე სუსტი	ზომიერი	დიახ	2–4	მოწევა,ორალური	❖ მადის მომატება	❖ შესაძლო ფსიქოზი	❖ უმადობა
							❖ დეზორიენტაცია		
ჰალუცინოგენები									
ლსდ	არ გამოიყენება	არა აქვს	უცნობია	დიახ	8–12	ორალური	❖ ილუზიები ჰალუცინაციები	❖ "trip"ეპიზოდი	❖ უცნობია
მესკალინი,	არ გამოიყენება	არა აქვს	უცნობია	დიახ	8–12	ორალური	❖ შერეცეპტორი დარღვევები დროსა და სივრცეში	❖ ფსიქოზი	
ამფეტამინი	არ გამოიყენება	უცნობია	უცნობია	დიახ	ინდივ.	ორალური, ინექცია		❖ შესაძლო სიკვდილი	
ფენციკლიდინები	არ გამოიყენება	უცნობია	მაღალი	დიახ	დღეები	ორალური, მოწევა			
ანაბოლური სტეროიდები									
ტესტოსტერონი	ჰიპოგონადიზმი	უცნობია	უცნობია	უცნობია	14–28დღ.	ინექცია	❖ ვირილიზაცია	❖ უცნობია	❖ შესაძლო დეპრესია
ნანდროლონი	ანემია, ძუძუს კიბო	უცნობია	უცნობია	უცნობია	14–28დღ.	ინექცია	❖ ტესტიკულური ატროფია		
ოქსიმეთოლონი	ანემია	უცნობია	უცნობია	უცნობია	24 დღ.	ორალური	❖ ავრესია		

❖ აღნიშნულია მოცემული ჯგუფისათვის საერთო სიმპტომატიკა

სურ. 66